

იოსებ ომაძე

დღეს ფეხბურთია!

ანუ

თავშესაქცევი ამბები,

დიდი გულმოდგინებით მოთხრობილი მაჭახელას მიერ

სალადობო რომანი

თბილისი, 2007 წ.

Copyright: იოსებ ომაძე, 2007 წ.

ISBN 978-9941-0-0086-7

სარჩევი

შესავალი	1
კარი I. გამარჯვება ყველას, მე მქვია მაჭახელა!	2
კარი II. აქა მოკლედ ქალაქ ფუთის შესახებ	4
კარი III. აქა ერთი უებრო მომღერლის ბონია ბონელიშვილის ამბავი	5
კარი IV. აქა ზღაპარი მაჭახელასთვის	7
კარი V. აქა ამბავი პირველი მაჩისტვის არცთუ მთლად დალაგებული მზადებისა ქალაქ ფუთსა შინა	12
კარი VI. აქა ამბავი გასაოცარი პირველი მაჩისტა!	19
კარი VII. აქა დიდად სამწუხარო ამბავი პოლიციელთა “ზუმრობისა”, დიდად დაზიანებული თავების, ხელ-ფეხის და ნეკნებისა, დაგვირგვინებული საყდრის სამრეკლოზე ზარების რეკვით	24
კარი VIII. აქა უცნაური ამბავი პანტუშასი და ფათუშასი	26
კარი IX. აქა საშინელი ჯანყის შესახებ ქალაქ ფუთსა შინა, საკრებულოს არჩევნების კომედია და ქალაქის ახალი მოურავად გონა კაკუჩიას არჩევა	28
კარი X. აქა ამბავი მასტრედიასი – ფუთელი მზეთუნახავისა	33
კარი XI. აქა სახელგანთქმული ფუთელი მექალთანის ბებურ ბურბუშელაშვილის ამბავი	36
კარი XII. აქა სალაყბოს თავკაცის დადაშ ჩანჩაღიასა და რაჟდენა დალაქის ამბავი	38
კარი XIII. აქა მშვენიერი მასტრედიას ამბები, მოთხრობილი დადაშ ჩანჩაღიას მიერ	40
კარი XIV. აქა ამბავი მამია მეჯღანისა	42
კარი XV. აქა ერთი დეაწლმოსილი მეგრული თხის დომენტის ამბავი	43
კარი XVI. დაგვხოცე მთელი გუნდი – ეს რა სახაშე ფეხები გქონია, ბიჭო!	44
კარი XVII. აქა მოფერიანებული ფიშტო გადადის შეტევაზე!	47
კარი XVIII. აქა ამბავი ფუთელი მიკიტანის გუგუნა კუნკულიასი, აგრეთვე – კამბეჩიასი, დიდად გამორჩეული პიროვნებისა	50
კარი XIX. აქა ამბავი ტურფა მასტრედიასთან ფიშტოს მეორედ სტუმრობისა	54
კარი XX. აქა ამბავი ტურფა მასტრედიასთან ფიშტოს მესამედ სტუმრობისა	56
კარი XXI. აქა ამბავი “საქორწილო” მაჩისტა	58
კარი XXII. მასტის საქორწილო კაბა სჭირდება – უსიკვდილოდ!	62
კარი XXIII. აქა ამბავი დიდი ქორწილისა!	66
კარი XXIV. ე-ე-ეჰ, ქორწილი “წამგებიანი” გამოდგა... ..	68

კარი XXV. აქა ამბავი ფუთელ ფეხბურთის მოყვარულთა
 უსაზღვრო აღშფოთების შესახებ 72

კარი XXVI. აქა დაუჯერებელი ამბავი ბურძგალიას პაექრობებისა:
 ჯერ – გუნდში, მერე – ცირკში! 75

კარი XXVII. აქა ცირკში მომხდარი დიდად სახალისო ამბები 79

კარი XXVIII. აქა ჯერ ბათუმის მატარებელში, ხოლო შემდგომ –
 ქალაქში მომხდარი სამწუნარო,
 თან თავშესაქცევი ამბები 84

კარი XXIX. აქა ამბავი ფუთელი პოეტის
 ლექსო (ჯამბაკურ) ჯამილოკიაშვილისა 88

კარი XXX. აქა სწორუპოვარი ფუთელი ქურდის
 ბაცაცინოს ამბავი 90

კარი XXXI. აქა ამბავი სახელმოხვეჭილი მარჩიელის
 რაჯა ალი ნასრულა ხანის მონახულებისა 93

კარი XXXII. აქა სასიხარულო უსტარი მაჭახელას – უცხოეთიდან! 95

კარი XXXIII. აქა დედამიწის ზურგზე უმშვენიერეს
 ქალაქ აიაში მომხდარი ამბები 97

კარი XXXIV. აქა ბედნიერი დასასრული 102

შესავალი

აჰა, ეს დროც დადგა!
 2006 წლის 20 სექტემბერს, როცა გავხდი 70 წლისა და 1 დღის, დავიწყე ჩემი მეათე რომანის მოხლაფორთება! და ბოლოშიც გავვდი!

არ მეგონა, თუ ამდენს შევძლებდი!
 ჩემს “დავთარში” ანუ დიდ “საბუღალტრო” რვეულში, ჩანაფიქრების ჩამონათვალში, 1976 წელს ჩაწერილი მაქვს: “№ 56. მრგვალი ბურთის თილისმა”. მას შემდეგ სამმა ათეულმა წელმა განვლო(!) და მხოლოდ ახლა ვიწყებ იმ ძველი ჩანაფიქრის განხორციელებას... განზრახული მქონდა: ახალ, 2007 წლამდე ძველ ჩანაწერებს გადავათვალიერებ, საერთო გეგმას მოგხაზავ – წინასწარ მოსამზადებელ სამუშაოებს ჩავატარებ, ზოგადად გავიაზრებ თავიდან ბოლომდე, რა მაქვს გასაკეთებელი ანუ საპირკველს ჩავეყრი, რათა შემდგომ, მომავალი წლის პირველი იანვრიდან ნება-ნება დავიწყო თხზულების კედლების ამოყვანა, შემდგომ გადავხურო კიდევ (აბა, თუ მიხვდებით, ამ გადახურვაში რას ვგულისხმობ!) და, ბოლოს, ყველაფრის, ყოველი წვრილმან-მსხვილმანის საბოლოო გამშვენიერება-დახვეწაც კეთილად დავასრულო...

სინამდვილე სხვაგვარი გამოდგა: წინასწარი ზოგადი მონახაზის საფუძველზე შევადგინე პირველადი გეგმა (რომელიც შემდგომ მრავალჯერ შეიცვალა) და იმადროულად მაშინვე, ნელ-ნელა, დავიწყე რომანის წერაც (რაც ჩემთვის დამახასიათებელია: მოთმინება არ მყოფნის, ჯერ ბოლომდე გავიაზრო ყველაფერი და მხოლოდ ამის შემდეგ ჩაუჯდვით საფუძველიანად წერას!) და ზუსტად ორ თვეში პირველი, სქემატური ვარიანტი დავასრულე კიდევ (A4 ფორმატის ქაღალდის ფურცლებზე 10,5 ზომის შრიფტით პრინტერზე ამობეჭდილი 34 გვერდი); რომანის შედარებით “ფერ-ხორციანი” მეორე ვარიანტი (უკვე ორჯერ მეტი – 72 გვერდი!) 2007 წლის 16 იანვრისთვის ამობეჭდვინე ბესარიონს... მესამე (105 გვერდი, დაკაბადონების შემდეგ გამოვიდა წიგნის დაახლოებით 240 გვერდი) დავასრულე 2007 წლის 20 მარტს – დაწყებიდან ზუსტად ნახევარ წელიწადში! თუმცა, საბოლოოდ დავასრულე კი? ფურცლებზე ჩამოწერილი უამრავი ჩანამატებელი მასალა უნდა შევიტანო და წიგნის მოცულობა ალბათ ცოტად თუ ბევრად გაიზრდება.

ამგვარ “იმპროვიზაციულ” ხერხს წერისა, თვალსაჩინო ნაკლის გარდა, ერთგვარი მომხიბვლელობაც აქვს: წერის პროცესში უამრავი, ავტორისთვისაც ფრიად მოულოდნელი და უჩვეულო ეპიზოდი ამოტივტივდება; არცთუ იშვიათად უცაბედად შემოგლიჯინდება თხრობის ნაკადში დაუპატიჟებელი თავნება პერსონაჟიც, თავხედურად ლამობს, შემოქმედის სუფრაზე თამადად წამოყვლაყვადეს, თხრობის ბედაურის კისერი მის გემოზე მიღრიჯოს და სულ სხვა გზას გაუყონოს...

ამბობენ, მოხუცებულობაში ადამიანი ბავშვობას უბრუნდებაო და, თუ ეს მართლაც ასეა, ამით გავამართლებ, რომ არცთუ სერიოზულ წიგნს შევთავაზებ მკითხველს (თუკი მას მკითხველი გამოუჩნდა!) – საღალბოს! შესაძლოა, მავანნი ამჩატებადაც ჩამითვლიან: “მოცლილი ვიღაცა ყოფილა, ამგვარი ყოველგვარ საღ აზრს, იდეურ მიზანდასახულობასა და მაღალ იდეალებს მოკლებული, პირობითობებით გაჯერებული და სინამდვილეს დაშორებული ნაჯახირვეი რამ შეაქმნევინა? ან დრო არ დაენანა, ან – შრომა, უკეთესი გერაფერი მოიფიქრა?” რამდენადაც ეს წიგნი სიმბოლური ტირაჟით დაიბეჭდება (თუ საერთოდ ეღირსა გამოქვეყნება), ამგვარი ბუზღუნა ბევრი არ იქნება., ერთი კმაყოფილი კი ნაღდად მეგულება – ეს მე განხლავარ! იმით კი არა, რომ კარგი რომანი გამომივიდა, – ეს სხვათა გადასაწყვეტია, – მაგრამ იმით, რომ რამდენიმე თვის

განმავლობაში განცხრომის ტალღებში ვიცურავ, დიდად მესიამოვნებოდა ფანტაზიისადმი მინდობა... დიდიდანვე მთელი დღე წარმოსახვით სამყაროში ვნებივრობდი და ხშირად ღამეც გამომადვიებდა შეცრად მოფრენილი ახალი აზრი და ქაღალდის ფურცელსა და ფანქარს მომაძებნივებდა...

ბარემ იმასაც მოგახსენებ, რომ ამ რომანში ყველაფერი ან თითქმის ყველაფერი გრძნობა-გონების თამაშის ნაყოფია; მოგონილია სიუჟეტიც, პერსონაჟებიც, მოვლენებიც; მოქმედების ადგილებიც არ გულისხმობს რეალურად არსებულს და მათი სახელებიც პირობითია... ყოველმხრივ თავისუფალი ვიყავი, მხოლოდ ჩემს ნებას ვემორჩილებოდი და ეს სრული მინდობა მისდამი კმაყოფილების მორევში მატრიალებდა... მკითხველსაც თუ სიამოვნებას განვაცდევინებ, ჩემი მიზანიც ეს არის!

სხვათა შორის, ამ ბოლო დროს სულ მეშინოდა, ხანში შესვლის გამო ხომ არ დაშრა შთაგონების ნაკადული-მეთქი, და რამდენად არ დავემორჩილე დროის უღმობელ სროლას, ამის განსჯა მკითხველისთვის მიმინდვია.

თავს ხალხური სიბრძნით ვინუგეშებდი: “ბებერი ხარისა რქანიც ეწვეიანო”!

ახლა კი, ჩემო მოთმინებით აღჭურვილო მოწყალეო მკითხველო, თუ მეტისმეტად არ მოგაბეზრე თავი ბებრული ლაქლაქით, ამ მცირე შესავლის შემდეგ, ნება მიბოძე, ცირკის მსახიობთა ცხოვრებისადმი მიძღვნილი ერთი ძალიან ცნობილი ოპერის მსგავსად, ხმამაღლა სახეიმოდ გამოვაცხადო:

ამრიგად, მე ვიწყებ!

პარი I. გამარჯვება ყველას, მე მქვია მაჭახელა!

გამარჯვება, გამარჯვება, გამარჯვება ყველას, მე მქვია მაჭახელა!

ხომ კარგად დავიწყე?

ლექსად!..

იმედი მაქვს, ბოლოც ჩვენი ნაცნობობისა კეთილი იქნება!

ჩემს თათს ჩამოგართმევ და დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მოგესალმები, ჩემო მკითხველო, და, თუ ძალიან გაგიხარდება, კუდსაც გავაქიცინებ! თუ კიდევ ცოტათი დახრას ინებებ, მაშინ შევძლებ, ლოყაზეც აღერსით ავისვა ენა!

საყვარელო, გულითადად მოგიკითხავ – ხომ კარგად ბრძანდები?

უპირველესად მოგახსენებ, რომ მე გახლავარ გარკვეულ წრეებში ფრიად ცნობილი და საკმაოდ დაფასებული პიროვნება... პიროვნება? არა, არ ვიცი, რამდენად შემეფერება მე პიროვნებად მოხსენიება, მე ხომ ძალიან ვარ! და აღამიანები იმდენად თავდაჯერებულნი გახლავან, რომ ჩემს მიერ შესაშური რუდუნებითა და სრული უტყუარობით ქვემოთ მოთხრობილ ამბებსაც კი მავანნი არ დაიჯერებენ, იტყვიან: “ეგლა გვაკლდა სწორედ, ძაღლებმაც დაიწყეს მწერლობაო! ეს მისი დაწერილი არ არის, შეუძლებელია, რომ თუნდაც ყველაზე ჭკვიან მყეფარს ამის სამყოფი ჭკუა-გონება, განათლება და ნიჭი მოეძეგებოდესო”... მეხი კი დაგაყარე მათ ტურტლიან თავზედა!.. საყვარელო, მოგეხსენება, ცხოვრება სავსეა წინააღმდეგობებითა და მოულოდნელობებით და რატომ უკვირთ, ძაღლმა წიგნი დაწეროს?.. ისე კი, თუ ჩემი ნაჯახირევი არ მოგეწონება, ნუ დამძახავ – ეს ხომ მხოლოდ და მხოლოდ ერთი საცოდავი ძაღლის, თანაც ბებრისა და გამორჩეულტებულის, ჩანაწერებია გარდასულ ამბავთა შესახებ... ბებერი მიწანწალია ამქვეყნად, ტკბილ-მწარეც ბლომად დაგვაგემოვნე და, ცხადია, ყველაფერს ვერ მოვყვები, მხოლოდ რამდენიმე მეტ-ნაკლებად ჩემთვის დასამახსოვრებელ ამბავს გავიხსენებ, განსაკუთრებით – ბოლო რამდენიმე წელიწადში მომხდარს.

ღიახ, მე გახლავარ ერთი ჩვეულებრივი ძაღლუკა, ჩემნაირებს აღამიანები ჩვეულებრივ უჯიშო ძაღლებს უწოდებენ – ამაზე დიდი უსამართლობა გაგონილა? ვითომ რა არ მოსწონთ ჩვენი – გარეგნობა, ქცევა თუ ჭკუა-გონება? თუ მაინცღამაინც გრძელი ფეხები არ გვაქვს მწვერებივით ან მთლად მოკლე, – სოროებში მძრომი ტერიერებივით, – ჯიშ-ჯილაგი უნდა დაგვიწუნონ? ანდა, თუკი არისტოკრატიული ჩამომავლობა არ მაქვს და არც საგვარეულო სიებში ვწვივარ რომელიღაც დენდი-დაინმონტ-ტერიერივით ან ქერლი-ქოუთედ-რეტრივერივით (ენა კინადამ მედრო!), რითი ვარ მათზე ნაკლები? აი მე, მაგალითად, არც ვაჟკაცობა მაკლია, არც – ერთგულების გრძნობა და გარეგნობით, ანუ, მეცნიერული ენით რომ მოგახსენო – ექსტერიერით, როგორიც გახლავარ, ახლავე მოგახსენებ, საყვარელო, და დასკვნა ჩემს სიმანინჯე-სილამაზის შესახებ თვით გამოიტანე. ვარ საშუალოზე მომცრო ზომის, ასე რომ, ხელში აყვანა არ გაგიჭირდება, მაგრამ არც იმდენად პატარა, ჩინური თუ იაპონური გოშიებივით, რომ მუდმივად მეკრდზე ატატებული ვყავდე პატრონს და მიწაზე თუ იატაკზე ფეხის დადგმა ჩემთვის უცხო ხილი იყოს. პირიქით, სულ ჩემი ოთხი ფეხით არ დავბრძანდები? ხშირად, როცა საჭიროა, დავრბივარ კიდევ; უფრო კი – ვთამაშობ, ვერთობი, ვცელქობ, ზოგჯერ კი მტერს ქარივით მივდევ ან, თუ ცუდად წამივა საქმე, გავრბივარ – თავს ვშველი! ჰო, მაგარი გახლავარ, რად უნდა ბებერი ლაპარაკი! მე რომ მკითხო, ლამაზიც ვარ, რასაც მრავალი სხვა, სრულიად მიუკერძოებელი პირიც დაადასტუ-

რებს! ახლა თვალებს არ იკითხავთ? ჩემი ცოცხალი, მბრწყინავი თვალები მოუსვენრად აქეთ-იქით დახტიან, ცნობისმოყვარედ ათვალეირებენ გარშემო ყველაფერს, ერთი უმნიშვნელო წვრილმანიც არ გამოეპარებათ! ცხვირი მაქვს შავი, მზინავი, ისიც საკმაოდ ცნობისმოყვარეა და ყველგან ყვოფ – ყნოსვა მარად მაგრად მაქვს გამახვილებული, ნებისმიერ აღამიანს შევეჯიბრები! ჩემს ბეწვზე კი შემდეგს მოგახსენებ: მოკლე გახლავს, შავი, ალაგ-ალაგ თეთრი ლაქები მიმშვენებს ტანს, ფეხებს კი – თეთრი “წინდები”; სახის ერთი ნახევარი თეთრია, მეორე – შავი; ასევე – ჩემი ყურებიც: ერთი შავია, სახის თეთრ მხარეს და მეორე – თეთრი, სახის შავ მხარეს, ორივენი – სულ დაცქვეტილნი, რომ არაფერი გამოემპაროს ყურადსაღები!

ჰო, ბოდიში, გაცნობისას უპირველესად ვინაობას ანუ სახელს იტყვიან ხოლმე; დაგვიანებით მოგახსენებ: მე მქვია მაჭახელა, კეთილი იყოს ჩემი გაცნობა, საყვარელო! ადრე სხვა სახელებიც მქონდა – მეძახდნენ ცუგრიას, ცქვიტას, ხანმატას, კოტორას... ყველაზე დიდხანს მიწოდებდნენ ყურშას. როგორც მოგახსენე, მე მხოლოდ ცალი ყური მაქვს შავი და ეს სახელი, შესაძლოა, მთლად არც შემეფერებოდა, მაგრამ ამქვეყნად განა ყველაფერს შესაფერისი სახელი ჰქვია? მე საერთოდ ბედს არ ვემდური, მიუხედავად უდრტვინველად გადატანილი უამრავი ჭირვარამისა, ამიტომ ვარ მარად მშვენიერ გუნებაზე, ამიტომაც დაეწერე მხიარული წიგნი – რამდენადაც შემეძლო – და შენც გირჩევ, საყვარელო, წვრილმან უსიამოვნო ამბებს თუ გარემოებებს, რომლითაც საესება ჩემი ყოველდღიური ყოფა, ყურადღებას ღიდად ნუ მიაქცევ! აი მე, მაგალითად, ზოგი უცნობი რომ პირველად შემომხედავს, იტყვის: სიფათი რა ჭადრაკის დაფასავით აჭრელებობა, მე კი ამგვარ დაცინვას არად ვაგდებ, თვალში შევციცინებ და კუდსაც კი ვაქციცინებ, ვითომ ვერაფერს ვხვდები! კული, უნდა მოგახსენო, საკმაოდ მოკლე მაქვს, თხის კულზე ოდნავ დიდი თუ იქნება. არ ვიცი, ეს რისი ბრალია, ალბათ მშობლებისგან გამომყვა, ან – ერთ-ერთისგან მაინც. არც ამას ვნაღვლობ მაინცდამაინც, კული რისი მაქნისია, გინდა გრძელი იყოს და გინდა – მოკლე. ჩემი მოკლე ჭკუით, მოკლე კული უკეთესიცაა, აბეზარი ბიჭები ნაკლებ გაწუხებენ; ამაზე ბევრად მნიშვნელოვანია, რომ უფრო მოხერხებულად აქცივებ, ამის გამო ნაკლები ძალ-ღონეც გეხარჯება. იმიტომ არის ეს მნიშვნელოვანი, რომ ხშირად მიწევს კულის ამგვარი გავარჯიშება: ძალიან საყვარელი ძაღლუკა ვარ და ალერსიანი, ხასიათით – მხიარული, სულ თამაში და ცეკვობა მიზიდავს. დიახ, ძაღლზე მხიარული არსება ვის უნახავს! მიყვარს ყოველგვარი თამაში, მათ შორის – ბურთის გაგორება-გამოგორება ყმაწვილებს შორის, მე კი ამ დროს მხიარული ყეფით თან დავდე ამ ბურთს – აქეთ და იქით, იქით და აქეთ!.. თითქმის ვერასდროს მნახავ მოწყენილს და ჩემს კუდსაც მოსვენება არ აქვს – ისიც სულ თამაშობს, მის ქიცივსაც ბოლო არ აქვს და ამ ბოლო დროს – ჩემი კაღმის წრიბინსაც! ამიტომ ამ ჩემს წიგნშიც უმეტესად სახალისო ამბებს მოგიხსნებ, სულ თამაშ-თამაშ გიამბობ, უფრო – ყველასთვის საყვარელი ფეხბურთის ამბებს, რომლებიც დაკავშირებულია ჩემი ცხოვრების სულ ბოლო წლებთან. ყველაფერს ხომ ვერ გიამბობ, – რამდენი მიხეტილია, ვის არ შევხვედრივარ, მრავალი ნაირ-ნაირი პატრონიც გამოვიცვალე – მაშინ მრავალი ტომის დაწერა მომიწევდა! მოვასწრებდი კი ბოლოში გასვლას ან ვინ არის ჩემს დროში ამდენის წამკითხავი! ალაგ-ალაგ გავურევ მსუბუქი ნაღველით შეფერილ გვერდებსაც, რათა მრავალფეროვნებით გაგალამაზო ჩემი ლაქლაქი, უფრო სწორედ – ნაყეფი... ხომ კარგად მოგეხსენება დიდი დავით გურამიშვილის ნათქვამი: “ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა”!

როგორც მოგახსენე, ამჟამად მაჭახელა მქვია, ხომ მაგარი სახელია? შენ კი გენაცვალე! ჩემს წინა სახელებზე ბევრად უფრო მომწონს! ვინ და რატომ დამარქვა ეს უცნაური სახელი? ჩემმა ერთ-ერთმა ბოლო პატრონმა, უტუ ბატონმა (რომელსაც მოგვიანებით გაგაცნობ), რადგან ფრიად მქუხარი ყეფა მახასიათებს (ბოდიში – უფრო ახალგაზრდობაში მახასიათებდა!). მოგეხსენება, მაჭახელა თოფი თუ დამბაჩა ერთგვარი და ძალიან ვეცადე, ეს მქვეპარე სახელი გამემართლებინა. სხვა პატრონებთან, ადრეც ვთქვი, სხვა სახელები მქონდა; ყურშას გარდა, კიდევ რომელი და რატომ დამარქვეს – სხვა დროს გავიხსენებ, თუკი ამის საშუალება და საჭიროება იქნება. ისე კი, ახლავე შემიძლია, ამაყად განვაცხადო, რომ ჩემმა ერთ-ერთმა მომავალმა პატრონმა, როცა პირველად დამინახა, “ბენედიქტე”-თი მომმართა (ჩემს საყვალურზე სწორედ ეს სახელი – ჩემი მამინდელი პატრონისა – ეწერა): “ბენედიქტე, ბენედიქტე, მოდი აქ!” – მიიტყაპუნა ხელისგული თეძოზე, თან დამიწრუწუნა, მაგრამ მე ყურიც არ შევიბერტყე, ხოლო მან დაამატა: “დასწყველოს ეშმაკმა, ასეთი სახელი ვინ დაარქვა ძაღლს”!

დიახ, არც გამიხედია მისკენ; კი არ ვიუკადრისე – ბენედიქტუსი ძველთაძველი, მშვენიერი სახელია, “დალოცვილს” ნიშნავს და თხუთმეტ რომის პაპს ერქვა, ბენედიქტინელთა კათოლიკურ მონაზვნურ ორდენზე რომ აღარაფერი ვთქვათ (გაუნათლებელი არ გეგონოს!). ჩემი სახელი ნამდვილად არ იყო და ამიტომ ყურადღება არ მიმიტყვევია; უზრდელობაში ვერ ჩამომართმევ, მკითხველო, და ვერც გამამტყუნებ: ჩემსა და ნებისმიერ ბატონ ბენედიქტეს შორის არცთუ მცირე განსხვავებაა! ეს ჩემი მორიგი პატრონი ბენედიქტე კი დიდი გაუთვლელი და რეგენი გახლდათ, შინ სულ დაბმული ვყავდი ან, თუ წავიდოდი სადმე, აუცილებლად ტყავის საბელით კი არა, უხეში თოკით მიმართევდა თან – არ მომწონდა ეს ბენედიქტე და რა მექნა! ტყუილად კი არ გავეძევი – თოკი და მე? ყველაზე ძლიერი თოკი, მე რომ მკითხო, სიყვარულია!..

დაბოლოს, საყვარელო, ერთ რამეს გთხოვ: არ მკითხო ახლა, რატომ დაწერე ეს წიგნი ან როგორ მოახერხეო. შესაძლოა, ეს ჩემი წრფელი გულით ნამღერი, უფრო სწორედ – ნაყვი, არაფრად ვარგა, მაგრამ სხვა ჩემს სათქმელს, ჩემს სატიკვარს, ჩემს სიხარულს ვინ იტყვის? საყვარელო, მაშ, თუ შენი ნებაც იქნება, წინ ერთად გავწიოთ – ღვა-ღავ!

კარი II. აქა მოკლედ ქალაქ ფუთის შესახებ

ფუთში კარგა ხანია, ვცხოვრობ, ცხოვრების მეტი წილიც აქ გავატარე; მის ქუჩებში ბევრი მიწანწალია და მშვენივრად ვიცნობ მას ყოველმხრივ, ჩემს მიერ მოთხრობილიც უმეტეს წილად აქ ხდება და ამიტომ მინდა, მოკლედ გაგაცნოთ.

როგორც ჟამთააღმწერელთა შრომები იწყება, მათ მივბაძავ მეც:

ქალაქი ფუთი მდებარეობს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდინარე ფაზისის შესართავთან, გურიისა და სამეგრელოს საზღვარზე. გურულები ჩემულობენ – ეს ქალაქი ჩვენიაო, მეგრელები კი ამტკიცებენ – ჩვენიო; ეს დავა ურთიერთ ხუმრობასა და ქილიკს არასდროს გასცილებია.

მოსახლეობა: დაახლოებით 20 000 სული; მათ შორის: 11 ვაჭარი, 22 თავადი, 44 აზნაური, 55 პოლიციელი, 222 სამხედრო პირი, დანარჩენი – სხვა მოქალაქენი: სამოქალაქო მოსამსახურენი (მოსამართლეები, მოხელეები, მასწავლებლები, ექიმები, რკინიგზისა და ნავსადგურის ინჟინრები და ა. შ.), თავისუფალი პროფესიების წარმომადგენელი (ვექილები, დანტიტები, ჟურნალისტები...), ხელოსნები, სხვადასხვა საწარმოთა მუშები, მეკურტნეები, მეზოვეები, მებაღურები, მეზღვაურები და სხვანი; ფუთელთა საგრძნობ ნაწილს შეადგენენ გლეხნიც – გარეუბანში: მოჰყავთ სიმინდი და ღომი, ბოსტნეული და ხილი, მოშენებული ჰყავთ ღორები, ძროხები, ცხენები, სხვადასხვა ფრინველიც.

ფუთს ჰყავს არჩეული თორმეტკაციანი გამგეობა, აგრეთვე ქალაქის თავი ანუ მოურავი, რომელსაც ირჩევენ გამგეობის წევრები მათი წრიდან.

ფუთის ნავსადგური უძველეს დროსაც იყო ცნობილი. ამჟამად აქედან საზღვარგარეთ გემებით გააქვთ კაკლისა და კოლხური ბზის მერქანი, კანაფი, დაფნა, თაფლი და ცვილი, ხილი, სიმინდი; ტვირთბრუნვაში მეტი წილი უჭირავს მანგანუმის მადანს. ქალაქში მუშაობს სტამბა, სამხერხაო, ელექტროსადგური, სხვადასხვა სახელოსნოები.

ქალაქში არის რამდენიმე დაწყებითი და სამაზრო სკოლა სკოლა, ექვსკლასიანი საქალაქო სასწავლებელი, ერთი ვაჟთა და ერთი ქალთა კერძო გიმნაზიები, სახელოსნო სასწავლებელი, საზღვაოსნო სკოლა, ქალთა პანსიონატი, საქველმოქმედო საზოგადოების დედათა სასწავლებელი, საჯარო სამკითხველო, წიგნების მაღაზია, კლუბი, თეატრი, საავადმყოფო და სხვა ქალაქისთვის აუცილებელი დაწესებულებები; იბეჭდება ყოველდღიური გაზეთი “ფუთური ფართიფურთი”, რომელშიც მკითხველი გაეცნობა ადგილობრივ მომხდარ მრავალფეროვან ამბებს, აგრეთვე – სამგლოვიარო და საქორწინო განცხადებებს, სხვადასხვა სამედიცინო მომსახურების შემოთავაზებას, განსაკუთრებით – კბილის ექიმთა და ვენერიულ დაავადებათა მკურნალთა, მილოცვებს დაბადების დღესთან, შვილის შეძენასთან და სხვა ღირსშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით, ცნობებს მაღაზიებში არსებული და ახალ მიღებული საქონლის შესახებ და სხვა და სხვა.

ფუთის ქუჩათა მოკლე ზოგადი დახასიათებით შემოვიფარგლები: ქუჩებია სწორი, ერთ და ორსართულიანი სახლებით (მთავარი ქუჩის პირველ სართულზე – მაღაზიები, მეორეზე – საცხოვრებელი და სასტუმრო ოთახები); ამ სახლებში მცხოვრებნი: მოხუცები, მშობლები, შვილები, ძაღლები (1111 ჰყავთ ოჯახებში, აქედან მდებარებითი სქესისაა 222, ხოლო თავისუფალი ანუ მანწალია ძაღლების რიცხვის დადგენა ძნელია, რადგან სულ აქეთ-იქით გადაადგილდებიან ქალაქში, თანაც მათი რიცხოვნობა ყოველდღე იცვლება; ჩემი ანგარიშით, დაახლოებით 2000 სულამდე იქნება) და კატები (გაწყდა მაგათი ჯიში – მაგათ ვინ დაითვლის, სულ სახურავებზე და ღობეებზე დაძვრებიან!); ეზოებში: ქათამინდაური, იხვი და ბატი – მათი სათვალავში მიღება არ ღირს...

გასართობი ქალაქ ფუთსა შინა, უნდა გულახდილად ვადიარო, ბევრი არაფერია; რასაკვირველია, ადამიანებს ვგულისხმობ, თორემ ჩვენ, ძაღლები, მოწყენილობას ნამდვილად ნაკლებ გუჩივით; ადამიანთა გასართობად და გასახალისებლად ეკლესია, თეატრი, კლუბი, ცირკი და რამდენიმე სამიკიტნოა; ახლახან გახსნეს სინემატოგრაფის საჩვენებელი დარბაზი; არსებობს რამდენიმე ხალხური სიმღერების შემსრულებელი გუნდი; დროდადრო ერთმანეთს ერკინებიან ლელობურთში – ეს არის სულ... თუ არ ჩავთვლით ქორწილებსა და დღეობებს, აგრეთვე, განსაკუთრებით – ქალთათვის, პანაშვიდებს და დაკრძალვებს.

ერთხელ კი საოცარი ახალი თამაშის მოწმეც ვახდენ ფუთელები: რამდენიმე ინგლისური ხომალდი იდგა ნავსადგურში და სანამ ისინი დაიტივრობოდნენ, – ზოგი, შავი გემი, მანგანუმის მადნით, ზოგიც, თეთრი გემი, ზემოთ აღნიშნული ერთ-ერთი სხვა საქონლით, – მათმა მეზღვაურებმა ერთმანეთს ბურთით თამაში გამართეს. ეს, როგორც შემდგომმა დროებამ გვიჩვენა, ფრიად და ფრიად ღირსშესანიშნავი მოვლენა, მოხდა ნავსადგურის ახლოს, ერთ უდაბურ ადგილას. უამრავი ხალხი მოგროვდა – ინგლისელები, ვინც არ მორიგეობდა, ერთიანად გამოცხადდნენ,

მრავალი ფუთელიც მიიზიდა ამ უჩვეულო სანახაობამ. გააგორეს გაბერილი ბურთი და დასდევდნენ შლევანიანებით, მოწინააღმდეგეთა ორ გუნდად დაყოფილნი, ამ გემთა მეზღვაურები. მათ აგულიანებდნენ გემთა კაპიტნები, ეტყობა, დიდი ნაძლევიც ჰქონდათ დადებული საკუთარი გუნდის წარმატებაზე; დამსწრე სხვა მეზღვაურებიც არ იყვნენ გულზე ხელდაკრეფილები და ხან უსტვენდნენ, ხან ტაშს უკრავდნენ, ხანაც ბოცმანთა სასტვენებს აკივლებდნენ უბედურად. მობურთაღნი ხშირად კამათობდნენ ერთმანეთში, კინკლაობდნენ და, გაფიცებულნი, არ ინდობდნენ ერთმანეთს, ამიტომ რამდენიმე მოთამაშემ ფეხი იღრძო ან ისე უხეშად წააქციეს, რომ მერე ძლივს წამოაყენეს... უფრო პატარა გემის გუნდმა პირწმინდად აჯობა დიდი გემის მეზღვაურებს, რამაც გამოიწვია გამარჯვებულთა მხრივ ზარ-ზეიმი, ქილიკი და სიცილ-ხარხარი. წაგებულ გემის კაპიტანი ძლიერ ნაწყენი დარჩა და მეორე გემის კაპიტანი მუშტით ჩხუბში გამოიწვია. იმანაც მიიღო გამოწვევა, ორივემ ტანსაცმელი გაიხადა წელამდე და გაჩაღდა მათ შორის მუშტი-კრივი. ამჯერადაც პატარა გემის კაპიტანს ხვდა წარმატება – უფრო ახალგაზრდა იყო და ჯანითაც სჯობდა: რომ მოუქნია მჯიღი და სთხლიშა გვერდიდან ყბაში, მოწინააღმდეგე კოხტად გააგორა მიწაზე. პატარა გემის მეზღვაურები მათი კაპიტნის გამარჯვებას ყოფინით შეხვდნენ; შემდეგ მისცივიდნენ მიწაზე და ცემულს და წამოაყენეს ფეხზე. გვეგონა, ახლა ორ ბანაკად გაყოფილი მეზღვაურები დაეყრდნენ ერთმანეთს, მაგრამ, ჩვენდა გასაოცრად, წაგებული დამმარცხებულთან მივიდა და ხელი ჩამოართვა, შემდეგ ორივენი, მათ დამქაშებთან ერთად, ერთ-ერთ სამიკიტნოში წავიდნენ და იქ გვარიანად მოილხინეს.

ამის შემდეგ კიდევ მრავალჯერ ნახეს ფუთელთ ინგლისელთა თამაში და თვითონაც სინჯეს მათი მიზანძვა. ბურთი ვერ იშოვეს და ჭინჭისვან შეკერილ ნაცოდვილარ გორგალს აგორებდნენ წინ და უკან, ყოველგვარი წესების გარეშე...

აქვე მინდოდა, ჩამერთო – ცხადია, ირონიულად – ქალაქ ფუთთან დაკავშირებული “ისტორიული ქრონიკები”, პატარ-პატარა ამბები, ანექდოტები და ასე შემდეგ, ასევე – გამორჩენილ ფუთელთა ფსიქოლოგიური პორტრეტები და სხვა და სხვა, მაგრამ თავი შევიკავე; ყველაფერს ვერ გამოეკიდები, საუბარი გამიჯანჯლდება და ჯობს, უმთავრესად ჩემი თავგადასავალი და ზოგი მასთან დაკავშირებული ამბავი გიამბოთ... დაგ-დაგ!

კარი III. აქა ერთი უებრო მომღერლის ბოჩია ბოჩელიშვილის ამბავი

პირველად მე ცუგრია მერქვა... ქალაქ ოტორონჯიას საბაზრო მოედანზე პატარა ბიჭის, ბოჩიას, მამამ, სანდრო ბოჩელიშვილმა მიპოვა, როცა მე უსასლო, უდულო ლეკვი ვიყავი და ყოველ გამგელელ-გამომგელელს მიფიქრებოდი, საწყალობელი წიკმუტუნითა და ერთი ციდა კუდის ქიცინით გცდილობდი, გულმოწყალება გამოეჩინათ; თუ რძიან ბოთლს არ ჩამჩრიდნენ საწოვარათი პირში, პურის პატარა ნაჭერი მაინც გადმოგედოთ, რომ მისი ლოღნით კუჭი მომეტყუებინა... ბოჩიას მამამ ერთი შემხედა, ჩაცუცქდა და ალერსით ხელისგული თავსა და ტანზე გადამისვა, მომეფერა, შემდეგ კი ხელში ამიყვანა და თბილ უბეში ჩამისვა...

ერთად დავბრუნდით სოფელში, უსახფროდ გავახარეთ პატარა ბოჩია და დავამწუხრეთ ბოჩიას დედა: ერთი ძაღლი აღარ გვეყოფა, რომ მეორეც მოათრიეო – უსაყვედურა ქმარს... მერე კი შევეცოდე და ყოველთვის ბოჩიასთან ერთად მეც მიწილადებდა სამყოფ ულუფას.

ბოჩიას არ ჰქონდა დალხენილი ბაგშობა, ჩემი არ იყოს, ხშირად ხმელა პურის ნატეხიც ენატრებოდა და მაინც ბედნიერ ვარსკვლავზე დაიბადა, რადგან მომავალში სახელოვანი კაცი დადგა...

პატარა ბოჩია ზაფხულობით დილის ხუთ საათზე დგებოდა, სწორედ მაშინ, როცა ხეების ხშირ რტოებში შეყუჟული ბელურები გამაყრუებელ გინიასს ატეხდნენ – უხაროდათ ახალი დღის მობრძანება. ბოჩიას კი უჭირდა თვალის გახედა.

– მამა უკვე მიდის, შვილო! – ჩაესმოდა ძილ-ბურანში დედის წყნარი ხმა და ბოჩია მაშინვე წამოხტებოდა. სასწრაფოდ გადაისხამდა თავზე ერთ კოკა წყალს, უფროსი ძმისგან მემკვიდრეობით მიღებულ ძველმანებს ჩაიცვამდა, ჯიბეში ცივი მჭადის ნატეხს ჩაიდებდა, წამოავლებდა მარცხენა ხელს დოქს, მარჯვენაში ჭიქას დაიჭერდა და სირბილით გაუყვებოდა ქალაქ ოტორონჯიასკენ მიმავალ მტვრიან გზას მამის დასაწევად.

შიშველი ფეხისგულეები სასიამოვნოდ ეფლობოდა სქელ, რბილ და თბილ მტვერში, რომელიც ღამით ვერ ასწრებდა გაგრილებას; სასიამოვნო იყო მამის გვერდით სიარულიც, მეც გვერდით უდარდელად მივცუნცულებდი. ხანდახან მამა თავზე ალერსიანად გადაუსვამდა ხელს ბოჩიას, მკლავს მოხვევდა მხრებზე... ზოგჯერ ხუმრობით უჯიკაგებდა, მაშინ ბოჩია მიწაზე დადგამდა დოქსა და ჭიქას და ეცემოდა მამის ფეხს – უფრო მაღლა ვერ სწვდებოდა... კარგა ხანს დღაბუცობდნენ ხოლმე, მე ამ დროს მხიარული ყეფით მათ გარშემო დავრბოდი; ვერცერთი ვერ იმარჯვებდა. ბოლოს, საქმე ყოველთვის ასე მთავრდებოდა: მამა ღონიერი ხელებით აიტაცებდა ჰაერში აჭყვირებულ, ფეხებასხმარტალეზულ ბიჭს, ცოტა ხანს თავდაყირა დაიჭერდა (ამ დროს ბოჩიას ცალი ხელი შარვლის ჯიბეზე ჰქონდა მიჭერილი, რომ მჭადის ნატეხი არ გამოვარდნილიყო), შემდეგ მხარზე გადაიკიდებდა ხურჯინივით, დაიხრებოდა, დასწვდებოდა დოქსა და ჭი-

ქას და გააგრძელებდა გზას. ასე ივლიდნენ ერთხანს, შემდეგ მამა ჩამოსვამდა ბიჭს მიწაზე. ბო-
ჩია ლოღინდა ჯიბიდან ამოღებულ მჭადის ნაჭერს, მამას კი მიჰქონდა დოქი და ჭიქა...

ჩვენს გვერდით გზაზე მიედინებოდა ქალაქისკენ ადამიანების ნაკადი, მიჭრიალებდნენ სხვა-
დასხვა ხორაგეულით, შეშით, თიხის ჭურჭლით, ქათმებიანი გალიებით დატვირთული ურმები,
შიგადაშიგ ეტლებიც გამოერეოდა – გაბღენძილი აზნაურები ან ვაჭრები, სშირად ცოლები-
თურთ, მიეშურებოდნენ ქალაქისკენ, სადაც პარასკეობითა და კვირაობით ბაზრობა იმართებოდა
და უამრავი ხალხი იყრიდა თავს.

ბოჩია მკვირცხლად დაარბენინებდა მძიმე დოქს და გამყივანი ხმით, წამღერებით გაჰყვირო-
და:

- აბა, ცივი წყალი, გემრიელი წყალი, ჭიქა – ერთ თეთრად!
- ირგვლივ კი ნაირგვარად გაჰკიოდნენ:
- ოტორონჯიული სიმინდით გასუქებული ქათამი იაფად!
- აბა, თაფლა მსხალი!
- წურბელა, ნარჩევი წურბელა!
- მოდი, ლელვი ნახე, გემო გაუსინჯე! ამ დილით დაკრეფილია!*
- ფართალი, ნაირ-ნაირი ფართალი!
- შეხედე, რა აკვანია, შელოცვილია! დიდებული ვაჟკაცი გაიზრდება!
- აბა, ხის კოვზები, ლაფერები, გობები, ქვასანაყები!
- კეცი ვის უნდა, კარგი კეცი!
- ღრთზე იყრდე ჭური, ხელი მიუტყაპუნე – ღმერთივით ხმა აქვს! ფიალები, დოქები, ხელა-
დები, ჯამები!

ერთხელ ბოჩიას წკრიალა ხმა ბაზარში შესულმა მოქიფებმა შეამჩნიეს:

- მოდი, ბიჭიკო, აქ, სიმღერა იცი?
- ვიცი, აბა არა? – მკვირცხლად შეეპასუხა ბიჭი. – შინ ყველანი ვმღერით!
- ტყუილად ხომ არ იბრალე? აბა ერთი, გვიმღერე, რაც ყველაზე უფრო მოგწონს!
- აქა? – გაუკვირდა ბოჩიას. – მერე, სხვა ხმებს ვინ იმღერებს?
- შენ მაგის დარდი ნუ გაქვს, ცოტაზე წაიმღერე... რომელი სიმღერა იცი?
- ბევრი...
- მიდი, აბა!

ბოჩიამ დასძლია სიმორცხვე და წკრიალა ხმით, მსმენელთა გასაკვირად, დაიწყო:

- მრა-ა-ავა-ალ-ჟა-ამი-ი-ე-ე-ერ...
- ყოჩაღ, შესანიშნავია, გადასარეგად მღერი!

ბიჭი დუქანში წაიყვანეს, იქაც ამღერეს, გამოაძღეს და იმდენი ფულიც მისცეს, ერთ თვეში
რომ ვერ იშოვნოდა წყლის გაყიდვით.

მას შემდეგ ხშირად ამღერებდნენ, დაჰყავდათ ქორწილებში, დღეობებში...

მამასთან ერთად მოიარა ზუგდიდი, ოზურგეთი, ჩოხატაური, ბათომი, მერე – გორი, ტფილი-
სი, დუშეთი, სიღნაღი, თელავი, ყვარელი...

ბოჩია გაიწაფა, შეისწავლა სხვადასხვა მხარის ქართული ხალხური სიმღერები, დიდი მოწო-
ნება და სიყვარული ყველგან თან სდევდა.

ერთხელ სახელგანთქმულ მომღერალს ვანო სარაჯიშვილსაც შეხვდა დიდებულ სუფრაზე
თელავში და მასთან ერთად იმღერა. აღფრთოვანებულმა ვანომ გადაჰკოცნა ნიჭიერი ყმაწვილი.

ასე, სიმღერასა და სწავლაში, სწავლასა და სიმღერაში, გავიდა მრავალი წელიწადი. ბოჩია
დაოჯახდა, აიაში დაიდო ბინა – ეს ქალაქი განთქმული იყო გამორჩეული სუფრის ეშხით და
მთელი საქართველოდან მოდიოდნენ აქ მოსალხენად... მარტოც მღეროდა და გუნდთან ერთადაც;
მისი ხმა სიმღერის საერთო მდინარებაშიც მკვეთრად გამოიყოფოდა, იმდენად ძლიერი და იშვია-
თი სილამაზისა ჰქონდა.

მე კი ერთხანს შინ ვიყავი, მერე, როცა გავიზარდე, ბოჩიამ კი ხანგრძლივი მოგზაურობები
დაიწყო, ბოჩიას დედამ ერთ მოხეტიალე მეწვრილმანე ვაჭარს მიმყიდა, უფრო სწორედ – გამცვა-
ლა რამდენიმე კოჭა ძაფში... არა, ამის გამო არ ვემღერი, კარგად მეპყრობოდა და თითქოს ვუყ-
ვარდი კიდევ; ქალები, ჩემი პირადი დაკვირვებით, საერთოდ ბევრად უფრო ღმობიერები არიან
კაცებთან შედარებით, მაგრამ რატომღაც აჩქემა, ორი ძაღლი ღარიბ ოჯახში რა გასაჩერებელია,
ერთის რჩენაც მიჭირს... მნახა რაღა ღორმუცელა! უნდა მოგახსენო, რომ მას შემდეგ, რაც წა-
მოვიზარდე, საკუთარ თავს ძირითადად თვითონ ვპატრონობდი, ათასგვარი ხერხი ვიცოდი კუჭის
მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად; ასე რომ არ ყოფილიყოს, აქამდე ასჯერ გაგჭიმავდი ფე-
ხებს და, ცხალია, ვერც ამ წიგნს მოგახლაფორთებდი.

მრავალი პატრონი გამოვიცვალე, უპატრონოდ ხეტიალიც ბლომად მომიწია და, ბოლოს, ბედ-
მა მარგუნა, ჩემი ცხოვრების ბოლო ხანა ქალაქ ფუთს გამეტარებინა, მისი ჰაერით მესუნთქა,
მრავალ ფუთელთან მქონოდა ურთიერთობა და, რაც მთავარია, ფუთელთა საყვარელ და საამაყო
საფეხბურთო გუნდის "ფუთელი ღომები" ერთი მხურვალე გულშემატკივარი ვყოფილიყავი და,
გარკვეული თვალსაზრისით, წევრიც – მისი პირველი ბავშვური ნაბიჯებიდან დიდ ასპარეზზე
გასვლისა და შემდგომი წარუმატებლობებისა თუ წარმატებების ჩათვლით...

საყვარელო, მეც სწორედ ამ ბოლო დროის ამბებს მოგითხრობ, როცა ფეხბურთთან და ფეხბურთელებთან მქონდა ურთიერთობა, თორემ მთელი ჩემი ცხოვრებისეული გზა რომ აღვწერო, ან რა მეღანი მეყოფა, ან გული როგორ გაუძლებს, რაც მე გასაჭირი გადამიტანია... ღაფ-ღაფ!

კარი IV. აქა ზღაპარი მაჭახელასთვის

საყვარელო, გაინტერესებს ფეხბურთელთა გუნდში “ფუთელი ლომები” როგორ მოეხვედი?

არც ისე მოკლე ამბავია და ჯობს, ცოტა შორიდან დაგიწყო.

როგორც შემდგომ არაერთხელ მოჰყვა ძველმა მეზღვაურმა უტუ კამპბელიამ, ერთხელ თურმე საკმაოდ გვიან ნავსადგურში მდგომ ხომალდზე ბრუნდებოდა და მის ანუ უტუ ბატონის ტრიუმში ღვინო-არაყი საკმაოზე ცოტა მეტადაც იყო ჩასხმული, ასე რომ, მთლად ბარბაცით არა, მაგრამ, გვარინად ფეხარეული, ფრიად მხიარულად მიუყვებოდა ქუჩას და ხრინწიანი ხმით, მეზღვაურულად გულდიად და უშუალოდ, ხმამაღლა უმღეროდა ერთ გულში ჩარჩენილ შოკოლადისფერ კანიან იამაიკელ ლამაზმანს.

შორიდანვე მესმოდა მისი სიმღერა თუ ღრიალი და, მართალი მოგახსენო, უტუ ბატონისგან განსხვავებით, მე არ ვიყავი მსგავს ლად და სასიმღერო გუნებაზე – ციცაბო ნაპირებიან დიდ არხში ვიყავი ჩაგრადნილი და სადაცაა ჩავიძირებოდი!

საყვარელო, როგორ მოეხვედი იქ?

როგორც მოგახსენე, ჩემი ცხოვრების გზაზე კარგა ხანს ვიწანწაღე, მრავალი პატრონიც გამოვიცვალე და მათგან ბევრი მახსენდება ისეთი, რომელთანაც მშვენივრად ვგრძნობდი თავს – აღამიანებს უყვართ ძაღლები და ეფერებიან, მზრუნველობენ... ზოგჯერ კი გამოიყვება მაგანი ძაღლთმომძულე: არც ლანძღვა-გინებას გვაკლებს, არც – ქვის სროლას ან ჯოხის დარტყმას, ზოგჯერ თოფსაც კი დაგვახლის... მართალია ისიც, რომ ზოგიერთი ძაღლი უარესის ღირსიცაა: არ უკადრისობს ქათმისთვის პირის წაგლებას და საბრალოს შეჭმას და მხოლოდ მეზობლისა კი არა – პატრონისაც კი; ან შეიპარება ოთახში და პირდაპირ სუფრიდან მოხარშულ ხორცს დაითრევს ან სამზადში კეციდან – მჭადს და ზოგჯერ მსუნაგობით პირსაც ითუთქავს... ეგ არის მთელი მისი ვაჟკაცობა, სხვაში არაფერში ვარგა და არც უნდა გაგიკვირდეს, თუ, ბოლოს და ბოლოს, ვინმე ამ დროს მიუსწრებს და, გაწუწუკებულს, ლანძღვა-გინებას არ იკმარებს და, გაბრაზებული, ცხელ გულზე თოფსაც ესვრის.

მადლობა ღმერთს, მე მსგავსი ქურდობის ცოდვა-ბრალი არ მაწევს მხრებზე და გულითადად გუყვარდი უმრავლეს ჩემს პატრონებს, მაგრამ, სხვადასხვა გარემოებათა მიზეზით, ზოგჯერ დაგცილდებოდი მათ – ჩემდა უნებურად.

აი, უტუ ბატონთან შეხვედრამდეც ჩემი იმდროინდელი მფლობელის ქცევის გამო მოეხვედი იმ არხში და კინაღამ დავიღუპე...

ერთხელ, გვიან შემოდგომაზე, წამიყვანა ჩემმა მაშინდელმა პატრონმა დადი ბატონმა სანადიროდ, ის კი არ გაითვალისწინა, რომელი მონადირე ძაღლი მე ვიყავი. ეს დადი ერთი უხიაგი ვინმე იყო, – მის შესახებ ბევრი ლაპარაკი არ მესიამოვნება და არც ღირს, – მე ცოტა ხნის წინ მიყიდა სანადირო სეზონისთვის ერთი ლოთი მაწანწალისგან, რომელმაც დილას რომ დამიჭირა და ყელზე თოკი შემაბა, შუადღეზე დადის იაფად შესთავაზა ჩემი თავი – სულ ერთი ბოთლი არაყის ფასად. ადვილი მისახვედრია, რომ ბატონი დადი ძაღლებში სრულებით ვერ ერკვეოდა და საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, რომ საერთოდ საკმაოდ ჩერჩეტი და, ამასთანავე, უგულვო ვიდაც ბრძანდებოდა. უცნაური სახელი დამარქვა – კოტორა, რაც მე მის ხელში ტანჯვა გამოვიარე! ერთთავად დაბმული ვყავდი, რა დაგუშავე ნეტავი? როგორც მოგახსენე, ერთ ცივ დღეს წამიყვანა ჩემდა ჭირად სანადიროდ... დიდხანს ვიხეტიალეთ დაჭაობებულ ველზე, ჰოდა, ბუთქა ორღულიანიდან ამ დადიმ და ჩამოაგდო საბრალო იხვი, რომელიც არხის მეორე ნაპირზე ჩამოვარდა. “მიდი, ჰე, კოტორავ, გამოიტანე, ტყუილად გაჭმევე პურს?” – მიყვიროდა და თოფის ლულით არხისკენ მიბიძგებდა. მე, რასაკვირველია, დიდი სიამოვნებით შევუსრულებდი სურვილს, მაგრამ, როგორც მოგახსენე, ეს საქმე რომ არ მეხერხება? თანაც არხის ნაპირები იმდენად ციცაბო გახლდათ, ქვევით ჩახტომაზე ადვილი რა იყო ჩემთვის, მაგრამ მერე რაღა მექნა? ვერაფრით ავძვრებოდი მეორე ნაპირზე. დადის გარშემო ვწრიალებდი და ვწკმუტუნებდი, ის კი გინებით მიკლებდა და ცდილობდა, არხში ძაღლით ჩავეგდე... ბოლოს, გამეტებით წიხლიც მითავაზა და საშინლად ცივ წყალში აღმოვჩნდი. იმ იხვის თავი მქონდა? ნაპირზე ამოსვლას ვცდილობდი, დადი ბატონი კი თოფის პირს მიჩინებდა და მიკიუნებდა: “მიდი, შე უჯიშო!” რაღა უნდა მექნა, მეორე ნაპირისკენ გავცურე, ამ დამთხვევულმა თოფი არ დამახალს-მეთქი, მაგრამ, დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერაფრით ავფორთხიდი ზევით ვერც იმ მხარეს. დიდმა ბატონმა დადიმ ერთხანს უყურა ჩემს უმწეო მცდელობას, ცივ წყალში განწირულ ფართხალს, მერე გადააფურთხა, შეიგინა და ბურტყუნ-ბურტყუნით წავიდა. ეტყობა, შემდგომ ნადირობას განაგრძობდა, რადგან რამდენჯერმე გასროლის ხმამ მოაღწია ჩემამდე.

კარგა ხანი გავიდა, ღამდებოდა, ცაზე პირველი ვარსკვლავები აკიფდნენ. დავიღალე, გავითოშე და საწყალობლად ძლივსლა ვწკავწკავებდი; ბაყაყები შემეჩვივნენ და უზრუნველად ყიყინებდნენ, ალბათ დამცინოდნენ...

უცებ ვილაღე შექვიფიანებულის ხრინწიანი სიმღერა შემომესმა, მაგრამ მე კი, გეფიცები, იაღონის გალობაზე უფრო ამოდ მომეჩვენა! მოვუმატე მოთქმა-წკმუტუნს, უფრო ხშირ-ხშირად ვამოძრავებდი თათებს – იქნებ ცოტა ხანს კიდევ გავძლო და იმ კეთილ გუნებაზე მყოფის ყურადღება მივიქციო-მეთქი.

ბედად გამგელვლა გაიგონა ჩემი ვაება-შეთხოვნა და არხისკენ გამოუხვია. მიახლოვდებოდა მისი სიმღერა და მოვუმატე ჩივილს, თანაც ხმაში სიხარულის ნაპერწკალიც გავურიე.

მოვიდა არხის პირთან, დაიხარა და ხელი გამომიწოდა; თავი კიდევ უფრო ავაღირე, მაგრამ ვერაფრით მომწვდა...

– ოჰ, შე ბედშავო, ეგ რა მოგსვლია... – აღერსიანად ბუტბუტებდა. – მოდი, მოდი ახლოს, გენაცვალე, ეგ არის მთავარი, მოცურდი ჩემკენ, იქნება, როგორმე ხელი ჩავავლო... რაში? ყურები დაცქეტილი კი გაქვს, მაგრამ პატარა, საყელურში ვერ გწვდები... დაიღალე? აბა, რა იქნებოდა, შე საბრალო... მშვიერიც იქნები, ნაღდად შეგცივდა კიდევ, ღამე ალბათ მოყინავს... რა ვქნათ ახლა ჩვენ? მოდი, უფრო ახლოს მოდი... ეჰ, ეს ოხერი, რა ღრმა არხია, ვერაფრით მოგწვდი... ჯოხი რომ გამოგიწოდო? კბილებით ჩააფრინდები, მე მოგქაჩავ და ამოგათრევ... მერე, სადაა ჯოხი... ერთხელაც ვცდი, ხელს ჩამოგაწვდი, შენ კი შეეცადე, რაც შეიძლება ზევით ამოხტე... ეგ არის მთავარი! აბა, ერთხელაც... მოდი, მოდი...

დაიხარა, დაიხარა – საყელურში თუ არა, იქნებ ერთ-ერთ თათში მაინც ჩავავლო ხელიო – და წაყირავდა კიდევ! კინაღამ თავზე დამეცა!

– ფუი, დაღახვროს ეშმაკმა, რა ცივი წყალი ყოფილა! – და პილპილიანი მეზღვაურული გინებაც მოაყოლა.

ახლა უკვე ორნი ვფართხალებდით ჭაობისფერ წყალში, მაგრამ, ჩემდა საბედნიეროდ, ერთ-ერთი ჩვენთაგანი ბებერი ზღვის მგელი იყო!

– მიდი, მიდი, როგორმე შეეცადე აძრომას, ეგ არის მთავარი! მე აქედან მოგაწვები, აბა, ყოჩაღად!

ხელად ჯერ მე მიმაცურა ნაპირთან და ზევით ამაგლო, მერე თვითონაც გაჭირვებით ამოფორთხდა ნაპირზე და იქვე გაიშოტა, წყალთან ბრძოლაში დაღლილი.

როცა ძველმა მეზღვაურმა დაისვენა და, ამასთანავე, ცოტა გამოფხიზლდა კიდევ, იქვე დაყუნცულს ხელი გადამისვა ზურგზე და შემაქო:

– ჭკვიანი ძაღლი ყოფილხარ, ყოჩაღ! მაღლიერების გრძნობა გქონია, არ გაიქეცი და არ დამტოვე აქ მარტო! ერთგულიც იქნები, როგორც გატყობ, წამოდი ჩემთან! თანახმა ხარ? აბა ჰე, ძუნძულით გაგწიოთ შინისკენ, გავხურდეთ, ეგ არის მთავარი!

მე სიხარულით ისეთი ყეფა აგტეხე, ღამის რამდენიმე კილომეტრის მანძილზე მყოფი ყველა ძაღლი ამყვას!

– ოჰო, რა ომახიანი ყეფა გცოდნია! – გაუხარდა უტუ ბატონს, – შენ უეჭველად მაჭახელა უნდა გერქვას!

თუნდაც ყვაგი ეწოდებინა ჩემთვის ჩემს კეთილისმყოფელს, ყაბულს ვიყავი და ხალისით წაყევი კიდევ გემზე, რაღა თქმა უნდა! და მას შემდეგ სად არ ვიმოგზაურეთ ერთად – ხმელეთზეც და უფრო კი – ზღვაზე, მრავალი ქვეყნის ნავსადგური მოვიარეთ.

როცა რამდენიმე წელი გავიდა და უტუ ბატონმა სამშობლოში დაბრუნება და ფუთში ღუზის სამუდამო ჩაშვება გადაწყვიტა, ზღვის ბებერმა მგელმა ნავსადგურში ერთ ყავლგასულ, მიტოვებულ გემზე დაიღო ბინა. რასაკვირველია, მეც მასთან ერთად ვიყავი და ძალიან მომწონდა ჩვენი საბუდარი. ჩვენთან ერთად მუდმივად ცხოვრობდა, თუ არ ჩავთვლით გემის ვირთხებს, ერთი ჭრელი კატაც, რომელსაც ბატონი უტუ კამპბელია მოწიწებით ეპყრობოდა და ასე მიმართავდა: “სირ ფრანსის დრეიკი!” მეკობრის სახელი დიანაც შესაფერისი იყო მისთვის და კატასთან რა ურთიერთობა უნდა მქონოდა? ვცდილობდი, არ შემეძნინა და არც ის მაქცევდა ყურადღებას – არაფერი გვქონდა საერთო, თუ არ ჩავთვლით ზღვის ბებერი მგლის სიყვარულს. ოჰ, რომ იცოდე, როგორი ცივი თვალები ჰქონდა იმ მოსასპობს! ხასიათიც – უჰმური! გაწყდა მათი ჯიშ-ჯილაგი! მე რომ სულ თამაშის იშტაზე ვიყავი, ის ათასში ერთხელ, კუდაპრეხილი, კრუტუნით თუ გაეგლისებოდა უტუ ბატონის შარვლის ტოტს... აღერსი კი უყვარდა: დამჯდარ უტუ ბატონს ხშირად ჩაუხტებოდა კალთაში და გაიტრუნებოდა თავ-კისერზე ხელისგულის გადასმის მოლოდინში. მეხი კი დავაყარე!

უტუ ბატონის გემზე ყველაფერი მეტად მკაცრი მეზღვაურული განრიგის მიხედვით ხდებოდა, მხოლოდ სირ ფრანსის დრეიკს ვერაფერი მოუხერხა ძველმა მეზღვაურმა, არაფრით ემორჩილებოდა მკაცრ დისციპლინას – თავის გუნებისდა მიხედვით ცხოვრობდა, სადაც უნდოდა და როდესაც უნდოდა მიდი-მოდიოდა... დილით ავღგებოდი საშივენი, “კაპიტანი” უტუ გემბანზე გამოდიოდა სავარჯიშოდ (ეტყობოდა, რომ ძველი ფეხბურთელი იყო), უკან მე მიყვებოდი, ყეფითა და კუდის ქიციანით ვამხნევებდი; სირ ფრანსის დრეიკი კი კაიუტაში რჩებოდა – როგორც მოგახსენე, ვერაფრით ავიყოლიეთ, ფრიად თავნება პიროვნება განხლდათ. დღისით უმეტესწილად კაიუ-

ტის მყუდრო კუთხეში თველემდა, მხოლოდ ჭამის დროს კი არასდროს გააცდენდა ჩვენთან ყოფნას – მაშინვე მაგიდასთან იყო დარჯობილი; დააბაზუდად მიშტერებოდა უტუ ბატონის ხელებს – არ გამოჩნებოდა, როდის გადაუდებდა გემრიელ ლუქმას! უტუ ბატონი ხან მე მიწილადებდა, ხან – სირ ფრანსის დრეიკს; მე ჰაერშივე კოხტად ვიჭერდი პირით, კატა კი – ვერა! უტუ ბატონი ჩემზე ტყუილად კი არ ამბობდა: “მაჭახელავ, შენ ისეთი ყოჩადი ხარ, მეკარედ ივარგებს!”, მაშ!

სირ ფრანსის დრეიკს არც გემბანზე გამოსვლა იზიდავდა – უტუ ბატონისგან განსხვავებით, რომელიც, თუ რაიმე საქმე არ გამოუჩნდებოდა, ერთთავად ჩემთან ერთად გემბანზე იყო; დაჯდებოდა გამოტანილ სკამზე, გააწყობდა ჩიბუხს და საათობით უყურებდა ზღვის ტალღების თამაშს, თოლიების სრიალს წყლის ზედაპირთან...

– მაჭახელავ, შეხედე, ხომ ლამაზია ზღვა? სულ თამაშობს, იცვლება, მოუსვენრობს...

გემზე მარტონი იშვიათად ვიყავით, ჩვენს “სახლში” მუდმივი სტუმრიანობა იყო; ცარიელი კაიუტები ბლომად იყო და მრავალნი კარგა ხნით ჩერდებოდნენ ამ “სასტუმროში”, უმეტესად – სრულიად უცხონი. მაგალითად, შეხვდებოდა ბატონ უტუს მატარებელში ან ფუთის ქუჩაში ვინმე გაჭირვებული – მოიყვანდა ჩვენს გემზე, დააპურებდა და ღამესაც გაათევინებდა. არცთუ იშვიათად ჩვენ ორივეს კუჭი გვიხმებოდა (სირ ფრანსის დრეიკი ყოველთვის შოულობდა მის სამყოფს – გემი ვირთხებით იყო სავსე), მაგრამ ბატონი უტუ ამას დიდად არ ნდევლობდა და საღამოსთვის კვლავ მოიყვანდა სტუმარს, მასზე უფრო გაუბედურებულს...

ერთ დღეს სწორედ ასე, მოულოდნელად მოხვდა უტუ ბატონთან გურიის მიყრუებული სოფლიდან სამუშაოს საძებნელად ჩამოსული აჩიკო როყვაიაც ანუ მეტსახელად “ფიშტო”, რომელიც ჩვენთან კარგა ხანს დარჩა – სანამ ცოლს ითხოვდა (ამ ღირსსახსოვარი და ღირსშესანიშნავი მოვლენის შესახებ შემდგომ დაწვრილებით მოგახსენებ და, იმედი, გვარიანად გაგამხიარულებს). ფიშტოს ეს მეტსახელი დაარქვეს სიფიცხის გამო, აგრეთვე – საოცრად სწრაფი სირბილის გამოც, რაც ლელობურთში ასე ფასდება. ფიშტო ყოყლოჩინაა, მამლაყინწა, უზარმაზარი გული აქვს; ვერ იტანს უსამართლობას, არაფერს შეეპუება და ვეფხვსაც კი ხელით დახრჩობას მოუნდომებს... ხომ ძალიან მარდია ფიშტო, მკვირცხლი, ჯანიანიც არის; ტანად შედარებით გამხდარია, ოღონდ ბოძებოვით სქელი, ღონიერი ფეხები აქვს. ხშირი, ჯაგარა თმები ზედ წარბებთან ეწყება, ცოცხალი თვალები თითქმის ყოველთვის უცინის; ამ ქვეყნისა ბევრი არაფერი გაეგება, საოცრად გულბურყვილოა და მიმნდობი, ბავშვსაც კი შეუძლია მისი მოტყუება. ბევრი ბორცვად სარგებლობენ მისი ამ თვისებით, ზოგჯერ მახეშიც ეძებენ და ხშირად აპამუჟაავენ. კი, გაბრაზებისას აფეთქდება, მაგრამ წყენა მალევე გაუვლის, საოცრად უშუალოა, საკუთარი ემოციების დაფარვას არასდროს ცდილობს და ყოველი მისი ნაფიქრალი მაშინვე ენაზე აქვს: “უჰ, როგორ გაგეძიე!” – კმაყოფილი იტყვის ხოლმე და გამობერილ მუცელზე ისვამს ხელს, ან: “რა გოგოა, ბიჭო, ა?” – თვალს გააყოლებს მიმავალ ქალიშვილს და მეგობარს მუშტს წაჰკრავს ფერდში, ან: “კარგი ლელო გაგვიტანა გირგოლამ, ყოჩად!”

კარგა ხნის შემდეგ მივხვდი, რომ ფიშტო შემთხვევით არ მოუყვანია გემზე უტუ ბატონს... ამ ორი, ყველაფრით სრულიად განსხვავებული ადამიანის გემზე ერთად შეყრის მიზეზს შემდგომ შეიტყობ, იმას კი ახლავე მოგახსენებ, რომ ამის მიზეზი არ გახლდათ მხოლოდ ის გარემოება, რომ ფიშტო ფეხბურთელად იყო დაბადებული: საოცრად ძლიერად ურტყამს მარცხენა ფეხს ბურთს – მისი არცთუ მოსული ტანის შემხედვარე, ამას ვერაფრით იფიქრებ!

საერთოდ, ფუთში ნებისმიერ გუნდში ფეხბურთელის შერჩევას რატომღაც უპირველესად სწორედ იმას აქცევენ ყურადღებას, ფეხით რამდენად ძლიერი დარტყმა აქვს, ეს თვისება ფასდება ყველაზე მეტად; ფეხბურთის თაყვანისმცემლებშიც გამოჩნეული სახელი და პატივი სწორედ ძლიერი დარტყმით ცნობილ ფეხბურთელებს აქვთ მოპოვებული.

ფიშტოსაც გამოსაცდელად უტუ ბატონმა გაუგორა ბურთი:

– აბა, დაარტყვი! ვნახოთ, რამედ თუ ვარგისარ!

– დავარტყამ, აბა არა? – უპასუხა უტუ ბატონის სიტყვებით ერთგვარად გაღიზიანებულმა ფიშტომ, გამოქანდა და მარცხენა ფეხი მოიქნია... და ისეთნაირად გამეტებით დარტყა, რომ მთელ მინდორს ხომ გადააცილა, იმის იქითაც დიდხანს ეძებდნენ გუნდის ამ ერთადერთ, სალოლიავო ბურთს და საღამოს პირს ძლივს იპოვნეს – მდინარის გაღმა ნაპირზე!

– ყოჩად, ფიშტო, – შეაქო უტუ ბატონმა, – მაგარი ცაცია გქონია! ახლა თუ რამდენიმე ფინტიც უნდა ისწავლო...

– რა არის ფინტი, – აიფოფრა ფიშტო, – მაგინებ?

– ფინტი – ცრუ მოძრაობაა, მოტყუება! – ფიშტოს მხარხე ხელი მოხვია უტუ ბატონმა. – მხოლოდ ძლიერი დარტყმით ფონს ვერ გახვალ, თუ მოწინააღმდეგე არ მოატყუე და უკან არ ჩამოიტოვო, დარტყმის საშუალებას არ მოგცემს, ასე არ არის? ბურთის ტარებაც უნდა ისწავლო, ათამაშო შენს გემოზე, ამ ხელოვნებაში ცირკის მსახიობს უნდა აჯობო!

ფიშტო თავდაუზოგავად ვარჯიშობდა. მისი მისამართით ხშირად ისმოდა მაყურებელთა დამცინავი “ლოცვა-კურთხევა”:

– ვინ არის ეს მათხოჯი, ნახე, რა ფუთიანი ფეხსაცმელი აცვია!

– ეგ ცირკისთვის არის დაბადებული, აქ რა უნდა!

– ნეტავ როგორ დარბის, დაგნადლევეთ, მოწინააღმდეგის კარამდე ვერ მიაღწევს!

– ბურთისთვის დარტყმას თუ მოახერხებს, გუგუნას სამიკიტნოში პურმარლს ვკისრულობ! თავიდან ფიშტოს ალმაცურად უყურებდნენ გუნდის ფეხბურთელებიც, მასთან ურთიერთობას მხოლოდ პატარა ბიჭები კადრულობდნენ, განსაკუთრებით – გარეუბნის ფეხშიშველა ფეხბურთის ტრფიანნი. ისინი ფიშტოს გარშემო შემოეხვეოდნენ ხოლმე, ცდილობდნენ მისთვის ბურთის წართმევას, რთული ფინტებით გაპამპულაგებებს... ფიშტო “წვრილფეხობასთან” თამაშ-გართობას არ თაკილობდა და ამას უტუ ბატონიც არ უშლიდა – ცხადად ხედავდა, რომ ეს მშვენიერი სკოლა იყო და სხვა ფეხბურთელებსაც ურჩევდა, ფიშტოსთვის მიებაძათ. ამავე დროს უტუ ბატონი ამ ქუჩის ფეხბურთელთაგან არჩევდა განსაკუთრებით მონდომებულებსა და ცქციტებს – მათგან მომავალი ოსტატები გაიზრდებოდნენ, ბევრად უკეთესები, ვიდრე ახლანდელი ფეხბურთელები ჰყავდა.

– თქვენ ახლა, ძალიანაც რომ მოინდომოთ, ბევრს ვეღარაფერს ისწავლით, ბურთის გორება და თამაშის სწავლა ბავშვობაში უნდა! – ეუბნებოდა ფეხბურთელებს უტუ ბატონი. – მარტო კარში კი არ უნდა ურტყათ ორი-სამი საათის განმავლობაში გაუთავებლად, მერე წადით და ქათამი დაიჭირეთ! ან – პეპლები, ესეც ჩინებული ვარჯიშია! იცოდეთ, ყველაფერს მე ვერ გასწავლით, თქვენი ყველაზე დიდი მასწავლებელი საკუთარი თავია!.. გაანძრეთ ტვინი, გაიაზრეთ, როდის, რა და როგორ გააკეთოთ, როგორ მიაღწიოთ დასახულ მიზანს... მთელი ცხოვრება ასე უნდა განლიოთ. ერთსაც გეტყვით: თუ შრომა და ოფლის ღვრა გეზარება, ვერაფერს ისწავლი და ვერც ვერაფერს მიაღწევ, გაიგეთ, ბიძიებო?

უტუ ბატონმა რამდენიმე ქათამი საგანგებოდ იყიდა ფეხბურთელთა სიმარჯვეში გასაწურ-თნელად; შემდგომში, როცა უფულობამ მეტისმეტად შეაწუხათ, ეს ქათამები სხვა მიზნითაც გამოიყენეს და ხუმრობით ამბობდნენ: “ცოტა მსუქანი ღვდლები ვერ ვიყიდეთ? მართალია, ჩვენი ვარჯიშისთვის გამხდარი ქათამი ჯობს, უფრო მკვირცხლად ღარბის, მაგრამ ახლა ნაკლებ გვახარებს!”

შემდგომ, როცა ფიშტომ სხვა ბინა მოძებნა, მეც თან წავყვევი. როგორ და რატომ მოხდა ეს ამბავი, როგორც დაგვირდი, შემდგომ გაიმბობ, მანამდე კი ვცხოვრობდი უტუ ბატონთან უშფოთ-ველად და ბედს არ ვემდურდი. რატომ არ უნდა ვყოფილიყავი ბედნიერი? როგორც იქნა, ჩემი შესაფერი პატრონი ვიპოვე! მშვენიერი პატრონი, უკეთესს რომ ვერც ვინატრებდი – შინაგანი ბუნებით კეთილი და გარეგნულად როგორიც არის, ახლავე მოგახსენებ: თმა სულ მთლად გათეთრებული აქვს უტუ ბატონს, მხოლოდ მსხვილი წარბები დარჩა მოწითურო, რომლის მოძრაობა-მდგომარეობაც ზუსტი მაჩვენებელია პატრონის გუნება-განწყობილებისა (გამხდარი, მარად სუფთად გაპარსული, სპილენძისფერი სახე თითქმის ყოველთვის უშფოთველია): წინ წამოწეული ეს მეტად მოძრავი, ცისფერ, მიამიტ თვალზე ოდნავ გადმოხურული, წარბები სულიერი დაძაბულობის დროს სულ ზევით-ქვევით დახტიან: როცა უკმაყოფილოა, ქვევით არის ჩამომხობილი თვალზე, თვალები არც ჩანს; როცა გაბრაზებულია, წინ წამოძაგრული ჯაგარად გაიფხორება ზღარბივით; როცა გახარებულია, ზევით მიცოცავს ორივე წარბი, ცისფერი ბავშვური თვალები ალაღად ციალებენ და მხიარულ ნაპერწკლებს ისვრიან, როგორც უშფოთველი ზღვის მზით გასხივოსნებული ზედაპირი...

ერთხელ მთვარიანი, წყნარი ღამე იყო; ფიშტო საჩქარო სამუშაოზე იყო დაკავებული ნავსად-გურში. უტუ ბატონს არ ეძინებოდა, ვატყობდი, კაეშანი უჭამდა გულს. გამოიტანა გარეთ ტაბლა და გემბანზე დადგა, მერე გვერდზე დაბალი, სამფეხა სკამი მიუდგა, ამ მაგიდაზე თეფშებით დააწყო პური, ყველი, მწვანილი, დადგა ერთი ბოთლი ღვინოც (ჩვეულებრივ – ჩაის სვამს), დინჯად გააჩაღა ჩიბუხი და... დამიწყო საუბარი!

მარტონი ვიყავით, მესამე მხოლოდ მთვარე დაგვცქეროდა ზეციდან და აკვირდებოდა, როგორ ჩამოასხამდა ღროღადროს უტუ ბატონი ჭიქაში ღვინოს, მოკლე სადღეგრძელოს იტყოდა, მოსვამდა, პურს წაატეხდა, ყველს შეატანდა და უფრო კი – მე მემუსაიფებოდა.

როცა ბოთლი თითქმის გამოსცადა, გუნება გამოუკეთდა, შემომთავაზა:

– მოდი, ჩემო მაჭახელა, ვიმღეროთ!.. ჰო, ვიცი, მეტყვი: მაინცდამაინც არ გივარგა ხმაო... მართალია, ხომ იცი, შენ! ერთხელ ქორწილში შევზარხოშდი, სიმღერა მომინდა და ისე გემრიე-ლად შემოვძახე, რომ ერთ წუთში სუფრაზე მარტო დავრჩი! ჩემი ყოყინისგან შემწვარი გოჭიც კი გაიქცეოდა, მაგრამ თავი არ ება საწყალს და ჩემი სიმღერა არ გაუგონია; თავი კიდევ ცალკე იყო – თამადას დაუდეს სინით წინ, ჰოდა, ის კი მისმენდა, მაგრამ ფეხები არ ჰქონდა და სადღა გაიქცეოდა! მხოლოდ კბილები ჰქონდა დაკრეჭილი – დამცინოდა!

უტუ ბატონმა თავზე ხელი გადამისვა და განაგრძო:

– იცი, მაჭახელა ჩემო, რატომ ვერ დავიძინე? არ გინდა, გაიგო, არ გაინტერესებს? ჰო, რა თქმა უნდა, ეს ასეც უნდა იყოს, რაში გარგია ჩემი ფიქრების მოსმენა? ახლა ერთი ცხელი ძვა-ლი რომ მოგართვან, ალბათ ის გირჩევნია ყველაფერს, მაგრამ მეც რომ შიმშილი მაწუხებს – ძველი მოგონებებისა? ჰოდა, ერთ ზღაპარს, მოგონება-ზღაპარს მოგიყვები, ყაბულსა ხარ? იქნებ მეც ცოტა გულზე მომეშვას და დაუპატიუებლად მობრძანებული ეს ოხერი დარდი გადავიყარო... ეგ არის მთავარი!

ქალაქი ფუთი ხომ იცი? მიპასუხებ: როგორ არ ვიცი, ხშირად დავცუნცულვები მის ქუჩებში და ახლაც აქ არ ვცხოვრობო? მე კი გეტყვი: პირველად ჩვენ აქ შევხვდით ერთმანეთს! შენ შე-

მისწორებ, არხთან მოხდა ეს ამბავი და იქნებ მართალიც იყო, მაგრამ არც მთლად... იმიტომ, რომ ახლა ერთ ძველ ამბავს, უფრო სწორედ – ძველ ზღაპარს გიამბობ, რომელშიც რაა ტყუილი და რა – მართალი, შენ თვით განსაჯე...

ჰოდა, ერთხელ სწორედ ამ ქალაქს – ფუტს – მოულოდნელად ესტუმრა... გემი კი არა, მატარებელი კი არა, ეტლი ან ურემი კი არა – ქარბორბალა!

ქარბორბალა დაეჯახა!

ის ოხერი ქარბორბალა ზოგჯერ უცაბედად მოინახულებს ხოლმე ფუტს, მშვიერი მგელივით უცებ გამოვარდება და თავს დაეცემა და ამჟამადაც დაუპატიჟებლად ესტუმრა – ჯიქივით ნახტომით დააცხრა თავს და რაც კი ხელთ მოიგდო, რის დამალვაც ვერ მოახერხეს, ყველაფერი საკუთარ ქაჯივით მბრუნავ, მოღრიალე სტომაქში მოაქცია, მოიტაცა და მალლა აიტაცა! ეზოებიდან ოდის ქვეშ შემძვრალი შეშინებული ქათმები, ინდაურები, ძაღლები და ნასუქი ღორებიც კი გამოათრია და ჰაერში გააფრინა, თოკებიდან სარეცხი ააფრიალა და წარიტაცა, სახურავებიდან ყავარი თუ თუნუქი ააგლიჯა და გააქრო, ხეები: ზოგი – წააქცია, ზოგი, რომელსაც მოერია – ძირიანად მოთხარა და გააქცუნა, ღრმა ჭებიდან წყალი ამოხაპა, სადაც გადაკვეთა – მდინარე ფაზისიც კი ამოაშრო ერთხანს და ვერცხლისფრად ასხმარტალებული თევზები წყლის ჭავლს გააყოლა მალლა-მალლა, ჰაერში მტრედებივით აათამაშა...

ქარბორბალა უსაზღვრო ცნობისწადილით იყო შეპყრობილი, ყველგან ჰყოფდა ცნობისმოყვარე ცხვირს და, რა თქმა უნდა, ესტუმრა იმ მინდორსაც, სადაც ფუთელები ლელობურთს თამაშობდნენ; გრიალ-ღრიალთი გადაუარა იმ ადგილს და ქურდობას იქაც აპირებდა... მთელ ქალაქში ერთადერთი ლელოს სათამაშო ტყავის ბურთი ჰქონდათ და ვისღა ეცალა მის მისახედად, შუა მინდორში დარჩენოდათ; თუმცა, არა – დამალული ლელობურთელებიდან ერთ-ერთი გამოვარდა ამ ბურთის გადასარჩენად და ქარბორბალა ამას აპატიებდა? ის ბურთი კი ჩაბღუჯა უტუმ (ეს მე ვიყავი!) და იღლიაშიც მოიგდო მაგრად, უკანაც გამორობდა თავშესაფარებლად, მაგრამ ქარბორბალამ არ აცალა სარდაფში დამალვა, იმ ბურთიანად აიტაცა ჰაერში, – მერე რა, რომ საკმაოდ მძიმე იყო და ჯანიანი, – ბუმბულივით გააფრინა! მალლა-მალლა წაიღო, ჩიკორივით ბრუნვით ტარაბუა დაახვია, მერე სულ ყირამალა ატრიალა – მიატრიალა-მოატრიალა, გადაატრიალა-გადმოატრიალა – და, ბოლოს, სადღაც შუა ზღვაში, ძალაგამოცლილმა, გაათავისუფლა...

წამოვიდა ქვევით-ქვევით ეს ჩვენი ლელობურთელი უტუ კამპბელია, სულ ბზრიალით მოჰქრის, თითქოს ჩიტი იყო და შურდულიდან მარჯვედ ნასროლი კენჭით ჩამოაგდეს; იმ ბურთს კი ვერ შეეღია, ისევე ჩაფრენილა ორივე ხელით, ვითარცა დიდ განძს... ვარდება, ვარდება და – ტყლაპ! ჩადგაფუნდა კიდევ წყალში... ჩაყურყურმაღავედა, მაგრამ ღრმად არ წასულა, ბურთმა უშველა და მალევე ამოიტყორცნა-ამოვარდა ზღვის ზედაპირზე! ჩაფრენია ბურთს – ახლა ამ ბურთმა უშველა – და ნარნარად ირწევა ტალღებზე. რა ქნას? ირწევა, ირწევა, თან აქეთ-იქით იყურება – არც ხმელეთი, არც საშველი არსაით ჩანს... საით, რომელ მხარეს გაცუროს? და რამდენ ხანს ეყოფა ძალ-ღონე, სტიქიონის შემოტევას გაუძლოს? თუ შიმშილით განუტევებს სულს? ხომ ჯობდა, ბურთის მაგივრად პურის გოგორა ყოფილიყო მის ხელთ ჩაბღუჯული?

უტუ მანც ჩაეხუტა იმ ტყავის ბურთს და დაუსრულებლად ირწევა ტალღებზე... გადარჩენის იმედი უკვე თითქმის გადაეწურა, როცა დაინახა: გაიდღაბნა შავი კვამლი ჰორიზონტზე, მერე დიდი, კვამლივით შავი გემიც გამოჩნდა!

ბედად მისი მიმართულებით მოცურავდა ის ხომალდი, მიუახლოვდა და მორთო ყვირილი უტუმაც; ორივე ხელსაც იქნევდა შეშლილივით, თითქოს წყლიდან ამოხტომას ლამობდა – ბურთსაც კი უშვა დროებით ხელი...

დაინახეს გაჭირვებული და გააჩერეს გემი, – კარგა მოშორებით, – დიდი იყო ის გემი და დიდი დროც სჭირდებოდა გასაჩერებლად; ჩამოუშვეს სამაშველო ნავი... აიყვანეს უტუ ხომალდზე მის ბურთიანად. კაპიტანს გაუხარდა: ჯანიანი ვიდაცა გადაარჩინეს, თანაც ბურთის მოყვარული, – გემის ფეხბურთელთა გუნდში ერთი კაცი გვაკლდა და ზღვის წყალბით ისიც შეგვემატათ.

უცნაური ის იყო, რომ ყველაზე მეტად გაუხარდა გემზე მყოფ ჭრელ ძაღლსაც – სინარულით მიახტა უტუს და მარილიანი სახე აულოკა! ის ძაღლი შენ იყავი, მაჭახელავ!.. შენ როგორდა მოხვდი იქ? ჩემსავით იმ ქარბორბალამ გაგაფრინა ზღვაში და ჩემზე აღრე გადაგარჩინეს, ხომ ასე იყო? თუ მალედიან პირდაპირ გემზე დაეცი? ეგ ჩემზე უკეთ გეცოდინება! (უტუმ გაიღიმა და გამოაჩინა შემორჩენილი სამი ოქროს კბილი მარცხენა ბორტის გაყოლებით, – მისი სიტყვით, პატარა გაუგებრობა მოხდა ერთხელ ჰამბურგში, ბარში, – და ორი შემორჩენილი გაყვითლებული კბილი – მარჯვენა ბორტის გაყოლებით – ეს კი გადამეტებული ღვინის შედეგია საუპაულოში...).

ჩავიდა ის შავი ხომალდი ინგლისში, ჩაიტანა მანგანუმი.

უტუ და ძაღლი მალევე დამეგობრდნენ და სულ განუყრელი გახდნენ. მეზღვაურები პორტებში შესვენებისას ფეხბურთის თამაშით იყვნენ გატაცებულნი და მალე ისწავლა უტუმ მათგან ეს მომხიბლავი თამაში, გემო გაუგო. ამ გემთან ერთად მოიარა მთელი მსოფლიოს ზღვები და ოკეანეები, მეზღვაურთა ძლიერ გუნდში ისიც თამაშობდა ფეხბურთს – ძალიან შეუყვარდა, ფრიად გაიწვითნა და დახელოვნდა კიდევ!

წლები გავიდა და უტუ ბატონმა გადაწყვიტა, დაბრუნებულიყო ფუთში, – ხანში შედიოდა და მოენატრა სახლ-კარი (კპ, ბოდიში, სადღა ჰქონდა ან სახლი, ან კარი!), მეზობლებ-ნაცნობები, ნათესავ-მოყვრებში სიარული... ჩამოვიდა სამშობლოში და განაცვიფრებდა ფუთელთ უცნაური ჩაცმულობით და ჩვევა-ქცევითაც: უყვარდა... ჩაი – რძით! ღვინოს ერჩინა! თუმცა არც კარგ ღვინოზე ამბობდა უარს, განსაკუთრებით, თუ მისი ფეხბურთელთა საყვარელი გუნდი მოიგებდა!.. ეს გუნდი კი ნელ-ნელა თვითონ ჩამოაყალიბა და თვითონვე წვრთნის ახლაც...

მოგეწონა ჩემი მონაყოლი ზღაპარი?! ისე, შენც კი შეგეძლო მისი მოყოლა, მაჭახელაგ, ერთად არ გაგიარეთ ეს გზა? მაგრამ ზარმაცე ხარ, სირ ფრანსის დრეიკი გჯობის – ვირთხებს დასდევს ახლაც! შენ კი რის გამკეთებელი ხარ? მხოლოდ მაგ საცოდავი კუდის ქიციანი შეგიძლია, კუდადაც რომ ცოდვას მისი ჩათვლა და კიდევ ის იცი, რომ ჩემს თვალებს დადარაჯებული მზერით მიაჩნდები: აბა, რას მიბრძანებს პატრონი ან, უფრო საფიქრებელია – რას მიწყალობებსო... თავზე მაინც გადამისვას ხელიო... თუმცა, არც ერთგულების გამოხატვის ამგვარი საშუალება არის ცოტა! არ მეთანხმები? აბა, რატომ ჰყეფ? ჰო, ალბათ მახსენებ: მე ყეფაც მეხერხება, ტყუილად კი არ დამარქვი მაჭახელაო! მართალი ხარ, მოდი ჩემთან, მოგეფერო!

კარი V. აქა ამბავი პირველი მაჩისთვის არცთუ მთლად დალაგებული მზადებისა ქალაქ ფუთსა შინა

როცა ახალგაზრდობაში უტუ ბატონი მეზღვაური იყო, რომელიმე ნავსადგურში ნაპირზე გადასვლისას ხანმოკლე დასვენების დროს მეგობრებთან ერთად ფეხბურთის თამაშით იყო გატაცებული. და როცა ფუთში საბოლოოდ დაბრუნდა, მისი საყვარელი გუნდი, ცხადია, ის იყო, რომელიც მან დიდი რულუნებით, ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ ჩამოაყალიბა – სახელად დაარქვეს “ფუთელი ლომები” – და რომლის ფეხბურთელებსაც ასწავლიდა ამ უცხო თამაშის წესებს, აგარჯიშებდა – ხან სად და ხან სად, რადგან მუდმივი საგარჯიშო ადგილი ფუთში სად იყო... სხვა გუნდებიც მსგავს მდგომარეობაში იყვნენ: ხან ქალაქის გარეუბნების ოღროზლო, მტვრიან ქუჩა-შუკებში ვაივაგლახით ვარჯიშობდნენ, ხანაც – გარეუბნებში აქა-იქ დარჩენილ ერთი ბეწო საქონლის საბაღახო ადგილებში, რის გამოც ხშირად საქონლის პატრონებთან თუ მწყემსებთან უსიამოვნებაც შეჰხვედრიათ.

ერთხელ ის დროც დადგა, როცა უტუ ბატონმა ბურთის მოთამაშეებს ამგვარად მიმართა: – ბიჭებო, ამჯერად ჩვენ შევიკრიბეთ არა მხოლოდ საგარჯიშოდ, არამედ არანაკლებ სერიოზული და საჭირო საქმის მოსაგვარებლად – რა სახელი შევურჩიოთ ჩვენს საფეხბურთო გუნდს? დიანხ, ჩვენ უკვე გუნდი ვართ! აქამდე ფუთელნი ჩვენ მოგვისხენიებდნენ “გადარეულებად”, “შექანებულებად”, “უსაქმურებად”... აგერ ნახეთ, ჩვენზე გაზეთში ცოტა ხნის წინათ რას წერდნენ: “ფუთური ფართიფურთი” კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ეს ერთადერთი გაზეთია, რომელიც ფეხბურთის შესახებ წერს. მოგახსენებთ აგრეთვე, რომ მის რედაქციასთან არსებობს საწყობი, სადაც შეგიძლიათ შეიძინოთ ველოსიპედები იაფად – ერთადერთი ადგილია ქალაქში!” ოჰ, ბოდიში, სხვა ადგილას წავიკითხე... აგერ: “არიან ისეთი მოქალაქენიც, რომლებიც ცხარედ აცხადებენ: “არ გაეკაროთ ფეხბურთელებს, საშიში ხალხია! თორემ თქვენც გადაგედებათ ეს საშინელი ავადმყოფობა და ცოფიანებით ირბენთ – რატომ და რისთვის, თქვენთვისაც გაუგებარი დარჩება!” როგორ მოგწონთ? ჩვენ ცოტა შექანებულები იქნებ მართლაც ვართ, მაგრამ ამ სახელს ხომ ვერ დავარქმევთ ჩვენს საფეხბურთო გუნდს? გთხოვთ, თქვენი წინადადებები მოგვახსენოთ...

ერთმა ახალგაზრდამ, ბებურ ბურბუშელაშვილმა, ნახევრად ხუმრობით ასეთი აზრი გამოთქვა:

– “შავი ურჩხულები” დავირქვათ, “შექანებულებს” მაინც სჯობს! ან სხვა, კიდევ უფრო შესაშინებელი სახელი! სანამ ჩვენთან შეჯიბრს დაიწყებენ, უკვე დათრგუნულები იქნებიან ჩვენი სახელით!

კარგა ხნის ბჭობისა და რჩევის შემდგომ ერთხმად გადაწყდა, გუნდისთვის ეწოდებინათ მქუნარე სახელი – “ფუთელი ლომები”!

დიანხ, ინგლისელი მეზღვაურების წაბადვით ფეხბურთის თამაში ფუთშიც დაიწყო. სულ მალე ამ ერთი შეხედვით უბრალო თამაშმა განსაკუთრებით ძლიერ გაიტაცა ახალგაზრდები და ფეხბურთმა ფუთურ მიწაზე მკვიდრად მოიკიდა ფეხი. თითქოს თივის ზვინს ქარიან ამინდში ცეცხლი მოეკიდაო, ისე იფეთქა ფუთელთა შორის უცებ მოდებულ ციებ-ციხელებასავით ფეხბურთისადმი ლტოლვა; ამ თამაშისადმი სიყვარულმა მოიცვა დიდ-პატარა და არა მხოლოდ კაცები, არამედ ქალებიც. ფუთი ფრიად ღარიბი იყო გასართობი ადგილებით და იქნებ ამ მიზეზითაც აიხსნება ბურთის თამაშის ასეთი ელვისებური გავრცელება!

ჯერ შესვედრები ფეხბურთში კანტიკუნტად ტარდებოდა – შეიკრიბებოდა შემთხვევით შესვედრილი რამდენიმე ყმაწვილი და თუ ჭინჭის ბურთიც გამოჩნდებოდა, იპონინდნენ სწორ ადგილს, სადაც მისი გორება შეიძლებოდა, მონიშნავდნენ ორ-ორი მოზრდილი ზომის ქვით კარებს და იწყებოდა თამაში! წესებს მაინცდამაინც არ დაგიდევდნენ, გატაცებით მიეცემოდნენ პაექრო-

ბის ეშხს; დროის მდინარებას ვერ ამჩნევდნენ და სანამ არ დადამდებოდა, – სულ მთლად ჩამოხვედებოდა და ბურთს ხეირიანად ვეღარ ხედავდნენ, – ვერც დაღლას გრძობდნენ და ვერც – შიმშილს...

მერე და მერე ფუთის სხვადასხვა უბანში მომრავლდა თითქოსდა თავისთავად ჩამოყალიბებული ფეხბურთელთა გუნდები.

პირველი გუნდები ძირითადად ოდესღაც სოფლიდან ჩამოსულ ლელობურთელთაგან შედგა და მათ ვერაფრით მოიშალეს თავიანთი ძვალ-რბილში გამჯდარი ილეუები: სარმა, მუშტი ფერდში, ხელით თამაში, დაჯახება და ხელებით შებოჭვა, წაქცევა და ასე შემდეგ. უტუ კამპბელია საკუთარი გუნდის ფეხბურთელებს სულ ეჩხუბებოდა ამის გამო: წესები კარგად ისწავლეთ და აუცილებლად დაიცავით, თუ გინდათ, ნამდვილ ფეხბურთელად იწოდებოდეთ.

სულ მალე ფეხბურთის კარგი მოთამაშეები გახდნენ ფუთის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და პატივსაცემი ადამიანები! მათ პატიუბდნენ საქეიფოდ, ცდილობდნენ მათ ჩაბმას არჩევნებში (განსაკუთრებით – ქალაქის მოურავისა!), ვაჭრებს სურდათ მათი სახელების გამოყენება რეკლამისთვის, ქალიშვილები ოცნებობდნენ მათ გაცნობას...

ის დროც დადგა, როცა ქალაქ ფუთის ყველაზე თავგამოდებულმა ფეხბურთის მოყვარულებმა, საფეხბურთო გუნდების თავკაცებმა, გადაწყვიტეს: დროა, ჩატარდეს პირველი ოფიციალური შეხვედრა ფეხბურთში! აუცილებლად უნდა ჩატარდეს!

ამ დიდი მოვლენისთვის ჯეროვნად მოსამზადებლად ისინი წინდაწინ შეიკრიბნენ სამიკიტნოში “მიყვარს შიშინა მწვადი!”, რათა უპირველესად ჩამოყალიბებინათ “ფუთის საყოველთაო საფეხბურთო კავშირი” და შემდგომ კი განეხილათ სხვა მრავალი საჭირობო საკითხი, უპირველესად კი – დაკავშირებული დასახული პირველი საფეხბურთო მანისთვის სამზადისთან.

პირველი მანის ჩატარების შესახებ შეთანხმების მიღწევა ძნელი გახდა, უამრავ რამეზე უნდა შეთანხმებულიყვნენ:

– რომელი გუნდები ითამაშებენ? (აქ დიდი არჩევანი არ ჰქონდათ: ფუთში ჯერჯერობით მხოლოდ რამდენიმე ხეირიანი ადგილობრივი გუნდი არსებობდა);

– რამდენი კაცი ითამაშებს? (თავიდან 11 ფეხბურთელი დაიწყებს შეხვედრას, შემდგომ, საჭიროებისდა მიხედვით, შეცვლიან რამდენიმეს სამარქაფო მოთამაშით);

– სად? (სათამაშოდ ვარგისი რამდენიმე ადგილი შეირჩა, მათგან ალბათ ყველაზე მოსახერხებელია შეხვედრის ჩატარება ბიჭიას მინდორზე; საჭიროა ამ მინდორის ერთობლივად დასუფთავება, დახაზვა, ჭიშკრების დაყენება, სკამების გამართვა);

– როდის? (მას შემდეგ, რაც ყველა გადასაწყვეტი საკითხის მოგვარდება – შემდგომ უახლოეს კვირადღეს);

– რა პირობით? (გადაწყდება ორი მოპაექრე გუნდის წარმომადგენელთა შორის ურთიერთ მოლაპარაკების შედეგად);

– ვინ იმსახვებს? (მოსალაპარაკებელია რამდენიმე პიროვნებასთან და შერჩეული მსაჯის კანდიდატურა შესათანხმებელია ორივე გუნდთან);

– როგორი იქნება საფეხბურთო ფორმა ფეხბურთელთათვის? (ერთი გუნდის ყველა წევრს უნდა ეცვას ერთნაირი ტანსაცმელი, რომელიც ფერით უნდა განსხვავდებოდეს სხვა გუნდის სამოსისგან);

– ვინ შეიძენს ბურთს? (თუ ინათხოვრებენ, ვინ გადაიხდის ქირის ფულს? ბურთს საჩქაროდ შეაკერინებენ რომელიმე თერძს? თუ მეჩქემეს? იქნებ ინგლისელი მეზღვაურებისგან იყიდონ?);

– ვინ შემოიტანს თამაშში მოედნის გარეთ გადაგდებულ ბურთს? (წესების თანახმად, ვინც სხვებს დაასწრებს და ხელში აიღებს);

– რა ჯილდო ერგება გამარჯვებულს? (ვინ დააწესებს და რა სახით: ფული, თასი... ლხინი დამარცხებულის ხარჯით – სად იქეიფებენ, ვინ მიიღებს მონაწილეობას?);

– გაიმართება თუ არა საპასუხო მან-რევენიში? (გადაწყდება პირველი მანის ჩატარების შემდგომ, თუკი ორივე გუნდი გამოთქვამს ამის სურვილს)...

ხანგრძლივი დავა, შიგადაშიგ გადაზრდილი მოუზომავ ყვირილში, ბოლოს დამთავრდა ლაზათიანი მუშტი-კრივით, გემრიელად დარბეული დუქნით და გატეხილი თავებით. ჩემზე ბევრად უკეთ ამ ღირსშესანიშნავი ამბავის წვრილად გაცნობა შეიძლება ფუთის საქალაქო გაზეთში “ფუთური ფართიფურთი”... ამიტომ დავეუთმოთ სიტყვა ცნობილ ფუთელ პოეტსა და ფელეტონისტს, ლექსოს (იგი ამჟამად საქალაქო საავადმყოფოში მკურნალობს – მაგანთ ფელეტონი არ მოეწონათ და ღამით შინ მიმავალს ჩაუსაფრდნენ! ამ მიზეზითაც თავს ვარიდებ პირადად გამოვეხმაურო ფელეტონში აღწერილ ამბებს: თუმცა საკმაოდ დროა გასული და ვნებათაღელვაც მნიშვნელოვანწილად დამცხრალია, ვინ იცის, გამოჩნდეს ჩხირკედელა “დაზარალებული” და ცილისწამება დამწამოს!). წერილს სათაურად აქვს: “მობრძანდი, გენაცვალე, საფეხბურთო თათბირზე, თუ გინდა, თავი გაგიტეხონ!” და მასში ნათქვამია:

“ქალაქ ფუთში ამ ბოლო დროს ჯიქურ შემოჭრილი ახალი, ფრიად მიმზიდველი თამაშის, ფეხბურთის, ჩვენმა დიდად პატივცემულმა და პატივსაცემმა მესვეურებმა გადაწყვიტეს, სამიკიტნოში “მიყვარს შიშინა მწვადი!” მეგობრულ სუფრასთან განეხილათ, როგორ ჯობდა, ჩატარებინათ პირველი ოფიციალური საფეხბურთო მანი.

ტკბილ პურობას ესწრებოდნენ საფეხბურთო გუნდების თავკაცები: “ფუთელი ლომებისა” – ბატონი უტუ კამპბელია, “კაპარტინასი” – ბატონი ომანო მელიკუდაძე, “ჭალადიდელი მგლები-სა” – ბატონი მახარობელა კოკირევაძე, “გრიგოლეთელი ვეფხვებისა” – ბატონი სუნსულა ფეხუცაძე, “ლანდონ სიტისა” – ბატონი ლაბა სირენჩაძე.

სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ შეხვედრა დიდი წარმატებით დაგვირგვინდა: მართალია, ქალაქ ფუთში პირველი საფეხბურთო მაჩის გამართვის შესახებ ვერ შეთანხმდნენ, რადგან თითოეული გუნდის წარმომადგენელი დაჟინებით მოითხოვდა მისი და მხოლოდ მისი წინადადების მიღებას, სამაგიეროდ, მოხერხდა საჩვენებელი ჩხუბის ჩატარება თათბირის მონაწილეთა შორის, რომლის დროსაც ცხადად დაერწმუნდით: თუმცა საფეხბურთო მაჩის ჩასატარებლად ჯეროვანი პირობები ჯერ არ მომწიფებულა, ფრიად სასიხარულოა ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ ფუთში გვყავს საუკეთესო მოჩხუბარნი და უპრიანია, ჯერ ჩატარდეს საქალაქო შეჯიბრი მუშტი-კრივიში! ამ უკანასკნელ ღონისძიებას ჩვენ ვუწინასწარმეტყველებთ უდიდეს წარმატებას, რის საწინდარიცაა მის მომავალ მონაწილეთა შთამბეჭდავი ძალ-ღონე და გმირული საბრძოლო ჟინი და რის დასტურიცაა: ორი გატენილი თავი, ხუთი დაბეჭდილი და გაბუშტული ცხვირი, სამი ნაღრმობი ხელი, ექვსი დაღურჯებული თვალის უპე (მოჩხუბარნი სულ ხუთნი იყვნენ, ეს მეექვსე საიდანაა გაჩნდა? – იკითხავს დაინტერესებული მკითხველი; იგი დაიმსახურა გამშველებელმა, მიკიტანმა კოჭობა კოჭმადალაშვილმა, რომელმაც ჯეროვნად ვერ გაითვალისწინა ფეხბურთის თავკაცთა შესაშური შემართება); აგრეთვე – ჯერაც ბოლომდე აღურიცხავი რაოდენობის დამსხვრეული ჭიქა და თეფში, გატენილი ბოთლი, დამტვრეული სკამი... აღარას ვამბობ დაღვრილი ღვინისაგან გაოხრებულ სუფრასა და ნასროლი ბოთლებისგან ჩამსხვრეულ ფანჯრებზე.

მოუთმენლად ველით სახელგანთქმულ მოჩხუბართა მომავალ შეკრებას და მორიგ შერკინებას, სავარაუდოდ – ამჯერად სხვა, ჯერჯერობით დაურბეველ სამიკიტნოში, რომლის დროსაც ალბათ კვლავ განიხილავენ მომავალი საფეხბურთო მაჩის ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ეჭვს გარეშეა, რომ უკვე სახელგანთქმულ ფუთელთა მორიგი თათბირი დიდ საზოგადოებრივ დაინტერესებას გამოიწვევს და ალბათ უპრიანია, იგი ფუთის ცირკში გაიმართოს! უეჭველია, კრების შუაში თუ არა, დასასრულს მაინც, ყვირილს, ერთმანეთის უშვერი გინებით შემკობას, ხელების გაშმაგებულ ქნევასა და გაწევა-გამოწევას არ დასჯერდებიან, საქმეზეც გადავლენ, ერთმანეთის ცხვირ-პირის გალამაზებაში კვლავ წაივარჯიშებენ და ერთხელ კიდევ შეიტანენ თავიანთ უჭკნობ სახელებს ქალაქ ფუთის სახელოვან მოვლენათა მატრიანეში...

ექიმთა დასწრება სავალდებულოა!

თუკი სასწაული მოხდა და მაჩის ჩატარებაზე შეთანხმდნენ, ბევრად მეტ წესრიგისა და სიწყნარის მოტრფიალე ფუთელს ბედნიერება ეწვევა, უკვე მინდორზე იხილოს მუშტი-კრივი, ჭიდაობა, გინებით ერთმანეთის შემკობა და სხვა ოინბაზობა, რომელსაც ზოგიერთი ხუმარა ფეხბურთის უწოდებს!”

* * *

ერთ დღეს “ფუთელი ლომების” ფეხბურთელთა ვარჯიშის დროს მინდორთან გამოჩნდა ვიღაც დაბალი, სქელი, კურდღლისტუჩა, თვალგადმოსკარკლული, მუავე სახიანი კაცი; “გუნდის მთლათ უფროსი” იკითხა ბოხი ხმით, რა ჰქვია და სად არის ამჟამადო.. გააგზავნეს უტუ კამპბელიასთან – ეგერ წვრთნის ფეხბურთელებს, ჯანთან, თავმოტვლეპილ კაცს ხომ ხელავ, ჩიბუხი რომ აქვს გაჩრილი პირშიო.

გუნდის ვარჯიში უპირატესად კარში გაუთავებელი დარტყმებით შემოიფარგლებოდა და უტუ ბატონიც ამ დროს კართან იდგა, თვალყურს ადევნებდა და მითითებებს აძლევდა ფეხბურთელებს.

მივიდა ეს კაცი უტუ ბატონთან და არც მისაღმებია, ისე ჰკითხა:

– შენ ხარ უტუ?

უტუ ბატონს გაუკვირდა: ვინ არის ეს უზრდელი, მამის ტოლა კაცს შენობით რომ მომმართავსო; ახელ-დახელა, ჩიბუხი პირიდან გამოიღო:

– დიახ, მე გახლავარ, რა გნებავთ? – უტუ ბატონმა ხაზგასმულად თქვენობით უპასუხა.

– შენ ხარ ამ საქმის ავანჩავანი?

– რას გულისხმობთ? – უკვე ამრეხით დაუბრუნა კითხვა უტუ ბატონმა.

– რას და... გუნდის საქმეებს შენ უძღვები? შენ ხარ ამათი მამასახლისი?

– მერე, რა თქვენი საქმეა? აღარ მეტყვით, რა გნებავთ?

– რა და... ვატყობ, ძალიან დაკავებული კაცი ხარ. ბიჭებთან ერთად დარბიხარ ამ ხნის კაცი მინდორში, რადაცას ასწავლი... სხვა რამისთვის დრო აღარ გრჩება, ასე არ არის?

– ჰო, ასეა, – დაეთანხმა უტუ ბატონი. – მერე? მერე, რა გნებავთ?

– მე მიგხედავ გუნდის საქმეებს, საათიგით ავაწყობ! გაგათავისუფლებ ყველა და ყოველგვარი საზრუნავისგან! დაგაინტერესებ ფულიან ხალხს, მოვიზიდავ სახსრებს – თქვენ მხოლოდ ითამაშეთ! მოგიძებნით ახალ, ძლიერ მოთამაშეებს! მიყვარს, ხომ იცი, ფეხბურთი და მოხარული ვიქნები “ლომებს” ვემსახურო!

უტუ ბატონი დააფიქრა უცნობის წინადადება, უთხრა, მარტო მე ამ საკითხს ვერ გადავწყვეტ, გუნდის წევრებს მოვეთათობრები და თუ მათი თანხმობა იქნა, მერე მოვილაპარაკოთ ჩვენი თანამშრომლობის პირობებზე, ერთ კვირაში მობრძანდით პასუხისთვის.

ასე გამოჩნდა ჩვენთან გუნდის საქმეების მომკვარახეინებელი გელა მგელუკაშვილი – ყოველთვის საქმიანი იერი უმშვენებს უკმაყოფილო სახეს, სულ წუწუნებს და ფულის შოვნის სიძნელეს ჩივის... ყოველთვის რაღაცა აწუხებს, ყოველთვის ცუდს მოელის, ყველაფერში უმთავრესად უარყოფითს ხედავს და მცირე ხინჯს ან ხარვეზს უსაშველოდ აზვიადებს... მისი მუდმივი “ტირილი” აღიზიანებს უტუ ბატონსაც და ბიჭებსაც, მისი მოშორებაც უნდოდათ, მაგრამ გელამ საოცარი სიბეჯითე და ალღო გამოიჩინა დანაპირების შესრულებაში, გუნდის მდგომარეობა ფულის მხრივ ბოლო დროს დიდად გაუმჯობესდა და გელას მარად დაძმარებულ ხასიათზე ყოფნას აღარ აქცევდნენ ყურადღებას, სასაცილოდაც კი ეჩვენებოდათ. ეტყობა, ეს გელა ბატონის ნიღაბი იყო, რასაც ფრიად მოხერხებულად იყენებდა: მტირალა სახე სხვებში თანაგრძობას აღძრავს და ყურადღებას აღუნებს, შენსა უფრო იოლად გაიტან...

მთელი ფუთის ახალგაზრდობა ცდილობდა მოხვედრას “ფუთელი ლომების” ფეხბურთელთა გუნდში და გელა გააკეთდა – ფულს ართმევდა მსურველებს, იმედით ავსებდა, ბოლოს კი – პირში ჩალაგამოვლებულებს ტოვებდა.

ისეთი ფეხბურთის მოყვარულებიც იყვნენ, თვითონ ასაკის გამო აღარ შეეძლოთ თამაში და შვილები მოჰყავდათ გელასთან – ოღონდ თქვენს გუნდში ათამაშეთ ჩემი ვაჟი, თვიურად ას ვერცხლსაც არ დავიშურებო. გელაც ცდილობდა, უპირატესად გუნდში ჩაერიცხა ფულიანი მამიკოების შვილები...

მერე უტუ ბატონი გაკვირვებული რჩებოდა: ეს ას კილოგრამიანი სქელი საიდან ჩამოეთესლა ჩვენს გუნდში, ამას აქ რა უნდა, ეგ ცირკში უნდა ჭიდაობდეს აბსოლუტური ჩამპიონის წოდების მოსაპოვებლად.

ფუთში რამდენიმე ისეთი გუნდიც იყო, რომლებშიც მხოლოდ თავადთა და ვაჭარ-მრეწველთა ნაშიერნი ირიცხებოდნენ, “დაბალი საზოგადოებიდან” იქ ვერავინ გაიჭაჭანებდა... მაგრამ ამ გუნდებს ძალიან უსუსური დონე ჰქონდათ და მათი მესვეურნი იძულებულნი გახდნენ, ძლიერი ფეხბურთელები გადაეხებინათ სხვა, “მდაბიოთა” გუნდებიდან, კერძოდ კი – “ფუთელი ლომებიდანაც”, იმის ფასად, რომ მათ დაუნიშნეს ყოველთვიური ჯამაგირი და ფულადი ჯილდოები ყოველი მოგებული შეხვედრისთვის. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ “არისტოკრატთა” გუნდებში ამგვარი ჯილდო შემდგომში იშვიათად გაიცემოდა, რადგან ისინი მაინც მაჩანჩალურად თამაშობდნენ. გელა მგელუკაშვილი ფეხბურთელთა ამგვარი “გაყიდვითაც” ივსებდა საკუთარ ჯიბეს.

უტუ ბატონმა დროულად შეიტყო გელას ცუდლუტობის ამბავი, წყნარად უთხრა, ამჯერად შენობით მიმართა:

– გელა ბატონო, შენ თუ ჩვენი გუნდის ხარჯზე საკუთარი სასახლის აშენებას აპირებ, მაგ ოცნებას გამოემშვიდობე. ჩვენც გამოგვემშვიდობე, რადგან შენისთანა გაიძვერები არ მომწონს და შენთვისაც ჯობს, სხვაგან მოძებნო გულზბრყვილო და სულელი ხალხი! ეგ არის მთავარი!..

გელამ თავის მართლება დაიწყო, იფიცებოდა, რომ ცილი დასწამეს, ცამდე მართალი იყო...

უტუ ბატონმა ბევრი არ ალაპარაკა და ისე შემოჰკრა მეზღვაურულად მუშტი მასზე ოცი წლით უმცროს გელას, რომ ერთი კვირა ბატონი გელა საჭმელს სულ კრუსუნ-კრუსუნით მიირთმევდა, იმასაც – მხოლოდ ფაფას, რადგან კბილებიც ბლომად დააკლდა.

ორი კვირის შემდეგ გელა მოვიდა საღამოს გემზე და უტუ ბატონს ფეხებში ჩაუფარდა: ევედრებოდა, ოღონდ გუნდში ვიყო და ყოველგვარ პირობაზე თანახმა ვარ; ერთხელ მაინც თუ კიდევ ფეხი დამიცდეს, ხანჯალი გამიყარეთო...

უტუ ბატონმა უპასუხა:

– შენ მხოლოდ მე კი არ მაწყენინე, მთლიანად გუნდს უღალატე... მე უკვე წამალიც შესაბამისი გამოვიწერე და ჩემდა თავად მიპატიებია; ხვალ ვარჯიშის წინ მობრძანდი და ფეხბურთელებმა გადაწყვიტონ შენი ბედი!

უტუ ბატონის გამოწერილმა წამალმა გელას ნამდვილად უშველა და შემდგომ მასზე სასაყვედურო აღარავის დასცდენია. გუნდში დაბრუნებისთანავე ჩვეული ცხოველი საქმიანობა გააჩაღა, დიდი ალღო და ფხა გამოიჩინა და ყველა კმაყოფილი დატოვა. ძირითადად ფული გუნდისთვის გელამ ასე იშოვა: მოინახულა ფულიანი ფუთელები და ბევრი მათგანი დაიყოლია გაეხსნა ქისა...

განსაკუთრებით ფუთელ ვაჭრებს სწყალობდა. სათითაოდ დაიარა მათი ოჯახები და, სარგებლობდა რა იმ გარემოებით, რომ ვაჭრები ერთმანეთს ექიშებოდნენ სახელის მოხვეჭაში, გაქნილი გელა სარგებლობდა ამით და სცინცლაგდა მათ ფულს.

I გილდის ვაჭარს ბერა ორდემამიშვილს უთხრა:

– ბატონო ბერა! ვიცით თქვენი ხელგაშლილობის ამბავი და დარწმუნებული ვარ, გვიბოძებთ ფეხბურთელთა ტანსაცმლისთვის 300 ვერცხლს! ამ ამბავს გახეთის ფურცლებზე გამოვაქვეყნებთ და მთელი ფუთი გაიგებს თქვენი გულმოწყალების შესახებ! მაჩის დაწყების წინაც გამოვაცხადებთ ჩვენი გამორჩეული ქველმოქმედის სახელს და, თუ თქვენი სურვილიც იქნება, თქვენი კუთვნილი მაღაზიების მისამართებსაც!

ბერა ორდემამიშვილი ფეხბურთით მაინცდამაინც არ იყო გატაცებული, მაგრამ გელას საქმინი წინადადება ჭკუაში დაუჯდა და გარკვეული თანხაც გაიღო, ოღონდ იმ პირობით, რომ, თუკი რაიმე მასალა დასჭირდებოდათ, შეჭველად მისი რომელიმე მალაზიიდან შეეძინათ.

გელამ მომჭირნეობა გამოიჩინა: იმ ფულით ლეიბების შესაკერავი იაფი ქსოვილი იყიდა და გუნდის ფეხბურთელებისთვის მაისურები შეკერეს – თეთრი და ლურჯი შეკრული ზოლებით!

შემდგომ, როცა, “ლომებმა” სახელი მოიხვეჭეს, მთელი ფუთი აჭრელდა ლეიბის ქსოვილისგან შეკერილი ზოლიანი კვარტებითა და კაბებით! ბერა ორდემამიშვილი გაკეთდა – ერთიათად ამოიღო “ლომების” გუნდისთვის ბოძებული თანხა!

გელა მგელუკაშვილმა II გილდის ვაჭარს დემნა დათიბაძეს შესთავაზა:

– გვიბოძეთ 100 ვერცხლი და მით შევიძინო ძვირფას ჯილდოს – საგანგებოდ დავამზადებინებთ მოქრულ თასს ან აზარფეშას, როგორც თქვენი მოწყალება აირჩევს, და ჯილდოდ გადავცემთ გამარჯვებულ გუნდს! მასზე წარწერილი იქნება შემომწირველის სახელი! აგრეთვე ავირჩევთ გუნდის “ფუთელი ლომები” საპატიო წევრად! მაჩის შემდეგ, რომელშიც ჩვენ შეჭველად გავიმარჯვებთ, მთელი გუნდი გადაიღებს სამახსოვრო ფოტოსურათს და თქვენ გეკნებათ პატივი, პირველი რიგის შუაში იყოთ სამარადჟამოდ აღბეჭდილი – ჩვენთან ერთად! შუშიან ძვირფას ჩარჩოში ჩასმულ სურათს შინ პირადად ჩემი ხელით მოგართმევთ!

ბატონმა გელა მგელუკაშვილმა არც თავადებს დასწყვიტა გული და მათაც ესტუმრა მაცდური წინადადებებით...

მაგალითად, ერთხელ ბრწყინვალე თავადს ნასყიდა ყიფშიანს მიადგა შინ და ურთიერთ მისალმების შემდეგ ჯიქურ შეუტია:

– თქვენო ბრწყინვალეებავ! ინებებთ თუ არა მოხსენიებულ იქნეთ განცხადებაში?

– რა განცხადებაში? – იკითხა ბატონმა ნასყიდა ყიფშიანმა და შავად შეღებილი, დაგრავინილი ულვაშის მარჯვენა წვეტიანი ბოლო, რომელზედაც, როგორც ამბობენ, ბუზი აეცმებოდა, კიდევ უფრო მადლა აზიდა. – საჯაყი რამე ხომ არაფერია?

– რას ბრძანებთ, თქვენო ბრწყინვალეებავ! ქალაქის მთელი წარჩინებული საზოგადოება დაესწრება პირველ საფეხბურთო წარმოდგენას ფუთში და თქვენ როგორ დააკლდებით! ერთი ამბავია ატეხილი, ერთმანეთს ეჭვიდავებიან საპატიო ადგილებისთვის! წარმოუდგენელი ამბავია, ბატონო, ბილეთი მოგართვათ?

– აუცილებლად!

– სულ რამდენიმე ბილეთია დარჩენილი, თქვენ რამდენი გნებავთ? და კიდევ ერთი: განცხადებაში და აფიშებში როგორ მოვიხსენიოთ?

– ბრწყინვალე თავადი გახლავარ!

– ძალიან სასიამოვნოა! რამდენი ბილეთი მოგართვათ?

– რამდენი და... სხვები რამდენს იძენენ?

– სამზე ნაკლები არავის აუღია...

– მაშინ – ათი იყოს!

– თქვენო ბრწყინვალეებავ! გაზეთში გამოქვეყნებულ განცხადებაში და ქალაქში გაკრულ აფიშებში თქვენი სახელიც განსაკუთრებით გამორჩეულად იქნება მოხსენიებული, ვითარცა იმ აღამიანისა, რომელმაც არა მხოლოდ პირადად თავისი, არამედ მთელი ოჯახის დასწრებითაც ამ პირველ მაჩს დასდო დიდი პატივი... ალბათ არ დაზარდებით, თქვენო ბრწყინვალეებავ, მცირეოდენი თანხა გაიღოთ ჩვენი საფეხბურთო გუნდის ტანსაცმლის შესაძენად! როგორც ინებებთ და გვიბრძანებთ – ნიფხავზე ან მაისურზე თქვენს სახელს დავაწერთ! დიდი ასოებით!

* * *

მიუხედავად იმისა, რომ “ფუთის საყოველთაო საფეხბურთო კავშირის” წესდება ჯერ არ არსებობდა და, ცხადია, არც ფუთის მოურავს წარუდგინეს დასამტკიცებლად, რაღაც მანქანებით მოხერხდა ნებართვის აღება პირველი საფეხბურთო მაჩის ჩასატარებლად.

მაჩის გამართვამდე ერთი კვირით ადრე ფუთში გააკრეს აფიშები კედლებზე და ღობეებზე, ასევე გამოქვეყნდა უზარმაზარი განცხადება გაზეთში “ფუთური ფართიფურთი” ამგვარი შინაარსისა:

“გამაოგნებელია!

განსაცვიფრებელია!

19 სექტემბერს, დღის 4 საათზე

ბიჭიას საბურთაო მინდორზე გაიმართება

განუმეორებელი მაჩი ფეხბურთში მსოფლიო პირველობაზე!

უდიდესი შესვენრა ჩვენს საუკუნეში!

ჩგაუგონარი, ჯერ არნახული სანახაობა!

□ ა გ თ უ ლ შ დ წ ქ უ შ □ – “ჭალადიღელი ქმდ უშიშ” წინააღმდეგ!!!

ვინც არ დაესწრება, საუკუნოდ ინანებს, შვილიშვილებიც კი არ აპატიებენ მას

ამ უდიდეს დანაშაულს!
მლაპრულ საოცნებო მოგონებად დაგრჩებათ: მოხუცებს გაგახალგაზრდავებთ!
შეხვედრის დაწყებამდე დაუკრავს საგანგებოდ მოწვეული ქალაქ ფუთის
სახანძრო ნაწილის სანიმუშო-საჩვენებელი სასულიერო ორკესტრი!

ბურთის თამაშობაში მონაწილეობენ:
ფეხბურთელთა გუნდის “ფუთელი ლომები” მხრიდგან:

- i ყ იწსწ ლტლმუდ ფუბ “ცხვირა” – გოლკიპერი ანუ ჭიშკრის მცველი – ავაზასავით ჭიშკრის დარაჯი, შეუვალი!
 - ii ყ ქფქფქუ იგრ ფ გკ მფ “მგლისმუხლა” – ბეკი ანუ მცველი – დარწმუნდებით, ტყუილად არ ჰქვია!
 - iii ყ ლ ბფდ ფ ცფქმცუმმდ მბ “კურდღლისფხა” – ჰავბეკი ანუ ნახევარმცველი – ქარივით სწრაფია!
 - iv ყ დ წt მფ სმზწ მუბ “ულვაშა” – ფორვარდი ანუ თავდამსხმელი – ისეთი მაგარია, თვითონაც არ იცის, რას იზამს!
 - v ყ იფცგდ მფ პუქჩმფ მფ “უნიფხვო” – ფორვარდი ანუ თავდამსხმელი – თავს მოიკლავს, დასაკარგავი არაფერი აქვს!
 - v i ყ დ წ ქლს აგსაგსფმმდ მბ “კნაჭა” – ფორვარდი ანუ თავდამსხმელი – ნახეთ ერთი, ვინ იქნება მისი დამწვევი!
 - v ii ყ ჩგეფ ჩგიგეფმუბ “მუბგურია” – ფორვარდი ანუ თავდამსხმელი – თუ ვინმეს დაეჯახა, წასულია მისი საქმე!
 - v iii ყ ლსმფ დ ფ ფმფუბ “ბულა თურქი” – ფორვარდი ანუ თავდამსხმელი – ნახეთ მისი ძალა და დარწმუნდით – ნაღდი ბულაა!
 - ix ყ ფკ ოუმფტ ოფმმფ “მუგუმალა” – ფორვარდი ანუ თავდამსხმელი – არ გეგონოთ, ტყუილად უძახიან ასე, ცეცხლია!
 - x ყ იუოგკ იგკ იგაუდ ფმმდ მბ “ბირკა”, “კონკილა” – ფორვარდი ანუ თავდამსხმელი – ორი მეტსახელი აქვს, ორ ბურთს მაინც შეაგდებს!
 - x i ყ სფდ ლ მღგოფ პფქწ სჩფ უიგდ მI – გუნდში საგანგებოდ მოწვეული ინგლისიდგან! – ფორვარდი ანუ თავდამსხმელი!
- გუნდის მბრდღვინავ ლომებს უთავგაცებს ყოფილი ფეხბურთელი, მსოფლიოს სხვადასხვა მხარეს მრავალ ქვეყანაში ნათამაშევი და ამჟამად გამოცდილი მწურთნელი გეგ ლქმბიულ შფ!

ფეხბურთელთა გუნდის “ჭალადიდელი მგლები” მხრიდგან:

- i ყ ფმწ წ ჩწ კ უმფუბ “კიკოლიკე” – გოლკიპერი ანუ ჭიშკრის მცველი – თვითონ ნახეთ, რა ბიჭიც არის!
- ii ყ აწსჩმუკ ფ ფკ უმფუბ “მუშტე” – ბეკი ანუ მცველი – არ ვისურვებდი მასთან პირისპირ შეხვედრას!
- iii ყ დბუდ მ ლქ უმფუბ “ალაჯუნე” – ჰავბეკი ანუ ნახევარმცველი – მაგარია! მაგის დარტყმულ ბურთს ერთ საათს ეძებენ!
- iv ყ იფლჟკ პფგ ფკ უმფუბ “ჯონჯოლიკე” – ფორვარდი ანუ თავდამსხმელი – სახელმა არ მოგატყუოს, ერთ ლუკმად არ ეყოფი!
- v ყ თწ თწ პფგ ქწ კ უმფუბ “ლრანჭე” – ფორვარდი ანუ თავდამსხმელი – ვინც მაგას აჯობოს, დაიკეგნოს!
- v i ყ ლსმფ პფქწ კ უმფუბ ”ნიჩაფე” – ფორვარდი ანუ თავდამსხმელი – მოწინააღმდეგის იმედებს გაუთხრის სამარეს!
- v ii ყ თფგ ფდ ფ პფგკ უმფუბ “ხაპიპარიე” – ფორვარდი ანუ თავდამსხმელი – თუ ვინმეს გადაუდგა, არ გეგონოს, გაუშეგბს!
- v iii ყ ლლკ მ ლლქ კ უმფუბ “კულრაჭე” – ფორვარდი ანუ თავდამსხმელი – სულ იცინის, მარა ბევრს გაამწარებს!
- ix ყ მუაჩწ ლფუმფუბ “გემელქორი” – ფორვარდი ანუ თავდამსხმელი – უფრთხოდეს ყველა, მაგის დარტყმული ბურთი ქვას ხეთქავს!
- x ყ იუთლწმუკ უმფუბ “ჭინკე” – ფორვარდი ანუ თავდამსხმელი – მაგის დამწვევი არავინაა!
- x i ყ პგდ ფუკ ჩმწქ კ უმფუბ “კვანწიე” – ფორვარდი ანუ თავდამსხმელი – ბევრს გაამწარებს მოედანზე!

ჭალადიდელ ემეებდალესილ მგლებს ხელმძღვანელობს სახელგანთქმული მწურთნელი ქფფე წ იუდ ფ ლქ უმფუბ ადრე – იგავიუწვდომელი ლელობურთელი და ადრე და ამჟამადაც – მაგარი მომლხენი, განუმეორებელი თამადა და უბადლო მოკრიმანჭულე!

შეჯიბრების წინ დამსწრე სამოგადოებასა და ფეხბურთელებს მისასალმებელი სიგყვით მიმართავს ქალაქის მოურავი ლქ ცწ იფ ნწ ცფუქI წარმოდგენას დაესწრება ქალაქ ფუთის რჩეული სამოგადოება:

ბრწყინვალე თავადი გფინშე ფ ნშაწმფგმბ
ბრწყინვალე თავადი ფგ მდ ფგ ფგ ფქქმშფ

ბრწყინვალე თავადი ლწლწ ლწლწლ ლწლწ
 ბრწყინვალე თავადი დ წ ქლს დ წ ქლ მ მ უბ
 I გილდის ვაჭარი ფქმ მგვ წ ვ წ გგ გკ ფმამდ მბ I გილდის ვაჭარი ბარა წ კ ვ უვ ქფმამდ მბ
 II გილდის ვაჭარი ვ უქგვ ვ ფ მიფმუბ II გილდის ვაჭარი ბაძარ ჩწ აწ მგკ ფუბ
 სასტუმრო “ფუთის” მფლობელი იფაკ ფე რ კ ფფე მფამდ მ და სხვა წარჩინებული პირები. G
 პფფე თბუიგდ პგგვ თ პფფე ფუსუფე №?? ბუე სხდ მბ
 ფაკ უ მუ ჯმმე აფი მ ქწ წ ლ გდ მ t ფიბ
 კ წ ქუდ ს მს ჩგ t მ ცფე უფ რ მ მგწ ცფე მბ
 ს უწ წ მ გდ მ ii ა მდ ვ მთ მფფე მთ ვ უქგვ ვ ფ მიფმუბ პფგ
 ფეხბურთელებს საბეიმოდ გადაეცემათ სამახსოვრო სამკერდე ნიშნები:
 “ქალაქ ფუთში გამართული პირველი საფეხბურთო მაჩის მონაწილეს”! □
 ამის გარდა, მაჩის საუკეთესო მონაწილეს მიენიჭება ძვირფასი საილუმლო ჯილდო
 ანუ ძღვენი ბრწყინვალე თავად ლწლწ ლწლწლ ლწლწ პფგ
 ფუთის საპატიო მოქალაქემ ფქმ მგვ წ ვ წ გგ გკ ფმამდ ქფ ღააწესა ფულადი ჯილდო,
 რომელსაც საბეიმოდ გადასცემს გამარჯვებული გუნდის თავკაცს!
 გუნდები ითამაშებენ ინგლისური ბურთით, რომელიც ამ მაჩისთვის საგანგებოდ შეიძინა
 ბატონმა ბაქარ ხოჭოპურაძემ!
 იყილება ცივ-ცივი ნაყინი და ლიმონათი, ცხელ-ცხელი ხაჭაპური, ღვებელი და სხვა და სხვა –
 პგპგგვ ლგლვ მფთრესტორნიდგან □ქწ იკ ჯფგ მბ პუფსმფდ უ□
 t გ ცმმქმფგმ ფქმგვ მ მფფე ფე ს უს მგვ უ 0 ს უმპუკ ფ ქფმგ ს უე პუიფ
 დამსწრე უფალ მოქალაქეთ განგუმარტავთ: ორი გუნდი ერთიმეორის წინააღმდეგ თამაშობს.
 მიზანი: მრგვალი, საბამთროს ხელა გაბერილი ბურთი უნდა წაიღო ფეხით, ტანით, თავით – ყველაფ-
 რით, გარდა ხელისა! – მოწინააღმდეგის კარისკენ და შიგ შეიტანო.
 მაჩის წინ გამართება მრავალფეროვანი სანახაობანი:
 ჭიდაობა, სიმძიმის აწევა და ბაგირის გადაწევა!
 დამსწრეთ დაატკობს ხალხური სიმღერების შემსრულებელთა გუნდი,
 დაუკრავს მეხანძრეთა სასულე ორკესტრი!
 აგრეთვე ჩატარდება ჯერ არნახული თვალწარმტაცი შეჯიბრი –
 ველოსიპედისცი დოლის ცხენის წინააღმდეგ!”

“ფუთელი ლომების” ერთ-ერთ ფეხბურთელს ბებურ ბურბუშელაშვილს ეწყინა:
 – კარგია, რომ აფიშებშიც და გაზეთში გამოქვეყნებულ განცხადებაშიც ჩვენი გვარები სათი-
 თაოდ არის ჩამოთვლილი, მაგრამ რატომ ჩვენი ფოტოსურათებიც არ არის გამოქვეყნებული,
 თუნდაც პატარა? ანდა მიკიტან გუგუნა კუნკულიას რა ისეთი დამსახურება მიუძღვის, რომ მისი
 უზარმაზარი ფოტოსურათი მისი სამიკიტნოს დარბაზში კედელზე ჰკიდია ფუნჯით ხერლში და
 ისე იღიმება, თითქოს მთელი ქვეყანა მისი იყოს?
 (ამ მიკიტნის, მისი ფოტოსურათისა და შემოქმედებითი საქმიანობის შესახებ შემდგომ წვრი-
 ლად მოგიტხრობთ!).
 და რა გასაკვირია, თუკი თავმომწონე თავადებს ფრიად არ მოეწონათ მათი საამაყო სახე-
 ლის მოხსენიების ადგილი ამ განცხადებაში – ძალიან ქვევითაა მოთავსებული ყოველი მათგან-
 ნის გვარი, ფეხბურთელებზე უკან დააყენეს!!! თანაც ბაქარ ხოჭოპურაძისა და გუგუნა კუნკული-
 ას გვარები ბრწყინვალე თავადთა გვარებზე ბევრად მსხვილად და დაბეჭდილი – წარმოუდგენე-
 ლია!!! კიდევ უფრო აღმაშფოთებელია – ეს მიკიტანი გუგუნა კუნკულია ვინღაა? თავხელი!
 რამდენიმე განსაკუთრებით გაწიწმტებული დასდევდა მოსახელთებლად გუნდის საქმეთა
 წარმმართველს გელა მგელუკაშვილს, – მოსაკლავად თუ არა, გასალახად ან გასალანძლად მა-
 ინც, – მთელი ბეწკვი აჩონჩხილილი სახლაფორთო ამბებისა!
 – ვინ გგონივარ მე შენ? არ შეგარჩენ ჩემი სახელის აბუჩად აგდებას! – უბღვერდა ერთი და
 ძვირფას ხანჯალს ნერვიულად უსინჯავდა ვადას..
 – ხუთი ბილეთი გაგისადეთ! რატომაა ჩემი გვარი მოხსენიებული ნასყიდა მათხოვრის, ხე-
 ლის ბიჭის ადილარ მაიმუნის ან თუნდაც იმ ნაბუშარ კოკის შემდეგ? – თვალებს უბრიალებდა
 მეორე და ბოხოსს ჩამოიფხატავდა შუბლზე..
 სხვათა შორის, ყველაზე ძალიან განაწყენდა ვაჭარი ამირინდო დონდურაშვილი. ჯერ ხომ
 “ჭალადიდელ მგლებთან” მისულა და იქაურობა აუწყრალეობა, მერე “ფუთელ ლომებსაც” მოა-
 კითხა:
 – ჩემი გვარი რატომ დაამახინჯეთ! მე ჯერჯერობით დონდურაშვილი გახლავარ და არა
 დონდურაშვილი! არ გაპატიებთ ჩემი გვარის ასეთ აბუჩად აგდებას, უფრო მეტიც – შეურაცხ-
 ყოფას! თანაც – ერთხელ კი არა, ორგზის! მე მხოლოდ ფუთში კი არა, მთელ საქართველოში,
 სრულიად კავკასიაში, პოლონეთში და ინდოეთშიც კი კარგად მიცნობენ და დიდადაც მცემენ
 პატივს, აქ კი ფეხებზე დამიკიდეთ! – ჯვარს აცვა გელა მგელუკაშვილი და საყვედურებით აიკ-
 ლო, ბოლოს, დაემუქრა: – ყველას სამაგალითოდ დაგსჯით: არა მხოლოდ ჩემს მიერ დაწესებულ
 ფულად ჯილდოს ვედარ ეღირსებით, სასამართლოშიც მოგიწევთ პასუხის გაცემა პიროვნული

შეურაცხყოფის მოყენებისთვის! მე საქმიანი კაცი გახლავარ და ჩემი სახელის შებღალვა ძვირი მიჯდება! და დაიმასხოვრეთ ჩემი სიტყვა: უფრო ძვირი თქვენ დაგიჯდებათ!

დაესია გუნდის ხელმძღვანელობა და ცდილობდნენ, ხან – ხუმრობით, ხან – ხვეწნა-მუღარით, გაგულისებულნი ბატონ ამირინდოს გულის მოღობობას.

– შენი ჭირიმე, ათას ბოლიშს გიხდით უნებლიე შეცდომისთვის! რა მოხდა მერე – ერთი ასო ჩაუმბატებიათ სტამბაში უნებურად, ხომ არ მოუკლიათ? – უთხრა უტუ კამპბელიამ.

ამ საბუთმა ამირინდო დონდურაშვილი კიდევ უფრო გააცეცხლა:

– ეგლა მაკლდა სწორედ, მთელი ასო მოგეკლათ! მე კი რომ ჩემს ჯილდოს მოგაკლებო, ამას წყალი არ გაუვა!.. ნაღდად!

ახლა მთელი გუნდი შეეცადა მის დაშოშმინებას; გელა მგელუკაშვილი განსაკუთრებით გამოირჩეოდა, შეეცადა, მასმებლობით გასულიყო ფონს:

– თქვენი კეთილი სახელი და ძვირფასი პიროვნული თვისებები საყოველთაოდაა ცნობილი, ჩვენო ძვირფასო ბატონო ამირინდო, და წამითაც არავის გაუგლია გულში მისთვის ოდნავაც კი ჩრდილის მიყენება... ეს ერთი დიდსულოვნად გვაპატიეთ, გაიღეთ მოწყალება და ნუ მოგვაკლებთ თქვენს წყალობას, ყოველთვის თქვენი იმედი გვქონდა და ამჯერაც თქვენს იქით გზა აღარ გვაქვს!..

– ჯერ საჯაროდ მომჯაყეთ და ახლა თავს მიქონაეთ? – ბობოქრობდა ბატონი ამირინდო. – დაიკარგეთ აქედან!

ბოლოს, როგორც იქნა, მოხერხდა ამირინდოს გაბრაზების მოთოკვა:

– ამირინდო ბატონო! – მოწიწებით მიმართა მას უტუ კამპბელიამ, – თქვენი ჭირიმე, ნუ მოგვაჭრით ყელს უარით! მაჩის დაწყების წინ მისასაღმებელი სიტყვის წარმოთქმას თქვენზე უკეთ ვერავინ შეძლებს!.. დაგვდეთ პატივი, შეგვაწიეთ თქვენი მისალოცი და დასალოცი სიტყვა – ქალაქის მოურავის ბატონ კონობა ყოჩაძის მაგივრად! ეგ არის მთავარი!..

ბატონი ამირინდო ერთხანს ვითომ უარს იყო, თავაპატიუს იღებდა, მაგრამ ბოლოს, როგორც იქნა, დათანხმდა: ქალაქ ფუთში ფეხბურთის პირველი, ისტორიული მაჩის დაწყების წინ დამსწრეთათვის მისასაღმებელი სიტყვით მიმართვა მართლაც გამორჩეული პატივი იყო!

ახლა მეორე, ფრიალ ძნელი წინაღობა იყო დასაძლევნი – მოურავ კონობა ყოჩაძეს რა მოუხერხონ – მაჩის გახსნისას მისასაღმებელი სიტყვის სხვისთვის დათმობაზე როგორ დაიყოლიონ?

ეს ფრიალ საჭოჭმანო საქმე მიანდეს გელა მგელუკაშვილს...

ვერ ვიტყვი, გამირულად მოაგვარა-მეთქი, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი იყო საჭირო შედეგის მიღწევა ანუ, როგორც უტუ ბატონს უყვარს თქმა: “ეგ არის მთავარი!”, შედეგი კი მართლაც ბრწყინვალე იყო! მოურავ კონობა ყოჩაძეს არათუ არ მოუწია მაჩის გახსნაზე მისასაღმებელი სიტყვის წარმოთქმა, არამედ მისი უდიდებულესობა ბიჭიას მინდვრის სიახლოვესაც კი არავის უნახავს!

ჩვენდა საბედნიეროდ, ბატონ კონობა ყოჩაძის ოჯახის მზარეული ფეხბურთის დიდი თავყანისმცემელი გამოდგა, დიდად გაიხარა, როცა გელამ მას შესთავაზა ორი ბილეთი ქალაქ ფუთსა შინა პირველ ოფიციალურ მაჩზე დასასწრებად, სანაცვლოდ კი სთხოვა, აფთიაქში საგანგებოდ შექენილი საფადართო თეთრი ფხვნილი გაერია მოურავისთვის მირთმეულ საჭმელში... და ბატონ კონობა ყოჩაძეს ისეთი კუჭის აშლილობა დაემართა, რომ ხუთ წუთში ერთხელ თავქუდ-მოგლეჯილი გარბოდა ფეხსაღაგისკენ, ამ მზარეულის სიტყვით, ფეხბურთელებს სისწრაფეში არაფრით ჩამოუვარდებოდა! ფეხბურთი ვიღას ახსოვდა!.. კიდევ უარესი – სასწრაფოდ მოწვეულმა ექიმმა ბრძანა, ღიზენტერიასთან ან ქოლერასთან ხომ არ გვაქვს საქმეო და კონობას მაშინვე საავადმყოფოში უკრეს თავი!

კარი VI. აქა ამბავი გასაოცარი პირველი მაჩის დაწყებისა!

კვირას, ნასადილევს, თითქმის მთელი ფუთი მოაწყდა გარეუბანში მდებარე ბიჭიას მინდორს, სადაც გაიმართა ბურთის თამაში ფეხბურთელთა ორ გუნდს, “ჭალადიდელ მგლებსა” და “ფუთელ ლომებს” შორის.

მშვენიერი, უქარო ამინდი დადგა და ბრდღვიალა მზეც თითქოს ხარობდა, რომ ასეთი სანახაობის მომსწრე და დამსწრე იყო!

ფეხბურთის სიყვარული იმდენად საყოველთაო გახდა ფუთში, რომ პოლიციელები მიასწავლიდნენ ხალხს, შეჯიბრების ადგილისკენ როგორ წასულიყვნენ.

ქუჩაში მიმავალი პირველი მაყურებლები დარაჯად მდგარ პოლიციელს ეკითხებოდნენ:

– ბოლიში, ბატონო, გიჟები აქ სად დარბიან?

– ფეხბურთელები? – ზრდილობიანად პასუხობდა პოლიციელი, – აგერ, ამ მხარეს მიბრძანდით და პირდაპირ ბიჭიას მინდორზე გახვალთ!

საფეხბურთო მინდვრის გარშემო მთელი ადგილი გადაშავდა ხალხით; უმრავლესობას მოჟიგევივე ბავშვები და მხიარულად ხმამაღლა მოსაუბრე კაცები წარმოადგენდნენ, თუმცა აქა-იქ

თვალს მოჰკრავდი ქოლგიან, საგანგებოდ საგარეოდ გამოპრანჭულ მანდილოსნებსაც. ყველანი ფეხზე იდგნენ, მხოლოდ ერთ ადგილას, მინდვრის კიდეზე, შუაში, რჩეული საზოგადოებისთვის ააშენეს ფიცრული ნაგებობა რამდენიმე რიგად გამართული სკამებით და საჩრდილობლებით.

იმასაც მოგახსენებ, რომ საკმაო რაოდენობით დაძრწოდნენ ძაღლებიც, რომლებიც მიიზიდა ზღვა ხალხის მოდენამ; თითქმის ყველას შინიდან წამოღებული ჰქონდა ათასგვარი საჭმელი, გემრიელად ილუკებოდნენ და ნარჩენებს ჩვენც გვიწილადებდნენ.

სადღესასწაულო განწყობა მხოლოდ ბიჭიას მინდვრის ახლომახლო ხეებზე ბუდეთა პატრონებს არ ჰქონდათ – ვითომ ირგვლივ გამეფებული საყოველთაო ჟრიაში არ იყო საკმარისი ფრინველთა მყუდროების დასაფრთხობად და თავხედი ბიჭებიც მიძვებოდნენ მათ სამკვიდრო ხეებზე – მაჩის მსვლელობისთვის თვალის სადევნებლად უკეთეს ადგილს ვერც ინატრებდი!

მოესწრო, მოესწრო ფუთი ისტორიულ მოვლენას – ყველა წესის დაცვით პირველი ოფიციალური საფეხბურთო მაჩი იმართება! წესების მცოდნე მსაჯით, ხაზებით მონიშნულ მინდორზე, ნამდვილი კარებით და ნამდვილი ბურთით! და უამრავი, მიმზიდველ სანახაობას მოწყურებული მაყურებლით! და აღარავის უკითხავს – აფიშებში დაპირებული სხვა გასართობები რატომ დაავიწყდათ...

საფეხბურთო მაჩის საზეიმო გახსნისას, ბევრისთვის სრულიად მოულოდნელად, მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ფუთის საპატიო მოქალაქემ, პირველი გილდის ვაჭარმა ამირინდო დონდურაშვილმა. ბატონი ამირინდო მჭერმეტყველებით არ გამოირჩეოდა და ამიტომ წინასწარ დაწერილ ქაღალდის ფურცელს კითხულობდა; ამ მისალმების შედგენა მან წინა დღეს დაავალა ერთ-ერთ საკუთარ ნოქარს, უჩა ჟუნურუკაძეს: “შე გამოჩერჩეტებულ, სულ წიგნებში რომ გაქვს ცხვირი ჩაყოფილი, დიდად განათლებულად მოგაქვს თავი, სხვაში არაფერში გარგია ეგ შენი ცოდნა და დამიწერე, რასაც გეტყვი! ხომ იცი, პირველი საფეხბურთო შეხვედრა უნდა მოეწყოს ფუთში და მისასალმებელი სიტყვა მე უნდა წარმოვთქვა! ხვალისთვის დამიწერე – დიდი ასოებით, გარკვევით, რომ ადვილად გავარჩიო! და ვაი შენი ბრალი, თუ ისეთი არ გამოვიდა, როგორც მე მეკადრება!”

– ძვირფასო ფუთელნო! – ასე დაიწყო თავისი მისასალმებელი სიტყვის კითხვა ბატონმა ამირინდომ. – ნაბა მიბოძეთ, ქალაქის ღრმად პატივცემული მოურავის კოჩობა ყოჩაძის, აქ დამსწრე ფუთის მაღალი საზოგადოების წარმომადგენლებისა და მაჩში მონაწილე ფეხბურთელთა სახელით ყველას გულწრფელად და გულთბილად მოგესალმოს! დღეს ჩვენ მოწმენი ვართ ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენისა კაცობრიობის მსოფლიო ისტორიაში, რომელთან შედარებითაც დიდად ფერმკრთალდება რომის დაარსება ამერიკო ვესპუჩის მიერ, ამერიკის კონტინენტის აღმოჩენა ლეონარდო და ვინჩის მიერ და ფუთის სარკინიგზო სადგურის გახსნაც კი. ჩვენ მოწმენი გავხდებით ორი შესანიშნავი გუნდის ორთაბრძოლისა, რომლის მსგავსი არ შემოუნახავს ისტორიის ანაღებს, მასთან ახლოს ვერ მოვა თემურლენგის მიერ პორტუგალიის დედაქალაქ ლიზბონას ძირფესვიანად დანგრევა 1755 წელს, ნაპოლეონის მიერ ლონდონისა თუ ბუენოს აირესის ძღვეამოსილად აღება, ფერნანდო მაგალანშის მიერ ინდოეთისკენ საზღვაო გზის აღმოჩენა და მრავალი სხვა დიადი ისტორიული მოვლენა. ამრიგად, ძვირფასო თანამემამულენო, ფრიადი ბედნიერება გვეწვია და გზას დაგულოცავთ ამ ახალ, დიად წამოწყებას, რომელიც, ყოველ ეჭვს გარეშე, ძირფესვიანად შეცვლის ჩვენი დიდებული ქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებას, შეიტანს მასში ჯერ არნახულ სიხალისეს, ახალგაზრდულ მაჯისცემასა და ბრძოლისუნარიანობას. მაშ ასე, იწყება ისტორიული პირველი საფეხბურთო მაჩი ორ შესანიშნავ გუნდს შორის: მამაცი “ფუთელი ლომები” და ვაჟკაცი “ჭალადიდელი მგლები” გამარჯვების მოსაპოვებლად ერთმანეთს შეერკინებიან, რათა გვაჩვენონ და დაგვატკბონ საკუთარი სიჩაუქითა და მოხერხებულობით! აბა ჰე, ეკვეთეთ ერთმანეთს, ჩვენო ძვირფასო ლომებო და მგლებო, ვითარცა კართაგენელი და სპარტელი ერთმანეთს ვატერლოსთან და საუკუნეებში დატოვებულ თქვენი საარაკო შერკინების ამბავი! დიდ მადლობას გიძღვნი და, იმედია, მადლიერების ამ გრძობაში შემომიერთდება ყველა აქ დამსწრე! აქვე დიდი სიამოვნებითა და სიამაყით მოგახსენებთ, რომ ჩემს მიერ დაწესებულია ფულადი ჯილდო, განკუთვნილი ამ მაჩში პირველად ბურთის გამტანისადმი, მას საზეიმოდ გადავცემ პირადად მე! გისურვებთ წარმატებას!

ეტყობა, მისმა ნოქარმა უჩა ჟუნურუკაძემ სამაგიერო გადაუხადა ბატონ ამირინდო დონდურაშვილს, პატრონისგან დღენიადაგ დაცინვისა და დამცირებისთვის და დამსწრე საზოგადოების განათლებული ნაწილი ფრიად გაამხიარულა!

მოწვეულმა ქალაქის მეხანძრეთა სანიმუშო-საჩვენებელმა სასულე ორკესტრმა საზეიმო მარში “დიდებული კოლხეთი” დააგუგუნა; ორივე გუნდის ფეხბურთელები მოედანზე გამოვიდნენ, ერთმანეთის პირდაპირ დაეწყვიდნენ, შემდეგ ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და მაყურებლებს ხელების მაღლა ამართვით მიესალმნენ.

ხალხმა ტაში დასცხო, ბიჭბუჭობის სტვენამ იქაურობა გააყრუა, მაღლა ასროლილი მტრედები ჰაერში აფარფატდნენ! და ძაღლებმაც კი ამ უჩვეულო ჟრიაში სიხარულით ყეფა დაიწყეს!

ბურთი მოედნის ცენტრში დადეს და წილი ჰყარეს – მაჩის დაწყების პატივი “ლომებს” ხვდათ წილად.

მაგრამ... ამ დროს ყველას ყურადღება იმ ადგილმა მიიპყრო, სადაც საპატიო სტუმრები ისხდნენ – იქ რაღაც აყვალმაყალი ატყდა!

– შე ნაბიჭვარო, რათ არ ახსენე, რომ ბურთი ჩემი ფულით არის შექენილი?! – ბობოქრობდა ფეხზე წამომხტარი ვაჭარი ბაქარ ხოჭოპურაძე; მერე გინებაზე გადავიდა და ბატონ ამირინდოსთვის გემრიელად მუშტის ჩაზელასაც ლამობდა და უჭკველად აიხდენდა კიდევ გულის წადილს, გამშველებლები რომ არ ჩარეულიყვნენ. – წავიღებ ახლა იმ ბურთს და ვნახავ, რით ითამაშებთ!

ამირინდო დონდურაშვილი გაქცევას ცდილობდა, მაგრამ მეორე მხრიდან მას მოძიბილავე მამალივით დაძაგრული ბრწყინვალე თავადი კოკი კინკილავა თვალებს ავად უბრიალებდა, დიდ უღვაშებს აცმაცუნებდა და მუშტს უღერებდა:

– მობრძანდი აქ, ერთი გემრიელად გაგალამაზო! შენს ტილიან ფულად ჯილდოზე რომ ყროყინით აიკელი აქაურობა, რით არის ნაკლები ჩემი ძვირფასი საიდუმლო ძღვენი, ხსენების ღირსად რომ არ ჩათვალე, ჰა? მათხოვარო! ჩაგჩრი ახლა იმ ძღვენს მაგ მყრალ პირში – სხვა დროს იცოდე, რა უნდა თქვა!

როგორც იქნა, პოლიცია ჩაერია ამ გაწევ-გამოწევაში და მისი დახმარებით ბატონმა ამირინდომ თავს უშველა. როცა თავქუდმოგლეჯილი გარბოდა, უჩა ჟუნურუკაძემ დრო იხელთა და ფეხი დაუდო; მიწაზე გადაკოტრიალებული ვაჭარი ისე წამოხტა და მოკურცხლა, უკან მოხედვა არც უფიქრია...

გამხიარულებული ბრბო ახლა მეორე თვალწარმტაცი სანახაობის დაწყებას მოუთმენლად ელოდა, მათ შორის – ფიშტოც, რომელიც იღვა მინდვრის კიდევზე.

და ამ დროს მასთან მიიჭრა აქოშინებული უტუ ბატონი:

– წამოდი, ბიჭო, საჩქაროდ ტანსაცმელი გამოიცვალე – ერთი კაცი გვაკლია და შენ უნდა ითამაშო!

– რა მოხდა? – ჰკითხა გაკვირვებულმა და გახარებულმა ფიშტომ.

– ბებურ არ მოვიდა, ღმერთმა დასწყევლოს მაგის თავი! შენ უნდა შეცვალო!

... მსაჯმა ჩასტინა და ისტორიული შეხვედრაც დაიწყო.

ბურთს პირველმა დაარტყა ფიშტომ; მაშინვე წინ გავარდა ყველა “ლომი”, გარდა, რა თქმა უნდა, ჩვენი მეკარისა. “მგელთა” საჯარიმო მოედანზე ატყდა ერთი ორთმტრიალი და მათმა მეკარემ მამამზეს – მგლისმუხლას – მიერ დარტყმული ბურთი მუშტებით ძლივს მოაცილა იქაურობას... ფიშტომ, რომელსაც ბურთი მიუგორდა, ისევე მძლავრად დაარტყა მეტოქის კარისკენ; ბურთი მუცელში მოხვდა ერთ-ერთ “მგელს” და მიწაზე გააგორა, მეორემ კი ბურთი “ლომთა” მხარეს მოიგერია. ახლა ორივე გუნდის ყველა მოთამაშე მეორე მხარეს გაიქცა, გარდა წაქცეულია, მწვრთნელები კი ხმის ჩახლეჩამდე უყვიროდნენ მათ: “წინ წაიღე ბურთი, წინ წაიღე!”

დამსწრეთა შორის მრავლად გამოერია ისეთი მაცურებელი, ვინც მოელოდა ლელობურთის მსგავს თამაშს და ახლა ვერ ფარავდა იმედგაცრუებას:

– ეს წვერულვაშიანი კაცები რაღამ გადარია, ნიფხვის ამარა რომ დარბიან წინ და უკან დამდურულებივით!

– სულ დაკარგეს სირცხვილი!

– საქმე დაელიათ, ბიძია, და ალბათ მახათი ვერ იშოვეს!

– ცხენოსნები სად არიან, ასე რა გემო აქვს ბურთის მხოლოდ ფეხით წადებას!

– ახალი თამაშია? არც ველოსიპედის გამოყენება შეიძლება?

– იმ მელოტს რაღა უნდა, ქუჩის ბიჭივით რომ უსტვენს? აქეთ-იქით უთავბოლოდ დარბის და ყველას ფეხებში ებლანდება!

– ეგ მსაჯია, მომრიგებელი, ბიჭებში ჩხუბი რომ არ ატყდეს!

– მომრიგებელია თუ შემრიგებელი? მე რომ მკითხო, ჯერ ეგ არის საცემი!

პირველად ეს უჩვეულო სანახაობა ლელობურთის თაყვანისმცემლებს ფრიად უგემური მოყვანათ, მაგრამ მერე და მერე ფიცხლად დაუწყეს თვალის მიღევნება ბურთის გორვას წინ და უკან, აქეთ და იქით; ფეხბურთელთა თავდაუზოგავი წადილი ბურთის გატანისა მათაც გადაედოთ და სხვებთან ერთად ისინიც გამეტებით გაჰყვიროდნენ გამამხნეველ სიტყვებს, ზოგჯერ კი, მოლოდინის გაცრუებისას, არც დაცინვას აკლებდნენ.

ცოტა როდი იყო ისეთიც, ვინც ამბობდა: “ფეხბურთი რის მაქნისია, დროის ფუჭად ფლანგაა და მეტი არაფერი! თან ეს მოწიფული ხალხი რომ გიჟივით დარბის უთავბოლოდ და ქვეყანაზე ყველაფერი ავიწყდება, ბურთის გორების გარდა, სხვები რაღამ ააცეცა, რომ დამდგარან და ხან ღრიალებენ, ხან უსტვენენ, ხან ტაშისცემით იქაურობას იკლებენ და ბიჭიას მინდვრის ახლომახლო ქათმებს, მტრედებს, ბედურებს და ძროხებსაც კი აფრთხობენ? რა არის ამაში ან მოსაწონი ან რაიმე აზრის შემცველი?”

ამგვარ შეხედულებას ვერ დავეთანხმები და ამის დასამტკიცებლად ერთ ამბავს გიამბობ, რომელიც ორ პატივცემულ პიროვნებას გადახდა სწორედ ქალაქ ფუთში ჩატარებული ამ პირველი საფეხბურთო მაჩის დროს; ამისთვის კი ორ პატივცემულ პიროვნებას – ორბელსა და სანდალას – გაგაცნობ.

საყვარელო, წინდაწინ მოგახსენებ: ამ მაჩამდე ორბელ და სანდალა უკვე დიდი ხნის განმავლობაში ერთმანეთთან უბრად იყვნენ...

ორბელ ბატონი, როგორც მის მოსულ ტანს შეეფერება, როხროხაა, ყოველ საკუთარ ემოციას ძლიერ ხმამაღლა გამოხატავს; როცა სამიკიტონში შემოდის, კარს აუცილებლად მძლავრად აჯახუნებს; ძალ-ღონე და ენერჯია იმდენი აქვს, რომ ბარე სამ კაცს ეყოფა. ყოველგვარ პაექრობა-დავაში ბავშვურად უშუალოა და თრგუნავს მოწინააღმდეგეს მძლავრი ბანით; თან უბედურება ისაა, რომ მისი სიტყვა ხშირად წინ უსწრებს აზრს – წინადადებებს დაუწყობლად, აჭიბაბჭიად ისვრის, თვით აზრისადმი სიტყვიერი ფორმის მიცემის სტიქიურ და საკმაოდ ხანგრძლივ პროცესს გარშემო მყოფთა გაღიზიანება მოჰყვება და არცთუ იშვიათად შემდგომ სანანებლად უხდება წინდაუხედავად ნათქვამი – გვიან ხვდება, რომ რაღაც შეეშალა, მაგრამ ამის აღიარება უჭირს...

სანდალა ბევრად დაბალია, გამხდარი, მაგრამ ძარღვიანი, დაკუნთული. ორბელ ბატონთან ის საერთო აქვს, რომ ყველაფერს ურჩევნია თავდავიწყებით კამათი ნებისმიერი საკითხის შესახებ და არც ის უწევს მაინცდამაინც ანგარიშს მოწინააღმდეგის აზრს.

როგორც მოგახსენე, როგორღაც ისე მოხდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ორბელ და სანდალა რაღაც საკითხს სხვადასხვაგვარად შეხედეს,, რბილად რომ ვთქვათ, ვერ შეთანხმდნენ, ბჭობის დროს ვერც ერთმა, ვერც მეორემ ვერ დაიცვა კამათის ჯენტლმანური წესები და... გაშველების შემდგომ ერთს ცხვირი ჰქონდა ფეხბურთის ბურთივით გასივებული, მეორეს – ორი საკუთარი წინა კბილის წაღება მოუწია შინ ჯიბით...

იმ დროიდან ერთმანეთს ხმას აღარ სცემდნენ.

მათი უმძრახად ყოფნის ამბავი უკვე იმდენი ხნის იყო, რომ ორივეს დაავიწყდა კიდევ ჩხუბისა და მათი ურთიერთობის ხანგრძლივად გაწყვეტის მიზეზი, რა ვერ გაიყვებს ამ უზარმაზარ წუთისოფელში... ცნობილია, დრო ყველაზე უკეთესი მკურნალია და ჩვენს ურთიერთ გადაკიდებულ გმირებს თითქოს უნდა განელებოდნენ წყნის სიმწვავე, რამდენჯერმე სხვებიც შეეცადნენ მათ შერიგებას, მაგრამ ერთიცა და მეორეც კერკეტი კაკალი გამოდგა – არც ერთს სურდა პირველს გადაეღა დიდსულოვანი ნაბიჯი... რა არ იღონეს მათმა საერთო მეგობრებმა, ერთხელ ხალხმრავალ პატივსაცემ სუფრაზე საგანგებოდ გვერდიგვერდ დასვეს კიდევ, გვარიანად შეაჭიკჭიკეს ნაქები ღვინით, ერთად ამღერეს კიდევ, მაგრამ შემდგომ, ფხიზლებს, მაინც ვერ ნახავდით ერთმანეთთან დალაპარაკებულებს...

რაღა უნდა ექნათ – ყველამ ჩაიქნია ხელი: მაგათი შერიგება ამქვეყნად არ იქნება და ისღა დაგვრჩენია, იქნებ საიქიოს მაინც ურთიერთ მოუღბეთ გულიო...

ამჟამად კი ერთი რამ მათ მაინც აერთიანებს – ორივე ფეხბურთის ნამდვილი ტრფიალი!

დღეს ორივენი მინდვრის კიდესთან მიმდგარ ხალხში ურევნიან და ფეხბურთის გარდა, ყველაფერი დავიწყებული აქვთ.

წარმტაცი თამაში გაჩაღდა!

ხან ლომები” უტევენ, ხან – ”მგლები”...

– შენ, ბიჭო, იმ გრძელ ნიფხვიანს მიხედ! – უყვირის უტუ ბატონი ლოთია უღვაშას. – ეგ არის მთავარი!..

– გეუელქორს? სწრაფი კია, მაგრამ მოვუგრეს კისერს! – პასუხობს ლოთია, ხუმრობით დააყოლებს: – ძველი ანგარიშები მაქვს – გოგო წამართვა!

ლოთიას რომ ბურთი მიუგორდა, – არ ვიცი უნებლიედ მოუვიდა ეს თუ პირი გაუშრა და განზრახ მოიქცა ამგვარად, – მისი მუცლის სიმადლეზე ამხტარ ბურთს ქვევიდან მძლავრად ამოარტყა ფეხი და ბურთი შვეულად გააფრინა! თუმცა ბურთის ზევით ქროლვას გადაეღობა მინდვრის პირას მდგარი მსხმოიარე გულაბის გადმოშვერილი დახუნძლული ტოტები და მწიფე მსხალი ხრიალით წამოვიდა ქვევით!

ლოთიამ მაშინვე რამდენიმე ნაყოფი აკრიფა და ისე ხარბად ჩაკბინა სურნელოვანი, წვნიანი ნაყოფი, რომ ტკბილი წვენი ნიკაპიდან ზოლვებიან კვართზე ჩამოუწურწურდა. ლოთიას მრავალი მიმბაძველი გამოუჩნდა და დროებით თამაშის გაგრძელება შეუძლებელი გახდა: საიდანღაც გამოტყვრა უამრავი ღორი, დაესივნენ ჩამოცვენილ მსხალს და ატყდა ერთი თქლაფათქლუფი!

ახლა მათ დაესივნენ მსაჯიცა და ფეხბურთელებიც, მაგრამ გემრიელი მსხლების დაუფლების შეჯიბრში დრუტუნები გამოვიდნენ გამარჯვებულნი: სანამ ბოლო ნაყოფი არ შეთქველიფეს, ღორებს ვერც წიხლების ცემით და ვერც ჯოხების რტყმევით მოედნიდან ფეხი ვერ მოაცვლევიონეს!

როცა მაყურებელთა სიცილ-ხარხარი დაცხრა, თამაში განახლდა.

ლოთია ციხიძე ვერ გამოდგა გამძლე მოთამაშე – სწრაფი კია ძალიან, მაგარი ფინტებიც აქვს და თავგზას უბნევს მცველებს, კარშიც კარგად ურტყამს და ორი გოლიც ერთიმეორის მიყოლებით სწრაფად გაიტანა მოწინააღმდეგის კარში, მაგრამ აგებულებით სუსტია, მალე დაიღალა; მოწინააღმდეგეებიც არ ინდობენ, ხან ხელს ჰკრავენ და ბალახზე გააგორებენ, ხან ფეხს გამეტებით გამოჰკრავენ კანჭებში და მოცვლავენ... ხშირად შავდება, ამიტომ თამაშის მეორე ნახევარში უტუ ბატონი იძულებული გახდა, ლოთიას ბალახზე მორიგი გადაკოტრიალების შემდეგ, ის სათადარიგო მოთამაშით შეეცვალა.

– რომელი მგლებია ესენი, ჭალადიდში ტურების მეტი არაფერია! ორ ბურთს კიდევ შევაგდებდი, მარა საწყლებია ძალიან, მეცოდება! – მაინც კარგ გუნებაზეა და ხუმრობს ლოთია მო-

ედნიდან კოჭლობით გასვლისას. – ბატონ ამირინდოზე კი ნაწყენი ვარ, რატომ დააწესა ფულადი ჯილდო მხოლოდ პირველი ბურთის გატანაზე?

ჯობს, თამაშის მსვლელობას მივადევნოთ თვალი – სანამ მე აქ ვლაქლაქებდი, კინაღამ ბურთი ჩვენს კარში გავიდა, მაგრამ ბოცომ ივაჟკაცა და ტყვიასავით მიმქროლაგი ბურთი ფეხით მოიგერია – ხელით ვეღარ ასწრებდა!

იმ გრძელი ფეხით მძლავრად მოგერიებული ბურთი გადავარდა ერთი მოსახლის – ბიჭია ჭიჭყინაგას – ეზოში; ეს ბიჭია იმდენად სახელგანთქმულია ფუთში, რომ მისი სამოსახლოს გვერდით მდებარე მინდორს ბიჭიას მინდორის სახელით მოიხსენიებენ ფუთელნი.

ეს კაცი შარიანი ვიღაცა ჩანს, ბურთს ისაკუთრებს, აღარ აბრუნებს:

– ბურთი ჩემს ეზოშია და ჩემია! ვისაც ამის არ სჯერა, შემობრძანდეს – აქვე ავაუწავ ხანჯლით! თუ ურჩევნია, თოფით გაფუძისპინძლდე? არც მაგი გამიჭირდება!

ბიჭია კი ჰქვია, მაგრამ ამჟამად შუახნის, ორ მეტრიანი, ჩასხმული ტანის კაცია, ბუღას დაწითლებულ თვალებს აბრიალებს, მსხვილი უღვაშები ზევით აქვს ხარის რქებივით აპრეხილი და დაძაბულად აქეთ-იქით აცმაცუნებს სუნნაკრავ ჭიანჭველასავით... ქამარზე უზარმაზარი სატყვარი ჰკიდია, მარცხენა ხელში ნადავლი ბურთი უჭირავს, მარჯვენაში კი მაჭახელა აქვს შემართული – თუ ბიჭი ხარ, მიეკარე! ცოცხლად შეგჭამს!

გაიმართა მიწვევ-მოწვევა, გაისმა ერთი მხრიდან – თხოვნა-მობოდიშება, მეორე მხრიდან – მუქარა და გინება, რასაც ბოლოს მოჰყვა თოფის ჰაერში სროლაც...

ტყუილად არ იქაღნებოდა ყოფილი ფირალი!

ბურთის დარდი ვიღას აქვს; ყველანი გარბიან, შეშინებულნი! ჭყლეტა, ხელ-ფეხის ღრძობა, რამდენიმე დაბეჭილი ფერდი და გატეხილი თავიც...

მაჩის ჩაშლას აღარაფერი უკლია...

ბურთი მაინც ძვირად უღირთ – ერთადერთი აქვთ, ისიც საგანგებოდ შეკერილი მამია მეჯღანის მიერ!

სხვა გზა არ ჩანს – უნდა რამენაირად მოვლაპარაკონ ბურთის ახალ “მფლობელს”...

ხანმოკლე თათბირის შემდეგ ბებერი ზღვის მგელი უტუ კამპბელია გაამწესეს ელჩად, რომელიც იქაღნებოდა:

– მე მიმიშვით მაგ ბიჭიასთან! თავზე ხელაღებული მთვრალი მეზღვაურების მეტი რა მინახავს მთელი მსოფლიოს ნავსადგურების ღუდხანებში, მათთან შედარებით ის ბაჭიაა!

სანამ უტუ ბატონი დაიწყებდა დიპლომატიურ მოლაპარაკებას, მანამდე მე ჩავერთე ამ ორმეტრიანში, თორემ გამარჯვებულის იერით ბრბოს წინ ამაყად გაჯგიმული ბატონი ბიჭია ვითომ დათანხმდებოდა მოლაპარაკებას?

– ჩემს სამოსახლოში რა უფლებით შემოუშვით ის ცოფიანი ძაღლი? – ბრდვინავს ბიჭია.

– ძაღლი კი არა, მგელია! მე რა ვიცოდი მაგის ხასიათი, უკნიდან მებღღვნა და ახალთახალი შარვალი დამრჩა ოხრად, ნაკბენი ხელი კიდევ ცაღკე სალაპარაკოა!

– მაჭახელას რომ არ ევაჟკაცა, ხომ დახოცავდი ხალხს, ცოდვას დაიდებდი! – ამუნათებს უტუ კამპბელია. – შენ ცოდვად ისიც გეყოფა, რომ ამდენი ხალხი ტყუილად დაიფრინე და ჯგლეთაში სამმა კაცმა ფეხი იღრძო, ორმა წაქცევისას თავი გაიტეხა, სამს ნეკნები აქვს ალბათ გაბზარული მაინც და ოთხმა ხელი მოიტეხა. შენი გახეული შარვალი ამათთან რა მოსატანია! ჩაგვამწარე დიდებული მაჩი!

– ეგ რა არის, დამაცათ!.. თქვენ ხომ იცით, ძველი ფირალი ვარ და ძვირად დაგისვამთ თავხედობას! – თვალებს აბრიალებს ბიჭია, მაგრამ ჩემგან შორს ყოფნას კი ამჯობინებს – ცალი თვალით მე მიდარაჯებს.

– რანაირი ფირალიც იყავი, მთელმა ფუთმა იცის და ნუ დამამდერებინებ შენს ცოდვებს ახლა! – ეუბნება ბატონი უტუ კამპბელია.

– რომელი ფირალი იპარავდა ცხენებსა და ძროხებს და მერე გარბოდა ტყეში? – დაამატა საიდანდაც გამომტყვრალმა ვაჭარ ამირინდო ღონდურაშვილის ნოქარმა უნა ჟუნურუკაძემ, რომელიც მანამდე, ყოველი შემთხვევისთვის, უტუ ბატონის ზურგს ეფარებოდა.

მე კი ვარ იქვე დაყუნცული ჭკვიანად, ვითომც რამდენიმე წუთის წინათ ბიჭიას შარვლის სიმტკიცე არ შემემოწმებინოს; თან მეცოდება, ხომ იცი – მარტოხელაა და შარვალს ვინ გაუკერავს?

ბიჭიამ რომ უტუ ბატონს ვერაფერი შეჰკადრა, წინ გამომხტარი წრიპა უნა ჟუნურუკაძე თუ მოეჩვენა დაბალ ღობედ და მისკენ გაქარგას აპირებდა, მაგრამ უცებ ერთდროულად ორი კაცი გვერდებიდან ეცა და ჩააფრინდა აქეთ-იქიდან მაჯებში; უნა მივარდა ბიჭიას და ბურთი გამოღლიტა ხელიდან, უნა ბატონმა თოფიც წაართვა და შორს მოისროლა.

– ბიჭია ბატონო, გირჩევნია, აღარ შეგვიშალო ხელი! – უთხრა უტუ ბატონმა და ბიჭიას დამტყვრებს სთხოვა, გაუშვით, წავიდეს თავისი გზით.

“ძველმა ფირალმა” მუქარით რაღაც ჩაიბურტყუნა და, ამდენი ფეხბურთის თაყვანისმცემლის შემხედვარემ, ამჯობინა, იქაურობას გასცლოდა... თანაც დაინახა: რამდენიმე პოლიციელი გამომართა ამბის გასაგებად – საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას თოფის სროლა და აყალმაყალის ატეხვა ვინ გაბედაო.

ბიჭიას გამკაცვებლები ორბელ და სანდალა გამოდგნენ.
საოცრება მოხდა – ორბელმა და სანდალამ ერთი კი შეხედეს ერთმანეთს, შემდეგ ორივემ მორცხვად გაიღიმა და ერთმანეთს ხელი გაუწოლა...

**კარი VII. აქა დიდად სამწუხარო ამბავი პოლიციელთა “ხუმრობისა”,
დიდად დაზიანებული თავების, ხელ-ფეხის და ნეკნებისა,
დაგვირგვინებული საყდრის სამრეკლოზე ზარების რეკვით**

მაყურებლებმა თამაშის განახლება ყიჟინა-ღრიანცელითა და სტვენით აღნიშნეს.
და მოწინააღმდეგის პირველივე შეტევისას მეკარე ცხვირამ ერთი შეხედვით იოლი ბურთი გაუშვა: გეზელქორის მიერ დარტყმული ბურთი მიწაზე შედარებით ნელა მიგორავდა, მაგრამ მეკარის წინ უცებ ახტა – ეტყობა, პატარა ბორცვუკაზე – და გაწბილებულ ბოცოს სირცხვილი ატამა, კარში შეგორდა...

რკინის დიდ კასრზე აცოცებულმა ბავშვებმა რიყის ქვებით საშინელი რახუნი ატეხეს – ალბათ მთელმა ფუთმა გაიგო, რომ მორიგი გოლი გავიდა.

ანგარიში გახდა 2 : 1 “ლომების” სასარგებლოდ.

მაყურებლებმა ჩვენი მეკარე აბუჩად აიგდეს:

– ეგ ხორთუმი ტყუილად გაბია? მიდი, მიდი, დროზე გაანძრიე, ან ბურთს მოხვდება, ან მოწინააღმდეგეს!

– ბიჭო, რამ დაგაძინა, ბურთს ვერ ურქინე? ტყუილად გაქვს ეგ ბურთივით ცხვირი?

გაბრაზებულმა ფიშტომ კი უყვირა:

– ცხვირაგ, შენ ქუდი ხომ არ გიჭერს? გაამჭყირე თვალები!

– შენ თვითონ ხარ ბედოვლათი, საით ურტყამ ბურთს, ვერ ხედავ! – დაუბრუნა ხურდა დარცხენილმა ცხვირამ.

ფიშტოს რაღა ეთქმოდა, მართლაც რამდენჯერმე ხელსაყრელი მდგომარეობიდან დარტყმული ბურთი ააცილა მეტოქის კარს, მაგრამ განტეგების ვაცი მაინც იპოვა:

– ბუცები არ ვარგა, მამია მეჯღანის შეკერილი რა იქნება! ისე მიჭერს, კარს კი არა, მზეს ვერ ვხედავ!

მოედნის კიდესთან მივარდა უტუ კამპბელია, ახლა ის აყვირდა:

– საქმე დაგელიათ? რა დროს ჩხუბია, ითამაშეთ! ეგ არის მთავარი! – მერე მგლისმუხლას, მამამზე ბუღათურისა მიმართა: – მე რა გითხარი, გძინავს?! მიხედე, დროზე მიხედე გეზელქორს!

მართალია, გეზელქორის “მწყემსვა” უტუ ბატონმა ლოთიას დაავალა და არა მას, მაგრამ მამამზეს არაფერი უპასუხია და ახალი დავალების შესრულებას გულმოდგინედ შეუდგა. “ლომები” კი წინ წავიდნენ, ისარგებლეს მოწინააღმდეგის რიგებში გამეფებული დაბნეულობით და გეზელქორის მეურვეობისგან განთავისუფლებულმა ლოთია უღვაშამ ჯერ ერთი ბურთი გაიტანა მოწინააღმდეგის კარში, შემდეგ – მეორეც...

ანგარიში გახდა 4 : 1!

ეტყობა, ბიჭებმა თავი აიშვეს, ამათ ვაჩვენებთ, რა მაგრები ვართო – “ლომებმა” დაიწყეს მასხარაობა, ბურთის ერთმანეთისთვის უმიზნოდ გადაწოდება ან უაზროდ ხანგრძლივი ტარება...

“ლომების” მხრივ ბურთის ასე უგემურად თრეგასა და ზოზინს შედეგად ის მოჰყვა, რომ “მგლებმა” სული მოითქვეს, უცებ გამოცოცხლდნენ, გაყოჩაღდნენ და ბურთიც გაგვიტანეს – 4 : 2!

თამაში ისევ “მგლების” უპირატესობით გაგრძელდა, მხოლოდ ერთხელ იყოჩაღა ფიშტომ, ჩვეული სიმარჯვით წინ გაიგდო ბურთი, რამდენიმე მცველს აუარა გვერდი და ძლიერად დაარტყა მოწინააღმდეგის კარის მიმართულებით...

დარტყმა! და ხედა ძელი შუაზე გადაიმტერა!

– უყურე შენ, რა მაგარი ფეხი ჰქონია ამ დალოცვილს!

– არა, კაცო, ძელი იყო დამპალი! აბა რა იქნებოდა, იაფად იშოვა გელამ!

კარი საჩქაროდ შეაკეთეს, თამაში განახლდა.

რატომღაც “ლომებზე” არ იმოქმედა უნებლიე შესვენებისას უტუ ბატონის მიერ მათმა დამოძღვრამ, რომ ამგვარი დუნე თამაშით ცუდ შედეგს მოიმიკიდნენ... “მგლები” ისევ წინ და წინ მიიწეოდნენ და კიდევ ერთი გოლი გაგვიტანეს...

ხალხი კმაყოფილი იყო ასეთი შედეგიანი თამაშით, სტვენა-ღრიანისგან ყურები იყო წაღებული. “მგლების” მწვერთნელი მასხარობელა კოკირეხვაძე აღვზნებული იქნევადა ხელს და საკუთარი გუნდის ფეხბურთელებს აქეზებდა:

– ყველანი წინ წადით, წინ წადით ბურთი, წინ! მიაწეკით, მიაწეკით!

წარმატებით გათამამებული “მგლები” მთლიანად “დასახლდნენ” “ლომების” საჯარიმო მოედნის სიახლოვეს და კიდევ ერთი ბურთის შეგდებასა და ანგარიშის გაყვამებას თითქმის აღარაფერი აკლდა, რომ ამ გახურებული ბურთაობის დროს მოულოდნელი ამბავი დატრიალდა:

მობრძანდა ამ უბნის ბოქაული კუჭულია კუნჭულიაქე და მოურიდებლად პირდაპირ მინდორზე გამობრძანდა თავისი პოლიციელებითურთ:

– ჩვენც გეინდა თამაში! – ბოხი ხმით უხეშად განაცხადა.

– რას ბრძანებთ, პატივცემულო, – კინაღამ გაგიჟდა უტუ კამპბელია, – შუა თამაშს გვაწყვეტინებთ!

– ეგ არაფერი, სხვა დროს გააგრძელებ, ახლა კი ჩვენც მოვედით თამაშის იშტაზე! ახლა ჩვენს თამაშსაც უყურეთ! თუ გინდათ, ჩვენ შეგვეჯიბრეთ!

– კი, ბატონო, სიამოვნებით შეგვეჯიბრებით და ვნახავთ, სხვა ფორმაში გამოწყობილები რა ყოჩებიცა ხართ, მაგრამ გვაცალეთ, ჯერ “ლომებსა” და “მგლებს” შორის გავარკვევთ გამარჯვებულს! ეგ არის მთავარი!..

კარგა ხნის ჭიჭყინის და დავის შემდგომ, კუჭულიამ ფეხბურთელებს შესთავაზა:

– თანახმა ვარ, გააგრძელებ შეწყვეტილი ასპარეზობა! მეც სიამოვნებით ვუყურებ, ოღონდ ბურთი მომეცით, მე უფრო შუა ადგილას გავაგორებ, გულს არავის დაგწყვეტ, კიდევაც მოგეწონებათ!

ბურთი ბოქაულს გადასცეს, იმან კი უცებ ბურთი შეიარაღებულ პოლიციელებს გადაულოცა და უბრძანა:

– ახლავე პოლიციის უბანში წაიღეთ! – ხალხს კი უყვირა: – დაიშალეთ, დაუყონებლივ დაიშალეთ!.. ვინც არ დაემორჩილება ხელისუფლების წარმომადგენლის ბრძანებას, პოლიციის უბანში მივაბრძანებ!

ხალხი – მოთამაშეებიცა და მაცურებლებიც – აღშფოთდა, აღელვებულებმა დაიწყეს ყვირილი:

– ბურთი დაგვიბრუნეთ!

– ბურთი ჩვენია!

– სულ აქ ვთამაშობთ, რა უფლებით გვიკრძალავთ ბურთაობას?

ბოქაული კუჭულია კუნჭულიაქე კი ცდილობდა, უკმაყოფილოთა წამოძახილები ყვირილით გადაეფარა:

– კანონის დარღვევა დაუშვებელია! ფუთის პოლიციის უფროსის ნებართვის გარეშე ბურთაობა არ შეიძლება! თუკი გაქვთ ასეთი წერილობითი ნებართვა, წარმოადგინეთ!

ატყდა აყალმაყალი, ხალხი არ იშლებოდა.

– კანონს თვითონ არღვევთ!

– ქალაქის თავთან გიჩივლებთ!

პოლიციელებმა ძალით სცადეს მათი გარეკვა, განსაკუთრებით ურჩებს ხელჯოხებითაც უმასპინძლებოდნენ. ფეხბურთის თაყვანისმცემლები ბევრად მეტი იყვნენ პოლიციელებზე და მათ შეტევას არ შეეპყვნენ. აქა-იქ ქვებმა გაიზუზუნა და ჯოხებიც გამოჩნდა, უფრო სწორედ – ბიჭიას ღობიდან დააძვრეს სარები და დაატრიალეს...

ბოქაული მხლებლებითურთ იძულებული გახდა, იქაურობას გასცლოდა, მაგრამ ნახევარ საათში სასწრაფოდ მობრძანდა თვით ფუთის პოლიციის უფროსი მამუკელა პეტელეიშვილი, მას მხარს უმშვენივრდნენ ბოქაულები და რამდენიმე პოლიციელთა გაძლიერებული რაზმი, ასევე – მამუკელამ არ დაიზარა, გამოიძახა და თან ეტლებით მოიყვანა სახანძრო რაზმიც წყლის კასრიანი სახანძრო ოთხთვალათი და პომპით.

მამუკელა პეტელეიშვილი, მაღალ-მაღალი, გამხდარი, დიდულვაშა კაცი, ყოველთვის თვალმოჭუტვით დადიოდა, თითქოს ვიღაცას ეჭვიანად გულმოდგინედ უთვალთვალესო, ამჯერად კი, ასეთი არნახული არეულობისა და უმსგავსოების შემხედვარემ, თვალები დააჭყიტა და წესრიგის აღსადგენად ომახიანი ბრძანებების გაცემაც არ დააყოვნა.

პოლიციელებმა ხელჯოხები დაატრიალეს, მეხანძრეებმა ჩვეული სიმარდით გაშალეს ბრეზენტის დახვეული მილი, ორმა კაცმა აამუშავა პომპა და დაიწყეს ხალხის გაწუწვა დასაშლელად.

ხალხს ამგვარი უჩვეულო მოპყრობა ხუმრობა ეგონა და ეცნენ სახანძრო ოთხთვალას, მეხანძრეთ წაართვეს ცეცხლის ქრობის მოწყობილობა, მილი ფიცხლად შეაბრუნეს და ახლა პოლიციელებსა და მეხანძრეებს დაუწყეს გაწუწვა.

ატყდა მიწე-მოწევა, ბლლარძუნი, რომელიც შემდგომ ხელჩართულ ბრძოლაში გადაიზარდა და დიდად დაზარალდა ორივე მხარე, მათ შორის: პოლიციის უფროსს მამუკელა პეტელეიშვილს ნასროლი ქვით კინაღამ ამოუგდეს მარცხენა თვალი, ბოქაულ კუჭულია კუნჭულიაქეს კი – მარჯვენა...

როცა ვითარება მეტისმეტად დაიძაბა, გამოუძახეს სამხედრო ნაწილიდან ჯარისკაცებს და იმათ კი ჰაერში სროლით, დედის გინებითა და კონდახების გამოყენებით, როგორც იქნა, დააშოშმინეს აღზნებული ბრბო.

დღისით ფუთელი ექიმებისთვის არავის მიუმართავს – ფეხბურთმა ყველა გამოაჯანმრთელა! თუმცა, თუნდაც ვინმეს მიემართა მკურნალთათვის, კაბინეტში არავინ დახვდებოდა – ექიმებიც ხომ მაჩის ნახვას ვერაფრით გამოტოვებდნენ! სამაგიეროდ, ექიმებმა იმავე საღამოს საკმაოზე მეტადაც აინახლადურეს დანაკლისი – უამრავი დაშავებული მიაწყდა მათ სამკურნალო კაბინეტებს!

და მაშინვე დახარჯეს მთელი მარაგი იოდისა, თაბაშირისა, შესახვევი ბინტებისა, დაჟეჟილობის დასაამბებელი ხსნარებისა და მალამოებისა!

თავები, ხელ-ფეხი და ნეკნები კი არა, სახანძრო მოწყობილობაც იმდენად დაზიანდა, რომ გამოუსადეგარი გახდა შემდგომი გამოყენებისთვის.

ფუთის პოლიციის უფროსი, მაიორი მამუკელა პეტელეიშვილი კი, დალილაგებულ თვალის მიუხედავად, ერთგვარად მაინც კმაყოფილი დარჩა: ფეხბურთის ჩატარების დღეს თვითონ ქალაქში არ აღრიცხულა არცერთი მცირე დანაშაული – წერილმანი ქურდობაცაცობაც კი; ეტყობა, ფუთელი ჯიბიერები ფეხბურთის დიდი თავყვანისმცემლები გახლავან!

თუმცა მოგვიანებით ერთი, ზოგიერთთა შეხედულებით, უსიამოვნო შემთხვევა მაინც მოხდა: ხალხის დაშლის შემდგომ ქალაქს დაბრუნებული ცუდლუტი ბიჭები აძვრნენ საყდრის სამრეკლოზე და დააგუგუნეს ხარები! კარგა ხანს აგუგუნეს და აგუგუნეს!.. სანამ არ მოსწყინდათ!..

ქალაქში შიშმა მოიცვა – დამანგრეველი მიწისძვრა ხომ არ მოხდა ან ომი ხომ არ დაიწყო, თურქები ხომ არ შემოგვესივნენ?!

მღვდელ-დიაკანი სულ ცოფებსა ჰყრიდნენ – ეს რა გვიყვესო – და სადამოს წირვა-ლოცვის დროს მამა პავლემ შეაჩვენა ბურთიც, ფეხბურთის მომგონიც, მისი მაყურებლებიც და ხარის წამწყმენდავებიც...

გაზეთის “ფუთური ფართიფურთი” ამ ღირსსახსოვარი მოვლენისადმი მიძღვნილ წერილში სათაურით: “პირველ საფეხბურთო მაჩში უდიდესი უპირატესობით გაიმარჯვა ფუთელ პოლიციელთა გუნდმა!” კორესპონდენტმა დაწვრილებით და ფერადოვნად აღწერა ეს ღირსსახსოვარი დღე, ბოლოში კი დაასკვნა: “სრული დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზემოთ აღნიშნული ღონისძიების ჩატარების დროს დიდად გამოიჩინა თავი ფუთის პოლიციის სახელოვანმა გუნდმა სრული შემადგენლობით და ყოველი მათგანი ღირსია, გადაეცეს ქალაქ ფუთში გამართული პირველი საფეხბურთო მაჩის მონაწილისთვის დაწესებული სამახსოვრო მედალი! განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ვაჟკაცური შემართებით ქალაქ ფუთის პოლიციის უფროსი მამუკელა პეტელეიშვილი და ერთ-ერთი საპოლიციო უბნის ბოქაული კუჭულია კუნჭულიაძე, რომელთაც მედლები ფრიად და ფრიად მოუხდებოდათ დალილაგებულ თვალებზე მისადებად... მაგრამ აქ ერთი დაბრკოლება იჩინეს თავს: ფეხბურთელთათვის გადასაცემად სულ ოცზე ცოტა მეტი მედალი იყო დამზადებული, ხოლო გმირულ ბრძოლაში მონაწილე პოლიციელთა რაოდენობა კი – ორჯერ და ბევრად მეტადაც ჭარბობდა დასახელებულ რიცხვს... ვშიშობთ, ამ გარემოებამ მედლების მოპოვების მსურველ პოლიციელთა შორის ახალი ფიცხელი შეხლა-შემოხლა არ გამოიწვიოს, რომელში გამარჯვებულთათვისაც საჭირო იქნება ახალი მედლების დიდი რაოდენობის სასწრაფოდ დამზადება კოპებზე მისადებად და თვალთა დასაამბებლად...”

კარი VIII. აქა უცნაური ამბავი პანტუშასა და ფათუშასი

ლექსოს მიერ (ამ პიროვნებას შემდგომ გაგაცნობ) გაზეთში “ფუთური ფართიფურთი” გამოქვეყნებულ ზემოაღნიშნულ წერილში მრავალი სხვა ამბავი არ არის მოხსენიებული, რომელიც ფეხბურთის ამ პირველ მაჩს მოყვა შედეგად, კერძოდ, ერთი კაცისა, და ასევე – ქალის, ცხოვრება კი ძირფესვიანად შეცვალა.

ეს კაცი გახლავთ პანტუშა დუშაძე – ზორბა, ორმოცდაათ წელს კარგა გადაცილებული პიროვნება, სავსებით მელოტი და წმინდად პირგაპარსული, პაწია უღვაშებიანი... ბარაქიანი ღიპის მიუხედავად, ცოცხალი მიხრა-მოხრა აქვს, რიხიანი ბანით საუბრობს, მის დაკვირვებულ თვალებს არაფერი გამოეპარება.

ფუთის ვაჟთა გიმნაზიაში ასწავლის ძველბერძნულსა და ლათინურს. მკაცრია, მოწაფეებს მისი იმდენად არ ეშინიათ, რამდენადაც ერიდებოდათ.

ბატონი პანტუშა გაკვეთილებზე ელინთა როგორც სულიერ, ასევე ფიზიკურ კულტურასაც ეხება და ხშირად იმეორებს, რომ ძველ საბერძნეთში ოლიმპიადების მონაწილენი დედიშობილა ასპარეზობდნენ.

– მერე, ქალების არ რცხვენოდათ? – ეკითხებოდნენ ცნობისმოყვარე მოსწავლეები.

– ქალებს ოლიმპიურ ასპარეზობებზე არ უშვებდნენ – არამცთუ მონაწილეობის მისაღებად, არამედ უბრალო მაყურებლადაც! – ხალხისთ პასუხობდა პანტუშა მასწავლებელი და როხროხისგან მისი ღიპი ცოცხალ არსებასავით თახთახებდა.

თვით ცოლი არ ჰყავდა და არც ჰყვლია.

პანტუშა დუშაძე უზომოდ გაიტაცა ფეხბურთმა და იმდენად, რომ თავის მოწაფეებს დაუძმა-კაცდა – ბევრი მათგანი ფეხბურთს თამაშობდა! თვითონაც სურვილი ჰქონდა, ჩაბმულიყო თამაშში, მაგრამ ახალგაზრდებს მისი წონისა და აღზარდობის პატრონი როგორ გაუსწორებდა მხარს! და ეს უკლავდა გულს – აღიზიანებდა საკუთარი არასრულფასოვნების განცდა – მისი სათაყვანებელი ძველი ელინები ხომ მისწრაფოდნენ როგორც სულიერი, ასევე ფიზიკური მშვენიერების მიღწევისკენ... დაიწყო ვარჯიში, ყოველდღე თავდაუზოგავად დარბოდა, ბიჭებშიც ხშირად გაერე-

ოდა ბურთის სათამაშოდ, მაგრამ ამ ოხერ ღიპს ვერაფერი მოუხერხა – მადას არც ადრე უჩიოდა და ახლა ხომ პირდაპირ ვეშაპივით გახდა!

გიმნაზიის დირექტორი უკრძალავდა გიმნაზისტებს ფეხბურთის თამაშს: “ხელს უშლის სწავლას, ადვილებს უხეშობას, უღისციპლინობას, საშიში თამაშიცა – არ არის გამორიცხული ხელფეხისა და თავის გატეხვასაც!”

“ღამნაშაგე” გიმნაზისტებს ტოვებდნენ გაკვეთილების შემდეგ, “გამოუსწორებლებს” ყოფაქცევაში უკლებდნენ ნიშანს, განსაკუთრებული სიმკაცრით ეპყრობოდნენ გამოცდების დროს...

ბატონი პანტუშა დუშაძე ახალგაზრდებს მფარველობდა – ფეხბურთელებს გაკვეთილების მოუმზადებლობასაც კი პატიობდა.. და როცა ერთხელ გიმნაზიის დირექტორის ბრძანებით გიმნაზისტები დასაჯეს ფუთში გამართული პირველი ოფიციალური საფეხბურთო მატჩის სანახავედ მთელი კლასების გაპარვის გამო, – ისინი ჩაკეტეს სასპორტო დარბაზში (იქ ფეხბურთის თამაში გააჩაღეს – ერთ-ერთი გიმნაზისტის ქუდით!), – პანტუშამ დაათრო სასმელის მოყვარული დარბაზი და ისინი ჩუმად გამოუშვა...

ამგვარ თავის გამოდებას ფეხბურთელებისა და ფეხბურთისთვის მისთვის ფრიად სამწუხარო შედეგი მოჰყვა: მოწაფეები მხოლოდ საყვედურის გამოცხადებით გადარჩნენ, მათი გამომქომაგებელი კი მკაცრად დაისაჯა – განსაკუთრებით გააფთრდა დირექტორი, როცა გაიგო, რომ პანტუშა დუშაძემ შექმნა გიმნაზისტთა საფეხბურთო გუნდი და იგი გიმნაზიის მასწავლებლობიდან დაითხოვა!

ამგვარი ქმედების პასუხად მთელმა გიმნაზიამ გაფიცვა გამოაცხადა!

დირექტორი “მოჯანყეთა” მიმართ მკაცრი ზომების მიღებას აპირებდა, მაგრამ იძულებული გახდა, ბატონ პანტუშა დუშაძისთვის ბოდიში მოეხადა და გიმნაზიაშიც დაებრუნებინა!

ამგვარი უკანდახვევის მიზეზი ორი გახლდათ: ჯერ ერთი, გიმნაზისტთა შეძლებული მშობლები დირექტორის ქცევით უკმაყოფილონი იყვნენ, მეორეც, უფრო მნიშვნელოვანი: დირექტორმა გაიგო, რომ პანტუშა დუშაძემ გული არ გაიტეხა – სპორტული წვრთნით უკვე არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ სულიერადაც გამოიწოთ – და გადაწყვიტა, საკუთარი ვაჟთა გიმნაზია გაეხსნა, სადაც ერთ-ერთ აუცილებელ საგნებად სპორტული ვარჯიში და ფეხბურთი იქნებოდა გამოცხადებული!

ბატონმა პანტუშამ, მართალია, გიმნაზიის გახსნა გადაიფიქრა, მაგრამ მეორე, ყველასთვის დიდად მოულოდნელი და ფრიად გაბედული ნაბიჯი გადადგა – ცოლი ითხოვა!

ხომ გაინტერესებთ – ვინ?

იმავე გიმნაზიის შინაბერა მასწავლებელი – თითქმის ორმოცი წლის ფათუშა!

ქალბატონი ფათუშა ბუნებისმეტყველებასა და ფიზიკას ასწავლის. ტანად პატარაა, მაგრამ საოცრად მკვირცხელი, ძალიან ცნობისმოყვარე და ენერგიული ქალია: ყველა საქმეში ეჩრება, მისი გაუგებარი არაფერი რჩება, ყველა იცნობს, ყველას იცნობს, დიდი მოტრფიალეა ყველაფრის უახლესისა – მოდური ტანსაცმლის, მოწინავე იდეების, გრამოფონისა; ხშირად დადის ახალგაზნინილ სინემატოგრაფში; ეჭვი არ მეპარება, რომ უშიშრად ჩაჯდებოდა “ემშაკის მანქანაში” – აფტომობილშიც, თუკი ვინმე შესთავაზებდა, რასაკვირველია... და, რაღა თქმა უნდა, დიდად გატაცებულია არა მხოლოდ დოლით, მარულით, ისინდით, ჭიდაობითა და ლელობურთით, არამედ გამორჩეულად – ფეხბურთითაც!

ჰოდა, ფათუშა მომავალ ქმარს დაუახლოვდა სწორედ... ფეხბურთის მიმართ ორივეს მგზნებარე სიყვარულის მეშვეობით!

დიდად საკვირველია: მანამდე პანტუშა და ფათუშა თხუთმეტ წელიწადს ერთად მუშაობდნენ გიმნაზიაში, მაგრამ მხოლოდ ახლა გაუგეს ერთმანეთს! სწორედ მაშინ, ფეხბურთის პირველ მატჩს როცა ესწრებოდნენ – გვერდიგვერდ იდგნენ და ერთად განიცდიდნენ მთელი შეხვედრის წარმტაც მსვლელობას: გულშემატკივრობდნენ, მსჯელობდნენ, ხანდახან – დაობდნენ კიდევ! და ორივეს გული ერთნაირად დასწყდა, რომ პირველი ოფიციალური მატჩი ფუთში ასე სამწუხაროდ დასრულდა...

შემდგომ, როცა “ფუთელი ლომების” ფეხბურთელებს გაჭირვების დღე დაუდგათ, ცოლ-ქმარი ცდილობდა მათ დახმარებას – ფათუშა ხომ მთელ ფუთს იცნობდა! განსაკუთრებით ფათუშა ხვანცალებდა, დაუღალავად დაწანწალებდა მთელ ფუთში, მაგრამ... მაგრამ სინამდვილეში ნაკლები შევლიდა გუნდს – სამწუხაროდ, ენის მიტან-მოტანისა და ლაქლაქის მეტს ვერაფერს აკეთებდა.

ბარემ ერთი წლით წინ გადავხტები და ერთ სასინარულო ამბავსაც მოგახსენებ: ქალბატონმა ფათუშამ ბატონ პანტუშა დუშაძეს შვილი აჩუქა! თანაც ჯანმრთელი, მშვენიერი ბიჭი!

უკვე 60 წელს მიღწეული პანტუშა ცას ეწია სინარულით – სახლში მომავალი ფეხბურთელი ეზრდება! უეჭველად, დიდად სახელგანთქმული ფეხბურთელიც გახდება!

**ქარი IX. აქა საშინელი ჯანყის შესახებ ქალაქ ფუთსა შინა,
საკრებულოს არჩევნების კომედია და ქალაქის ახალ მოურავად
გონა კაკუჩიას არჩევა**

ქალაქ ფუთსა შინა ისტორიული პირველი საფეხბურთო მაჩის უიღბლოდ ჩატარების მეორე დღესვე გამოცხადებულ იქნა ადგილობრივ გაზეთში “ფუთური ფართიფურთი” (ასევე, ქალაქის ქუჩებში სახლთა კედლებზე, მესრებზე, ღობეებზე, ბოძებსა და სხვა შესაფერის საზოგადოებრივ ადგილებში გაკრულ ქაღალდის მრავალრიცხოვან ფურცლებშიც იგივე იყო დაბეჭდილი):

“ქალაქ ფუთის მოურავის, ბატონ ლეონი ნეწიშვით მითითებითა და ღვალებით, ქალაქის პოლიციის უფროსი, მაიორი ქაქალო ფ ბუუ უღ უმამდ შ ვიძლევი შემდეგ განკარგულებას:

როგორც უცილობლად დადასტურდა, ამ ბოლო დროს დიდად გავრცელებული უცხოური ყაიდის ბურთის თამაში იწვევს ქალაქ ფუთში არეულობას, ხშირია აყალმაყალი; მაგალითად, გასულ კვირას, ნასადილევს, ბიჭიას მინდორზე მოწყობილი ბურთაობისას აგეხილი ჩხუბის შედეგად გაგეხილია 5 (ხუთი) თავი, ხელი იღრძო 7 (შვიდმა) მოქალაქემ, კოჭი ამოუგდეს 15 (თხუთმეც) პიროვნებას, ხოლო ყბა მოუნგრის 8 (რვა) ახალგაზრდას, აგრეთვე დაშავებულია 2 (ორი) წესრიგის დამცველის თვალი. როგორც უცილობლად დადასტურდა, ამგვარი ბურთაობის თამაში წყაროა მანე, არაჯანსაღი ვნებათაღელვისა, შფოთისა და უწესრიგობისა, ხელს უწყობს უსაქმურთა მომრავლებას: მუშა-მოსამსახურენი უმიზნოდ აცდენენ სამსახურს, დაშავებულნი შემდგომ ჯეროვნად ვეღარ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას ან სულაც შრომისუნარონი ხდებიან, მოსწავლეები აცდენენ გაკვეთილებს, ჯარისკაცები უხეშად არღვევენ დისციპლინას და იპარებიან ყაზარმებიდან; პოლიციელებიც კი ხშირად ივიწყებენ სამსახურებრივ მოვალეობას და თვითონაც აქტიურად მონაწილეობენ დაპირისპირებული გუნდების თავყანისმცემელთა მიერ გამართულ მასობრივ არეულობაში და არცთუ იშვიათად – მუშტი-კრივის.

შემდგომ მსგავსი არასასურველი მოვლენების აღსაკვეთად ვბრძანებ: ჩემდამი რწმუნებულ გერიგორიაზე ამიერიდან აიკრძალოს ბურთის ყოველგვარი თამაში (ლელობურთი, ფეხბურთი თუ ნებისმიერი სხვა) ყოველგვარ დროსა და ყოველგვარ ადგილას – სამარადქამოდ, როგორც მანე, არაჯანსაღი ვნებათაღელვის გამომწვევი, შფოთისა და მასობრივი უწესრიგობის წყარო.

ამ განკარგულების დამრღვევი დაჯარიმდება 20 (ოცი) ვერცხლით და აღეკვეთება თავისუფლება ვადით 2 (ორი) დღიდან 2 (ორ) კვირამდე – დანაშაულის სიმძიმის კვალობაზე. დანაშაულის განმეორების შემთხვევაში ჯარიმა ორმაგდება, ასევე – პატიმრობის ვადაც.

გადაწყვეტილებას დაჯარიმებისა და აღმკვეთი ღონისძიების ჩატარების შესახებ იღებს ქალაქ ფუთის მოურავის მიერ ამისთვის საგანგებო უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი, ქალაქის მოურავის ამხანაგი, ბატონი ბაბაჩანა ბაჩაჩანაშვილი, ხოლო მის მიერ დანაშაულის ჩადენის დღესვე გამოტანილი ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილება შემდგომ *სასამართლოში ან სხვა ორგანოში გასაჩივრებას არ ექვემდებარება.*

ქალაქ ფუთის პოლიციის უფროსი, მაიორი
ქაქალო ფ ბუუ უღ უმამდ შ
1901 წლის 17 მაისი.”

ფეხბურთის აკრძალვის გამო ქალაქში იფეთქა არეულობამ, გაიმართა მასობრივი მსვლელობები; აღშფოთებული მოქალაქენი შეიკრიბნენ ქალაქის მთავარ მოედანზე და, გარდა პოლიციის უფროსის განკარგულების გაუქმებისა, მოითხოვეს ქალაქის მოურავის კონობა ყოჩაძის გადაყენება და ახალი არჩევნების დანიშვნა...

ფეხბურთის თავყანისმცემლებმა მალევე იშოვეს ახალი ბურთი და, აკრძალვის მიუხედავად, შემდეგ კვირას კვლავ გაიმართა შეჯიბრი იმავე ადგილას, ოღონდ ლელობურთში – ეს ხომ ფეხბურთი არაა, ამ თამაშს ადრეც ვთამაშობდით და არავის აუკრძალავსო.

ქალაქ ფუთის საკრებულოს წევრები და ქალაქის თავი კონობა ყოჩაძე, რასაკვირველია, სასტიკი წინააღმდეგნი იყვნენ ვადამდელი არჩევნების ჩატარებისა, მაგრამ როცა იგივე მოითხოვეს ნავსადგურის მტვირთავებმა და მათი მოთხოვნის შესრულებამდე გაფიცვა გამოაცხადეს, შემდგომ კი მათ შეუერთდნენ სხვა საწარმოთა და დაწესებულებათა თანამშრომლებიც და დაუმორჩილებლობა საყოველთაო გახდა, ხანმოკლე ურთიერთ დაპირისპირების შემდგომ, ქალაქის მოურავი იძულებული გახდა, გადაემდგარიყო... დაშლა გამოაცხადა ქალაქის საკრებულომაც.

დაინიშნა ქალაქ ფუთის საკრებულოს არჩევნები და თითქოს ჯადოსნური ჯოხის დაქნევით – ერთი, ორი, სამი! – უცებ სოკოებივით მომრავლდნენ ახალ შექმნილი პარტიები ღმერთმა უწყის საიდან ამოტივტივებული საკრებულოს წევრობის კანდიდატებით; ჩემი ანგარიშით – სულ 365 პარტია! ალბათ ბევრი კიდევ გამომჩნა – ძლივს დავეთვალე! ყველას ჩამოთვლას დიდხანს მო-

გუნდები და მეშინია, მკითხველის ყურადღებით ბოროტად არ ვისარგებლო, ამიტომ ქვემოთ მოვიტან ამ პარტიათაგან მხოლოდ ზოგიერთის დასახელებას:

“ნამდვილი ფეხბურთის ჭეშმარიტად მამულიშვილური საზოგადოება”;

“ფეხბურთისა და ლელობურთის საყოველთაო კავშირი”;

“ფეხბურთის სწრაფი განვითარების ხელშემწყობი ჯგუფი”;

“ფეხბურთის მხარდამჭერთა ძლიერი გუნდი”;

“წესრიგისა და სამართლიანობის საფეხბურთო პარტია”;

“კატათა უფლებების დამცველი საფეხბურთო პარტია” (ნეტავ ვინ არიან ეს თავხედები?);

“ორქიდეების მოყვარულთა საფეხბურთო ასოციაცია” (ვაი თქვენს პატრონს, სად – ორქიდეები, და სად – ფეხბურთი?);

“გარდებისა და კამელიების ტრფიალთა საფეხბურთო საზოგადოება” (როგორც გავარკვიე, ამ პარტიის დამაარსებელი და ხელმძღვანელი განსაკუთრებით ქალაქ ფუთის პოლიციის უფროსი, მაიორი მამუკელა პეტელიშვილი, თუმცა ოფიციალურად პარტიის თავმჯდომარე სხვა პირია! გაგიკვირდა ხომ? მერე, დაახლოებით ოცი გვერდის წაკითხვის შემდგომ, მიხვდები ყველაფერს!);

“ფეხბურთის მოყვარულთა და მალარიის მოწინააღმდეგეთა დასი” (ნაღდად ციებ-ცხელება შეჰყრიათ!);

“მგალობელ ჩიტთა მოყვარულთა ფეხბურთის მხარდამჭერებო, შემოგვიერთდით!” (ამ პარტიის მესვეურებს ალბათ ჩიტები უჭიკჭიკებთ თავში, ფეხბურთს რაღას ერჩიან?);

“ფეხბურთის მოყვარულთა პარტია – მრეწველობა და ვაჭრობა გადაარჩინოს ფეხბურთს!” (საქმე გამოვლიათ ალბათ, თორემ საქმიანი ხალხი ამ ტაკიმასხარაობაში დაკარგავდა დროს?);

“გაუმარჯოს ფეხბურთს!”;

“შავი ზღვის საფეხბურთო გაერთიანება” (ხარჯი – ხარჯია, ბარემ ატლანტის, წყნარი და სხვა ოკეანეებზე შემოვერთებინათ ამ დაღოცვილიშვილებს!);

“ჩვილ ყრმათა მოვლისა და აღზრდის საფეხბურთო საზოგადოება” (ამ პარტიის გამარჯვების შემთხვევაში, ჩემი შეხედულებით, ქალაქის თავად აირჩევენ 3-4 წლის ყმაწვილს; ალბათ გაამართლებს ფუთელთა ნდობას – ამ ასაკის ძაღლი უკვე საზოგადოების სრულუფლებიანი წევრია!);

“ფეხბურთის ტრფიალთა სრულიად ფუთის მოძრაობა”;

“ნაღდი ჭაჭის არაყის მწარმოებელთა საფეხბურთო ლიგა” (ეტყობა, ამ ლიგის მესვეური არაყს უფრო მეტს სვამენ, ვიდრე აწარმოებენ, ღმერთმა ხელი მოუშაროთთ!);

“გრამოფონისა და ველოსიპედის მოყვარულნი – ფეხბურთის დასაცავად!” (ამ პარტიის დამაარსებელი განსაკუთრებით ქალბატონი ფათუშა, რომელსაც ზემოთ გაგაცანით);

“მეგრული ძროხისა და მეგრული თხის განვითარების საფეხბურთო ფონდი”;

“სატანგარჯიშო საზოგადოება “მიმინო” – ფეხბურთის მხარდამჭერი” (ეტყობა, ამ საზოგადოების წევრებმა ფრთები გაშალეს და მაგრად გააფრინეს, ჰოდა, რა დაუშლით, აწი პოლიტიკაშიც აპირებენ ხტომასა და ყირაზე დგომას!);

“ტროპიკულ თუთიყუშთა და აკვარიუმის თევზთა მოყვარულთა – გადაარჩინოთ ფეხბურთი!” (დროა, გაერთიანდნენ მგალობელ ჩიტთა მოყვარულებთან, ერთად უფრო ტკბილად იჭიკჭიკებენ!);

“ფართო გზა – ფეხბურთს!”

“კაქტუსების კოლექციონერთა საფეხბურთო პარტია” (მე რომ ხმის უფლება მქონდეს, უეჭვოდ ამათ დაუჭერდი მხარს – კაქტუსები ნამეტნავად ლამაზად ჰყვავიან და საამო სანახავია!);

“საზოგადოებრივი წინსვლისა და ფეხბურთის პროგრესისტული პარტია”;

“მრგვალი ბურთის თავგანისმცემელთა პარტია” (როგორც ჩანს, სურთ გაემიჯნონ ნესვის ფორმის ბურთის თავგანისმცემლებს);

“ფეხბურთის მოყვარულთა მსოფლიო ერთობის პარტია”;

“ფეხბურთის მოყვარულები – ერთად!” (რა ვერ გაიყვეს წინა პარტიის წევრებთან?);

“პენსიონერთა საფეხბურთო ალიანსი” (ვატყობ, ესენი არჩევნებში მონაწილეობით არ დაკმაყოფილდებიან და საკუთარ საფეხბურთო გუნდსაც შექმნიან – ყოჩაღ!);

“ქალები – მხარს ვუჭერთ ფეხბურთს!” (გფიქრობ, ამ ქალბატონებს შინ უმთავრესად გოშიები ჰყავთ!);

“ფუთელ ფეხბურთის მოყვარულთა საყოველთაო ასოციაცია”...

საყვარელო, ხომ არ მოგბეზრდა ძალაუფლების მოყვარული პარტიების ამ ფრიად არასრული სიის კითხვა?

ამ პარტიებს, ურთიერთ სასტიკი მეტოქეობის მიუხედავად, ერთი რამ აერთიანებთ – მათ დასახელებაში ამა თუ იმ ფორმით აუცილებლად გვხვდება სიტყვა “ფეხბურთი”. ვეჭვობ, რომ ამ პარტიათა უმრავლესობის თავგაცებს ერთხელ მაინც უნახავთ ნამდვილი ფეხბურთის თამაში, ალბათ წარმოდგენაც არ აქვთ, ფეხბურთი რა ხილია!

მათ პროგრამებში უპირველესი დაპირება განხლდათ: საკრებულოში უმრავლესობის მოპოვებისა და, შესაბამისად, ქალაქის მოურავად მათი კანდიდატის არჩევის შემთხვევაში მაშინვე გაუქმდება ფეხბურთის თამაშის აკრძალვა და, პირიქით, ყოველმხრივ ხელი შეეწყობა საფეხბურთო საქმიანობას, მის გაფურჩქნა-აყვავებას!

ჰო, არ გამომჩნეს: ბარემ იმასაც აღვნიშნავ, რომ მხოლოდ ერთი პარტია გამოერია, რომლის დასახელებაშიც ფეხბურთი არ იყო ნახსენები, ვითარცა მიმზიდველი რამ, პირიქით! ეს პარტია გახლდათ: “ყოფილ ფირალთა და ჭეშმარიტ ვაჟკაცთა რაზმი – ფეხბურთი გადაშენდეს იქით!” და მისი დამაარსებელი და, რასაკვირველია, თავმჯდომარეც იყო ბატონი ბიჭია ჭიჭყინავა! ბიჭი-ას ერთხმად დაუდგნენ გვერდით ბიჭიას მინდვრის ახლომახლო მცხოვრებნი, რომელთაც მოსვენება ჰქონდათ დაკარგული ფეხბურთელთა და მათგანგანთა გაუთავებელი ყვირილ-ღრინაცვლით – დილიდან დაღამებამდე... “ფეხბურთის მოწინააღმდეგეთა პარტიას”, როგორც მას მოკლედ მოიხსენიებდნენ ფუთელნი, საკმაოდ ბევრი მომხრე სხვაც გამოუჩნდა, უპირველესად – დიასახლისები, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ ქმრების მიერ მართა საყურებლად, მათი თქმით, უსარგებლო დროის ფლანგვით, ასევე – შვილების უზომო გატაცებით ამ უცხო თამაშით, რასაც ეწირებოდა არა მხოლოდ საშინაო დავალებების მომზადების დრო, არამედ ამ სიკეთეს ემატებოდა კიდევ თამაშისას ყვირილისგან ჩახრინწული ყელი, დახეული ფეხსაცმელები, გაჭუჭყიანებული ტანსაცმელი, დალილაგებული კოჭები, გადატყაული მუხლისთაგები და ნაღრძობი ხელები, ზოგჯერ – გატყეული თავებიც...

მე ის მიკვირს, საარჩევნო ციებ-ცხელებაში ამდენი ნაირ-ნაირი პარტია ჩაება და საცოდავ ძაღლებზე არავის უზრუნია, მათი გასაჭირი გულთან ახლოს არ მოუტანია... სამწუხაროდ, ძაღლებს არ ღარავს ნება, საკუთარი პარტია შეექმნათ, არადა, როგორც ფუთის შესახებ მცირე მიმოხილვისას აღვნიშნე, ქალაქში სულ ცოტა 3 000 მაწანწალა და თავისუფალი ძაღლი ბინადრობს, რეგისტრირებულ ამომრჩევლების რიცხვი კი 10 000 არ აჭარბებს. ადვილი მისახვედრია, რა ძალა ვიქნებოდით, ჩვენც რომ მიგველო მონაწილეობა არჩევნებში! თანაც, ადამიანთაგან განსხვავებით, ჩვენ ერთსულოვანნი ვიქნებოდით, ერთიანი პარტიის სიით ვიყრიდით კენჭს და მავანთ რამდენიც უნდა ეცადათ, მაგალითად, მაწანწალა ძაღლთა პარტია ცალკე დაეარსებინა და პატრონიან ძაღლთა პარტია კიდევ ცალკე, ასეთ ძაღლს მაშინვე მგელზე უარესად დავგლეჯდით! ახლა ჩვენს, ძაღლთა პარტიას რამდენი ძაღლის მფლობელიც დაუჭერდა მხარს! მე რომ ორფეხი ყოფილიყავი, აუცილებლად დავაარსებდი “ძაღლთა დაცვისა და საკადრისი პატრონობის საფეხბურთო პარტიას”!

მაღევე არჩევნებში მეტი წარმატების მისაღწევად შეიქმნა პარტიათა რამდენიმე გაერთიანება, მათ შორის – სახელწოდებით “ჩვენ უეჭველად გავიმარჯვებთ!”, რომელშიც შევიდნენ: “ფეხბურთის მოყვარულთა პარტია – მრეწველობა და ვაჭრობა გადაარჩენს ფეხბურთს!”, “გარდებისა და კამელიების ტრფიალთა საფეხბურთო საზოგადოება”, “ნაღლი ჭაჭის არყის მწარმოებელთა საფეხბურთო ლიგა” და “შავი ზღვის საფეხბურთო კავშირი”.

ჰო, საკვირველი ამბავი მოხდა: “ფუთელი ღომების” ფეხბურთელმა ბებურ ბურბუშელაშვილმა, მეტსახელად ბირკამ, ყველასთვის მოულოდნელად საკუთარი პარტიის დაარსება გადაწყვიტა – “ფეხბურთია ჩვენთვის ყველაფერი!” – ძალიან უნდოდა ქალაქის მოურავი გამხდარიყო!

ქვეყნის ხალხი შეაწუხა, უფრო ფულიან ვაჭრებს ედიჭინებოდა: “შესანიშნავ პირობებს შეგიქმნით თქვენი მოღვაწეობისთვის, საგრძობლად შეგამცირებინებ გადასახადებს, თითქმის გავაუქმებ, ოღონდ ჩვენს პარტიას დაეხმარეთ წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარებაში – თქვენს მიერ გადაებული თანხა ასმაგად დაგიბრუნდებათ!” თითო-ოროლა ვაჭარმა მცირეოდენი თანხა მართლაც უწყალობა ბებურს – უფრო იმიტომ, რომ აბეზარი მთხოვნელი თავიდან მოეცილებინათ.

გაიგო ბებურის პატივმოყვრული განზრახვა უტუმ, დაიბარა და, ფრიად გაბრაზებულმა, უთხრა:

– კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირაო! თუ ფეხბურთია შენთვის ყველაფერი, პოლიტიკაში რას მიძვრები?

– უტუ ბატონო, ამას მხოლოდ ფეხბურთის სიყვარულით ვაკეთებ, ყოველმხრივ დავეხმარები და ფეხზე დავაყენებ! – უპასუხა ბებურმა.

– ჯერ საკუთარ თავს მიხედე და მერე იფიქრე სხვების დახმარებაზე! ახლა კი ვხვდები, რატომ არ გამოცხადდი თამაშზე: სხვა რაღაცეები გიტაცებს – ქალები და დროსტარება, ახლა კიდევ – მოურავობაც მონდომე! ამომივიდა ყელში შენი ხუმტურები! გამეცალე აქედან და ამიერიდან თვალით არ დამენახო!

ასევე დაითხოვა გუნდიდან უტუ ბატონმა ფიშტოც! მიზეზი იგივე იყო – ფიშტომაც დააარსა საკუთარი პარტია – “ფეხბურთი – ძაღლაა!” და ისიც ჩაება არჩევნების კომედიაში!

უნდა გენახათ, როგორ დასცინოდნენ ბიჭები ბებურსაც და ფიშტოსაც, თუმცა მათი ხილვა სულ უფრო იშვიათად უხდებოდათ – ორივე პარტიის ლიდერის ნახვა წინასაარჩევნო მიტინგებზე თუ კრებებზე უფრო იყო შესაძლებელი. ფიშტოს მხრივ ამგვარი ნაბიჯის გადადგმა კიდევ უფრო საკვირველი იყო, ვიდრე – ბებურისგან... რად უნდოდა? ან რისი იმედი ჰქონდა? ალბათ იმისი, ცაცია ფეხით ჩემი გამორჩეული დარტყმის მეშვეობით ფუთელთა შორის საყოველთაოდ ცნობილი გახვდოდა და ახლა მეტსაც შეგძლებოდა...

უტუ ბატონი ფიშტოსა და ბებურის წადილმა, ქალაქ ფუთის მოურავი გამხდარიყვნენ, ეს თითქოსდა თავშეკავებული კაცი წონასწორობიდან გამოიყვანა:

– ფეხბურთელთა ერთ გუნდში – ორი პარტია? გაგიჟდები! ყველა უნიფხვომ საკუთარი პარტიის დაარსება ისურვა! სანამ გუნდში კიდევ უფრო არ მომიმრავლდა ახალ გამომცხვარ პარტი-

ათა ლიდერები, მეც უნდა დავაარსო ჩემი საკუთარი პარტია: “ფუთელი ლომების” გუნდიდან პოლიტიკოსთა დაუფონებელივ გაპანდურების პარტია!” ეს არის მთავარი..

ოღონდ ფიშტო გემიდან არ დაუთხოვია, შეეცოდა – ასეთი მქუხარე სახელის მქონე პოლიტიკური პარტიის “ფეხბურთი – ძალაა!” ლიდერსა და ქალაქ ფუთის მოურავობის კანდიდატს საცხოვრებლად წასასვლელი არსად ჰქონდა!

მხოლოდ მოგვიანებით გაირკვა, რამ უბიძგა ფიშტოს ერთი შეხედვით ესოდენ ყოველმხრივ უაზრო ნაბიჯის გადადგმისკენ...

არჩევნების კომედია კი გრძელდებოდა! პარტიები – პაროდიული სახელებით და ფანტაზიური პროგრამებით ფუთელთ აბრუებდნენ ზღაპრული დაპირებებით! უცხო ხილი არ იყო ამომრჩეველთა მოსყიდვა, მოწინააღმდეგეთა მიმართ ლანძღვა-გინება, მუქარა, ცილისწამება, მიწვევა-მოწვევა, ჩხუბი! შემდგომ ყოველივე დაგვირგვინდა არჩევნების გაყალბების მცდელობით: ყალბი ბიულეტენების გამოყენებით, მკვლარი სულების სახელით ხმის მიცემით, საარჩევნო ყუთების მოტაცებით...

არჩევნებამდე რამდენიმე დღე იყო დარჩენილი, როცა მოულოდნელად სადღაც გაუჩინარდნენ ორი პარტიის თავკაცები: პარტიისა “ფეხბურთია ჩვენთვის ყველაფერი!” ბატონი ბებურ ბურბუშელაშვილი ანუ ბირკა და პარტიისა “ფეხბურთი – ძალაა!” ბატონი არჩილ როყვაია ანუ ფიშტო...

* * *

ქალაქის საარჩევნო კომისიიდან ხშირ-ხშირად მიდიოდნენ საარჩევნო უბნებში მალემსობლი მორბელები დავალებით:

– არიქა, ჩვენს გაერთიანებას “ჩვენ უქვეყლად გავიმარჯვებთ!” დიდი უპირატესობით გამარჯვება სჭირდება, ჩაყარეთ კენჭები!

– არის, უფროსო! – პასუხობდნენ და...

ერთი საათის შემდეგ ისევ გამოეცხადებოდათ მორბედი:

– ცუდადაა საქმე, ჩავფლავდებით! რაც კი შეგიძლიათ, კენჭები ჰყარეთ და ჰყარეთ!

– ვყრით, აბა, რას ვშვრებით, ტყუილად ვართ აქანა?

საღამოს პირს ისევ გამოჩნდებოდა საქალაქო საარჩევნო კომისიის წარგზავნილი:

– რაც კი დარჩა კენჭები, ჩვენი გაერთიანების ყუთში ჩაყარეთ! სასწრაფოდ!

– ბატონო, ცოტა მაინც დაგტოვოთ წამლად, იქნებ ვინმე კიდევ მოვიდეს...

– ხუთი საათია უკვე, აწი ვინ სულები და ოხერი მოეხეტება – ჩაყარეთ!

– არის, ბატონო, თქვენი ბრძანება შესრულებულია!

– ყოჩაღ, კარგად გაისარჯეთ, თქვენი თავდადება დაფასდება! ჯერ ეს მცირე თანხა მიიღეთ...

* * *

გაიმარჯვა პარტიათა გაერთიანებამ “ჩვენ უქვეყლად გავიმარჯვებთ!”, რომელშიც შედიოდნენ: “ფეხბურთის მოყვარულთა პარტია – მრეწველობა და ვაჭრობა გადაარჩენს ფეხბურთს!”, “ვარდებისა და კამელიების ტრფიალთა საფეხბურთო საზოგადოება”, “ნაღდი ჭაჭის არყის მწარმოებელთა საფეხბურთო ლიგა” და “შავი ზღვის საფეხბურთო კავშირი”. პარტიების ამ გაერთიანებას ერთსულოვნად დაუდგნენ გვერდით თავიანთი ქისებით ფუთელი ვაჭრები და მრეწველები – ახალი თამაში, ფეხბურთი, ახალ შესაძლებლობებს იძლეოდა დიდი ფულის საშოვნელად! და, ცხადია, ახალმა საკრებულომ ქალაქის ახალ მოურავად “ფეხბურთის მოყვარულთა პარტიის” თავმჯდომარე და გაერთიანების სიაში №1-ად წარდგენილი კანდიდატი, ფეხბურთის დიდი ქომბი გოჩა კაკუჩია აირჩია!

გოჩა კაკუჩია ფუთში ცნობილი ვაჭრის შვილი გახლდათ. ნაცნობ-მეგობრები გოჩას “გოჭას” მეტსახელით მოიხსენიებდნენ – ფრიად ჩასუქებული იყო ბავშვობიდანვე და მშვენიერი ფუნთუშა ლოყები ჰქონდა ახლაც. უყვარდა ძღომისად ჭამა და შესაფერისი სმაც, ბრტყელ-ბრტყელი სადღეგრძელოების წარმოთქმა და გემრიელი ძილის გამოცხობა შუადღემდე. სხვა გამორჩეული ნიჭი მას მოეძებოდა თუ არა, ჩემთვის უცნობია, სამაგიეროდ, ის კი მშვენივრად იცოდა ყველამ, რომ ჰყავდა ფულიანი მამიკო, რომელმაც განიზრახა, მისი შვილი ქალაქის პირველი კაცი გამხდარიყო – სახელიც დიდი ექნებოდა მის ოჯახს და, რასაკვირველია, სახრავიც ხომ მეტი დარჩებოდა და დარჩებოდა...

ქალაქ ფუთის ახალმა მოურავმა გოჩა კაკუჩიამ მის მიერ საპატიო თანამდებობის დაკავებიდან მეორე დღესვე უბრძანა პოლიციის უფროსს მამუკელა პეტელიშვილს, რომ სასწრაფოდ გაეუქმებინა განკარგულება ბურთაობის აკრძალვის შესახებ. მამუკელა ერთხანს ვითომ ცდილობდა წინააღმდეგობის გაწევას – არ დაუშვებოდა ქალაქში კვლავ განმეორდეს საყოველთაო არეულობა. გოჩას მხარი დაუჭირა სამხედრო კომენდანტმა ბუხუტი ფრუხტიამ, რომელმაც საჯაროდ განაცხადა, რომ ბურთით თამაშის აკრძალვა დიდი შეცდომა იყო; ხალხს ჩვეულებად აქვს ამგვარი გართობა, ეს ერთგვარი სამხედრო ვარჯიშობაც არის და მისი დაშლა არ იქნებოდა მართებული და მამუკელას სხვა რაღა გზა ჰქონდა, ქალაქის მოურავის ნებას დაჰყვა.

არჩევნებში დიდი გამარჯვების აღსანიშნავად გოჩა კაკუჩიას განკარგულებით ერთ კვირაში ქალაქ ფუთსა შინა გაიმართა საზეიმო საფეხბურთო მაჩიცი, ოღონდ იგი, ამომრჩეველთა საგარეო ნაწილის ნაღდი ჭაჭის არაყთან ზიარების გამო, შემდგომ გადაიზარდა საერთო-სახალხო სადღესასწაულო ჩხუბად, სადაც ვერ გაიგებდი, ვინ ვის ეთამაშებოდა და რა კანონებით...

ქალაქ ფუთის საავადმყოფოში დასტაქრები საქმეს ვერ აუდიოდნენ...

მამუკელა პეტელეიშვილი თვალმოჭუტვით კმაყოფილი იდებოდა უღვაშებში. რა უხაროდა ნეტავი? ალბათ ის, რომ ამჯერად პირადად ის არ დაშავებულა – მრავალი მისი ხელქვეითისგან განსხვავებით.

ამ უცნაურ შეჯიბრს დაესწრნენ ინგლისელი მეზღვაურებიც. გაუკვირდათ: თავიდან თითქოს წესიერი თამაში დაიწყო, შემდგომ კი დიდ-პატარა გადავიდა მინდორზე და ჩაერთო საყოველთაო მხიარულებაში – მალე ძალიან პატრონს ვეღარ სცნობდა, წესები ვიღას ახსოვდა!.. ამდენი ხალხი (რამდენიმე ასეული კაცი – ზუსტად ვინ დაითვლიდა! ზოგი ცხენოსანიც!) დასდევდნენ ბურთს და ერთმანეთს ხელიდან ღლებდნენ, ბურთიანი მოწინააღმდეგის გასაჩერებლად არ ერიდებოდნენ არც სარმას, არც დაჯახებას, ხელებით შებოჭვას, თავით მუცელში დარტყმასაც კი...

ღიან, ინგლისელები ფრიად გაკვირდნენ – ჩვენ მსგავსი ჩვენებური თამაში – რაბი – ვიცით, მაგრამ იქ რაღაც წესების მიხედვით მაინც ვერკინებით ერთმანეთს, ამ ველურების ეს გართობა კი უფრო ხელჩართულ ბრძოლას ჰგავსო.

როგორც მოგახსენე, ინგლისელები განცვიფრებულნი დარჩნენ ლელობურთელთა სიმარჯვითა და “წესების” უცნაურობით, უფრო სწორედ, სრული არქონით! მათ შესთავაზეს ფუთელთ, შეგეჯიბრებით თქვენ, ოღონდ ჩვენ თერთმეტი კაცი ვიქნებით და ასე უწესოდ თამაშით ამდენ მობურთაღ ფუთელს როგორ გავუმკლავდებით – შეგეჯიბრით ნამდვილი ფეხბურთის წესებითო!

ინგლისელებს აუხსნეს, რომ ფუთში ნამდვილი ფეხბურთის გუნდებიც არის და, თუ სურვილი გაქვთ, იმათგან რომელიმეს შეხვდითო.

ინგლისელებს ფუთში ჰქონდათ საკუთარი კლუბი, რომლის მფარველობითაც ტარდებოდა შეხვედრები ფეხბურთში ფუთში სხვადასხვა დაწესებულებაში თუ უცხოურ ფირმაში სამუშაოდ ჩამოსულ ინგლისელთა შორის; ამ კლუბში ადგილობრივ მოსახლეობას არ აჭაჭანებდნენ, გარდა ქალაქის მოურავისა, პოლიციის უფროსისა და რამდენიმე თავადისა და მდიდარი ვაჭრისა. ამ კლუბის მესვეურებზე განაწევნებული იყვნენ დანარჩენი თავადები და ვაჭრები, აგრეთვე – სამხედრო გარნიზონის სარდალი ბუხუტი ფრუხტიაც, რომელიც გაურკვეველი მიზეზის გამო აგრეთვე არ მიიღეს კლუბის წევრად...

ახალი ქალაქის მოურავი, გოჩა კაკუჩია, დაჰპირდა ფეხბურთელებსა და ფეხბურთის ქობაგებს: თუ ისინი მოიგებდნენ ინგლისელთა გუნდთან, ბურთის ყოველ შემდგომს აუცილებლად სამსახურს მისცემდა, ხოლო ვისაც სამსახური უკვე ჰქონდა, თანამდებობას მოუმატებდა და გაუზრდიდა ჯამაგირს!

სამწუხაროდ, ინგლისელებთან ვერცერთმა ფუთურმა გუნდმა შეხვედრა ვერ მოახერხა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ინგლისელები, გარდა წინასწარ საკმაოდ დიდი თანხის გადახდისა, დაჟინებით მოითხოვდნენ კიდევ რამდენიმე პირობის შესრულებას: ითამაშონ მხოლოდ ღონღონიდან ჩამოტანილი ბურთით; ჩატარდეს მაჩი შაბათს, ზუსტად პირველ საათსა და ოცდაათ წუთზე, როგორც ინგლისშია დაკანონებული! კიდევ კარგი, მათ არ მოუთხოვიათ, მოწინააღმდეგეებსაც შესვენების დროს მათსავით – დაეღიათ ჩაი და მიეყოლებინათ ნამცხვარი!

სხვათა შორის, არჩევნების შემდგომ ჩატარებულ საზეიმო მაჩიში “ფუთელი ღომები” არ მონაწილეობდნენ და ამიტომ, ცხადია, დასტაქრებთან გაჩენილ რიგებს ვერ დაამშვენებდნენ ვერც ბებურ ბურბურშელაშვილი – ბირკა და ვერც არჩილ როყვია – ფიშტო. ისინი უტუ ბატონმა და აბრუნა გუნდში, დიდსულლოვნად აპატია შეცოდება, აკმარა მათ არჩევნებში საკუთარი პარტიების სამარცხვინო ჩაფლავება. ბებურის პარტიამ “ფეხბურთია ჩვენთვის ყველაფერი!” მხოლოდ ოცდაცამეტი ხმა მიიღო (დაუდასტურებელი და შეუმოწმებელი ცნობების თანახმად, ყველა ეს ხმა, ორის გარდა, ქალთა სქესის წარმომადგენლებს ეკუთვნოდა!), ხოლო ფიშტოს პარტიამ “ფეხბურთი – ძალაა!” – ოცდაათორმეტი! ეჭვი მაქვს, რომ ბებურის პარტიისთვის მიცემული კაცთა ხმებიდან ერთი, რასაკვირველია, პარტიის ლიდერს ეკუთვნოდა, მეორე კი – გიმნაზიის მასწავლებელს პანტუშა დუშაძეს; ხოლო პანტუშას ცოლს, ფათუშას, არ დაუფარავს და საქვეყნოდ გაიძახოდა კიდევ, რომ მისი სათაყვანებელი პიროვნებაა არჩილ როყვია, ფიშტოს მარცხენა ფეხის დარტყმაზე ჭკუას ჰკარგავს და საკუთარი ხმა სწორედ მის პარტიას მისცა! და ვინც სხვა პარტიას დაუჭერს მხარს – უჭკუოა, შტერი და გამოლენიებული! ქალბატონ ფათუშას ანგარიშით ისე გამოდიოდა, რომ ფუთში ოცდაათორმეტი ამომრჩეველის გარდა, ყველანი ჩერჩეები იყვნენ, მათ შორის – ბატონი პანტუშაც... სწორედ პანტუშას მიერ ბებურის პარტიის მხარდაჭერა გახდა მიზეზი იმისა, რომ ფათუშა ქმარს ეჩხუბა და კინაღამ გასცილდა! თუმცა ცოლ-ქმარი მალევე შერიგდა – მათმა რჩეულებმა ვერ გაიმარჯვეს და, ბოლოს და ბოლოს, ორივე მათი მოურავობის კანდიდატი ხომ “ფუთელი ღომების” გუნდს ამშვენებდა!..

უტუ ბატონის მხრივ კი ქალაქის თავის სკამის პირშერცხვინილი მაძიებლების – ბებურისა და ფიშტოს – პარტიების უმთავრესი მიზეზი ის გახლდათ, რომ არჩევნებში ჩაფლავებული პარტიების თავმჯდომარეები საცოდავი შესახედავები იყვნენ – გამხდრები და ფერწასულები... აბა

რა იქნებოდა: როცა ისინი ნიღბიანმა უცნობებმა სხვადასხვა ადგილას ქუჩაში მოიტაცეს, შემდეგ თვალებახვეულნი და პირაკრულნი სადღაც შორს წაიყვანეს და ღრმა და ბნელ ხაროში ჩაჰყარეს – ერთი კვირა მზის შუქის კი არა, სინათლის სხივის ხილვაც ენატრებოდათ; შიმშილითაც იტანჯებოდნენ – დღეში ერთხელ თუ ჩაუგდებდნენ გამხმარი პურის ნატეხს და დოქით წყალს ჩაუშვებდნენ...

ბებურ და ფიშტო ქალაქს იმ დროს დააბრუნეს, – კვლავ ხელფეხშეკრულნი და თვალებახვეულნი მიყრუებულ ადგილას დაჰყარეს, – როცა არჩევნების შედეგები უკვე სამი დღის გამოცხადებული იყო...

როგორც კი ბებურ და ფიშტო გამგელელებმა თოკებისგან გაათავისუფლეს, ისე საშინლად ჰყარდნენ, მაშინვე თვალებმოჭუტულებმა ზღვისკენ მოკურცხლეს, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, რომ, უჭმელობით დასუსტებულნი, ლასლასით გაჩანჩაღდნენ; ტანი დაიბანეს, ტანსაცმელიც გარეცხეს და გააშრეს...

კარი X. აქა ამბავი მასტრედისი – ფუთელი მზეთუნახავისა

ქალაქ ფუთსა შინა ჩატარებულ პირველ დირსახსოვარ მაჩში გამარჯვებისთვის “ფუთელმა ლომებმა” დაწესებული ჯილდო ვერ მიიღო, რადგან შეხვედრა ვერ დასრულდა... შეგროვებული შემოწირულებანიც მალე დაიხარჯა – გუნდს ათასგვარი სხვადასხვა საჭიროებისთვის, როგორც მოგესხენებათ, მუდმივად ფული სჭირდება; ასევე, ინგლისელებთან მაჩი ვერ შედგება, სანამ საკმარის თანხას არ მოაქუჩებენ...

გუნდის შენარჩუნებისთვის საჩქაროდ ისევ და ისევ ფულის შოვნაა საჩქაროდ საჭირო.

ამ ფიქრებში, – სად და რანაირად გამოძებნონ საარსებო სახსარი, – მხოლოდ გუნდის ხელმძღვანელობა კი არა, მთელი გუნდი ჩაება.

ხუმრობა ამ დროსაც არ მოუშლიათ...

– ძაღლი ადამიანის მეგობარია, არა თუ? – თქვა ერთხელ ლოთია უღვაშამ.

– დიდი ხანია, ამ ჭკვიანურ აზრამდე მიხვედი? – ჰკითხა ბოცო ცხვირამ და მე გადამისვა თავზე ხელი.

– ჰოდა, მაჭახელაც ჩვენი მეგობარია და გაჭირვების ტალ-კვესი! – ლოთიამაც გადამისვა თავზე ხელი.

– მერე? – ისევ ჰკითხა ბოცომ.

– მერე ის, რომ, მაჭახელას დააჭერინებ კბილებით მაგ შენს “საბურთალოს”, უკანა ფეხებზე დაყუნცული ისეთი საწყალი თვალებით შეხედავს გამგელე-გამომგელეს, რომ, ვის გაუძლებს გული, ოცი თუ არა, ათი თეთრი მაინც არ გაიმეტოს შენს უძირო ქუდში ჩასაგდებად? ტყუილად კი არ ვასწავლე უკანა ფეხებზე დგომა! თეთრს თეთრი მიემატება და სადამოსთვის რამდენიმე ვერცხლიც დაგროვდება...

– ჩემს ქუდს მოეშვი, გირჩევნია, – პასუხობს ცხვირა და “საბურთალოს” ისწორებს. – შენ, ჯობდა, ნადირობა გესწავლებინა; დღეში ორი-სამი ქათამი რომ მოეცუნცულებინა, ცოტას სულს მოვითქვამდით...

– ეგ არის ძმაკაცობა? – უღვაშა ცდილობს, ცხვირას ქუდი წაართვას. – გამოჩნდება ვინმე გადარეული და დაახლის ჩვენს საყვარელ მაჭახელას ქათამზე ან გოჭზე ნადირობისას მსხვილ საფანტს... გემეტება ამისთვის? შეხედე, რა ალერსიანია, რა თბილი მზერით შემოგვეციცინებს, მოუთმენლად ატოკებს კუდს და აღარ იცის, თავზე ხელის გადასმის საფასურად მაღლიერება როგორ გამოხატოს...

– ძაღლი ძაღლია, თავის სამყოფს ყოველთვის იშოვის, – ამბობს ცხვირა, – ჩვენ რა უნდა ვქნათ, ეს გვაქვს გადასაწყვეტი...

– რა და, თუ ძაღლიან გაგვიჭირდა, ჩვენს მაჭახელას გემრიელად შევახრამუნებთ! – ამბობს არჯევან ჯანყია, მეტსახელად მუგუზადა, მართლაც არაბივით შავგვრემანი; ჯერ მომეფერა, მერე ფერდზე ხელი რამდენჯერმე მომიტყაპუნა: – შეხედე, რაც ჩვენთან არის, კარგად ჩაბურვაკდა, მისგან მშვენიერი სუკის მწვადები გამოვა!

– ე-ე-ე, რაებს ბოდავ, ძაღლის ჭამა სად გაგონილა! – აღშფოთდა ლოთია ციხლიძე, კოხტად აპრეხილ უღვაშებიანი ლამაზი ჯეელი და მუგუზადას უბიძგა, ჩემგან მის მოშორებას ცდილობდა, თითქოს მუგუზადა იმ წამსვე აპირებდა ჩემს დასაკლავად წაყვანას.

ამ ხუმრობა-ღლაბუცში მოულოდნელად ჩაერთო უტუ კამპბელი:

– ძაღლების? სად და სადღა არა: ჩინეთში, კორეაში, სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნებში ძაღლის ხორცისგან გაკეთებული კერძები ნუგბარი საჭმელია... გაივლი იქ ბაზარში და გასაყიდი ძაღლების რიგში სხვადასხვა ფერისა და ზომის ძაღლებია ჩამწკრივებული გასაყიდად; ზოგი წკაგწკაგებს, ეტყობა, გრძნობს, რომ მალე ალესილი დანა მოელის, ზოგიც წყნარად წევს, უდრტინეველად მინდობილია საკუთარ ბედს... ამოიჩინე, რომელიც მოგეწონება! ცალკეა უკვე საგნებით გამზადებული, მოწითალოდ შემწვარ-შეპიწკინებული ძაღლების რიგი...

- ნებისმიერი ძაღლისგან აკეთებენ კერძებს თუ ამისთვის განსაკუთრებული ჯიშის ძაღლი ჰყავთ გამოყვანილი? - ძალიან დაინტერესდა მუგუზაღა.
- ყველანაირი ძაღლია, უმრავლესობა - უჯიშოა.
- ეტყობა, ბევრჯერ დაგიგემოვნებიათ, გემრიელია? - კითხულობს მუგუზაღა.
- ფუი!.. ლამის გული ამერიოს! - ამბობს ლოთია.
- ეგ რა არის, იქ კატებსაც და სხვადასხვა ქვეწარმავლებსაც კი მშვენივრად მიირთმევენ, მათ შორის - ხელიკებსა და გველებს... - განაგრძობს უტუ. - კერძებში საწებელად მუხლუხობის და მატლების წვეწვსაც იყენებენ.
- ბედმა გაგვიღიმა, მაჭახელა გემრიელად შეგვეკრება! - იღრჩება ისევ მუგუზაღა. - როდის გაეუსინჯოთ გემო?
- ცუდათა ვარ, ერთი კვირა საჭმელს ვეღარაფერს გავეკარები! - ამბობს ლოთია.
- ფული არ გააქვს და იმიტომ ამბობ მასე, - მხარი გაჰკრა მუგუზაღამ. - თუ მაჭახელას ვერ ელევი, არც ის გინდათ, რომ მაჭახელამ დაიჭიროს "საბურთალო" კბილებით და იმათხოვროს, მაშინ თვით "საბურთალო" გაგყიდოთ! სახელგანთქმული ქუდია, ფუთში ყველა იცნობს, საჯაროდ გაგყიდოთ, ვინ მეტს გადაიხდის - ფეხბურთის მოყვარულები ერთმანეთს ცხვირ-პირს დაუღეწავენ!
- შენ გაქვს ცხვირ-პირი უპირველესად დასალეწი! - დაბღვერილი პასუხობს ცხვირა. - საქმე გაქვს გამოლეული და ბუჭტერობ სისულელეებს...
- მაშინ უკეთესი შენ მოიფიქრე!
- ამ დროს სწორედ ცხვირას, ბოცო კინკაველაძის, წარმოსახვაში ამოტივივდა ერთი ფუთელი მშვენიერი ქალბატონის - მასტრედია ჟორნინაშვილის - მადლიანი სახე და, განარბულმა, იყვირა:
- ევრიკა!.. გვეშველა, გვეშველა!
- ჰა, ამოშაქრე დროზე, სული გადაგველია! - ეცა ბაჩო გემხვარია.
- მასტრედიას ხომ იცნობთ?
- ლამაზ ქერივს ვინ არ იცნობს, ზოგს ხშირ-ხშირად სიზმარშიც ეწვევა ხოლმე! შენც იმათ რიცხვში ხომ არ წერიხარ, ჭირიმე? მეკარე შენ ხარ და დაიჭირე, თუ ბიჭი ხარ! - დასცინა კოპალა ჩამიჩეიშვილმა - კურდღლისფეხამ.
- ქალაქ ფუთისა და მისი შემოგარენის ჭეშმარიტი მშვენიერება მასტრედია ჟორნინაშვილი - ბამბის ქულა, ქერათმიანი, ტანსრული - ქერივი გახლავთ. მოკლე ხანში ორი ქმარი გამოიტირა, ორივე - საკმაოდ შეძლებული და ახლა, როგორც ბევრი ამბობს, ახალგაზრდა, ჩათქვირებულ ქერივს ფული ბლომად აქვს.
- პირველი ქმარი, ბრწყინვალე თავადი ლევან ვაშაყვიანი, - დედისურთა, მადალი, ლამაზი ვაჟკაცი, დარდიმანდი, მოქეიფე, - ნადირობის ჟინს შეეწირა: მოულოდნელად თოფმა უმტყუნა და დათვმა დაგლიჯა.
- მასტრედიას ქმარი გაგიჟებით უყვარდა, ეგონათ, მის დაკარგვას ვერ გადაიტანდა. ყველას გაუთავებლად ელაპარაკებოდა მის საყვარელ ლევანზე, ყოველდღე დადიოდა სასაფლაოზე, სადაც ძვირფასი ძეგლი დაუდგა, ახალ-ახალი ყვავილები მიჰქონდა და საღამომდე იქ რჩებოდა...
- მაგრამ მოკლე ხანში - ნახევარ წელიწადში - ახალგაზრდა მშვენიერი ქერივი ისევ გათხოვდა! და პირველი ქმრის კარ-მიდამოს მისი კუთვნილი წილი მაშინვე გაყიდა.
- მეორე ქმარი, თავადი მურზაყან დიდგვარაძე, - ისიც დედისურთა, მარტომარტო მცხოვრები, თითქმის ორი მეტრის სიმაღლის ულამაზესი ვაჟკაცი, არანაკლებ უყვარდა; ქმარს თავს ევლებოდა... მაგრამ დახე ბედის უკუღმართობას! ერთი გადაბმული დიდი ლხინის შემდეგ გვიან ღამით შინ დაბრუნებისას გაღეშებულმა მურზაყანმა მეეტლე გააგდო და თვითონ ისურვა ცხენების მართვა, გაქანებული ეტლიდან გადმოვარდა, თავი ქვაფენილს დაანარცხა და მაშინვე სულიც განუტევა...
- მშვენიერი მასტრედია ხშირ-ხშირად დაიარებოდა სასაფლაოზე, მურზაყანის ძვირფასად გაკეთებულ სამუდამო განსასვენებელთან რამდენიმე საათს მაინც რჩებოდა: სათუთად უვლიდა მურზაყანის მშვენიერ მარმარილოს ძეგლს, ჩვრით წმენდდა, საფლაოზე ბალახს არ აჭაჭანებდა - საკუთარი ხელით ფესვიანად თხრიდა...
- წელიწადზე მეტი გავიდა მურზაყანის დაკარგვიდან, მასტრედიას კი ჯერაც შავები ეცვა - ავ ენებს თუ დაფუჯვრებთ, მხოლოდ იმიტომ, რომ უხდებოდა. მე რომ მკითხო, მას ნებისმიერი სამოსი მოუხდება, იმდენად ლამაზია: ფრიად ამშვენიებს დიდი, მონაცრისფრო-მომწვანო თვალები (უნდა ვადიარო - კატის მსგავსი!), ერთგვარად მკაცრი, დახვეწილი სახის ნაკეთები... მაგრამ, იშვიათად რომ გაიცინებს - თითქოს მზემ გამოანათა ღრუბლებიდან!
- მას გარშემო ეხვია მრავალრიცხოვან თაყვანისმცემელთა გუნდი, რომელიც ფიქრობდა, რომ დღეს თუ ხვალ ახალგაზრდა მშვენიერი ქერივი არჩევანს გააკეთებდა და ისევ გაბედნიერდებოდა - რომელიმე მათგანს გააბედნიერებდა...
- ჰოდა სწორედ ის გარემოება, რომ ქმრებისგან ქერივს საკმაო სიმდიდრე დარჩა, გახდა ალბათ მიზეზი იმისა, რომ ბოცო ცხვირას გაახსენდა მისი სახელი.

– სილამაზის გარდა, ფულიც ბლომად მოექვევება, რა იქნება, ცოტაოდენი ყოჩად ფეხბურთელებს გვიბოძოს გაჭირვების ჟამს?! – განაგრძო ადგზნებულმა ცხვირამ. – მას ბევრი არაფერი შეეცყო, ჩვენ კი სულს მოვითქვამთ. მე მგონი, უარს არ გვეტყვის, ფეხბურთი უყვარს – მგლოვიარეა, მაგრამ..

– დიახ, სწორედ მაგის ჩიტია ქალბატონი მასტრედია, რომ ვილაც ძლიერიანი ფეხბურთელებისთვის თავი შეიწუხოს! – საფუძვლიანი ეჭვი გამოთქვა კოპალამ.

– რატომ, კაცო, არცერთ ჩვენს შეხვედრას არ აკლდება! – არ უნელდებოდა საკუთარი აღმოჩენით აღტაცება ცხვირას.

– კი, ბატონო, ხშირად გვაბედნიერებს ციური სილამაზის გამობრწყინებით, მაგრამ ცუდ სამსახურს გვიწევს – ყველანი მას შესცქერიან და საწყალი ფეხბურთელების თავდაუზოგავი წინ და უკან სირბილისთვის ვის სცხელა! – ხუმრობს უღვაშა, ლოთია ციხოიძე.

– არ გამოვა შენი ჩანაფიქრი, ძამია, ეგ ბრწყინვალე გეგმა ჩაიფუშება: ყველამ ვიცით, ქვრივის ხელმოჭერილობა მისი სილამაზის უკუპროპორციულია! – ისევ უიმედოდაა განწყობილი კოპალა.

– შენ, ეტყობა, მათემატიკაში მაგარი მომზადებული გახლავხარ, ფულის თვლა გეხერხება და ერთი ეს გვიბრძანე, აბა, რა მანქანებით ვიშოვოთ ამჟამად ჩვენთვის სასიცოცხლოდ საჭირო ათასი ვერცხლი? თუ არ გვაჩუქებს, ვისესხოთ! – ამბობს ცხვირა.

– როგორ არა, ბიჭო, გადაგყვება თან და ცოლდაც გამოგყვება! – დასცინის კოპალა.

– ევრიკა, ევრიკა! – წამოიძახა ბოცო ცხვირამ.

– რა ევრიკობა აგიტყდა, ერთში უკვე ჩაფლავდი, მეორეც თუ იმავე ყაიდის იქნა, ათასი ვერცხლით დაგაჯარიმებთ და გვეშველება! – ამბობს კოპალა.

– არა, ეს საქმე ნაღდია! ნამდვილად! რომელიმე ჩვენგანმა მასტრედია უნდა მოხიბლოს და ცოლად შეირთოს!

– შენ, ძმაო, ჩიტები ხომ არ გიჭიკჭიკებს ამ დილაადრიან მაგ ტვინით გამოტენილ გოგრაში? – შეეპასუხა კოპალა. – დღენიადაგ ყველას საყვარელ მურზაყანზე ელაპარაკება, სიზმარშიც კი ის ელანდება და, როგორ ფიქრობ, ცოცხალს გამოუშვებს, ვინც კარზე მიადგება საქორწინო წინადადებით?

– ქალბატონი მასტრედია ლევან ვაშაყვიანის სახელსაც სულ ლოცულობდა და კი გათხოვდა მეორედაც მშვენივრად! – ამბობს ლოთია და უღვაშის მადლა აპრეხილ წვერებს რიგრიგობით იგრესს.

– ნაღდად ეგრეა, ძმაო, ყველა კეთილი საქმე სამობითაა! ალბათ ახლაც აპირებს ისევ გათხოვებას: კარგა ხანია, ის სასაფლაოზე აღარ უნახავთ და ამას წინათ, ხომ ნახეთ, თალხ კაბასაც გამოეთხოვა! – იცინის კოპალა. – მგლოვიარეს თუა, რა უნდა ფეხბურთის მანზე!

– რას ლაპარაკობ, სამობას კიდევ უნდა წაუმატო კარგა ბლომად: შენ რა იცი და სანამ მასტრედია ფუთში გამოჩნდებოდა, ეგ მშვენიერი ქალბატონი მანამდე ჯერ ბათომში იყო გათხოვილი, მერე – მწვანეყვავილაში, მერე – ოზურგეთშიც გააბედნიერა ერთი თავადი... – ახალ ამბავს ამცნობს დამსწრეთ მამამზე ბუღათურია, მგლისმუხლა; ამართლებს კიდევ მეტსახელს – მინდორზე შეჯიბრებისას ვისაც კი გამოსდო კვანტი, საკაცით გასატანი გახდა.

– არ გამაგიჟო, ცხუმი და ოჩამჩირე ხომ არ გამოგრა? – ეხუმრება ლოთია. – საიდან იცი, შე ოხერო, ეგ ამბები?

– დადაშმა მაგის მეტი რა იცის.

– არა, ძმაო, ეგ ისეთი ქალია, ორმოცჯერ ნაქმრევიც რომ იყოს, არ ვიტყვოდი უარს მისი ხელის თხოვნაზე! – იცინის ლოთია და ისევ იგრესს უღვაშს.

– შენ, გეტყობა, მაგრად ხარ დაჭრილი გულში... – მხარი გაჰკრა ლოთიას მამამზე.

– ნიფხვის ამარა რომ იყოს, მაინც ვითხოვდი!

– ა, ძმებო, ნაღდი შეყვარებული აგერ გეყოლია და ცოდვაა, ვინმე შეეცილოს! ახლა ისდა დაგვრჩენია, იმაზე ვიმსჯელოთ, როგორ ჯობს ამ საქმის გაჩარხვა! – ამბობს მამამზე და ამჯერად ლოთიას ხუმრობით ქიმუნჯს უთავაზებს.

– რას ამბობ, მე ვითომ რით ვარ მაგ მათხოვარზე ნაკლები, თვალტანადობით მიწუნებ თუ სხვა რამით? – იჯგიმება უცებ ხუტა ხუბუტაიძე, მეტსახელად ძუძგურია.

– შენც გიყვარს? – ეკითხება მამამზე.

– მიყვარს და მეტი არა? – წელზე ხელი ამაცად შემოიდგა ძუძგურია. – ხომ ხედავ, რამდენს მოსწონს და მე რატომ უნდა დავიწუნო?

– თუ უფრო ქალბატონ მასტრედიას ოქრო-ვერცხლმა მოგტრა თვალი? – ჩაუნისკარტა ლოთია.

– შენ ჭკვიანად ილაპარაკე, თვარა აქვე გამოგშიგნავ! – ხუმრობით ვითომ ხანჯლის ტარი მოსინჯა ძუძგურია.

– უყურე ერთი, რამდენს მობეზრებია კიკოდ ყოფნა! – იცინის ლოთია.

– იმ ქალს ცოცხალი თავით არავის დაგანებებ! – მოულოდნელად გაიქაჩა საბედოს კიდევ ერთი მაძიებელი – მუგუზადა.

- ძამია, შენ ცოლი და ორი შვილი რომ გელოდება შინ, ხომ არ დაგავიწყდა? - ახლა მას წაუთავა მსუბუქად კეფაში მამამზემ.
- მასტრედია მთუ ხუთი ქმარი გამოიცვალა, მე რა დამიშლის, მეორედ მოვიყვანო ქალი?
- მაშინ ჩადექი რიგში! - სიცილით შესთავაზა მამამზემ.
- იმას ვუცადო, მეექვსე და მერე მეშვიდე ბუღალსავით ქმრები როდის მიიცვლებიან? მანამდე ქე გავხდები ოთხმოცი წლის!
- არა, ძმაო, ეგ ისეთი ქალია, ცოდვია, ერთი კაცის კუთვნილება იყოს! - ხუმრობს ძუბუგურია და აგრძელებს: - ბიჭებო, ჩვენ აქ ლამის ერთმანეთს ცხვირ-პირი დაგულებით და მე რომ მკითხო, ბებურზე უკეთესად მასტრედია ვერაფერს მოუვლის! ულაპარაკოდ! თვალტანადობა აქლია თუ სიტყვა-პასუხი არ უვარგა! სულ თამაშ-თამაშ შეაყვარებს თავს მასტრედიას, თვალის დახამხამებასაც ვერ მოასწრებ!
- ჭეშმარიტად! აქამდე როგორ ვერ მოვისაზრეთ?! - აღტაცებით წამოიძახა ცხვირამ. - ქალების მოხიბვლაში ჭიპი აქვს მოჭრილი!
- არა, შესახედავად მართლა რა უჭირს, მაგრამ მასტრედიას სამყოფი ფული ბებურს სად აქვს! - ეჭვი გამოთქვა მუგუზალამ.
- ბიჭო, - შეეპასუხა ცხვირამ. - შენ არც სილამაზე გაქვს და არც სიმდიდრე, ცალკე კიდევ ორი შვილი გიღნავის შინ და მინც იქაჩები, ბებურს ედრები?
- სად გახლავს ბებური? - მხოლოდ ახლა ჩაერთო საქმის გარჩევა-მსჯელობაში უტუ ბატონი. - ორი დღეა, ვარჯიშზე არ გამოცხადებულა! ეგ არის მთავარი!
- ჩვენც არ გვინახავს, რა ხანია, არ გამოჩენილა, - პასუხობს გელა მგელუკაშვილი. - ვასწავლი ჭკუას, დავაჯარიმებ ვარჯიშების გაცდენისთვის!
- სად დაეხეტება ნეტავ? მომიძებნეთ! - ბრძანა მწვრთნელმა. - სასწრაფოდ მომიყვანეთ! ეგ არის მთავარი!

კარი XI. აქა სახელგანთქმული ფუთელი მექალთანის ბებურ ბურბუშელაშვილის ამბავი

ფუთში ბებურ ბურბუშელაშვილი, მეტსახელად “კონკილა” და “გოგოების ბირკა” ან მოკლედ - “ბირკა”, ცნობილი იყო არა მხოლოდ როგორც საკმაოდ კარგი ფეხბურთელი, არამედ, და უფრო მეტადაც, როგორც კარგი მომლხენი და სწორუპოვარი მექალთანე, უტიფრად, და ხშირად წარმატებითაც, მოარშიყე ფუთელ ტურფებთან. ლამაზი ბიჭია: მაღალი, გამხდარი, მაგრამ ძარღვიანი და მოქნილი; თეთრი სახის ნატიფად ჩამოქნილ, მაგრამ ვაჟკაცურ სახეს კეხიანი ცხვირი უმშვენებს, ღურჯი, ფოფინა თვალები და შუბლზე გადმოყრილი შავი თმა საოცრად მომხიბლავ იერს აძლევს... ბებურ ამოჩემებულ მანდილოსანს თამამად ახლოს მიუჩრჩნდება, სხივიანი ღურჯი თვალებით მაცდურად მიაშტერდება, ნუსხავს; უხერხულობისგან აწვრილებულ და თავგზააბნეულ მსხვერპლს გასაქანს არ აძლევს დაჟინებული მხერით, დათაფლულ სიტყვებს არ იშურებს; თან გულში ზეიმობს, ეცინება, თუმც გარეგნულად არ იმჩნევს. ამ დროს უყვარს მარჯვენა საჩვენებელი თითის ქვევიდან აქეთ-იქით ამოსმა კონტად აპრეხილ შავ უღვაშებზე...

უყვარს ქალების დახარისხება სხვადასხვა ნიშნით:
 ხმის მიხედვით: ზოგ ქალს ისეთი მსუყე ხმა აქვს, რომ გინდა სულ ლაპარაკობდეს - თაფლივით ტკბილი, ხავერდოვანი, ზოგისა - ზანზალაკების წკრიალს ჰგავს, ზოგისა - მტრედის ტკბილ დუღუნს, ზოგის საუბარი კი - სიმდერას უტოლდება!

თმების მიხედვით: ქერა - გრძელი, სწორად ჩამოვარცხნილი ბეჭებზე სცემს ან საშუალოდ შეკრეჭილი, შუბლზე ჩამოშლილი, რბილი აბრეშუმივით, თავის ამაყი მოძრაობით თმებს უკან თავის ადგილზე დააბრუნებს; კუპრივით შავი, მძიმე - ნახშირივით მზინავი, მსხვილი ნაწინავი; სახის გარშემო ნიაღვარივით ჩამოშლილი, სახე თეთრად ანათებს მუქი თმების ჩარჩოში...

თვალების ფერისა და გამოხედვის, აგრეთვე, სახის გამომეტყველებისა და ტანის აღნაგობის მიხედვით... ამ თემებს მთელი წიგნის მიძღვნა შეიძლება!

სრულებით გამორიცხულია ბებურის კლასიფიკაციაში ხასიათი, ქცევა, ფსიქოლოგია - ფიზიონომისტია და მხოლოდ გარეგნული იერის ხილვით კმაყოფილდება.

ისეთი ჟუჟუნა თვალები აქვს ბებურს, რომ ეშმაკსაც კი შეაცდენს. ავადმყოფობა სჭირს ერთგვარი: თუ ისეთი დღე გამოერია, რომ რომელიმე ქალს სიყვარული არ აუხსნა, ვერ არის ხასიათზე... როდისღა ასწრებს ან ვარჯიშს, ან ფეხბურთის თამაშს?

საუბარში კრავად მოგაჩვენებს თავს, სინამდვილეში კი დიდი ჯიბიდან გაგარდნილი ვინმეა. მოხერხება არ აკლია და რა საქმე იქნება ისეთი, რომ მან არ მოაკვარახტინოს; თუკი რამ გასაჭირია, საჭიროა ვინმეს რაიმეზე დაყოლიება, ბებურის გაგზავნა სწორედ რომ წამალია. მე რომ მკითხო, გელა მგელუკაშვილზე ნაკლებ არ გაუძღვებოდა გუნდის საქმეებს, მაგრამ, ჯერ ერთი, ეს აზრი არავის მოსვლია თავში და მეორეც - ბებურ უფრო ფეხბურთელად სჭირდებოდა უტუ ბატონს, ორ საქმეს კი ერთდროულად ვერ მოუვლიდა ჯეროვნად. იქნებ ერთი თვისუბაც ხელს შეუშლიდა ბებურს - გამკილაგი ენა აქვს, დამცინავი ღიმილით ყველას აძლევს ირონიულ რჩე-

გებს... ყველა გაურბის ბებურთან სიტყვიერ შემბას, თუმცა ის ყოველთვის პოულობს საბაბს, წარმოაჩინოს საკუთარი მახვილსიტყვაობა...

– მომიძებნეთ! მომიყვანეთ!.. – მწვრთნელის, უტუ კამპბელიას, ეს ბრძანება მხოლოდ გელა მგელუაშვილის ყურისთვის არ იყო განკუთვნილი და გუნდის ბიჭებმაც დაიწყეს ბებურ ბურბუშელაშვილის ძებნა. ბებურ არ ჩქმაღავდა სასიყვარულო თავგადასავლებს, პირიქით – ხალისით, დაუფარავად ჰყვებოდა ყველაფერს, არც ქალთა ვინაობას მაღავდა, ამიტომ ჩამოუარეს ყველა მის ყოფილ თუ ახლანდელ სატრფოს, მაგრამ მის კვალს ვერსად მიაკვლიეს – ბებურ დაიკარგა! მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ დადაშ ჩანჩაღიასგან შეიტყვეს, რომ... შემდგომ დღეს, კვირას, ბებურ ქორწინდებოდა!

ამგვარი რამ ვერაფის წარმოედგინა!

და ნახევარი ფუთი, გაკვირვებული და ცნობისმოყვარეობით დამუხტული, დიდიდანვე მიაწყდა ფუთის ეკლესიას!..

მაგრამ იქ ვერაფერი ნახეს.

ბიჭებმა გაიკითხ-გამოიკითხეს და დაადგინეს, რომ ჯვრისწერა უნდა მომხდარიყო რომელიღაც მიყრუებულ მთის სოფელში (თურმე ნეფემ დაიჯინა: “ფუთში, სულ რომ ხანჯლით ამეუწოთ, არ დაგიწერ ჯვარსო!” ეტყობა, ყველას დაურიდებლად გამეკენწლავს, თვით დიდად არ ეპიტნავენოდა სხვათა ყბაში ჩაგარდნა!).

ძმაბიჭებმა მაინც მიაკვლიეს, სადაც უნდა გაბედნიერებულიყო ბებურ ბურბუშელაშვილი და, რა თქმა უნდა, ერთი სული ჰქონდათ, ეხილათ მისი რჩეული!

დიდი წვალებით საღამოს პირს მიაღწიეს მთის ერთი ბეწო სოფელს სწორედ იმ დროს, როცა მექორწილენი უკვე სუფრას უნდა მისხდომოდნენ...

და პირი დაადეს: დედოფალი თუ რამით გამოირჩეოდა, ერთი – დიდი ცხვირით და მეორე – ახოვანი ტანით (საკვირველია, მაგრამ ამით კიდევაც სჯობდა წარმოსადგე სიმე-ბატონს!)...

ბებურის მოულოდნელი გაბედნიერების გამოცანა ადვილად ამოიხსნა: ნეფე-დედოფალს გვერდს უმშვენებდნენ და საცრის ოდენა თვალებს აბრიალებდნენ პატარძლის დევივით ძმები, – ექვსნი! ფუთიანი ხელები ადლიან ხანჯლებზე ედოთ და ცხადი გახდა ყველაფერი – დადვრემილი ნეფე ზედმეტი კითხვებით აღარ შეაწუხეს...

ვერც ვერაფერს უშველიდნენ...

იქვე დაგინახე ერთად მდგომი სამი შაოსანი დედაბერი და ორი ბერიკაცი; ყველანი ღრმად მოხუცები იყვნენ. როგორც აღმოჩნდა, ისინი დედისერთა, უდემამო ბებურის ნათესავები ყოფილან, თანაც – არცთუ ახლობელი... რა უნდოდათ აქ, როგორ მოხვდნენ ამ შორეულ სოფელში ბებურის ჯვრისწერაზე? თურმე ისინი ბებურთან ცხოვრობდნენ ფუთში – ყველა უპატრონო თუ პატრონიან ბებურ ნათესავს მასთან მოუყრია თავი. ეტყობა, ბებურ ჩვილი გულის ყოფილა; თვითონ არცთუ დალხენილად ცხოვრობდა, მაგრამ ბებრები სხვაგან წასვლას არ ფიქრობდნენ, ალბათ კარგად გრძობდნენ თავს მასთან... სინამდვილეში ბებურს სათუთი გული ჰქონია; რატომღაც ეს სისუსტედ მიაჩნია, და მწარე დაცინვით სურს დაფაროს...

ბებურის ბებრებს ახლა ერთი სულიც დაემატებათ – ახალგაზრდა რძალი – და, იმედია, კიდევ უკეთ იგრძნობენ თავს!

მოკლე ხანში გაბედნიერებული ბებურ ბურბუშელაშვილი ფუთს დაბრუნდა ახალშერთულ ცოლთან და ბებრებთან ერთად და ერთი უცნაური ამბავიც მოხდა: კაცი დაიკარგა!

ლამაზი კაცი, ტანმრთელი კაცი, დიდი კაცი, ღონიერი კაცი! რაც მთავარია – ფეხბურთელი კაცი!

“როგორ, აქ არა ვარო?! – შეეძლო ომახიანად ეთქვა ბებურს. – თავი, ყურები, თვალები საკუთარ ადგილზე ხომ მაქვს? ხელ-ფეხიც ხომ მაბია? მაბია! ტანიც მთლიანად აქაა! მაშ რატომ ვაგქრი? რა სისულელეა!”

უტუ კამპბელიას კი შეეძლო ეპასუხა: “ჰო, ყველაფერი ადგილზე მაქვს, მაგრამ მაინც გაქრი! იმიტომ, რომ გული გაგიქრა, – ამხანაგებს, გუნდს უღალატე, რამდენი ვარჯიში გამოტოვე და ღვინო-არყით გასივდი! შენ თვითონ ვეღარ ხედავ, რომ ფეხბურთელი აღარ ხარ, ამიტომ ჩემთვის გინდ ყოფილხარ, გინდ არა!”

ასე აწვალა ბებურ უტუმ – ვითომ ვერ ამჩნევდა, ხმას არ სცემდა! და ასე სჯიდა!

ბებურ ნაცემი ძაღლივით შესცივინებდა თვალებში – ერთ კვირაზე მეტ ხანს, სანამ უტუ ბატონმა არ აპატიო, თან პატარა შეგონებაც დაურთო:

– ქეიფი და დროსტარება მაშინ არის კარგი, ბებურ ბატონო, როცა რაღაცას ახალს შეიტყო, შენსას სხვას ეტყვი – სიხარულსა თუ ჭმუნვას გაუზიარებ, თვითონაც ბევრს ახალს, ჭკუის სასწავლს გაიგებ, შეიცნობ, თან გაერთობი – იცინებ და სხვასაც აცინებ, იმღერებ და სხვასაც ამღერებ... აი, ასეთი სუფრა მწამს, თანაც – ხშირად არა, გადაბმულ ღხინებს გემო ეკარგება... ეგ არის მთავარი!.. მართალი გითხრა, ჩემს სიცოცხლეში ნამდვილი ქართული სუფრა სულ რამდენჯერმე შემხვედრია, შემდგომ რომ სიამოვნებით გავიხსენებ, იქ მყოფ ხალხსაც კეთილად მოვიგონებ... უმეტესად კი სუფრაზე შენისთანა ფურფუტელა ხალხი იკრიბება, უსაქმურები, აღარ იციან, დრო როგორ გალიონ უაზრო ლაყბობასა და უზომო ღვინის სმაში... აწი კი შენთვის ახალი დროება იწყება: ოჯახში ხუთი უილაჯო მოხუცის გარდა, ახლა ცოლიც მოსავლელი გყავს

და აღარ შეგშენის ძველებური ქარაფშუტობა და დროის უაზროდ ფლანგვა!.. შენს დანაშაულს კი ასე გამოისყიდ: ორი კვირის განმავლობაში არ დაგრთავ გუნდთან ერთად ვარჯიშის ნებას, შენ მხოლოდ შორს გადავარდნილი ბურთების მოტანა დაგეგვალე – ეს ვარჯიშად ჩაგეთვლება! არ ვიცი, რამდენად გაითვალისწინებს ბებურ უტუ ბატონის შეგონებას, მთავარი რამ კი ჩემთვის ცხადი გახდა: ორივეს ხასიათში, ურთიერთ დიდად განსხვავებულობის მიუხედავად, ბევრი მსგავსებაც გააჩნიათ! ალბათ იმიტომაც ვერ იშორებს ხშირად მის გამაბრაზებელ ბებურს უტუ ბატონი – დიახ, ბებურს უყვარს სუფრასთან მოლხენა, მეტისმეტად გატაცებულია ქალთა დეგონით, მისთვის მოსაწყენ ვარჯიშებს კი დიდად არ სწყალობს, ხშირად აცდენს, – მაგრამ ორივე ყველა გაჭირვებულის შემწეა!

კარი XII. აქა სალაყბოს თავგაცის დადაშ ჩანჩალიასა და რაუდენა დალაქის ამბავი

ცხარე პაექრობისა და ხან ხუმრობით, ხან სერიოზული მიწვევ-მოწვევის შემდეგ საპატიო მისიის ანუ ქალბატონ მასტრედის მორიგ თანამეცხედრედ გახდომის შესაძლებლობა წილად ერგო ერთ მეტად გამხდარ, მაგრამ ჯანიან ბიჭს – აჩიკო როყვაიას, რომელსაც ყველანი ფიშტოს უწოდებენ (იგი აღრე უკვე გაგაცანი). ამ საქმეში გადამწვევტი სიტყვა ბატონ უტუ კამპბელიას ერგო, რომელმაც ბრძანა:

– აჩიკოს ჩემზე კარგად არავინ იცნობთ – უკვე კარგა ხანია, ჩემთან ცხოვრობს, ჩემს გემზე... ცოტა ფიცხი გახლავთ, ტყუილად კი არ ეძახიან ფიშტოს... სხვა მხრივაც დაიმსახურა ეს მეტსახელი: მეტად სწრაფია და მოედანზე ვერავინ ეწევა, ქარივით დაჰქრის! ამასთანავე ერთი ძალიან კარგი და დასაფასებელი თვისებაც აქვს – მხიარული ბიჭია! მოსწრებული სიტყვა-პასუხის პატრონი! ამიტომ მომწონს და შეილივით მიყვარს. ხანდახან კი ფიშტოს მეტისმეტი მოსდის – უყვარს საკუთარი თავის აბუჩად აგდება, დაცინვა, გაბიაბრუება და ეს თითქოს სიამოვნებასაც კი ანიჭებს... რა თქმა უნდა, პირველად ყველას მოსწონს ასეთი თავმესაქცევი პიროვნება, რომელიც სიცილის ხელოვნება იმდენად იზიდავს, რომ ზოგჯერ მსხვერპლად სწირავს საკუთარ თავმოყვარეობასაც კი, მაგრამ მერე და მერე მოგებურდება, ვეღარ ერთობი, როცა ხედავ საკუთარი თავის აბუჩად აგდებას... რა თქმა უნდა, ადამიანს უნდა შეეძლოს ზოგჯერ (ზოგჯერ და არა – ყოველთვის!) საკუთარი მარცხის თუ ნაკლის ირონიული და ჰუმორული თვალით დანახვა და შეფასებაც, ეს თვითირონია სულიერი სიძლიერისა და სიჯანსაღის მაჩვენებელია, მაგრამ... მაგრამ აქ ზომიერების გრძნობამ არ უნდა გადალატოს! მე სწორედ ამას ვურჩევ ფიშტოს, თუ უნდა, წარმატებას მიაღწიოს ისეთ საძინელო საქმეში, რომელიც ჩვენ მას დაგაკისრეთ! ეგ არის მთავარი!..

– გაუჭირდება, არ აქვს საამისო გამოცდილება, – საქმიანად ამბობს ბებურ.

– არც შენ გქონია დიდი გამოცდილება და ხომ გაბედნიერდი! – პასუხობს ცხვირა.

– აბა, რა უნდა ჰქნას ფიშტომ? – იცინის ლოთია ულვაშა და რთულ მსჯელობას სთავაზობს დამსწრე საზოგადოებას: – მასტრედია მდე ჯერ სხვა ქალი უნდა შეირთოს, მერე გაუშვას და უკვე ექნება საკმარისი გამოცდილება? თუ მერედაც უნდა შეუდლდეს, იმასაც დასცილდეს და მხოლოდ ამის შემდგომ, უკვე გამობრძმედილს, შეეძლება, შეუტოს მასტრედის ციხესიმაგრეს? ბიჭო, ბებურ, შენ თვითონ ხომ არ აპირებ განქორწინებას, ჰა? მასტრედიაზე ხომ არ გიჭირავს თვალი და ამისთვის გამოცდილების დაგროვება უკვე დაიწყე?

– მაგას გამოცდილება საკმარისზე მეტიც ჰქონდა ცოლის შერთვამდეც! – ჩაერთო კამათში ბუბურია.

– გეყოთ ლაზღანდარობა, ჯობს, დროზე წავიდეთ სალაყბოზე – დადაშთან, მასტრედის ამბები მასზე უკეთ არავის ეცოდინება; ხერხსაც მიგვასწავლის, როგორ მიუჩინდეს ფიშტო, – ასკენის უტუ კამპბელია. – ეგ არის მთავარი!

– თან იმასაც გვეტყვის, სად შეგვიძლია საუკეთესო ტყავის შოვნა ბურთის შესაკერად, – ამატებს გელა მგელუკაშვილი.

– ხომ არ ჯობს, საუკეთესო ჭონთან მიგვასწავლოს? მას ტყავიც ექნება და ბურთსაც შეგვიკერავს! – პასუხობს უტუ ბატონი.

მთელი ამ ბჭობის დროს ფიშტოს რატომღაც ხმა არ ამოუღია, თითქოს ვიღაც სხვა პიროვნების ბედ-იღბალზე საუბრობდნენ.

გადაწყვიტეს, რჩევა-დარიგებისთვის დადაშ ჩანჩალიასთვის მიემართათ: როგორ ჯობდა რთული საქმის წამოწყება – აჩიკო დაახლოებოდა ქალბატონ მასტრედის...

– ზღაპარია, ზღაპარი, მაგ საქმიდან არაფერი გამოვა! – ამბობს ბოლოს ბებურ და კინაღამ ფიშტოსგან გემრიელ ალიყურსაც იმსახურებს, დროზე გაეცლება...

დადაში ჩანჩალია: უცოლშვილო, ყავარჯნიანი სახიჩარი (ცალი ფეხი დაზიანებული აქვს – ახალგაზრდობაში ლელობურთში ერთ-ერთი პაექრობის დროს კოჭში მოტყდა და არასწორად შეუხორცდა), უკვე მოხუცებული; ჭაღარა, თმაგაბურძნული, ღვინო-არაყის მომეტებული ტრფილისგან გამომშრალ-გამხდარი; დანაოჭებულ სახეზე – თეთრი წვერიდან ამოზრდილა მოღრეცილი ცხვირი, ოდესღაც სამგან გახლეჩილი და მერე უსწოროდ მიკერებულ-შეხორცებული...

რით ცხოვრობს? კეთილ ხალხს ქვეყნად რა გამოლევს – ხან რით და ხან რით... ცოცხალი გაზეთია: ამბები მიაქვს-მოაქვს და ან ვინმე სუფრაზე დაჰპატივებს, ან – ცოტაოდენ ფულს უწყობლობებს...

დიდიდან დაუღალავად დახანხალებს ქალაქში, ათას ადგილს მოივლის, ათას ადამიანს გაუბამს მუსაიფს...

სადამოებით კი საღაყობზე ნახავთ – რაჟდენას სადალაქოს გვერდით, აბალახებული, წყნარი ქუჩის პირას. რამდენიმე ახლომახლო მცხოვრებ მოქალაქეს მოაქვს ხოლმე შინიდან დაბალი სამფენა სკამები; საუბრობენ, თამაშობენ ნარდს... ვინც კი ამ დროს იქ გაივლის, გაიგონებს დაღაშის ოდნავ ჩახრინწულ, სასიამოვნო ბანს, რომელიც საკმაოდ შორს ისმის, ხედავს მის მსმენელებს და მათ თავზევით – მოლივლივე თამბაქოს ბოლს; დადაში მაგარი მწვეველია – მუდამ მბოლავი ჩიბუხი ამშვენებს, ლაპარაკის დროსაც კი არ იღებს პირიდან. ყოველი გამგლევი აუცილებლად ჩერდება საღაყობზე თუნდაც რამდენიმე წუთით, ჩაერთვება საუბარში. სადალაქოს ფართო კარი ზამთარ-ზაფხულ ფართოდ არის გაღებული და დალაქსაც და მის მუშტარსაც თავისუფლად შეუძლიათ, საღაყობზე შეკრებილთა საუბრის უშუალო მონაწილე გახდნენ.

დალაქი რაჟდენა: დაბალი, ჩაგოდრებული, თავმოტყვეპილი, თავპირიანად სუფთად გაპარსული, მისი მუჭი წარბები რომ უღვაშებს ეპაექრება სიმსხოში... პირზე მუდმივად ღიმილი უყვავის; მუცელზე ყოველთვის გამოდელილი აქვს თეთრი ხალათი, რომელიც ზაფხულობით ფუთისთვის ჩვეული დახუთული სიცხის გამო პირდაპირ მიშველ ტანზე წამოუცვამს: ვითომ შეიკრავს კოტიტა თითებით, მაგრამ ღიპის მიწოლით დიდი მაშინვე იხსნება; ხელით წამდაუწუმ ისწორებს ხალათს, ისევ შეიკრავს დილს, მაგრამ თავზევით ღიპი ისევ და ისევ უტიფრად გამოიხედავს გარეთ – თავისი ჯიშინობა რატომ უნდა დააფარვინოს თუნდაც პატრონს!

რა დროიდან სტუმრობს აქაურობას დადაში, არავის ახსოვს – თითქოს მუდამ ასე იჯდა საღამო ხანს დასაბამიდან საღაყობზე დროის გასატარებლად მოგროვილ ხალხში და რამდენიმე თაობა ფუთელებისა ისე შეეჩვია ამ დროს მის აქ ხილვას, რომ სხვაგვარად ვერც წარმოუდგენია. დადაშიც რომ თითქოს არ ბერდება, არც სმენა დალატობს და არც თვალთ აკლდება – საღაყობსკენ მომავალ ყველა ნაცნობს შორიდანვე მისალმებით ხვდება. როგორც მოგახსენებ, დღის განმავლობაში დაივლის მთელი ქალაქის დუქნებს და ყავახანებს, ყველგან ერთ-ორ ხელ ნარდს წაითამაშებს, ერთ-ორ ფინჯან ყავას დალევს, თან მუდმივად ჩიბუხს აბოლებს... სადამოებით კი, როგორც მოგახსენებ, საღაყობს არ სცილდება – სადალაქოსთან დაბრძანდება მისთვის საგანგებოდ განკუთვნილ სკამზე და საუბრის იალქანს აუშვებს... დადაში მთელი ქალაქის ამბები იცის და თუ ვინმეს რაიმეს გაგება უნდა, – ვინ სად ცხოვრობდა წინათ, რომელი სახლი ვინ და როდის ააშენა, რომელ აფთიაქში რა წამლის შოვნა შეიძლება, სად იყიდი რაიმე საუკეთესო მასალას, – უპირველესად საღაყობსკენ მოეშურება... ასევე მისთვის ცნობილია: ვინ ვის ჰყვარობს ან ჰყვარობდა, ვინ ყიდის სახლს, ვინ იძლევა ფულს სესხად და რა პირობით...

აქეთკენვე მოემართებიან: ვინც უგუნებოდ არის, რაიმე სადარდებელი აქვს ან სიხარული უნდა სხვებს გაუზიაროს.

ჰოდა, სწორედ დადაშს მიაკითხეს მწვრთნელმა უტუ კამპბელიამ, “სასიძომ” – აჩიკო როყვაი-აფიშტომ – და გუნდის “საქმიანმა ხელმძღვანელმა” გელა მგელუკაშვილმა.

ამჯერად რატომღაც დადაშს დაავიანდა საღაყობზე მისვლა და უტუ ბატონი რაჟდენას სადალაქოს ესტუმრა.

რაჟდენა სავარძელში ნებიერად გადაწოლილ მუშტარს ემსახურებოდა – უტუ ბატონს პარსავდა; შეუჩერებლად ქაქანებდა, თან – უზარმაზარი ღიპით ძალუმად აწვეებოდა და ფართო, მძიმე სავარძელიც, რასაკვირველია, მუშტრიანად, ნელ-ნელა მიცოცავდა და მალე ოთახის მეორე კუთხეს მიებჯინა... უტუ ბატონი ველარ ხედავდა სარკეში საკუთარ თავს, უკმაყოფილოდ აბუზდუნდა; ლაქლაქით გართულმა დალაქმა დროებით შეწყვიტა პარსვა და სავარძელი დააბრუნეს პირვანდელ ადგილზე...

მე დალაქის ჭრელ კატუნიას შეეცქეროდი და კუდს ვაქციინებდი, კატუნია კი თვალგაშტერებული მომჩერებოდა – მზად იყო, ოდნავი ხიფათის შემთხვევაში, კარში გაგარდნილიყო ან მაგიდაზე ამხტარიყო, რომელზედაც ძველი და ახალი ჟურნალ-გაზეთები ეყარა.

– რაია, მაგი, უტუ ბატონო, ფეხბურთს რომ უძახიან, – პირს არ აჩერებდა რაჟდენა დალაქი, – რაცხა ვერაფრით მევიცალე, თვარა მეც კი ვნახავდი... გევიგე, ცოლშვილიანებიც კი ყოფილან, მოწიფული, წვერულვაშიანი ვაჟკაცები – ნიფხვის ამარა დარბიან თურმე პატარა მინდორზე და ლელობურთსავით ბურთს დასდევენ... გაგიგონია, კაცო, ასეთი რაიმე? პატარა მინდორზე! ცხენოსანიც თურმე ვერ გეიჭაჭანებს, ვისი მოგონილი კანონია ესე?

უტუ ბატონი ვერაფერს პასუხობდა, რადგან სწორედ ყელზე უსვამდა პრიალა “ზოლინგენის” სამართებელს რაჟდენა დალაქი; იმის შეტყობინებას კი ცდილობდა, თვალების კარკელითა და

ზმუილით, რომ მისი სავარძელი უკვე მეორედ ჩაეხუტა კედელს და ახლა რაჟდენას ღიბი ისე მძლავრად აწვებოდა, მეტის მოთმენა აღარ შეეძლო, არადა, გასაქცევიც არსაით ჰქონდა.

აღლოიანი კაცი იყო რაჟდენა დალაქი, მიხვდა კლიენტის გასაჭირს და სავარძელი საწყის მდგომარეობაში დააბრუნა, ქაქანი კი არ შეუწყვეტია.

როცა სკამის გადანაცვლება სამჯერ განმეორდა და სამართებლის მოგზაურობა-ფხეკაც მწვრთნელის ლოყებზე ბედნიერად დასრულდა, უტუ ბატონი, გაბრუებული ცალკერძო რაჟდენას ლაპარაკით, ცალკერძო – ღიბის მძლავრი მიწოლით და, ბოლოს, – პუღვერიზატორიდან შეფრქვეული ოდეკოლონის მძაფრი სურნელით (თანაც, როცა რაჟდენამ საფარებელი ტილო მოხსნა, გაპარსულ კისერზე ალერსიანად წაუთაქა თათი: “გაამოს, გაამოს!”), ნელა წამოდგა სავარძელიდან, შეგებით გაშალა გაკაგებული ხელ-ფეხი, დააგდო ფული მაგიდაზე და უკვე მოსულ დადაშის მსმენელებს შეუერთდა. ოდეკოლონის საშინელ სუნს მეც საჩქაროდ გამოვერიდე (ფუი, რა აუტანელი სიმყრალეა!), გარეთ გამოვეარდი და კარგა ხანს არც უტუ ბატონს გაგვარებვიარ ახლომასლო.

– გამარჯობა, დადაშ ბატონო! ხომ კარგად? – მიესალმა უტუ ბატონი, ხელი ჩამოართვა, მერე ჩიბუხი გააჩაღა და ფიშტოზე მიუთითა: – ამ გამწვლიკულ ყმაწვილს ხომ ხედავ?

დალაქმა შეათვალიერა აჩიკო როყვანი:

– ვხედავ, როგორ არა! შენი სახელგანთქმული ფეხბურთელი გახლავს, მერე დიდი თანამდებობა რომ ისურვა და ბნელ ორმოში კი მოხვდა!

– საქმე გამოვლია, დადაშ ბატონო, ყმაწვილია ჯერ, ბრყვი! – უპასუხა უტუ ბატონმა. – ახლა ერთი ძნელი საქმე უნდა მოვაკვარახტინოთ და შენი რჩევა-დარიგება გვჭირდება უსიკვდილოდ...

ფიშტომ კი მოულოდნელად გაცხარებით დაიცვა თავი:

– თანამდებობა კი არ მინდოდა, მე მასტრედია კარგა ხანია, მიყვარს! ვიფიქრე: ჩემისთანა ჯიბეგაფხეკილი და უჩინარი კაცი რად უნდა, აი, ქალაქის მოურავი რომ გავხდე, მაშინ იქნებ მიკადროს და ცოლად გამომყვეს-მეთქი!

ყველა გაოცებით მიაჩერდა ფიშტოს.

– მე კი მეგონა, ფეხბურთი იყო შენთვის მთავარი! – დანანებით თქვა უტუ ბატონმა.

დალაქმა ფიშტოს დაძმარებულ სახეს შეხედა და გაამხნევა:

– არჩვენებში რომ გაემარჯვა, ფეხბურთსაც მიხედავდა, ხომ ასეა, ყმაწვილო? უეჭველად!

შემდგომ უტუს ყურადღებით მოუსმინა და სავსებით გაერკვა, თუ რისთვის მივიდნენ უტუ კამპბელია და გელა მგელუკაშვილი მასთან.

უპირველესად მათ უჩნია, თუკი ფიშტოს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი დასახული მიზნის მიღწევა, ბიჭს ნავსადგურში მტვირთავად მუშაობას დროებით თავი დაანებებინონ, დაასვენონ და კარგად კეებონ, მერე კი, მოფერიანებული, ლამაზად გამოაწყონ და მხოლოდ შემდეგ გაუშვან მასტრედიას გასაცნობად და გულის დასაპყრობად...

– მასტრედია ბევრის მნახველი, დიდად წუნია ქალია, ადვილად ასადები ცინესიმაგრე არ გეგონოთ! აჩიკო შესახედავად არ არის დასაწუნი ბიჭი, მაგრამ აუცილებლად თავადივით უნდა მოიკაზმოს – არ აწყენს, ნამდვილად!

გამხნეებული ფიშტო შინ, გემზე დაბრუნდა, უტუ ბატონმა და გელა მგელუკაშვილმა კი დადაშ მიიპატიჟეს სამიკიტნოში “მობრძანდი, გენაცვალე!”. სალაყბოს თავკაცმა მრავალ სხვა თემზე საუბართან ერთად, არ დაიზარა და მათ გააცნო მშვენიერი მასტრედიათ ცხოვრებისეული გზის ფართო საზოგადოებრიობისთვის დაფარული ფრიად საინტერესო, მისთვის ცნობილი, ფურცლებიც, რასაც ფიშტოსთან ვერ გაამხედა...

კარი XIII. აქა მშვენიერი მასტრედიათ ამბები, მოთხრობილი დადაშ ჩანჩალიათ მიერ

– ტყუილად კი არ გკითხეთ, ფიშტოს ნამდვილად გულით სურს მასტრედიათ შერთვა თუ არა-მეთქი... – ასე დაიწყო ამბის თხრობა დადაშ ჩანჩალიათ. – ქალბატონი მასტრედია ალბათ ფიშტოს ხნის იქნება, მაგრამ, ჩემი შეხედულებით, ცხოვრებისეული გამოცდილება ბევრად მეტი აქვს და ხანიათითაც უფრო ძლიერი ჩანს... ხომ არ დაჩაგრავს ფიშტოს?

– ფიშტო კი არის ერთი შეხედვით ბავშვივით გულუბრყვილო და უშუალო, მაგრამ არა მგონია, ვინმეს დაჩაგვრინოს თავი! – დაბეჯითებით უპასუხა უტუ ბატონმა. – თუკი ქალბატონი მასტრედიათ მასავით ჯინიანი და თავისნათქვამა გახლავს, ცხელი საოჯახო გარემოება შეიქმნება! ერთ რამედ ეღიროება დასწრება!

– არა, მასტრედია არ არის ფიცხი ან შუბლმაგარი, მაგრამ საკუთარს მაინც ყოველთვის გაციტანს! ამისთვის მას ბევრი ქალური ხერხი აქვს მომარჯვებული – რბილი და დახვეწილი! ისინი მას არსად და არავისგან უსწავლია, ბუნებით დაჰყვა ალლო – ძნელ მდგომარეობაშიც კი არ ჩაიძიროს, ცხოვრების მღვრიე ტალღებში მუდამ ზევით იტივტივოს და საამოდ იგრძნოს თავი! ტყუილს არ ვიკადრებ, მასტრედიათ შესახებ ბევრი რამ ვიცოი... გამოიგია: ჯერ კიდევ ბავშვი იყო,

როცა მისი სილამაზის ქება ესმოდა, მაგრამ ჭკუაჯ საკმარისი ჰქონდა და მოხერხებაც. მასტრედის სამი და ჰყავდა, თვითონ ნაბოლარა იყო. დებიც შესახედავად არ იყვნენ ურიგონი, მაგრამ მასტრედია მთელ სოფელში გამოირჩეოდა სიტურფით და თხუთმეტი წლისა იყო, როცა უამრავი ახალგაზრდა მოდიოდა შორეული სოფლებიდანაც ხელის სათხოვნელად თუ სანახავად მაინც. დელამისი ანებივრებდა, სხვა შვილებისგან განსხვავებით მძიმე გლეხურ სამუშაოს ახლოს არ აკარებდა; გაჭირვებული ოჯახი იყო. მაგრამ მასტრედის ყოველთვის გამორჩეულად აცმევდნენ... მასტრედია თექვსმეტი წლისა შესრულდა, პირველად რომ მაგრად წაიტეხა ფეხი, ჯერ გამოუცდელი იყო, საჭირო სიფხიზლე ვერ გამოიჩინა: რამდენიმე წლით უფროსი მეზობლის ბიჭი, ავთანდილი, შეუყვარდა, მასავით ღარიბი და მაინცდამაინც არც თვალტანადობით გამორჩეული. ერთხელაც მასტრედისა და მის რჩეულს დედა მდინარის პირას, ბუჩქნარში დაადგა თავს, როცა ისინი განცხრომაში იყვნენ და სისულელე ჩაიდინა – კივილი მორთო... მისი ქალიშვილი ამ ბიჭისთვის არ ემეტებოდა, დიდი გემგები ჰქონდა მომგებიანად მისი გათხოვებისა... გოგოს ჯოხის ცემით გული რომ მოიფხანა, მასტრედია იქაურობას გააშორა – ქმარს მეორე დღესვე მწვანეყვავილაში წააყვანინა, იქ გათხოვილ უფროს ქალიშვილს მიაბარებინა. იმ ოჯახში კიდევ ორი უცოლო მახლიც ცხოვრობდა. არ ვიცი, ერთს ჰყვარობდა თუ მეორეს, თუ ორივეს, ძმებს ერთმანეთში ჰქონდათ ცილობა მასტრედის გამო და ერთხელ ისე გაფიცდნენ, რომ ერთმა ძმამ მეორე ხანჯლით სასიკვდილოდ დაჭრა... მასტრედია მანქანაში მიშინვე შეკრა ფუთაში თუკი მცირე რამ ტანსაცმელი ჰქონდა და გამოიპარა – ბათომს გაემგზავრა, მისი მეორე და იქ იყო გათხოვილი. თავიდან ამ მეორე ოჯახში თითქოს არ იყო ცუდად, მაგრამ მალე აქაც აიძვრა წყალი. სიძე მუსლიმი იყო და მასტრედია მეორე ცოლად გაიხადა. მასტრედის და იძულებული გახდა, შერიგებოდა ამ გარემოებას, მაგრამ როცა ქმარმა ამ მდგომარეობის დაკანონება მოინდომა, დამ, დიდი ჩხუბისა და დავიღარაბის შემდეგ, მასტრედია სახლიდან გააგდო. მერე კარგა ხანს სად იყო და რას აკეთებდა, ვერაფერს მოგახსენებთ, არ ვიცი. ერთხელაც ქუჩაში მასტრედის თვალი მოჰკრა ეტლით მიმავალმა ლევან ვაშაყვიანმა – ეს ფუთში მოხდა. გააჩერებინა ეტლი, ჩამოხდა და ჩუმად უკან გაჰყვა... შემდეგ დღეებში გაიგო მისი სახელი, გაცნობაც მოახერხა. ერთხანს ასე უფელიდა გარშემო, საჩუქრებს უგზავნიდა, მერე თავისთან შინ მიიყვანა და ჰყავდა საყვარლად. ლევანის დედა შეგუებული იყო შვილის ამგვარ დროებით გატაცებებს (ქმარი უკვე გარდაცვლილი ჰყავდა; კარგად იცნობდა – მაგრად ლოთობდა ცხონებული!) და მასტრედის თავიდან კეთილადაც ეპყრობოდა. შემდეგ კი ძლიერ შეშფოთდა, როცა საკმაოდ დრო გაიდა და შეატყო, რომ შვილი მასტრედისთან განშორებას არ აპირებდა. ერთ მშვენიერ დღეს იმასაც მოესწრო, ლევანმა დედას განუცხადა, მასტრედის ცოლად ვირთავო... დედას აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა: რატომ გინდა, ოჯახს თავი მოჭრა, ქვეყნის ნათრევი ქალი რა შენი შესაფერისიაო. ლევანი ამოდ არწმუნებდა დედას, რომ მასტრედია მიყვარს და მის გარეშე სიცოცხლე არ შემიძლიაო. ბოლოს, საქმე იმით დამთავრდა, რომ ლევანმა მასტრედის ფუთში ერთი კარგი ოთახი უქირავა და იქ აკითხავდა ხოლმე. სულ მალე ლევანის დედამ მღელვარებისა თუ სხვა მიზეზის გამო თქვენი ჭირი წაიღო... მოხდა ეს სამწუხარო ამბავი. სიკვდილის წინ დაიბარა: შვილს საიქიოდანაც დაეწყველი, თუკი იმ კახპას შემოიყვანს ამ სახლშიო... რასაკვირველია, ლევანმა ფეხებზე დაიკიდა დედის დანაბარები და ორ თვეში ქორწილიც გადაიხადა. დანარჩენი თქვენც კარგად მოგეხსენებათ: მერე მასტრედია მეორედაც გათხოვდა, ბრწყინვალე თავად მურზაყან დიდგვარაძეს გაჰყვა ცოლად...

- ახალ ოჯახში როგორ შეეგუნენ? – იკითხა უტუ ბატონმა.
- მურზაყანს უკვე აღარავინ საყვედურობდა – თავადის ქვრივი შეირთო!
- აბა, ფიშტოს, მით უმეტეს, ვერავინ უსაყვედურებს! – თქვა გელა მგელუკაშვილმა.
- დადამ ბატონო, დიდად მადლობელი გახლავართ, რომ გაგვანათლეს. შენი გაუგებარი არაფერი დარჩება და ბარემ ისიც გვითხარი, საფეხბურთო ბურთის შექმნა ან შეკერვა სად შეიძლება? – ჰკითხა უტუ ბატონმა.

დადამმა გელა მგელუკაშვილი დააკვალინა:

- მეწადე მამიას ხომ იცნობთ? კარგი წულა-მესტის ოსტატია მამია, მიაკითხეთ და, ეჭვიც არ მეპარება, შესანიშნავ ბურთს შეგიკერავთ ფეხბურთის სათამაშოდ, ასევე – საფეხბურთო ფეხსაცმელებსაც!.. თანაც – იაფად!.. ახლა არ ვიცი, სად უნდა მოძებნოთ... არ ინანებთ, კარგი ხელი აქვს!

- კაცო, აქამდე როგორ ვერ მოვიფიქრე! – წამოიძახა უტუ ბატონმა. – შორს ძებნა არ დამჭირდება, აგერ ერთი კვირაა, მამია ჩემთან ცხოვრობს, გემზე, რაც იმ ქალმა გამოაგდო!

- აგაშენა ღმერთმა! მამია არც ახლაა ბებერი, მაგრამ ერთი ათი წლით ახალგაზრდა რომ იყოს, სხვა მხრივაც გამოგადგებოდათ: თავის დროზე მაგარი ლელობურთელი იყო – ეგ რომ გავარდებოდა, ცხენიანი კაცი თუ დაეწყოდა!

კარი XIV. აქა ამბავი მამია მეჯღანისა

მამია მეჯღანემ (მეჩექმეობამდე მაშინ ბევრი აკლდა) ჩვიდმეტი წლისამ სიყვარულით შეირთო მეზობლის ოცდახუთი წლის ქალი; მასა და ნახიბროლას შეეძინათ ცხრა შვილი, სუყველა – გოგო.

მის სამუშაო ბუდრუგანას უზარმაზარი, აჯღაბაჯღა ასოებით ეწერა: ზევით – “მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო ხარაზი!”, ხოლო მის ქვევით, არანაკლებ ნატიფი ხელით – “მობძანდი!!!” (ვაპატოთ უწიგნურობა – მხოლოდ ორკლასიან სასწავლებელში მოუწია განათლების მიღება!).

მამია ტანმორჩილია, თან – გამხდარი, შავი ხოჭოსავით, გრძელცხვირა.

დილიდან საღამომდე საკუთარ ბუდრუგანაში იჯდა და თავაულებლად შრომობდა, თან განუწყვეტლივ დილინებდა...

ერთფეროვანმა სამუშაომ თავი მოაბეზრა, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა?

თხუთმეტი წლის ერთად ცხოვრების შემდეგ ცოლი ავად გაუხდა, ლოგინად ჩავარდა...

გავიდა კიდევ ერთი წელი და ერთ მშვენიერ დღეს მამიამ მოულოდნელად მიატოვა ოჯახი და გაეკიდა მასზე ბევრად ახალგაზრდა ქვრივს...

შვილებმა მოიძულეს – არად აგდებდნენ და არც აკითხავდნენ, არც ფულს სთხოვდნენ...

ქვრივთან დაახლოება კი ასე მოხდა.

თავის ხუხულაში შემძვრალი მამია დილიდან საღამომდე აკაკუნებდა ჩაქუნს. კედლები აჭრელებული ჰქონდა ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭრილი ლამაზმანების სურათებით – რეკლამა: სუნამოები, სამკაულები, საჩუქრები, ქუდები, კაბები, წინდები, ღამის პერანგებიც კი! ყველაზე გამოსაჩენ ადგილას კი მოთავსებული იყო ერთი მოყვარული მხატვრის მიერ ალბათ ფოტოსურათიდან დიდი გულმოდგინებით გადმოსხატული, ოღონდ ამჯერად ზეთის ფერებში შესრულებული, ტილო: საჭიდაო ტრიკოში გამოწყობილი, მოსული ტანის, კუნთებდაბერილი, მადლა უღვაშებაპრეხილი, ამაყად თავადღერილი კაცის პორტრეტი. მოჭიდავეს ფართო მკერდზე გადაფენილ განიერ, წითელ ბაფთაზე უამრავი ჯილდო-მედალი იყო ჩამოკონწიალებული, ქვევით კი, ფეხებთან თეთრი საღებავით საგულდაგულოდ, ღამაზად გამოყვანილი ასოებით ეწერა: “საქვეყნოდ სახელგანთქმული ქართველი ვაჟკაცი, მრავალ ტურნირში გამარჯვებული, მსოფლიოს უძლიერესი მოჭიდავე, ბეჭდაუდებელი ფალავანი პაპუჩი პაპასკირაძე!!!”

– უი, რამდენი ღამაში ქალია! – თქვა მამიასთან ფეხსაცმლის შესაკეთებლად მისულმა, მეზობლად მცხოვრებმა, ქვრივმა დუდუხანამ; ძლივს შემოეცია ერთი ციდა სადგომში და მამია სუნამოს მძაფრი სურნელით გააბრუა.

– ქალბატონო დუდუხანა, – გაულიმა ქვრივს მამიამ, – თქვენ ყველა ამათზე ბევრად მომხიბლავი ბრძანდებით!

ქვრივს ეამა, მით უმეტეს, რომ სავსებით ამართლებდა საკუთარ სახელს – გემრიელად ჩაფუნთუშებული გახლდათ.

– რას ამბობ, შე ცველქო! – გაინაზა ქვრივი და მამიას ნაზად გადაუსვა უკვე შეთხელებულ თმაზე ხელი.

უცებ მამია წამოხტა და ქალს ხელები ფრთხილად მოხვია – რასაკვირველია, ხუმრობით...

ეგონა, ქალი განურისხდებოდა, იქნებ ლოყაშიც გამეტებით გაელაწუნებინა ფუმფულა ხელი, მაგრამ უეცრად ქალბატონი დუდუხანა მოეშვა, დადნასავით და მამიას მკერდზე მიეყრდნო მთელი თავისი არანაკლებ ექვსი ფუთით...

და მამიასაც აღარაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ მართლა მოეხვია ქალისთვის გამხდარი, მაგრამ ჩაქუნის რტყმევით გაგარჯიშებული, ძარღვიანი ხელები, მაგრად ჩაეხუტებინა და მწყურვალედ დასწაფებოდა დუდუხანას მარწყვივით ტუნებს...

იმავე საღამოს, სამუშაოს დამთავრების შემდეგ, ქვრივს შინ ესტუმრა და მას მერე მასთან დარჩა. გემრიელად იყო, – თბილად და მაძლრად, – ვიწრო ბუდრუგანაში ზამთარ-ზაფხულ აუტანელ სიცხესა თუ გამთოშავ სიცივეში დილიდან საღამომდე წელმოხრილი მუშაობა აღარ იზიდავდა და ის ბუდრუგანა გაყიდა.

ერთხელაც ქვრივი აუხირდა მამიას – სულ ფეხსაცმელების სუნად ყარხარო – და გააგდო სახლიდან; სინამდვილეში მიზეზი სხვა რამ გახლდათ – ფუთის პოლიციის უფროსთან მამუკელა პეტელეიშვილთან გააბა ტრფობის ძაფები. მამუკელა ყოველი მოსვლისას დუდუხანას მშვენიერი ვარდების უზარმაზარი თაიგულით აჯილდოვებდა...

ასეთ ძლიერ მეტოქესთან მამია ვერაფერს გახდებოდა და აღარ იცოდა, რა ექნა... შინ ვეღარ მიესვლებოდა, სამუშაო ადგილიც აღარ ჰქონდა... სამაგიეროდ, დრო ჰქონდა თავზე საყრელი და ძველი ლელობურთელი “ფუთელი ლომების” ფეხბურთელებს მიეტმანა – უტუ ბატონმა კი თავის გემს კიდევ ერთი მობინადრე შესძინა.

უტუ კამპბელიას მზრუნველი რჩევა-დარიგებითა და მეთვალყურეობით მამიამ შეეკრა შესანიშნავი ტყავის ბურთი და შემდეგ – მთელი გუნდისთვის – ბუცებიც!

მხოლოდ ფიშტო დარჩა რატომღაც უკმაყოფილო მამიას ნახელავი ბურთით; დიდხანს ატრი-
ალა ხელში, ხან აქედან შეხედდა, ხან – იქიდან, მერე ააგდო და გამეტებით მოქნეული მარცხენა
ფეხი ისე ძლიერ დაარტყა, ბურთმა ბუთქა და დაფუშული იქვე ახლოს დაეცა.

– ა, ძამა, რომ დამცინოდით, შენი მოსაწონი ჯერ არაფერი გაკეთებულაო, არ ვიყავი მართა-
ლი? – ბავშვივით იყო განარბებული ფიშტო, თითქოს დიდი გმირობა ჩაედინოს.

ერთი რამ მაკვირვებს: ფიშტოზე ჯანიანი ბიჭები ბევრია, მაგრამ მისი დარტყმული ცაცია
ფეხი სულ სხვაა! რაღაც უცნაურად, გვერდულად იცის მარცხენა ფეხის მოქნევა და მის მიერ
დარტყმული ბურთი ისე უბედურად მიჰქრის, მტრისას მისი მოხვედრა!

ფიშტო მთლად მართალი არ იყო, რადგან სხვებმაც მოსინჯეს ის ბურთი და მისი შემკერა-
ვის აუგი არავის უთქვამს; ეტყობა, ფიშტოს დარტყმა გამოუვიდა არაჩვეულებრივად ძლიერი.
სხვა მხრივ კი, როგორც უტუ ბატონი ბრძანებს, ფიშტოს მაგვარი ბურთის დამრტყმელი და, ასე-
ვე, საკუთარი აზრის პირუთენელად გამოთქმელიც, დიდად დასაფასებელია და გუნდში ასეთი
ვიღაც აუცილებლად უნდა იყოს... დიდად სასარგებლოა კირკიტა კრიტიკის ნიჭი, ასევე, საჭიროა
პარადოქსების მოყვარულის ნიჭიც – მისი თითქოსდა სულელური ვარაუდები თავისებურად უწყ-
ობენ ხელს ახალი იდეების წარმოშობას, თუნდაც, ერთი შეხედვით, არცთუ მისაღებისა. ამგვარი
ახირებული შეიძლება იყოს პარადოქსალისტი-მასხარა ან პარადოქსალისტი-სულელი, მაგრამ ნუ
იჩქარებ მისი წარმოდგენების ხელაღებით უარყოფას: თუ დაუკვირდები, მათში შეიძლება სასარ-
გებლო მარცვლიც მოიძიო.

მამიას კი მოუწია ახალი ბურთის შეკერვა, რომელიც გამოსაცდელად ფიშტოს ჩააბარეს...

ფიშტომ ერთი ასჯერ მაინც დაარტყა მამიას ნახელავ ახალ ბურთს, მაგრამ ამჯერად ვერა-
ფერი დააკლო. და როცა გაწბილებულს აზრის გამოთქმა სთხოვეს, ავტორიტეტულად წარმოს-
თქვა:

– არ ვარგა!

– რატომ, ჭირიმე, მშვენივრად გაუძლო შენს გამოცდას! – შეეპასუხა ბებურ.

ფიშტომ მოკლედ მოუჭრა:

– არ ვარგა და მორჩა!

– მიზეზი? – ახლა უტუ ბატონი დაინტერესდა.

– არ გამოგვადგება! – თავისას გაიძახოდა ფიშტო.

უტუ ბატონმა ფიშტოს გასაგონად საკუთარი შეხედულება გამოთქვა უკვე ფიშტოს მისამარ-
თით:

– მაგას ახლა ქრისტე-დმერთი რომ მოუყვანო და იმან უთხრას, შენი დასაწუნი არაფერი
აქვს ამ ბურთსო, მაინც თავისას გაიმეორებს... არ მოსწონს ფიშტოს მამიას ნახელავი ბურთი და
რა უნდა ჰქნა? მოკალი თუ გინდა... ისეთი კაცია, ამ მინდორზე რომ უთხრა, მწვანეაო, თუ გიპა-
სუხა, შავიაო, რის ალბათობაც მეტად დიდია, ვერაფრით გადაათქმევინებ! მისი საკუთარი ცხვი-
რი რომ მიადებინო ამ ბალახს, მაინც არ დაგეთანხმება, ბრძენსაც კი გამოიყვანს მოთმინებიდან!
ან უნდა გაგიჟდე, ან – თავი დაანებო! ეგ არის მთავარი!..

შემდგომ მივხვდი, რატომ შეეღია უტუ ბატონი ფიშტოს და ცალკე საცხოვრებლად გაუშვა
– მშვენიერი ბიჭი კი იყო, მაგრამ თავისი ჩიტებიც ჰყავდა, ჰოდა, იმ ჩიტების ჭიკჭიკი სხვათა ყუ-
რებისთვის ყოველთვის სასიამოვნო მოსასმენი არ იყო!

კარი XV. აქა ერთი დვაწლმოსილი მეგრული თხის დომენტის ამბავი

შემორჩენილ ორიოდ გროშს გაჭირვებით ნაშოვნი მცირე ნასესხები თანხაც დაამატეს და
ფიშტოს, ამ ბედის რჩეულს, ორ კვირას მაგრად აჭმევ-ასმევდნენ მოსაფერიანებლად...

მამამზე ბუღათურიას რჩევით, იყიდეს მეგრული თხა – მეწველი!

ფიშტოს, როგორც მოსალოდნელი იყო, თხა თვალში არ მოუვიდა: დიდი მამაძაღლი ვინმე
ჩანს, ისე აცანცარებს წვერს და აელამებს თვალებსო, თანაც – ვინ არის მაგის მომვლელი,
უბედური თავნებაა: გზაში სიქა გამაცალა, პატრონისგან სულ ჭიდაობით ძლივს მოვიყვანე; შე-
მეშინდა, რქე არ გაუშრეს-მეთქი, თორემ ფერდებში გემრიელად წინლებსაც გუთავაზებდიო.

თხა, თანაც – მეგრული! პირველი დანახვისთანავე მეც არ მომეწონა, ხომ იცი – ჭრელი კი
გახლავს ჩემსავით, მაგრამ შეუმცდარი გუმანით ჩემი უპირველესი მეტოქე შევიგრძნე და შევიცა-
ნი!

მაგარი ვინმეა! წვეტიანი რქები ამშვენებს – რქენაც იცის ნაქები! თვალებს აღარ იკითხავ?
ნაღდად ეშმაკის მოციქულია, თუ თვითონ ეშმაკი არა! ისე აელამებს, ვერ გაიგებ, რა გუნებახევა,
რა უნდა და რას აპირებს, ხასიათიც შესაბამისი და შესაფერისი – დღეში ათასჯერ იფიქრებ:
ნეტავ ან ეგ არ გაჩენილიყო ქვეყანაზე ან მე არ შემხვედროდაო!

უნდა ვაღიარო, ცოტა ხანში მივხვდი, რომ ჩემმა ნაქებმა გუმანმა ამჯერად მომატყუა: მერე
ნელ-ნელა დავმძაკაცდი – რა გვქონდა გასაყოფი; ძვლებს ეგ არ ეკარებოდა და მე კი, ათასი
ოქროც რომ მოგეცა, ყოველდღე ბალახს ან თუნდაც აკაციის ნორჩ ამონაყარს რა შემაჭმევდა,

ასე რომ ეტანებოდა ეგ ეშმაკისთვალეობა. ისე, ზოგიერთ ბალახს მინც ვკადრულობ, როცა რა-ღაცა შემაწუხებს კუჭში ან ტანში ფინთ სისუსტეს ვიგრძნობ; მაშინ დავივლი ახლომახლო ადგილებს, სუნითა და გუმანით ვგრძნობ, რომელი ბალახი მოუხდება ჩემს გასაჭირს და თითო-ოროლა ბალახს ცოტ-ცოტას წვერებს წავაწვევტ და დაუღუჭავად გადავყლაპავ. მშველის, ნაღდად გეუბნები, არადა, არავისგან არასდროს მისწავლია ამგვარი აქიმობა.

ჰო, თხას დომენტი დავარქვით, უფრო კი ალბათ ნიანგა ან სხვა ამგვარი სახელი უფრო მოუხდებოდა – ძალიან ავი იყო. რაღა კაცის სახელი დაარქვეს, ვერ გამიგია. როგორც მოგახსენეთ, ჩვენ დავმეგობრდით, ამას განსაკუთრებით იმან შეუწყო ხელი, რომ დომენტი ჩემსავით ვერ იტანდა ცუდ ადამიანს, თანაც ქალბატონი გახლდათ და ჩვენ, ძაღლებს, ქალთა სქესის წარმომადგენლებისადმი უკეთესი დამოკიდებულება გვანახსიათებს, ვიდრე კაცებისადმი. ალბათ იმიტომაც, რომ ქალები უფრო რბილი ხასიათისანი არიან, უფრო გულმოწყალები, თანაც სამზარეულოში ისინი ტრიალებენ უფრო ხშირად და ჩვენ, ძაღლებს, როგორც მოგეხსენება, სამზარეულოსთან ახლოს ყოფნა და იქიდან მოდენილი გამაბრუებელი სურნელის ყნოსვა მაგნიტივით გვიზიდავს... მივირს: დომენტის უფრო ბაღ-ბოსტნებისკენ მიუწვევდა გული.

გელა მგელუკაშვილი სულ წუწუნებდა, ძვირად ვიყიდეთ დომენტი, თანაც მაგის ბალახის შოვნამ წაიღო ძალიან, მაგრამ, მე რომ მივითხო, რა ალაპარაკებდა, სულ ტყუილად იღლიდა ენას: ჯერ ერთი, დომენტი ნაღდი თხა იყო და მის სამყოფ ნეკერს ზამთარშიც კი ყოველთვის იშოვიდა და ზაფხულში რა ღმერთი გაუწყობდა; მეორე: დომენტის სანაქებო რძე ჰქონდა, რაც მალევე ცხადად დაეტყო მასტრედიასთვის სასიძოდ გამწვსებულს; მესამე: დომენტის სწორედ ეს სასიძო პატრონობდა და უვლიდა და მეოთხეც: რაც მთავარია, გუნდის წარმატების მოპოვებაში მოგვიანებით თავისი წვლილი შეჰქონდა! რამდენჯერ გამოვარდნილა მოედანზე და ჩვენი კარისკენ გაჭრილი მოწინააღმდეგე გუნდის თავდამსხმელი უფრენია! ბურთს დაატოვებინებდა მოწინააღმდეგის თავდამსხმელს – ან ურქენდა, ან შეაშინებდა მაინც! ხშირად ერთადაც გამოგვიჩენია თავი და ლექსო ჯამილოკიაშვილი (ამ ყმაწვილს მოგვიანებით შედარებით ახლოს გაგაცნობ!) ტყუილად კი არ წერდა გაზეთში ნახევრად ხუმრობით: “ფუთელ ლომებს” ხშირად მოედანზე დომენტი და მაჭახელაც უერთდებიან და საკუთარი დიდი წვლილი შეაქვთ გუნდის წარმატებაში! ასე რომ, დომენტიში გადახდილი ფული სულაც არ იყო წყალში გადაყრილი, თუმცა ამ თანხის მოპოვება ძალიან გაგვიჭირდა და ერთ ამბად ღირს..

დომენტის პატრონმა, მართალი რომ ითქვას, საკმაოდ იაფად დაგვიტომო დომენტი, ამაში კი დიდი წვლილი მიუძღვის... ბებურ ბურბუშელაშვილს! გასაკვირველია, ხომ? სულ ამასხარაგებს ფიშტოს, მაგრამ როცა დახმარებაა საჭირო, არაფერს დაიშურებს მისთვის. თუ დომენტის პატრონი თავიდან თხაში ას ვერცხლს მოითხოვდა, ბებურმა ისე მოახერხა, რომ ორმოცდაათ ვერცხლად ვიყიდეთ! იმდენი ელაპარაკა, დომენტი ლამის მუქთად დაათმობინა: გაიგო, რომ თხის პატრონი ფეხბურთის მოტრფიალე იყო და ერთი წლის განმავლობაში ფეხბურთის მაჩუბე უფასო დასწრებას დაჰპირდა, მოუყვა ფიშტოს მრავალმხრივ გასაჭირზეც – თუ შენი თხის მაცოცხლებელი რძე არ შევაშველეთ, ვერც სიგამხდრესა და სისუსტეს დასძლევს და ვერც მასტრედიას მოხიბვლას მოახერხებსო... კინაღამ აატირა კაცი!

დომენტის საყიდელი ის ორმოცდაათი ვერცხლი კი ასე იშოვა: ცოლისძმებსაც დაჰპირდა ფეხბურთის მაჩუბე უფასოდ დასწრებას და თითოეულს ათ-ათი ვერცხლი გამოართვა – სულ ექვსნი იყვნენ! დარჩენილი ათი ვერცხლით კი საკუთარი ოჯახისთვის ერთი კვირის სურსათ-სანოვაგე იყიდა!

კარი XVI. დაგეხოცე მთელი გუნდი – ეს რა სახაშე ფეხები გქონია, ბიჭო!

დასვენებისა და დიდად შესარგი ჭამა-სმის წყალობით, მოკლე ხანში ფიშტო, როგორც იქნა, ცოტა მოსუქდა, მოფერიანდა, დამშვენდა; ახლა მასტრედიასთან სასტუმროდ მისთვის შესაფერისი ჩოხა-ახალუხის შოვნა იყო საჭირო.

– ჯვრისწერისთვის ბედაური ჩოხა-ახალუხი მინდა, თავადური! – განაცხადა ფიშტომ. – ყოველდღე კი არ ვთხოვლობ ცოლს! ნაკლებზე მასტრედიაც არ იქნება თანახმა, საკუთარი ღირსების შელახვად მიიჩნევს!

ფიშტოს ყველა დაეთანხმა. ჯერ უნდოდათ, რომელიმე თავადისგან ენათხოვრათ ცოტა ხნით, რადგან ყიდვაზე ზედმეტი იყო ლაპარაკი: ფიშტოს ჯიბე კი არა, მთელი გუნდი ამხელა ხარჯს ვერ გასწვდებოდა. ამ საქმეზე გელა მგელუკაშვილი დარბოდა, მთელი ქალაქი მოიარა, მაგრამ სადაც კი ჩოხის თხოვებაზე ან მიქირაგებაზე სიტყვა დასძრა, ყველგან ლამის კინწის კვრით გამოაპანდურეს: თავმომწონე პატრონი უკადრისობდა, სხვა გამოჭიმულიყო მის ტანსაცმელში, თუნდაც დროებით...

დღე დღეს მისდევდა, ყველანი ცხვირჩამოშვებულები იყვნენ – ხსნა არსაიდან ჩანდა... – მივაგენი გამოსავალს! – წამოიძახა ერთხელ ბებურ ბურბუშელაშვილმა. – მე მგონი, ვიშოვი მშვენიერ ჩოხა-ახალუხს, ოღონდ, შესაძლოა, მისი დაქირაგება ცოტა ძვირი დაგვიჯდეს!

- მაგას ვჩივით? – გაუხარდა უტუ ბატონს. – გავიჭირებთ! არიქა, შენი ჭირიმე, ქენი სიკეთე და, რაც შეიძლება, მაღლე მოიტანე! ეგ არის მთავარი!
- იმავე დღეს, სადამოს, ბებურმა უზარმაზარი ფუთით ძლივს მოათრია ერთი კი არა, რამდენიმე, სულ სხვადასხვა ზომის და ფერის, ერთმანეთზე უკეთესი ჩოხა-ახალუხი!
- ბიჭოს! სად იყავი, ჭირიმე, აქამდე?! – გახარებულმა, ბებურს მხარზე ხელი დაჰკრა უტუ ბატონმა.
- ყველა უბედურს მე უნდა გადაგაკვდე, ეს ყოფილა ჩემი ბედი! – გაიცინა ბებურმა და ფიშტოს გაჰკრა წიკურტი ცხვირში: – ჩემისთანა ძმაკაცი რომ არ გყოლოდა, რა გეშველებოდა!
- ფიშტო ისე იყო გახარებული, პასუხი არ გაუცია, მაშინვე ტანსაცმლის თვალიერებას შეუდგა.
- სად იშოვე ამდენი, შე ოხერო, მაღაზია ხომ არ გაქურდე? – ექილიკებოდა ბებურს ლოთია ციხიძე. – ერთი კონტა ჩოხა-ახალუხი მეც არ მაწყენდა, ხომ იცი, საცოლვე ბიჭი ვარ!
- გაიწიე იქით, ეს ჩოხები შენ არ იცი, ისეთ ბრწყინვალე თავადებს ეცვათ! – უპასუხა ბებურმა. – შენნაირ ცინგლიანებს ჩექმებსაც კი არ გააპრიალებინებდნენ!
- უკანასკნელი ფულით ფიშტოსთვის შეარჩიეს დროებითი სარგებლობისთვის დიდებული შინდისფერი ჩოხა-ახალუხი თავის ბოხოხ-ჩექმებიანად. მშვენიერი თეთრი ჩოხა-ახალუხიც იყო იმ ფუთაში, მაგრამ ფიშტოს ძალიან დიდი მოუვიდა.
- აქ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი დაბრკოლება წარმოიშვა: ჩოხა-ახალუხი ოდნავ გრძელი იყო ფიშტოსთვის, მაგრამ სხვა მხრივ კარგად მოერგო ტანზე, აი მშვენივრად შეკერილი უძიროები კი მეტისმეტად ვიწრო გამოდგა – სამი კაცი მორიგეობით ეწვალა და ვერაფრით მისი ფეხი ჩექმის ყელშიც კი ვერ ჩაატია!
- ბებურმა არ დაიზარა, საჩქაროდ წავიდა და ახლა სხვა ჩექმები მოიტანა, მაგრამ ვერც ისინი გამოადგა ფიშტოს.
- რა ჯიშაანი ფეხები გქონია, ჭირიმე! – ექილიკებოდა ლოთია უღვაშა, – გეტყობა, გლეხუჭა რომ ხარ, ღმერთ გაზრდილი, ძვალმსხვილი! სამაგიეროდ, დარტყმა გაქვს სანაქებო, შტანგას ამტვრევ!
- ამ ბედაურ ფეხებს რაღაცა ეშველებოდა, მაგრამ წლების განმავლობაში ფეხშიშველი რომ სიმინდს თოხნიდა და მარგლავედა, ბარაქიანი კოჭრები დაიმსახურა და შედეგსაც ახლა იმკის! – არ დააყოვნა გაქილიკება ბებურმაც.
- ბიჭო, იმ საწყალ გრამიტონას რომ სწოვ და სწოვ რძეს, მეტისმეტი ხომ არ მოგივიდა? ხომ ხედავ, გაკეთდი შავი დედალივით, ფეხებიც კი გაგისუქდა! – განაგრძობდა ლოთია. – ღომის გარდა, ნეტავ რას ჭამდი იმფერს, რომ კანში ვეღარ ეტევი?
- ამხელა ფეხებით როგორ დარბოდი კურდღელივით? – არ ჩერდებოდა ბებურიც. – ახლა გაიქეც-გამოიქეცი ცქიტად და იქნებ სადმე შენი სარგო უძიროები იშოვო!
- ფიშტო ფიცხია, უეცრად ფინთიხივით აფეთქდა:
- დამანებეთ თავი, თორემ გადავირევი! თქვენი ღიჭინი და პწკენა მინდა მე?
- რა გაქვს საპწკენი, ფიშტოს გენაცვალე, მასტრედია კი არ ხარ! – არ დაწყენარდა ბებურ.
- ფიშტო შლეგიანივით წამოხტა და ცალი ჩექმა ესროლა ბებურს.
- ბებურმა დაიჭირა ნატყორცნი და ოხუნჯობა მიინც არ მოიშალა:
- ბარემ მეორეც მესროლე, მე კონტად მომერგება და ბარემ მასტრედიასთანაც წავცუნცუნდებო!
- ფიშტომ მეორე ჩექმაც ესროლა, შემდეგ წინდების ამარა ბებურისკენ გაიქაჩა კიდევ, მაგრამ ბიჭებმა გააკავეს და, ხანგრძლივი ფერებისა და დაყვავების შემდგომ, როგორც იქნა, დააშოშმინეს.
- ფიშტო საერთოდ ფრიად მხიარული პიროვნებაა, ხუმარა, ყველაფერში და ყველგან სასაციოლოს ეძებს და ნახულობს. ბუნებრივად, ძალდაუტანებლად ამჟღავნებს კეთილ თვისებას – საოცრად სიამოვნებს, გაართოს ხალხი თავისი ხუმრობით, გამომგონებლობით, საგნის ახლებურად, მწვავედ დანახვით, მოულოდნელი შედარებით, შინაგანი წინააღმდეგობის წარმოჩენით საგნისა თუ მოვლენისა, თვალისა და გონების გამჭრიახობის ჩვენებით... როცა საქმე კარგად მიდის, ხუმრობა ამ დროს ბუნებრივად იბადება მშვენიერ გუნებაზე ყოფნისგან, გამარჯვების აღმტყინებელი გრძობისგან, შინაგანად დამმუხტავი ძალ-ღონის მოზღვაგებისგან... როცა უდიდდამო, უგუმური განწყობილებაა – გამოსაცოცხლებლად, მოშვებულობის დასაძლევად... განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გუნება-განწყობილების გამოკეთება წარუმატებლობის დროს, უგუნებობის დროს – ეს შინაგანი სიჯანსაღის, ოპტიმიზმის, გაუტეხლობის, მომავლის რწმენის, ცხოვრების ყოველგვარი მრავალფეროვანი გამოვლინებით ტკობის უნარის გამომჟღავნება... ამავე დროს ფიშტო მეტისმეტად ფიცხია და ზოგჯერ სხვათა ხუმრობას მთლად უწყინარად ვერ ხვდება – ეს გარემოება ფრიად მაცუებს...
- ბჭობა განახლდა.
- მამია ტყუილად გყვავს? – წარმოთქვა ბოლოს ფიშტომ. – ზომაზე შემიკერავს, მაგის მეტი რა იცის!

- როგორც იქნა, შენს პირს მამიას კარგი დასცდა! – წამოიძახა ბებურმა. – მისი შეკერილი ბუცები აღარ გიჭერს?
- ფიშტოს წყენა ბოლომდე არ განელეობდა, ისევ წამოხტა და თვალები ისეთნაირად დაუბრიალა ბებურს, ამ უკანასკნელმა ამჯობინა, ცოტა მოშორებით დამდგარიყო.
- მამია იქვე იყო, ისიც მონაწილეობდა უილაჯო გამირულ მცდელობაში ნათხოვარი ჩექმების დამორჩილებისა და ფიშტოს მაშინვე უპასუხა:
- შენი ბუცების შეკერვას მართლა გადაგყვივი, იმდენი მასალა დასჭირდა...
- რა უჭირს მერე, ბუცებით წადი, ჭირიმე, მასტრედიასთან, ნამდვილად მოახდენ შესაფერის შთაბეჭდილებას და მაშინვე დაგთანხმდება ცოლობას! – ისევ ვერ იკავებს თავს და ხეიხინებს ბებურს, – ოღონდ კარგად გაკრიალება არ დაგავიწყდეს! კარგს იზამ, თუ ბურთსაც წაიღებ და მასტრედიას შენს განთქმულ ცაციათი დარტყმას ანახვებ – თოვლივით დადნება!
- ფიშტოს გაკავება ამჯერადაც გახდა საჭირო, ცხვირამ მოახერხა მისი დაწყნარება.
- ერთი გამრიელებად შეკერილი ტარსიკონის ჩექმები ჩემგან საქორწილო საჩუქრად ისედაც გეკუთვნის, მაგრამ მოცდის თავი გაქვს? – ფიშტოს ეუბნება მამია. – თუ გინდა, ხეირიანი გამომივიღე, ერთ კვირაზე ადრე ეგ არ მოხერხდება...
- გადაშენდი იქით! – ახლა სხვაგვარად არის განწყობილი აღრენილი ფიშტო მამიას მიმართ. – ბურთს ვერ კერავ ხეირიანად და სხვას შეძლებ? ჩექმების შეკერვას მხოლოდ შენ ანდომებ ორ კვირას!
- მანამდე მასტრედიას სხვა მუშტარი გამოუჩნდება, ბუზივით ეხვევიან! – ისევ გაიღრიალა ბებურს. – დროზე უნდა საქმეს მოკვარახტინება, ფიშტო ტყუილად გქვია?! მე შენ მეცოდები, თუ ეს უბრალო ჭეშმარიტება არ გესმის!
- გადაშენდი იქით! – კვლავ ბებურს უქაჩავს თვალებს ფიშტო და მისკენ გაჭრას ლამობს, მაგრამ ამის საშუალებას არ აძლევენ. კი მოახერხებდა გაძრომას და ბებურსაც ერთ-ორს წაუთაქებდა კიდევ, მაგრამ, როგორც შევამჩნიე, უტუ ბატონის იქ ყოფნა ერთგვარად ამუხრუჭებდა.
- რას უღრენ მამიას, შენი ვალი აქვს რამე? – ახლა ლოთია ულვაშა ეუბნება ფიშტოს. – მაგის წყალობა იყო, გრამიტონა რომ ვიყიდე, დაგავიწყდა?
- მართლაც, მამიას ნაშოვნნი ფულით იყიდეს თხა. როგორ იშოვა მამიამ ფული? თავისი ხელობით, ბუცების შეკერვით. ერთმა ვაჭარმა ამირინდო დონდურაშიღმა იყნოსა მოგების შესაძლებლობა და ინგლისიდან ბუცები შემოიტანა. ისინი ძვირი ღირდა. მამია ბევრად იაფად კერავდა ბუცებს და სხვა ქალაქებიდანაც კი ჰქონდა შეკვეთები. მართალია, მისი ნახელავი შესახედავად ინგლისურს ტოლს ვერ უდებდა, სამაგიეროდ, ხუთ-ექვსჯერ ნაკლები ღირდა და, რაც მთავარია, გამძლეობით გამოირჩეოდა.
- ხანგრძლივი განსჯა-ბჭობის შემდგომ, გადაწყდა, საჩქაროდ ეშოვათ ფიშტოს სარგო ჩექმები – დროებით ენათხოვრათ, ანდა ექირაგებინათ, თუ ახლის ყიდვას ვერ მოახერხებდნენ.
- ჯერ ბიჭების ჩექმები სათითაოდ მოსინჯა ფიშტომ – ყველა უსაშველოდ ვიწრო იყო მისთვის, გუნდში ყველაზე მაღლისა და დიდფეხას, ბოჩია კინკაველაძის ანუ ცხვირას ჩექმებიც კი.
- დაგეხოცე მთელი გუნდი – ეს რა სახაშე ფეხები გქონია, ბიჭო! – ვერ ისვენებდა და დასცინოდა ბებურს. – სად არის სამართალი, ღმერთმა ამ მოწრიპული ტანის პატრონს ამხელა ფეხები რატომ გიბოძა?
- იცოდა, რომ ეგ უჯიშო დიდი ფეხბურთელი უნდა გამხდარიყო! – იცინოდა ლოთიაც. – სირბილი ხომ მაგარი იცის, დარტყმა – კიდევ უარესი!
- ჯერი მიღვა ნაცნობ-მეგობრებზე და ვერც მათ შორის იშოვეს შესაფერისი ჩექმები.
- ბოლოს, უტუ კამპბელიამ მოისაზრა – თუ გვიშველის, ისევ დადაშ ჩანჩალიაო. მაშინვე გავარდა თითქმის მთელი გუნდი სალაყბოს თავგაცთან, ვნახოთ ერთი, რას მოიფიქრებს დადაშ, თანაც მისგან ქვეყნის ამბებსაც გავიგებთო.
- დადაშმა მაშინვე ჯერ ფიშტოს გამორჩეული ფეხების ნახვა ისურვა.
- შენ, ძამია, ფეხები კი არა, დათვის თათები გქონია! – წამოიძახა დადაშმა, როცა სურვილი აუსრულეს. – წელზევით შედარებით წვრილი ხარ და ასეთი ბოძივით ფეხები და ნამყენი თითები რაღად გინდოდა?
- დადაშ ბატონო, ჩვენს გასაჭირს თუ ეშველება რამე? – მოუთმენლად ჰკითხა ფიშტომ მის შიშველ ფეხთა გამორჩეული ზომის ტერფების თვალიერებით გართულ სალაყბოს თავგაცს. – სასწრაფოდ მჭირდება ჩემი ზომის ჩექმები!
- მშვენიერი წულები გაცვია, მაღაზიებშიც ყრია ოხრად, მიდი და აირჩიე, როგორც გაგიხარდება – ყელიანიც და უყელიც! რატომ... –
- არა, დადაშ ბატონო, შეჭველად ჩექმები მჭირდება! – დაასწრო დადაშის კითხვას ფიშტომ.
- ჩემი ფეხის ზომისა ვერსად ვიშოვეთ, სანათხოვროდ ან დასაქირაგებლადაც კი... მთელი ფუთი გადაგატრიალეთ: ნაცნობ-მეგობრებშიც ვეძებთ, მაღაზიებშიც ვერ მოვიძიეთ – ერთიც არ მოგვიტოვებია...
- მხოლოდ ერთი, უკანასკნელი შესაძლებლობა დაგრჩენია... – კარგა ხნის დაფიქრების შემდგომ ბრძანა დადაშ ჩანჩალიამ. – თუ გაგიმართლა, ორი ბოთლი ჭაჭის არაყი დაგჭირდება უეჭველად. ჰო, მესამეც არ იქნება ზედმეტი – ჩემთვის!

- ერთი მისი ჯიშის კოჟრების მოცილებების დასტაქრობას დასჭირდება ალბათ, – ხუმრობს ლოთია, – მეორე კი თვითონ უნდა დალიოს, ტკივილის მოსათმენად.
- ჰო, კიდევ სამი ბოთლი ცოლიკაური ან ოჯალეში... – აზუსტებს დადაშ.
- გაგვაგებინე, ჭირიმე, რად გეინდა ამდენი სასმელი, კიდევ რამის დამატება ხომ არ არის საჭირო? შემწვარი ვარიის ან გოჭის... – კითხულობს უტუ ბატონი.
- უჰ, დამახრჩო ნერწყვმა! – ტუნებს ილოკავს ლოთია.
- თუ მაგ სიკეთეს იზამთ, დიდად მადლიერი დაგრჩებით, უტუ ბატონო! – იღიმება დადაშ. – რა ხანია, გემრიელად არ მიმირთმევია! ღვინო-არაყი კი... ახლა მისმინეთ, უტუ ბატონო: მიხვალთ ფუთის სამხედრო გარნიზონის უფროსთან ბუხუტი ფრუხტიასთან, აუნხნით მდგომარეობას და ღვინოს მას მიართმევთ – ღვინის მოყვარული ნამდვილად გახლავთ... ლოთია, მაგრამ კარგი კაცია! დარწმუნებული ვარ, ფეხბურთი ისე უყვარს, საქმეს უღვინოდაც გაგიკეთებთ, მაგრამ, ხომ იცი, ღვინით უკეთესია.
- რაგა, ბუხუტის ამხელა ფეხები აქვს? – ვითომ გაუკვირდა ლოთიას, იხუმრა: – გუნდში ჩაგრიცხეთ – ორი ასეთი ბურთის დამრტყმელი რომ გვეყოლება, ჩვენი მომრევი ამქვეყნად აღარავინ იქნება!
- მაშინ ერთი დღით ვინათხოვროთ მისი ჩექმა, უარს არ გვეტყვის... – მართალი ეგონა ბუხუტი ფრუხტიას ფეხის ზომის შესახებ გამოთქმული ვარაუდი უტუ ბატონს.
- არა, გენაცვალე, არც ასე ადვილად მოგვარდება ეგ საქმე, უტუ ბატონო, – ამბობს დადაშ.
- აგერ მამია მეჯღანეც დამიდასტურებს, ბუხუტი ფრუხტიას ჩვეულებრივი ფეხი არგუნა განგებაში, ის სხვა მხრივ დაგეხმარებათ... დიახ, უტუ ბატონო, მიბრძანდებით ბუხუტისთან, როგორც დაგარიგეთ, ის კი გაგაგზავნით ფუთის სამხედრო გარნიზონის უფროსთან... არაყი მისთვის დაგჭირდებათ, მიხვდით? ის კიდევ ბრძანებას გასცემს, რომ გარნიზონში მოიძიონ დიდფეხება ჯარისკაცი... ხომ მიხვდით? მთელ გარნიზონში, რამდენიმე ასეულ კაცში, თქვენთვის საჭირო ფეხებიანი ერთი ჯარისკაცი მაინც არ გამოერევა? ხომ მიხვდით? მეორე ბოთლ არაყს იმ ჯარისკაცს მისცემთ – მე მგონი, ადვილად შეეგუება, რომ ცოტა ხნით საკუთარ ჩექმებს სხვა პატრონი გამოუჩნდეს...
- ერთ ბოთლ არაყად სულ გაჩუქებს! – ფიშტოს მხარზე ხელი დარტყა ბებურმა.
- დეიდუპე იქით! – წამოიძახა აღშფოთებით ფიშტომ. – ჯარისკაცის ბრაგუნა ჩექმებით წავიდე ჯვრის დასაწერად?
- თუ არ გინდა, მაშინ ფეხშიშველი წადი! – მაშინვე უპასუხა ბებურმა. – ლამაზი სანახაო იქნები, ხომ იცი! ყველანი ტურფა დედოფლის მშვენებებით კი არა, შენი ჯიშისანი ფეხების ხილვით დაიტკობენ მზერას!
- მასხარა თავი გაბია, დეიდუპე იქით! – გაბრაზდა ფიშტო. – შენ აქ ტყუილად ცდები, ცირკშია შენი ადგილი!
- გოგონებ, ცოტა უფრო პილპილმოყრილადაც ეტყოდა ბებურს და საქმესაც მიაყოლებდა, უტუ ბატონი რომ იქ არ ყოფილიყო.

კარი XVII. აქა მოფერიანებული ფიშტო გადაღის შეტევაზე!

სამიკიტნოში “მობრძანდი, გენაცვალე!” ფიშტოს გემრიელ სადილს ერთი ბოთლი სანახაო “ოჯალეშიც” დააყოლებინეს და, უტუს, გელასა და ბიჭების მრავალი რჩევა-დარიგების და ქილიკისა თუ ხუმრობის შემდგომ (განსაკუთრებით ბებურ ყოჩაღობდა ამ მხრივ), მომავალ სარძლოსთან მიმავალ მომავალ სასიძოს გზა დაულოცეს.

წავედით მე და ფიშტო უკვე სულ ცოტა ორჯერ აღებული ციხე-სიმაგრის მესამედ დასალაშქრავად. უფრო სწორედ, ფიშტო წინ მიდიოდა ჩექმების ბრაგუნით, მე უკან მივმუხმულებდი. მართალი მოგახსენო, ის ჩექმები თითქმის არც კი ჩანდა, ისეთი გრძელი ჩოხა ეცვა ფიშტოს – ნათხოვარი იყო და ხომ არ გადაჭრიდნენ, გადაკეცვა კი ვერ მოისაზრეს.

ღვინით გახალისებული ბიჭი შუადღეს მიაღმა მასტრედისა დიდებულ სახლს.

ახელ-დახედა რკინის დიდებულ ჭიშკარს, გაიარ-გამოიარა კიდევ რამდენჯერმე, სანამ დაკაკუნებას გაბედავდა.

თვალეზად და სმენად ვიყავით გადაქცეული, მაგრამ სახლიდან ჩამიწუმი არ ისმოდა.

ფიშტომ ისევ გაიარ-გამოიარა ჭიშკრის წინ და ამჯერად უფრო გაბედულად რამდენჯერმე დააკაკუნა.

კარგა ხანს ვიყავით მიყურადებულნი...

ფიშტო ნერვიულად მიმოდიოდა, ბოლოს კი გადაწყვიტა და გამეტებით დასცხო მუშტი ჭიშკარს – კიდევ და კიდევ!.. კიდევ კარგი, ფეხიც არ მოუნაცვლა, თორემ მისი ცაცისა შემხედვარე, ვგონებ, შეამტვრევდა კიდევ.

როგორც იქნა, ბრახუნზე მეორე სართულის ფანჯარაში ფარდა შეირხა და თვით ქალბატონმა მასტრედისა თეთრმა სახემ გამოანათა.

ფიშტომ მარჯვენა ხელის მუშტში ჩაახველა (მარცხენა ხელში უზარმაზარი წითელი ვარდების თაიგული ეჭირა), გაიჯგომა, ქალს მოწიწებით თავი დაუკრა, შემდეგ ამისა ისევ მალლა ახელა და მიმართა:

– გამარჯობა!.. ქალბატონო მასტრედია, თუ გახსოვთ, მე გახლავართ საწყალი ლევანის უახლოესი მეგობარი!

შემიძლია დავიფიცო, რომ მასტრედია ფიშტოს პირველად ხედავდა (შესაძლოა, ფეხბურთის მინდორზე შორიდან კი ჰქონდა თვალი მოკრული და მისი მძლავრი დარტყმებისთვის ტაშიც დაკრული) და მაინც წარბი არ შეინახა, სისხლისფერპომადიანი ტუჩებიდან ნაზად გადმოაფრქვია:

– დიახ, დიახ, მშვენივრად მახსოვხართ... მაგრამ... თუ გავითვალისწინებთ ჩემს ახლანდელ მდგომარეობას... ბოდიშს ვიხდი და ვერ მივიღებთ... – ფიშტოს თვალისმომჭრელად გაუღიმა: – თაიგული, გეთაყვა, მაქვე დატოვეთ!

თითქმის გამოაგდო დაუპატიჟებელი სტუმარი...

იმედგაცრუებული ფიშტო უკან გამობუნძულდა, ჩვეულებრივზე უფრო მაგრად აბრაგუნებდა ჯარისკაცულ ჩექმებს, მეც კუდამოძუებული თან გამოფეხვი.

გუნდში მისულებს ყველანი გარს შემოგვერტყნენ და შექმნილი მდგომარეობის აწონ-დაწონას შეეუფლებით. ყველანი თანაუგრძობდნენ ფიშტოს მარცხიანი სტუმრობის გამო, მხოლოდ ბებურ იყო გამხიარებული რატომღაც და ირონიულ რჩევებს არ იშურებდა დამწუხრებული “სასიძოსთვის”.

– ბიჭო, ტყუილად გაქვს ეგ ვირგლა ფეხები? თუ აკაკუნებ, აკაკუნებ და ქალი კარს თუ ჭიშკარს არ გიღებ, დაურტყი შენებურად ცაცია და შეანგრიე! ქალს რაგა შეგვაუბები, თუ კარიდან არ მიშვებს, ფანჯრიდან გადავძვრები!

– არა, ძალადობით ქალის გულს ვერ დაიპყრობ! – შეეკამათა ბებურს უტუ ბატონი. – ფეხით კარის შემტვრევა რა ვაჟკაცის საქმეა? სხვა ხერხი იხმარე, ისეთი, თავისით რომ გაგიღოს კარი!.. სიმღერით რომ შეეხმიანო? დედაშენი გადასარეგად მღეროდა და შენ რა ღმერთი გაგიწერა? თუმცა... სიმღერა რომ დაგეწყო, გიშველიდა ვითომ? ფუთი რომელი ესპანეთია ან იტალია, მასტრედიას ვიღაც გადარეული ეგონებოდი და არ არის გამორიცხვული, გესროდა კიდევაც ზევიდან თავში რაიმე მძიმე საგანს. რა იცი, იქნებ თოფიც აქვს, მარტოხელა ქალია...

– ისედაც გული მაქვს დაკოდილი და თოფი და უბედურება მინდოდა კიდევ მე? – ლამის ტიროდა ფიშტო.

– აჩიკოს გენაცვალე, მაგ გოგრაში მაგარი ნიაგი კი არა, ქარიშხალი გიქრის, ტვინის ნასახიც არ შეგარჩინა! – განაგრძო ფიშტოს გაცამტვერება ბებურმა. – ბიჭო, ასეთი ბრიყვი როგორ დაიბადე: ქალი მურხაყანის საფლაგზე ათენ-ალამებს, შენ კი პირველ ქმარს ახსენებ! საწყალი ლევანი, რა ხანია, გამოიტირა!

– ე-ეჰ, შევცდი! – თავს იკლავდა ფიშტო. – ახლა რაღა ეშველება ამ საქმეს?

უტუ ბატონმა გაამხნევა:

– რა და, ცოტა მოიცადე, დაწყნარდი და ახალი თაიგულით და ახალი იმედით განაგრძე შეტევა. ეგ არის მთავარი! კარგად დაიმახსოვრე და გულის ფიცარზეც დაიწერე: იმედგადაწურული კაცი სასიცოცხლო აღარაა! ასეთი ფეხბურთელი მე გუნდშიც არ მინდა!

– მერე, თაიგულის ფულს ვინ მომცემს? ათი ვერცხლი დამიჯდა!

– ეგ საქმე მე მომანდე! – გაიჯგომა ბებურ. – დროზე ვერ მითხარი? მე რომ შენსავით ბედოვლათი ვყოფილიყავი და რამდენჯერაც ქალთან პაემანზე წავიდოდი, იმდენჯერ ვარდების თაიგული მეყიდა, მართლა რა ვარდებს და იებს დაგკრეფდი! მაგგვარ ხარჯს ხელმწიფის ქონებაც ვერ აუვიდოდა!

– აბა, რა გქნა, უფულოდ როგორ ვიშოვი ვარდებს? – გაუკვირდა ფიშტოს.

– როგორ? ძალიან ლამაზად და უბრალოდ: ცოტა რომ ჩამოხნელები, წავალთ მე და შენ და ერთი პატიოსანი კაცის ბაღში რამდენიმე რჩეული ვარდის კოკორს ვისესხებთ, ზოგსაც – ნახევრად გაშლილს, რომ უფრო ლაზათიანი თაიგული შეგკრათ! – მხარზე ხელი მოუთათუნა ბებურმა. – თაიგულების შეკვრაში კარგი გამოცდილება მაქვს, ხომ იცი!

– მერე მე რაღა მინდა იქ? – გაუკვირდა ფიშტოს.

– ჯერ აკვანში წვეხარ, ძუძუმწოვარი ბაღლი ხარ! – დასცინა ბებურმა. – ბიჭო, შენ გგონია, ერთხელ მოგიწევს მისგლა მასტრედიასთან და უცებ გაჩარხავ საქმეს? ჰოდა, ყოველთვის მე კი ვერ მოგამარაგებ თაიგულებით, ცოტა შენც გამოიღე ხელი! მე მიგასწავლი ერთ ადგილს და მერე საჭიროებისდა მიხედვით დამოუკიდებლად მიაკითხავ... ნუ გეშინია, დიდი როზარიუმი აქვს ბატონ მამუკა პეტელეიშვილს, ლამაზი ყვავილების თავგადაკლული მოტრფიალეა!

– გაგიჟდი? – წამოიძახა ფიშტომ. – ქალაქის პოლიციის უფროსს ვარდები მოვპარო?

– რა მოხდა მერე, ათჯერაც რომ დაუპატიჟებლად ეწვიო, ვერაფერს შეამჩნევს! – გულარხეინად განაგრძობდა ბებურ. – იმდენი ჯიშის ვარდი აქვს, ვერც დათვლი! მასტრედიას გულს კი ნამდვილად მოინადირებ – ყოველ მისგლაზე ახალ-ახალი ჯიშის ვარდების თაიგულით გააკვირვებ და გაახარებ!

– შენ რა, გინდა, ციხეში გამომაღპონ? – კვლავ გაფიცებული ლაპარაკობდა ფიშტო.

– ბიჭო, ფიშტო ტყუილად გქვია? – ხუმრობას განაგრძობდა ბებურ. – სისწრაფით ვერაგინ გჯობნის და თუ ვინიცობაა, მეზღვე შეგნიშნა, გაქცევას ყოველთვის მოასწრებ. ჰო, მაჭახელაც წაიყვანე, შესაძლოა, იქ ძალი დაგხვდეს. მე რომ დაგვგრებოდი, იმ დროს ერთი ბებური ქოფაკი ჰყავდათ, ალბათ განუტევა უკვე სული...

– პოლიციის უფროსს ძალი რაღათ უნდა? – გაუკვირდა უტუ ბატონს.

– ჩემისთანებისგან ბალის დასაცავად! – გაიღრიჭა ბებურ, – მაგრამ ვუტირე ყოფის დღე, ყოველ მისვლაზე ძეხვის ნაჭერი მიმქონდა და ისე შევიჩვიე ის ძალი, სულ ხელებს მილოკავდა.

– ბებურ, სულ დაჰკარგე ნამუსი? ძეხვი რომ გგქონდეს, ნერწყვის ყლაპვით კი არ დავიხრჩობოდი... – საწყალობლად წამოიკნავლა ძუბურშიამ.

– ეეჰ, ახლა რაღა დროსია... – ყასიდად სინანულით ამოიხენეშა ბებურმა. – ადრე სად მქონდა ჭკუა, თორემ მასტრედის წაგეთამაშებოდი! ფეხი ფეხზე მექნებოდა გადაღებული თავადურად ლამაზად და მაძლარიც ვიქნებოდი და ჩაცმულ-დახურულიც!

– ჰო, იცინე, იმასხრე, რა გენადგლება ჩემი გასაჭირი – საცხედრად გამიმეტე! – ფიცხობდა ისევე ფიშტო.

– რა გურულივით გაეუჭდი, ჩემო ძამია, – სიცილით შემრიგებლურად მოხვია ხელი ბებურმა ფიშტოს. – შენთვის ვზრუნავ და თუ დაგიჭერენ, მთლად უკეთესი – მასტრედის მიფუნოხდები!

– გადაშენდი იქით! ახია შენზე, შენმა ცოლისძმებმა რომ წირვა აგიგონ! – მართლა გაბრაზდა ფიშტო.

– ისე ვატყობ, გუნდს ორი ფეხბურთელის დაკარგვის საშიშროება ემუქრება: ერთს – პატიმრობა, მეორეს – ხანჯლით აკუწვა! – წამოიძახა უტუ ბატონმა და ბებურს მიმართა: – შენ ცოტა დაფიქრდი, როცა რაღაცას წამოროშავ, მასტრედის სახელს ავადებულად ნუ მოიხსენიებ, მით უმეტეს – ფიშტოს თანდასწრებით... ახლა კი გაცუნცულდი და ცოდვა გამოსიყიდე: აჩიკოს პატივი დასდე და საიდანაც გინდა, ვარდების თაიგული გააჩინე! სირბილით თუ ივლი, ვარჯიშში ჩაგეთვლება, ბევრი ვარჯიში გაქვს გაცდენილი და ცოტა მაინც აინაზღაურე. იმ ვარდების ხვალამდე წყლიან ჭურჭელში ჩადებაც არ დაგავიწყდეს! ეგ არის მთავარი!..

– ამ ოხერმა ჩექმებმა ისე მომიჭირა, ძლივს მივბობდდი და მოვბობდდი; არა, ძმაო, მე მასტრედისთან აღარ ვარ კიდევ წამსვლელი! – კრუსუნებდა ფიშტო, ორი კაცი კი ამ დროს ჭაპანწყვეტით დიდი წვალებით ნაშოვნ ჩექმებს ხდიდა.

– ძალიან კარგსაც იზამ! – ეუბნება ბებურ. – ვარდებს კი მოგართმევ, არ დაგამადლი, მაგრამ, ისე ვატყობ, ტყუილად გაირჯები ისევე...

– რაო? – წამოხტა ცალფეხგახდილი ფიშტო. – რატომ ვითომ?

– იმიტომ, ჭირიმე, მაგ ლამაზი ჩექმების ბრაგუნით რომ მიადექი! რატომ გიკვირს ლამის კინწის კვრით რომ გამოგაბუნძულა?

– აბა, რა უნდა მექნა?

– რა და, ეტლით უნდა მიგრიადებულებოდა? მისვდი? სულ სხვა პეწი ექნებოდა შენს სტუმრობას! თვითონ აღარ აქვს ეტლი, როგორც კი ქმარი მოუკვდებოდა, მაშინვე ცხენებიანად გაყიდა – გარდაცვლილს შესაფერისი ძეგლი უნდა დაეუდგა საფლაგზეო. ახლა კი ნანობს, უჭირს წასვლა-წამოსვლა, არადა, ახალგაზრდა ქალია, გართობა უნდა.

– ეტლით რომ მიბრძანებულებოდა, სულ სხვაგვარად მივიღებდა... – დაეთანხმა ბებურს უტუ ბატონიც. – ქალის თვალი ხარბია, იცოდე!

– ნაქირავეები ტანსაცმლით მისვლა არ მეყოფოდა, ახლა ეტლიც საშოვარი გამიხდა... – დამწუხრდა ფიშტო. – კიდევ ერთი ხარჯი დამემატა...

ბებურ ბურბურულაშვილს ხუმრობის საღერღელი აეშალა და მთლად ზღვარს გადავიდა:

– ფიშტოს ვენაცვალე, სხვა ხარჯიც მოგელის – უფრო დიდი! იცი, რა გავიგე? ერთ თავადს უბრძანებია: თუ ეგ ფიშტოა თუ ვიღაცა მასტრედის თავს არ დაანებებს, ნაწლაგებს გადმოვყრევენებო! მცველების დაქირავება მოგიწევს! მარტო არსად წახვიდე, ის თავადი ტყუილად არ იქადნება, ნამეტანი ფიცხია!

– ვინ არის, მითხარი, იმაზე გიჟი მე ვარ! – აიფოფრა ფიშტო.

– მთლად ზღვარს ნუ გადახვედი, უშნო ხუმრობას შეეშე! – შეუტია ბებურს უტუ ბატონმა და უცებ წამოიძახა: – ფიშტო, ეტლი გვაქვს საშოვნელი, მაგრამ მე უკეთესს გეტყვი! კამბერია, კამბერია გვიშველის! ფულიც დაგვეზოგება!

– ვაშა-ა! – ხელები მაღლა აღმართა და ისე იყვირა ბებურმა, თითქოს ლამაზი გოლი გაეტანოს. – მიხვდი: კამბერიას ავტომობილით მიგრიადებები! რაღა დროს ეტლია, მეოცე საუკუნე რა ხანია, დადგა – ქალბატონ მასტრედის აუღებელ პენალტს დაგურტყამთ! ახლავე წავიდეთ გუგუნას სამიკიტნოში, საღამოს პირს კამბერია აუცილებლად იქ იქნება!

– აგაშენა ღმერთმა! – წამოხტა ფეხზე უტუ ბატონი, – ვნახოთ კამბერია!

სანამ უტუ ბატონი, ბებურ და ფიშტო სამიკიტნოში მიდიან, მოკლედ მოგახსენებთ, ვინ არიან სამიკიტნოს პატრონი – გუგუნა კუნკულია და ორდღე ორდღემამიშვილი, მეტსახელად – კამბერია.

კარი XVIII. აქა ამბავი ფუთელი მიკიტანის გუგუნა კუნკულიასი,
აგრეთვე – კამბეჩიასი, დიდად გამორჩეული პიროვნებისა

ერთმა შუახნის ფუთელმა, მეტად საზრიანმა და მოხერხებულმა კაცმა, გუგუნა კუნკულიამ, ბიჭიას მინდორთან ახლოს გახსნა სამიკიტნე “მობრძანდი, გენაცვალე!” და დიდად გახარებული იყო საკუთარი ადლოთი – მუშტრის მომსახურებას ვერ აუდიოდა, განსაკუთრებით – საფეხბურთო მაჩის ჩატარების დღეს! ფუთელთა რომელიმე საყვარელი გუნდის მოგებაცა და წაგებაც ერთნაირად მომგებიანი იყო მიკიტნისთვის: თუ გუნდი მოიგებდა – გამარჯვებას მხიარული ღხინით აღნიშნავდნენ, თუ წააგებდა – გულს იოსებდნენ ღვინო-არყით...

გუგუნამ ფუთში დროებით მოხვედრილ ერთ მხატვარს დაახატვინა სამიკიტნოს ფირნიში თუნუქის მოგრძო ფურცელზე. რატომღაც აბრა არ მოეწონა და ახალი ფირნიში გააკეთებინა ადგილობრივ ხელოსანს – მასალის დაზოგვის მიზნით იმავე თუნუქის ფურცლის მეორე მხარეზე დაახატვინა. ამჯერად გუგუნა პირადად ადგა თავზე ხელოსანს და მის მუშაობას ხელმძღვანელობდა, მაგრამ არც ამ ახალმა აბრამ დააკმაყოფილა მიკიტნის ფრიად მომთხოვნი თვალი...

ბოლოს, გადაწყვიტა, თვით, საკუთარი ხელით, შეექმნა ისეთი ფირნიში, მის გემოვნებას საგსებით რომ შეესაბამებოდა. იყიდა დიდ-პატარა ფუნჯები, მოიმარაგა საჭირო საღებავებიც და ცხოვლად შეუღლა მისი ჩანაფიქრის განხორციელებას. იმდენად გაიტაცა ახალმა საქმიანობამ, რომ სამიკიტნო რამდენიმე დღით დაკეტა კიდევ!

კარგა ხანს ცოდეგობდა მიკიტანი, ყოველი საღამოს პირს უსაშველოდ ამოიგანგლებოდა ხოლმე საღებავებში, მაგრამ ახალ გამომცხვარი ხელოვანი დიდად ბედნიერი იყო! იმასაც კი ფიქრობდა, რომ მისი ხალასი ნიჭით აღფრთოვანებული ფუთელები, ვისაც კი მაღაზიისთვის, დუქნისთვის თუ სხვა რამ დაწესებულებისთვის ფირნიში დასჭირდებოდათ, გუგუნას ყალმის სიძლიერით მოხიბლულნი, მხოლოდ და მხოლოდ მას მისცემდნენ შეკვეთას და ადგილობრივ ხელოსნებს უეჭველი გაკოტრება ელოდათ!

და როცა ფუთელთ მისი შემოქმედებითი წვის ნაყოფის სამიკიტნოს შესასვლელის თავზე ხილვის ბედნიერი დღე გაუთენდათ, ფრიად და ფრიად გაოცდნენ! ამჯობინებდნენ, არ შეეხედათ, თავი დაეხარათ და ისე შესულიყვნენ სასწრაფოდ სამიკიტნოს კარში – რაღაც საშინელება იყო!

წარწერას არა უშავდა – წინა ოსტატის გაკეთებულს “მობრძანდი, გენაცვალე!” მიკიტანმა ხელი არ ახლო, ხოლო ნახატს კი ჯიქურ შეუტია და მისი ძალისხმევის შედეგი შემდეგი გახლდათ: გუგუნას ძლიერმა ფუნჯმა გამოსახა რაღაც უცხო, გამოუცნობი ცხოველის უზარმაზარი თავი; შესაძლოა, მხატვრის ჩანაფიქრით ეს ადამიანის გამოსახულება იყო, მაგრამ ასეთი საზარლად დაჭყეტილი ფორთოხლის ხელა თვალები მე პირადად არ მინახავს – არამცთუ ადამიანისა, არამედ კამეჩისა, ხარისა ან სხვა ნებისმიერი ცხოველისაც. რაც შეეხება უშველებელ უღვაშებს, შესაშინებლად გაფხორილებს, მისი აღწერაც კი მიჭირს... ცხვირი გახლდათ პომიდორივით წითელი, უსაშველოდ გაბუმტული – ლამის ნახატის ნახევარს იკავებდა... თმები? გაბურღული თმები უსიერი ტყის პატარა მონაკვეთს წარმოადგენდა, მისი მეტი წილი სურათზე არ დაეგია და მისი გაგრძელება მნახველის წარმოსახვას იყო მინდობილი. პირადად მე არ ვურჩევდი არავის იმ უსიერ ტყეში გასეირნებას, რომლიდან გამოსვლა მეც კი გამიჭირდებოდა, არამცთუ ადამიანს... ყურებზე ვერაფერს მოგახსენებთ, რადგან მისი აღმოჩენა შეუძლებელი იყო ამ ტყის საფარქვეშ. ბევრი რომ აღარ გაგაგრძელო, გუგუნას ნახელავი წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა მნახველზე და თუკი ვინმე გულმაგარი გადაწყვეტდა, სწვეოდა ამგვარი აბრით დამშვენებულ სამიკიტნოს, ცდილობდა, სწრაფად გაეფლო საშიში უბანი, რომელსაც ურჩხულის მხერა სწვედებოდა. გუგუნამ ესეც არ იკმარა და იმ საფრთხობელას დიდრონი თვალების შუაში თუნუქი მრგვალად გამოაჭრევინა და ამ ორ ნახერეტს უკან საღამოს პირს ანთებულ ლამპარს ათავსებდა; ასე რომ, კიდევ უფრო იზრუნა მუშტრის მისახიდად, უფრო კი – დასაფრთხობად (მსგავსი უცნაური რამ მოგვიანებით კვლავ ვიხილე, კიდევ უფრო უცნაურ ადგილას; ამ ამბავს სხვა დროს გაამბობ).

თვით გუგუნა კუნკულიას ისე მოსწონდა საკუთარი ნამუშევარი, რომ ყველას გულს უწვირებდა გაუთავებელი კითხვით: “ხომ კარგი გამომივიდა?!” რა თქმა უნდა, ზრდილობიანი ფუთელნი პასუხობდნენ: “გადასარეგია!”, რაზეც გუგუნა მაშინვე დაამატებდა: “ასეთი რამ სხვაგან თუ გინახავს?”. თუ ეტყოდ: “კარგი კი არა, ბედაურია!”, გახარებული მიკიტანი შეგიპატივებდა სამიკიტნოში და ჭიქა ღვინოს უფასოდ შემოგთავაზებდა.

ეს გარემოება არ გამორჩენია ბებურ ბურბუშელაშვილს და სულ ერთთავად ამ სამიკიტნოს წინ ტრიალებდა, მაგრამ გაქნილ მიკიტანს რას გამოაპარებდა ეშმაკობას და, რამდენიმეჯერ გამასპინძლების შემდეგ, გააგლო მუქთი სასმელის მოყვარული – ახლომახლო არ დაგინახო თვალითო; ერთ-ორ ქიმუნჯსაც უთავაზებდა, მაგრამ მოსული ტანის ნავარჯიშევი ფეხბურთელისა შიშაც ჰქონდა.

ღიახ, გუგუნა ფანჯარაში ქუჩაში მიმავალ ნაცნობს თუ დაინახავდა, გამოვარდებოდა გარეთ, წინ გადაუდგებოდა, სახელოში ჩაავლებდა ხელს და თითქმის მიათრევდა ფირნიშის სანახავად. ისე მოაბეზრა ყველას თავი თავისი ახირებით, რომ მუდმივ მუშტართაგანაც კი მრავალი შემოეცალა – სამიკიტნოს ახლოს გაგლას ერიდებოდნენ.

გუგუნა კუნკულია ფირნიშის შექმნით არ დაკმაყოფილდა: როგორც მოგახსენებ, მას სჯეროდა საკუთარი მადლიანი ყალმის ჯადოსნური ძალისა და ღამ-ღამობით, როცა ხელს არაფერი უშლიდა, სამიკიტნოს დიდი დარბაზის კედლებზეც გაინაგარდა ფუნჯით – მისი შეხედულებით, საფეხბურთო მაჩების თვალწარმტაც ხედებს მოლხინეთა მადის მოყვანაში ფრიად პატივსაცემი დანიშნულების შესრულება შეეძლო (ისიც იყო აგარიშვასაწვევი, რომ მხოლოდ საღებავების საყიდლად დაიხარჯებოდა). ამ აზრის ჭეშმარიტებაში ყველა დაეთანხმებოდა სამიკიტნოს პატრონს, ოღონდ მხატვარი სხვა უნდა ყოფილიყო! როცა ამ ბრწყინვალე ჩანაფიქრის უმოკლეს დროში წარმატებით განხორციელებამ სამიკიტნოს მუშტართა რიცხვი ასევე უმოკლეს დროში თითქმის გაანახევრა, ხოლო მათ, ვინც ისევ ბედავდა აქ სიარულს, ერთხმად დაბეჯითებით ურჩიეს სამიკიტნოს პატრონს, თუკი მომავალში კიდევ უფრო დიდი ზარალის თავიდან აცილება სურდა, სასწრაფოდ გადაეღება ხელთუქმნელი შედეგები, რადგან მათ ძალებს აღემატებოდა საზარელი მაიმუნების მსგავსი მოყავისფრო-შავი მახინჯი არსებების ნავარდის ხილვა თვალისმომჭრელად კაშკაშა მწვანე ფონზე (რომელიც ალბათ საფეხბურთო მინდორს ასახავდა)...

გუგუნა დროთა განმავლობაში თვალნათლივ საკუთარ ჯიბეზე დარწმუნდა მრჩეველთა სისწორეში, მაგრამ საკუთარ ნამოღვაწარს მაინც ვერაფრით შეეღია (თანაც მის გადასაღებად ისევ საღებავის ყიდვა იქნებოდა საჭირო!) და ჭეშმარიტად გენიოსური გამოსაგალი მონახა (რაც არ უნდა ვთქვათ, გუგუნა ნიჭიერი კაცი იყო!) – ფრესკის დასაფარავად კედლებზე ცნობილ ფუთელ მოქალაქეთა დიდი ფოტოგრაფიული პორტრეტები დაჰკიდა! ერთმანეთის გვერდით, მიჯრით! უპირველესად, საჭიროდ ჩათვალა, ფუთელ დიდად პატივცემულ გვამთა ფოტოგრაფიული პორტრეტები მოეთავსებინა კედელზე, რა თქმა უნდა, სათანადო ნებართვის შემდეგ (თუმცა ისინი “მობრძანდი გენაცვალე!”-ში არასდროს დაიარებოდნენ – ამჯობინებდნენ, მდიდრულ რესტორან “მედეა და იასონში” მოეღვინათ). სამიკიტნოს დიდი დარბაზის გამორჩეულ ადგილას კედელი დაამშვენეს თავებმა: ბრძნული გამომეტყველების ქალაქის მოურავის კონობა ყოჩაღისა (შემდგომ, გასაგები მიზეზის გამო, მის მაგივრად მოგვევლინა ლოყებფუნთუშა გონა კაკუჩიას ბრწყინვალე გამოსახულება), თვალმომჭრელი ფუთის პოლიციის უფროსის, მაიორ მამუკელა პეტელეიშვილისა და საპარადო ფორმაში გამოსწობილი სამხედრო კომენდანტის ბუხუტი ფრუხტიასი (მრავალი ორდენ-მედალით დამშვენებულიც გახლდათ). შემდგომ ამისა, გუგუნამ აქ მოათავსა (საკუთარი ხელით დაჰკიდა!) “ფუთელი ლომების” ყველა ფეხბურთელის გამოსახულება, სახელდობრ, კედლებს ამშვენებდნენ: აჩიკო ფიშტო, ბონია ცხვირა, მამამზე მგლისმუხლა, ლოთია უღვაშა, ხუტა ძუბგურია, არჯევან მუგუზაღა, ბებურ კონკილა ანუ ბებურ ბირკა და სხვები. მათ გვერდითვე მოათავსა გუგუნამ ფუთში გამორჩეული მოქალაქის, ორდენ ორდენდამიშვილის ანუ, როგორც ყველანი უწოდებენ, კამბეჩიას დიდი ფოტოც: საკუთარი ავტომობილის გვერდზე დგას და ცალი ფეხი ამაყად უდგას მის საფეხურზე – მართლაც შთამბეჭდავი სურათია! (კამბეჩიას ცოტა ქვემოთ გაგაცნობ). უტუ ბატონი ხომ არ გამორჩა? როგორ გეკადრებათ! დიახ, უტუ ბატონის სურათი საუკეთესო ადგილას გახლდათ მოთავსებული და ზომითაც განსაკუთრებული იყო; “ფუთელი ლომების” თავგადაც გუგუნამ საგანგებოდ გადაადებინა მის საცხოვრისში – გემზე, უფრო ზუსტად – გემბანზე, უტუ ბატონის გვერდით კი მე ვარ ამაყად დაყუნცული და პირდაპირ ფოტოაპარატის ობიექტივს მიწერებოვარ – მშვენიერი ფოტოსურათი გამოვიდა! ერთ რამეზე კი მაინც მწყდება გული – უტუ ბატონს კალთაში სირ ფრანსის დრეიკი უხის! საკვირველია – რატომ, რა დამსახურებისთვის?

უპირველესად კი ყველაზე დიდი და გამორჩეული ფოტოსურათი სამიკიტნოს დარბაზში შესვლისთანავე იპყრობდა ყურადღებას – მასზე გამოსახული იყო თვით გამოჩენილი ხელოვანი, მიკიტანი გუგუნა კუნკულია: ზეცისკენ მიპყრობილ თვალეში – პოეტური აღმაფრენითა და მარჯვენა ხელში – ფუნჯით!

სწორედ გუგუნას სამიკიტნოს “მობრძანდი, გენაცვალე!” კარები შეადგეს სადამოს პირს ბებურმა და ფიშტომ. ბებურის ვარაუდი გამართლდა: კუთხეში გაწყობილ მაგიდას უსხდნენ კამბეჩია, მისი მეგობრები – ქინქლა და პატარა ოთარა, აგრეთვე – ახალგაზრდა ბიჭი, კუკურა, კამბეჩიას შოფერი.

ქინქლა და პატარა ოთარა – ცნობილი ფუთელი ჯიბის ქურდები – არ უშინდებოდნენ აბრაზე გამოსახულ საზარელ არსებას და, იღბლიანი საქმიანობის შემდეგ, თითქმის ყოველდღე ქვიფობდნენ სამიკიტნოში “მობრძანდი, გენაცვალე!”.

ქინქლა ერთი ჩხირივით გამხდარი, დაბალ-დაბალი ბიჭია; სამაგიეროდ, ხელის თითები აქვს საოცრად გრძელი, ფრიად მოხერხებულად დაძვრება სხვათა ჯიბეებში; პატარა ოთარას კი ხუმრობით თუ უწოდეს პატარა: ტანად ბრგვა, გამოსაჩენი; ისიც საკვირველია, როგორ “მუშაობს” ესოდენ დიდი ტორების და, შესაბამისად, მსხვილი თითების პატრონი...

კამბეჩია კი გახლავთ ფუთელი მდიდარი ვაჭრის, ბერა ორდენდამიშვილის, ერთადერთი ვაჟი, – მისი ნამდვილი სახელია ორდენ, – ფუფუნებასა და ნებივრობაში გაზრდილი; ამჟამად უკვე მოწიფული ვაჟკაცია და მამას უნდოდა, რომ როგორმე საკუთარი საქმის გამგრძელებელი ჰყოლოდა – ასწავლიდა, წვრთნიდა, აგზავნიდა სავაჭრო საქმეებზე სხვადასხვა ქალაქებში.. სამწუხაროდ, ბატონ ბერას ყოველგვარმა მცდელობამ შეიღისგან ღირსეული და დაფასებული ვაჭარი

გამოსულიყო, ამოდ ჩაიარა: ორდე ერთადერთ ყურადღების ღირს საქმედ ქეიფსა და დროსტარებას თვლიდა.

კამბეჩია ხშირად ბრუნდებოდა ხოლმე შინ ფრიად შეზარხოშებული – თვალებზე ცილინდრი ჩამოფხატვია, ცალ ფეხზე კალოში დაკარგვია, ცალი თვალის უპეც ჩალურჯებია... არა, ვინმეს კი არ ეჩხუბა, – ეს ნაკლებ მოსალოდნელი გახლდათ, – ალბათ გზაში ხეს ან სხვა რაიმე უცხო სხეულს გვერდი ვერ აუქცია და უნებურად შეეჯახა...

კამბეჩიას ერთი უცნაური ჩვევა თუ ახირება აქვს: სახლიდან გასული იშვიათად ბრუნდება შინ თავისსავე სამოსში: ყაჩაღები კი არ ესხმიან თავს გაპარცვის მიზნით (ორდეს მთელი ფუთი იცნობს და ყველა დიდ პატივს სცემს, მათ შორის – ზემოხსენებული დიდად პატივსაცემი, მაგრამ სახიფათო საქმიანობის მიმდევარნიც, ქინქლა და პატარა ოთარა, რომლებიც მას მეგობრად თვლიან,) – თუ ვინმე გაჭირვებული შეხვდა ქუჩაში, ნაცნობი თუ უცნობი, შეეცოდება და საკუთარ ტანსაცმელს აძლევს, თვითონ კი მის ძონძებს ჩაიცვამს ან სულაც ნახევრად შიშველი ბრუნდება შინ. უკიდურესად კეთილია, უხვად ფანტავს ფულს და მამამისი ლამის ჭკუაზე შეშალოს საკუთარი საქმიების მოჭახრაკების უნარის სრული უქონლობით... თუმცა, აქვს კი რაიმე ღირებული საკუთარი საქმე? ან მთელი დღე დასეირნობს ფუთში უცხო ხილით – ველოსიპედით და აგიჟებს ქუჩაში მოსეირნე ძაღლებს და აფრთხობს ღორებსა და ქათმებს, ან საღამოობით ძმაბიჭებში მოიღვენს... განსაკუთრებით უყვარს გუგუნა კუნკულის სამიკიტნო და იმდენად ხელგაშლილია, თუ აბაზისას დალევს, მიმტანს თუმანს ჩუქნის. ბერა წუნს: “მე რომ აღარ გეყოლები ცოცხალი, მაშინ რაღა გეშეველება, შე უბედურო, ერთ კვირაში დუქან-დუქან გაანიავებ მთელ ათეული წლების განმავლობაში წვა-დაგვით შეძენილ ქონებას!”...

ორდემ მშობლების გაუთავებელ საყვედურებს ვეღარ გაუძლო და შინ აღარ ცხოვრობდა – სასტუმროში “ფუთი” გადაბარგდა, მუდმივად ჰქონდა ნომერი დაქირავებული.

ბერამ იფიქრა, რაიმე ხიფათს არ გადაეყაროს – იმ ეშმაკის მოგონილი ველოსიპედით, ნასვამმა, რამდენჯერმე კისერი კინაღამ მოიტეხა; ჯობს, ავტომობილი შეეუძინო და უსაფრთხოდ დაბრუნდეს ხოლმე შინო; და სულ მალე კამბეჩია დასეირნობდა მამის ნაჩუქარი ავტომობილით – მთელი ქალაქის ღირსშესანიშნაობით!

მანამდე ფუთში XX საუკუნის მოძრავი საოცრება მხოლოდ სინემატოგრაფში ენახათ, ისიც – ყველას არა, და კამბეჩიას ავტომობილის ქუჩაში ყოველი გამოჩენა დიდ მოვლენას წარმოადგენდა! განსაკუთრებით – ბავშვებისთვის!

დიდიდანვე სასტუმროსთან “ფუთი” დაუვიწყარი სანახაობის მოლოდინში ცნობისმოყვარეთა ბრბო იკრიბებოდა; და ღირდა კიდევ თუნდაც ქალაქის შორეული უბნიდან აქ მოსვლა: კამბეჩიას გამოსვლა სასტუმროდან, მისი ავტომობილში ჩაბრძანება და ავტომობილის გრიალ-გრუნუნით წასვლა-გაქროლება – ყველაფრის საკუთარი თვალთ ხილვა ერთ რამედ ღირდა!

ერთ-ერთი ასეთი სურათი:

ქვაფენილთან მდგარ ავტომობილს და იქვე დონდუშემოყრილ შოფერს – მაღალ, მაგრამ ჯერ კიდევ ჭყინტ, უწვერულ ყმაწვილს, კუკურას – მთელი უბნის ბიჭბიჭობა შემოსევია და არც მოზრდილები არიან გულგრილნი.

კუკურას მედიდურად წარუდგამს წინ მარცხენა ფეხი, სადღაც შორს იცქირება, გარშემო ატეხილ აურზაურს ჩირადაც არ აგდებს.

აქვს კიდევ ამის მიზეზი!

ჯერ მხოლოდ მისი ჩაცმულობით შეგიძლია, დატკბე: აცვია ტყავის შავი ქურთუკი, ახურავს ასეთივე ქუდი, ქუდზე უზარმაზარ შუშისანი საქარე სათვალე უკეთია, ხელებზე – ტყავის შავი, გრძელთა გრძელი ხელთათმანები, იდაყვებამდე! ფეხებზე – ტყავის კრავები, ჭრაჭუნა და მბზინავი!

ავტომობილი ხომ სულ თვალისმომჭრელად ბრწყინავს: თეთრად – ლითონის ნაწილებზე და შავად – შეღებილ გვერდებზე!

ან რა საყვირი აქვს – გარეთ, შოფერის ხელმარცხნივ! ან რა ნავთის სანათები – მანქანის ორივე მხარეს!

შოფერი კუკურა? დიდი კაცივით ჭმუნის წარბებს და მაღიმაღ ისვამს საჩვენებელ თითს ღინღლით დაფარულ საულგაშეზე.

ახლა ავტომობილის დაქოქვას აღარ იკითხავთ?

– დაატრიალე! – მოწყალედ უბრძანებს კუკურა გამხდარ, მაღალ ბიჭს, თავის მოხალისე თანაშემწეს.

მანამდე: თანაშემწე ჩვარს არ ანებებს ბიჭებს, რომლებიც შურით შესცქერიან, როგორ აპრიანებს ჩგრით ავტომობილის გვერდებს, ფარებს; შოფერი კი ხომ მათთვის თუ ღმერთი არა, მძლეეთამძლე გმირი მაინც არის!

თანაშემწემ ახლა ჩვარი დაუთმო ერთ-ერთ მოულოდნელი წყალობით გაბედნიერებულ, სიხარულით თვალებგაბრწყინებულ ბიჭს, თვით დასაქოქ სახელურს ეცა და მონდომებით დაატრიალა.

ატრიალა, ატრიალა...

არ იქოქება ძრავა!

ბიჭი შეჩერდა, შეისვენა...

კუკურა გადმოვიდა მანქანიდან, მედიდურად თითით უჩვენებს, აი, აქ შეამოწმე, მავთული ხომ არის კარგად მოჭერილი, შემდეგ – ბენზინის ტუმბო თუ მუშაობს გამართულად, თან მსხვილ სიგარას აბოლებს... თანაშემწე განაგრძობს ფაფხურს – უშედეგოდ. ოფელში გახვით-ქულმა და მანქანის ზეთში ამოგანგულელმა თანაშემწემ ახლა სხვა ბიჭებიც დაინხარა სახელურის დასატრიალებლად: ჯერ ერთი... მერე – მეორე... მესამეც...

როცა ყველა დაიღალა, ბოლოს, ისევ თვითონ დაატრიალა ძალუმად და, როგორც იქნა, ძრავამ რამდენჯერმე დაიფრუტუნა, შემდეგ აბაგაგდა, აბაგაგდა და აქამდე წინარ იდილიაში ჩაძირული ქუჩა საშინელი ხმაურით გააყრუა.

კამბეჩიამ მოიხმო ჩვრიანი ყმაწვილი:

– აბა, დააჭყვირე!

ბიჭმა მიიბრინა, ხელი სამჯერ მოუჭირა შოფრის გვერდით კაბინასთან დამაგრებულ რეზინის მსხალ-საყვირს და სამჯერ გაისმა მოკლე ხმამაღალი ჭყვიტინი – ირგვლივ შემოჯარულ მყურებელ-მსმენელთა გასახარად. ყველაზე პატარები კი, შეშინებულნი, ჭიშკარში შევარდნენ და იქიდან რკინის გისოსებიდან იყურებოდნენ დამფრთხალი და ცნობისმოყვარე თვალებით.

კუკურამ უკანასკნელი ნაფაზი დაარტყა, საგულდაგულოდ დააფურთხა სიგარის თავს, დახედა და დარწმუნდა, რომ ჩააქრო, მონარჩენი გულისჯიბეში სათუთად შეინახა. ფუი! საშინელი ჩვევაა თამბაქოს მოწევა! ნეტავ რა სიამოვნებას ნახულობენ ამ საშინელი სიმყრალისადმი ტრფობაში!

ავტომობილი დაიძრა და მურა-ნაცრისფერი, მყრალი გამონაბოლქვი შეაფრქვია სირბილით გამოდევნებულ ბიჭებს და მყეფარ ძაღლებს...

ღიახ, ასეთი სურათის ხილვას ეშურებოდნენ ფუთის მოცლილი ცნობისმოყვარენი ყოველ დილით, თუკი ღარი იდგა.

კამბეჩია მოლხენისას საკუთარ შოფერს, კუკურას, სუფრაზე აუცილებლად გვერდზე მოისვამდა; თვითონ რომ შეჭიკჭიკებოდა, შოფერს აუხირდებოდა:

– დალიე, კუკურავ!

– არ მინდა, ორღე ბატონო! – უარობდა შოფერი.

– დალიე, გეუბნები, თორემ ჩაგასხი კისერში! – არ ეშვებოდა კამბეჩია.

– არ შეიძლება, შინისკენ გზას ვეღარ გავიგნებ!

– დალიე, თორემ მოვიდა ბოთლი კინკრისოში!

ბოთლს ძალით მოაყუდებდა და ბოლომდე გამოაცლევინებდა, მერე, შინ წასვლისას, თვით მიუჯდებოდა “მოტორის” საჭეს და იწვებოდა მოგზაურობა ფუთის ქუჩებში ანუ საცირკო სანახაობა! ნადირობა ქათამ-იხვებზე (თუ დღე იყო), ძაღლების დევნა, ღობე-კედელთა მტკრევა-მსხვრება, ბაღ-ბოსტნებში გაჯირითება, ტელეგრაფის ბოძების სიმტკიცის მოსინჯვა, მყარად თუ არის დამაგრებული! მრავალი მათგანის სასახელო წაქცევით შეეძლო დაეტრახახა, მაგრამ მისი ავტომობილიც თითქმის თავიდან ხდებოდა ასაწყობი...

რა ენადვლებოდა! მამიკოს ფულებით ყოველგვარ სურვილს ისრულებდა...

ერთხელ კამბეჩიამ აიჩემა: “ფეხბურთის თამაშისთვის ვარ გაჩენილი!”

ფეხბურთის თამაშმა კამბეჩია ისე გაიტაცა, რომ ძველ ჩვევებს უღალატა, საქეიფოდ იმდენად აღარ მიუწევდა გული, დაიწყო დაძაბული ვარჯიში; გუნდს ყველგან თან დაჰყვებოდა, მამის მიერ დავალებული, ისედაც მიგდებული სავაჭრო საქმეები ამჯერად სულ გადაავიწყდა. ბერა ორდელმაშიშვილი აქამდე ხომ ფრიად უკმაყოფილო იყო ორდეს დაუდევრობით და საქმისადმი ავადებული დამოკიდებულებით, ახლა კი სულ მთლად გაცოფდა და შვილს ჯიბის ფულსაც აღარ აძლევდა...

კამბეჩიას დაუდგა გაჭირვების დღეები, კვირები და თვეებიც...

კამბეჩიას მშვენიერი ხმა ჰქონდა, – ხავერდოვანი, მსუყე ბანი, – სუფრის სიმღერით დასამშვენებლად ხშირად ჰპატიუებდნენ, მღეროდა ფუთის ეკლესიაშიც; მერე ერთმა ცნობილმა მომღერალმა, რომელმაც ფუთში კონცერტი გამართა, სუფრაზე შემთხვევით მოისმინა მისი სიმღერა და ურჩია, სანქტ-პეტერბურგში წასულიყო სიმღერის სასწავლად – ასეთი სილამაზისა და სიძლიერის ხმა იტალიაშიც არ მომისმენიაო, – აზანზარებდა ღუქნის კედლებს! – უზადო მუსიკალობა, ბუნებრივად დაყენებული ხმა!

მღვდელი პავლე სასტიკი წინააღმდეგი იყო – არ უნდოდა ასეთი დიდებული მომღერლის დაკარგვა.

შედგა რამდენიმე საქველმოქმედო კონცერტი, ბერას მეგობარმა ვაჭრებმაც ხელი გამოიღეს, შეკრიბეს კარგა მოზრდილი თანხა, კამბეჩია სახეიმოდ გააცილეს – დაოსტატება და კეთილად დაბრუნება უსურვეს...

შორეულ ჩრდილოეთის ქალაქში ჩასვლისთანავე კამბეჩია ჩაუჯდა ერთ რესტორანს და, სანამ წადებოდა ფული ბოლომდე არ დაამღერა, ფეხი არ მოუცვლია ამოჩემებული სუფრიდან... რესტორნის პატრონი დიდ პატივს სცემდა (ოღონდაც – მუშტარს ბლომად იზიდავდა ქართული სუფრული სიმღერებით!), მოუმრავლდა თავგანისმცემლები და მეგობრები...

როცა ჯიბე გამოუცარიელდა, იქ სასწავლებლად მყოფმა ქართველმა სტუდენტებმა ცოტაოდენი ფული შეუგროვეს სამშობლოში გამოსამგზავრებლად...

დაბრუნდა ფუთში, ქუჩაში სულ თვალებს აცეცებდა, უცებ არ გადავაწყდე რომელიმე ჩემს კეთილისმყოფელსო – რცხვენოდა... აღარც მღვდელმა მიიღო – მოლაღატეს მე ვერ ვენდობი, კიდევ გაუტევ სადმეო. ორდემ შეიღს თვიური სახარჯო ფული გამოუყო – ეგ იმყოფინე და სანამ არ დაჭკვიანდები და ნაღდ საქმეს არ მოჰკიდებ ხელს, თვალით არ დამენახო.

კამბენია: მაღალი, ბრგე; ჯერ ოცდაათი წლისაც არ არის და უკვე პატარა ღიპიკო წამოჰპარვია; ჩოხის სახელოები სულ დაკაპიწებული აქვს – თითქოს ამ წუთას გოჭის დაჭერას აპირებსო... თვალები – გულუბრყვილო, გამოხედვა – ალალი, ლაპარაკი – ტკბილი; დღე და ღამე რომ სუფრაზე იჯდეს და ილხენდეს, არ მოსწყინდება... ოღონდ ჭამს უცნაურად, – კურდღელივით თუ თაგვივით, – ტუნების ცმაცუნით; მე რომ მკითხო, ამითაც ჩანს მისი ცერცვტობა-თავქარიანობა..

ახლა განვაგრძობ ამბის თხრობას.
– სიცოცხლე და დღეგრძელობა, ორდემ ბატონო! – მიესალმა კამბენიას სამიკიტნოს დარბაზში შესული უტუ ბატონი და წამომდგარ კამბენიას ხელი გაუწოდა, შემდეგ დანარჩენებსაც ჩამოართვა; ბებურ და ფიშტოც ოთხივეს მიესალმნენ.

უტუ ბატონი გვერდით მიუჯდა კამბენიას და ხმადაბლა გაუბა საუბარი:
– ამ კაცს ხომ იცნობ? – მიუთითა ფიშტოზე.

– ბატონ არჩილს ფუთში ვინ არ იცნობს! – უპასუხა კამბენიამ. – მაგის გატანილი ბურთებისთვის ბევრჯერ დამიკრავს ტაში და ამ სუფრაზე მისი მარცხენა ფეხიც ბევრჯერ მიდღეგრძელებია!

– ჩვენთვის იგი ბატონი არჩილი კი არა – ფიშტოა და ერთი სათხოვარი გვაქვს, შენი ჭირიმე!.. შენი იმედი გვაქვს, კეთილ საქმეში შეგვეხიდე... კარგად მოგესვენება, ფიშტო გაბედნიერებას აპირებს, მაგრამ ქალი ცოტა ცხვირაწეული გახლავს – მასტრედისა ხომ იცნობ? და კარგი იქნება, თუკი შენი ავტომობილით მიგრიადდება მასთან სტუმრად, ხომ იცი, სხვა ფასი დაეღება ფიშტოს მისვლას...

კარი XIX. აქა ამბავი ტურფა მასტრედისთან ფიშტოს მეორედ სტუმრობისა

მეორე დილას ნაჭირავებ შინდისფერ ჩოხა-ახალუხში გამოწკეპილმა ფიშტომ, როგორც კი ბებურის მიერ მიტანილი თეთრი ვარდების მშვენიერი თაიგული ხელში დაიჭირა, მაშინვე მიფხვდი, მის გემს საითაც ჰქონდა გეზი აღებული და დაგწინაურდი – გზა არ ვიცოდი თუ რა! ფიშტო ჯარისკაცული ჩექმების ბრაგუნით კი კამბენიას ავტომობილში მის პატრონთან ერთად ამაყად გამოიჭიმა, თუმცა... მე რას მომატყუებდა – გულის სიღრმეში ფრიად დამფრთხალი იყო: “ეს ოხერი ჯოჯოხეთის მანქანა რამე ხიფათს ხომ არ გვიქადის?” არც იყო გასამტყუნნი – ისე მიაქროლებდა ავტომობილს დამთხვეული კუკურა შოფერი, სულ ადვილი შესადლებელი იყო, სადმე გზიდან თხრილში გადავარდნილიყვნენ ან რაიმეს შესკდომოდნენ...

ისეთი გრგვინით მიგრიადდა ავტომობილი ქალბატონ მასტრედია ჟორინაშვილის დიდებულ სახლთან, მთელი უბნის ქათმები ხომ დავაწიოკეთ და აქეთ-იქით მიმოფანტეთ, დამფრთხალი ძაღლები, შიშით ჩირგვებში შემძვრალნი, ცხვირის გამოყოფას ვერ ბედავდნენ, ავტომობილს ადევნებულები, მყრალ გამონაბოლქვში გახვეული ბიჭბუჭობა კი ჟივილ-ხივილით იქაურობას იკლებდა...

საკვირველი იყო – მასტრედისა კარ-მიდამოდან ჩამიჩუმი არ ისმოდა.
აღრინდელი ამბავი განმეორდა: დიდებულები სახლის ცისფრად შეღებილ ალაყაფთან კარგახანს ვიდექით, სანამ ფიშტო გაბედავდა მასზე დააკაუნებას.

ერთხელ დააკაუნა – საკმაოდ გაუბედავად...
კაციშვილი არ გამოჩენილა.

მეორედ უკვე რამდენჯერმე დააკაუნა, უფრო ძლიერადაც.
გალავანს იქიდან არავინ გამოგვხმაურებია.

– უტუ ბატონმა გვირჩია, თუ კაკუნი არ იკმარებდა, სიმღერით გვეცადა მზეთუნახავის სასახლის კარის გაღება, ხომ არ დადგა ამის დრო? – უთხრა ფიშტოს კამბენიამ. – გენაცვალოს ჩემი თავი, არ დაგამადლი, ისე ვიმღერებ, კარსაც გაგიღებს და გულსაც გაგიღებს!

– გაგიჟდი? უტუ ბატონს იტალია ან ესპანეთი ხომ არ ჰგონია აქ?
– მაშინ სხვანაირად მოგუფლით ამ საქმეს!

და კამბენიამ გამეტებით დააბრახუნა! მუშტით!
კუკურამ კი ავტომობილის საყვირი აბღავლა და აბღავლა!

და, როგორ იქნა, გაიღო მეორე სართულზე ფანჯარა და ქალბატონმა მასტრედისამ გამონათა, ხელით მოიჩრდილა მშვენიერი თვალები და დაგვაკვირდა..

– მობრძანდი! – გაუღიმა ფიშტოს და კეკლუცად მოიღერა თეთრი ყელი.

ჭიშკართან მოცუხცუხდა შუახნის, ხოჭოსავით შავი, გამხდარი ქალი – ეტყობა, როგორც იქნა, ქალბატონმა მასტრედია მასხლი მოახლე დაიქირავა – და ეზოში შეგვიშვა.

– მობრძანდით, ქალბატონი გელით!

ეს სიტყვები და თვით მოახლის გამოჩენაც ამ სახლში კარგად გვენიშნა.

ავი ენები ამბობდნენ, რომ ქალბატონი მასტრედია მოახლეებს ქმრებზე ხშირად იცვლიდა! რატომ? ალბათ იმიტომ, რომ მოახლეს დიდი ჯაფა ადგებოდა: ის მოახლეც უნდა ყოფილიყო, ხელის ფარეშიც, მზარეულიც, ოთახებისა და ეზოს დამლაგებელ-დამხვეტავიც, მებაღეც, სარეცხის მრეცხავიც და გამრთობიც... დიდხანს ვინ გაუძლებდა?

მე ჩუმად შევეყევი ფიშტოს, მოახლის თვალთაგან მოფარებულად შევიძურწე; აბა, ფიშტოს მარტოს ხომ ვერ დავტოვებდი (კამბეჩია და კუკურა ავტომობილთან დარჩნენ) – ფაშფაშა ქალბატონი ჩემი ერთგული მეგობრის დაჩაგვრას ნურც შეეცდებოდა! გამიკვირდა: ასეთი ლამაზი ქალი და – უძალდოდ? მოტაცების თუ არ ეშინია, ქურდების დასაფრთხობად მაინც გაეჩინა! მოხერხებულად გაესხლტი და პირველ სართულზე მისაღებ ოთახში შესვლისთანავე მაშინვე მაგიდის ქვეშ შევიძვარი – იქიდან ეშმაკიც ვეღარ გამომაგდებდა!

ძვირფას სამოსელში მორთულ-მოკაზმული ტურფა ქალბატონი მასტრედია ათიოდე წუთში გამოგვეცხანდა, მეორე სართულიდან კიბეზე დიდებულად ჩამობრძანდა.

ფიშტომ მოწიწებით მიართვა თეთრი ვარდების დიდი თაიგული და ხელზეც ეამბორა – როგორც უტუ კამაბულიამ დაარიგა.

ქალბატონმა მასტრედია მოახლეს ბროლის მოზრდილ ლარნაკში წყლის გამოცვლა უბრძანა, შემდეგ საკუთარი ბროლის ხელით ჩააწყო შიგ ახალი – თეთრი – და წინათ მიტანილი – წითელი – ვარდები და ფიშტოს თხოვა, რბილ სკამზე დაბრძანებულიყო.

– თქვენი სახელი? – უჩვეულო სინაზით ჰკითხა ფიშტოს, თან მის სახეს თვალს არ აცილებდა.

– არჩილ როყვაია გახლავართ, ქალბატონო, – მორიდებით მოახსენა ფიშტომ.

– მეგრელი ბრძანდებით?

– არა, გურული ვარ, შემოქმედის თემიდან.

– დიდად სასიამოვნოა! თქვენ საოცრად მაგონებთ ჩემი ბავშვობის მეგობარს, საოცრად! ფანჯრიდან რომ გადმოვიხედე, ვიფიქრე, ნამდვილად ავთულა მოსულა-მეთქი, თვალს არ გუჯერებდი!

– არა, ქალბატონო, მე არჩილი მქვია, მეგობრები ფიშტოს მეძახიან...

– რას საქმიანობთ, ბატონო არჩილ?

– პორტში... – დაიწყო ფიშტომ და დროზე შეჩერდა, უბრალო მუშას რა უნდოდა ამ მდიდრულ სახლში? – დიახ, ფეხბურთელი ვარ, “ფუთბოლ ლომებში” ვთამაშობ. თქვენ რამდენჯერმე დაგინახეთ, ჩვენს მაჩებს ესწრებოდით...

– როგორ შემამჩნიეთ? – სასიამოვნოდ გაკვირებული იყო ქალბატონი მასტრედია.

– ქალბატონო, თქვენისთანა ლამაზ ქალს ბრმაც შეამჩნევდა! თქვენ მთელი ფუთი გიცნობთ!

– ბატონო არჩილ, თქვენც საკმაოდ სახელგანთქმული ბრძანდებით, როცა ბურთი მიგაქვთ, მთელი ხალხი თქვენს სახელს გაჰყვირის: “ფიშტო, ფიშტო!”

ფიშტო სიამისგან დაიბნა, აღარ იცოდა, მზერა სად დაემალა.

უხერხულობიდან ქალბატონმა მასტრედია გამოიყვანა, ჩაიზე დაჰპატიჟა.

– ჩაი? – წამოიძახა ფიშტომ, – ჩაი რად მინდა, ავად კი არ ვარ! – მაგრამ მაშინვე ენაზე იკბინა: – ბოდიში, ქალბატონო მასტრედია, ვიხუმრე, ჰი-ჰი-ჰი! მაპატიეთ!..

მჭავესახიანმა მოახლე ქალმა ორ ფინჯანში სურნელოვანი ცხელი ჩაი ჩამოასხა.

ქალბატონმა მასტრედია ფინჯანში ორი ნატეხი შაქარი ჩააგდო და მორევა დაიწყო, გაჩერებულ და ოდნავ დაბნეულ ფიშტოს მიმართა:

– მიირთვით, მიირთვით! თუ გნებავთ, შაქარი ისე მიაყოლეთ!

ფიშტომ მარჯვენა ხელით ასწია ჭიქა და დაილოცა:

– კეთილი იყოს ჩემი ფეხი ამ სტუმართმოყვარე ოჯახში! ჯანმრთელობა და ტანმრთელობა არ მოაკლოს მის მშვენიერ დიასახლისს, იხარეთ, გამრავლდით, იბედნიერეთ! – მერე მოიყუდა ჭიქა და ჩაი გადასხა.

უცებ ფიშტო ფეთიანივით წამოხტა, რბილი სკამი ბრაგუნით წააქცია, პირი წყალწაღებულვით დააღო, თვალბები გადმოკარკლა და როცა, როგორც იქნა, შეძლო ხმის ამოღება, დაიხავლა:

– თქვენ დაგეწვათ ოჯახი, დამწვით პირი ხომ! თქვენ დაგექცათ კერია!

და ისეთი სისწრაფით მოკურცხლა კარისკენ და მერე ეზოში გაგარდა, რომ ქუჩაში მე და ავტომობილი ძლივს დავეწიეთ...

მხოლოდ გემზე მისულმა აღმოაჩინა ფიშტომ, რომ ქალბატონ მასტრედიას სახლში ნაქირავები ბოხონი დარჩენოდა.

– დღეს რამფერი ვარდები მოგართვა, შე უბედურო? – ემასხებოდა ბებურ ფიშტოს რამდენიმე დღის შემდეგ. – მოვირჩა უკვე პირი? ამჯერად მესამედ, და უკანასკნელად, მშვენიერ ჩაის ვარდებს მოგიტან!

– ოჰ, არ ქნა მაგ საქმე, ჩაიზე პირი აქვს ერთხელ უკვე დამწვარი! – ქირქილებდა ლოთია.

– დეილუპეთ იქით! – წამოიძახა გაბრაზებულმა ფიშტომ, – მე მეტი იქ წამსვლელი აღარ ვარ!

– გაჰ, რა კარგია! – ყასიდად წამოიძახა ბებურმა, – მაშინ მე წავცუნცულდები, მომბეზრდა სხეებისთვის, თანაც უმადურებისთვის, ვარდების პარგა! შენსავით ბედოვლათი კი არ ვარ, უცებ მოვაკვარახჭინებ საქმეს!

– წახვალ და გამოგფუშავ საადღომო ღორივით! – ხანჯლის ამოღება დააპირა ფიშტომ და მხოლოდ ბიჭების სიცილმა შეაჩერა.

უტუ ბატონი კი ეუბნება:

– ფიშტოს ვენაცვალებ, კიდევ ერთხელ დაურტყი პენალტი და თუ მესამედაც ააცილე ჭიშკარს, მაშინ სხვას მივანდობთ მაგ საქმეს, უფრო ალღოიანს და მარჯვეს! ეგ არის მთავარი!

– ხომ იცი, ხალხი რიგშია ჩამდგარი! – ამატებს ბებურ.

– ჰო, არ დაგავიწყდეს: ჩაის დალევამდე ჯერ მაგრად შეუბერე! – ამატებს ლოთიაც..

– დეილუპეთ იქით!..

კარი XX. აქა ამბავი ტურფა მასტრედისთან ფიშტოს მესამე სტუმრობისა

ამჯერად მე არ მომიწია ფიშტოს თანხლება, არც კამბეჩიამ ისურვა; საოცარი, მაგრამ მას ბებურ წაჰყვა დამხმარე ძალად, როგორც ფრიად გამოცდილი ამგვარ საქმეებში და გარკვეულ წილად – პირდამდურულიც, ოღონდ ფიშტოსგან განსხვავებით, სხვა მხრივ – იძულებით დაქორწინდა სულ ახლახან... უტუს თხოვნით ბებურ ხალისით გაჰყვა ფიშტოს, წინდაწინ კი ამჯერად ორი თაიგულისთვის სამყოფი ვარდების შოვნა დასჭირდა.

ფეხბურთელები გულის ფანცქალით ელიან ბიჭების დაბრუნებას – ყველას ეჭვი ეპარება ამ ფაქიზი საქმის წარმატებით მოკვარახჭინებაში, არ თუ ვერ დებენ ნაძღვევებს, რადგან მათ ცარიელ ჯიბეებში თაგვებს დოღი აქვთ გამართული.

მხოლოდ მწვრთნელია განწყობილი იმედიანად და...

კარგა ხნის გულის გამაწვრილებელი ლოდინის შემდეგ, მოისმა ავტომობილის გაბმული ჭყვიტინი და ჩვენი მოლოდინი მართლდება – საქმე წარმატებით დაგვირგვინდა!

როცა ფიშტო და ბებურ დაეინახე, გახარებულმა ყეფა ავტეხე!

ამ წარმატების აღსანიშნავად არჯევან ჯანყიამაც ანუ მუგუზალამ ყეფა დაიწყო – ძალიან კარგად მბაძავდა! მე მგონი, მას უფრო მოუხდებოდა, მეტსახელად მუგუზალას ნაცვლად “ცუგური” ან “გოშია” დაერქმიათ! საერთოდ, საოცრად ეხერხება ხმის მიბაძვა – ყვავის ყრანტალისა, კატის კნავილისა, ქათმის კრიახისა... მშვენივრად უსტვენს კიდევ – კამბეჩიას სიმღერას აჰყვება ხოლმე!

ცოტა ხნით გვერდზე გაგუხვევ, საყვარელო...

ერთი ხანია, გუნდში რატომღაც ყველა გაიტაცა ყეფამ, ყეფით “საუბარმა” და ყველანი ცდილობდნენ, მე შემჯიბრებოდნენ და ყეფისთვის სხვადასხვა ელფერის მიცემით გამოეხატათ მისაღმება, გამოჯავრება, მჭევუნვარება, სიხარული, დამშვიდობება, გაბრაზება, სიძულვილი და ასე შემდეგ – ყველანი ჩემი მეტოქენი გახდნენ! ან იქნებ ჩემს ერთგულებასა და სიყვარულს ასეთნაირად სცემდნენ პატივს!

თავდაპირველად ეს “სენი” ასე დაიწყო: ერთხელ ჩემს გადაუდებელ საქმეს გადაყვევი... გულახდილად რომ მოგახსენო, ტრფიალების დაუძღვევლი ეშხით დატყვევებული, ერთ მშვენიერ ბუქნას აგედევნე და გერაფრით მოგშორდი – საითაც კი წავიდა, ყველგან თან გაყვევი, საკუთარი თავი აღარ მახსოვდა, არამცთუ ჩემი მშობლიური გუნდი... ჩემმა გაუჩინარებამ ჩემი უპირველესი მეგობარი და მფარველი ცხვირა ფრიად დააღონა, ეგონა, რომ დავიკარგე ან რაიმე ხიფათი შემემთხვა. ამ შემთხვევით ისარგებლა მუგუზალამ და ცხვირას გამასხარავება გადაწყვიტა – დაიძალებოდა და ჩემს ხმაზე ყეფას მოჰყვებოდა. ცხვირა საკმაოდ მიამიტი გახლავთ და დამიწყო ძებნა... დიდხანს ამოდ მეძებდა და გაკვირვებული იყო, რომ გერაფრით მიპოვა და არც მე მივდიოდი მასთან ძახილზე. ბოლოს, უშედეგო ძებნით დაბნეულ ცხვირას უცებ ყეფით – ღაც-ღავ! – ფეხში ძაღლი არ ეცა?! გულგახეთქილმა ცხვირამ გვერდზე ისეუპა და კინაღამ ცხვირიც მოიტეხა... უკან მოიხედა და ბიჭების ხორხოცის მიზეზი მისთვის გასაგები გახდა! მუგუზალამ ისევე შეუყეფა ჩემს ხმაზე და ისევე უნდოდა, კანჭში წვდომოდა ხელით, მაგრამ გაბრაზებულმა და საკმაოდ დამფრთხალმა ცხვირამ ისე მოუქნია ფეხი, რომ მუგუზალამ ძლივს მოასწრო გვერდზე გახტომა... საიდუმლოს ფარდა აეხადა და ბიჭებმა ბევრი იცინეს. მას მერე მუგუზალა ხშირად აჯავრებდა ცხვირას ყეფით სხვადასხვა ხმაზე და თანდათან ისე შევიდა როლში, რომ კინაღამ მართლა ძაღლად გადაიქცა!..

– ცხვირა, ნურაფრის გეშინია, – ეუბნებოდნენ ბოცოს ბიჭები, – თუ მაჭახელა მართლა დაგვეკარგა, აგერ არ გეყავს მუგუზხალა? რითაა მასზე ნაკლები? დიდებულად ხომ ჰყეფს, სხვა მხრივ ბევრად ჯობნის კიდევ – ღორის ღრუტუნსაც მშვენივრად ბაძავს, ღომენტის პეტელსაც და ვირის ყროყინსაც! შენი მაჭახელა რის მაქნისია, მუგუზხალა კი დილით გვაღვიძებს მამლის ყვილით, შუადღეს ღორის ღრუტუნით გვამცნობს, ბიჭებო, ჭამის დრო მოვიდაო... მართალია, ხანდახან ზედმეტი მოსდის და იმდენს იღრუტუნებს, ყველას გაგვიწყალებს გულის, ისედაც მოშიგებულებს ეგ გვინდა კიდევ?

საყვარელო, კვლავ ჩვენი ბიჭების მასტრედისთან სტუმრობას გუბრუნდები.

ფიშტო მეტად სიტყვაძუნწი იყო, სამაგიეროდ ბებურმა ხატოვნად, მანჭვა-გრეხვითა და ხმის თამაშით გვამცნო შემდეგი (მსახიობად ივარგებდა!).

მართალია, ფიშტომ ხელის თხოვნა ვერ გაუბედა მასტრედისა და არც დასტურის იმედი უნდა ჰქონოდა (რომელი ჭკუათმყოფელი ქალი დათანხმდებოდა ცოლობას სრულიად უცხო ადამიანს, რომელიც მხოლოდ მესამედ ჰყავდა ნანახი!), მაგრამ ბიჭებმა იმას კი მიაღწიეს, ფეხბურთის მაჩზე დაჰპატიჟეს და დაითანხმეს კიდევ, რომ ახალგაზრდა, მშვენიერი, სიცოცხლით სავსე ქალისთვის ურიგო არ იქნებოდა ცოტა გართობა; არწმუნებდნენ, ფეხბურთი გამორჩეულად მოეწონებოდა და გაიტაცებდა.

ფიშტომ საოცრება მოახდინა და ბებურიც კი განაცვიფრა მოხერხებულობით, როცა მუხლებზე დაეცა (უტუ ბატონმა ხომ არ გაწვრთნა?) და ქალს მიმართა:

– ჩვენო დედოფალო! ვისაც გინდათ, ჰკითხეთ, თუ ფეხბურთზე უფრო თავდავიწყებამდე წარმტაცი თამაში კიდევ მოიძებნებოდეს – რა თქმა უნდა, ლელობურთის გარდა! თქვენს საპატივცემულოდ გავმართავთ საფეხბურთო მანქანას ტფილისელ ფეხბურთელებთან! ამის შესახებ ფუთის გაზეთში გამოვაცხადებთ ადლიანი ასობით: “მაჩი ეძღვნება ფუთის ნატურის თვალს, უმშვენიერეს და უკეთილეს – მასტრედია ჟორნინაშვილს!!!” ნუ დაგვიკოდავთ გულის, უარს ნუ გვეტყვიო!

აღბათ მასტრედისა დაყვლიება არ იყო ძნელი, – უკვე რამდენჯერმე ჰქონდა ნანახი ფეხბურთის თამაში, თანაც, სახლიდან წაყვანას და შინ დაბრუნებას ფიშტო ავტომობილით დაჰპირდა!.. და, რაც მთავარია – მასტრედისა ბებურ და ფიშტო მოეწონა! განსაკუთრებით ფიშტოს არ აცილებდა მზერას! რამდენჯერმე თურმე შეეშალა კიდევ და ნაზად “ავთულა” უწოდა... ვინ ბედნიერი იყო ნეტავ ეს ავთანდილი?

დიახ, როგორც ბებურმა დიდი კმაყოფილებით გვამცნო, ქალბატონ მასტრედიაზე არცთუ ურიგი შთაბეჭდილება მოახდინეს სტუმრებმა; მასლაათში იმდენად გაერთო, რომ უკვე მათე თუ მეთერთმეტე ჭიქა ჩაის შემდეგ, ბებურს რომ არ გახსენებოდა, დღეს კიდევ ვარჯიშიც უნდა მოვასწროთო, არც კი იფიქრებდა მათთან წარმტაცი საუბრის დასრულებას... ფრთხილ კმაყოფილი ჩანდა და გამომშვიდობებისას ფიშტოს და ბებურს ხუმრობით პირობაც მისცა – თუ მათი გუნდი გაიმარჯვებდა, იმ ფეხბურთელს გაჰყვებოდა ცოლად, რომელიც მეტ ბურთს გაიტანდა!

ფიშტო აღფრთოვანებული დარჩა საქმის ამგვარი დასასრულით, განსაკუთრებით კი ქალბატონ მასტრედისა ხილვამ მოხიბლა:

– ახლოს რომ ენახე, კინაღამ ხელ-ფეხი წამერთვა, ენას ვეღარ ვაბრუნებდი პირში!

– ჩაით ხომ არ გქონდა ისევ დამდურული? – ჰკითხა ლოთია უღვაშამ. – ნეტავ იქ ვყოფილიყავი და ჩემი თვალით მენახა!

ბებურმა კი მაშინვე დაამატა:

– ბიჭო, მერამდენედ გეუბნები: რა გეშველებოდა უჩემოდ! შენ კი ჩემი წაყვანა არ გინდოდა, ჩაისთვის სულის შებერვა მე გასწავლე!

ფიშტომ ლოთიასა და ბებურის დამცინავ სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია, ადგზნებული განაგრძობდა, ეტყობოდა, საოცრად სიამოვნებდა ქალბატონ მასტრედისა შესახებ ლაპარაკი:

– როგორი თვალეები აქვს, ვერ გეტყვით, ვერ ავიწერთ – ნაცრისფერი? ცისფერი? მომწვანო? წესიერად თვალეებში რა შემახედებდა!.. ხმა?.. ხმა ჰქონდა ისეთი რბილი, რბილი – ხავერდით... მეეონა, კი არ ლაპარაკობს, მღერისო...

ფიშტოს აღტაცება იმანაც კი ვერ გაანელა, რომ წინა სტუმრობისას დარჩენილი ბოხოხი არ დაუბრუნებია მისთვის ქალბატონ მასტრედისა – რის ბოხოხი, რა ბოხოხი, თვალიც არ მომიკრავს მისთვისო, ასე უპასუხა ფიშტოს მორიდებულ კითხვაზე.

ბებურმა რაღაც უცნაურად ჩაიციხა, ფიშტოს გული გაუკეთა:

– მაგას რას ნაღვლობ, ჭირიმე, მასტრედისა რომ ითხოვ, ის ბოხოხი სად გაგექცევა!

კარი XXI. აქა ამბავი “საქორწილო” მაჩისა

ტფილისიდან ფეხბურთელები რომ ჩამოვიდნენ, – გუნდს ერქვა “ტფილელი ვეფხვები” – ცოტა შიშმა შეგვიპყრო, შევფიქრიანდით: როცა წვრთნა ჩაატარეს, უამრავი ფუთელი ფეხბურთის გულშემატკივარი დაესწრო და თვალნათლივ იხილეს სტუმრების ოსტატობა. განსაკუთრებით მეკარე ჰყავდათ გადასარეგად მკვირცხლი: ჩვენს რამდენიმე ფეხბურთელს წინადადება მისცა, საჯარომოები დამირტყითო. როცა ძუბურია, ბაჩულია უნიფხვომ, უღვაშამ და ბებურმა ერ-

თი ბურთიც კი ვერ გაუტანეს, ისე ავაზასავით ხტებოდა ის დალოცვილი, მუგუზაღასა და კურდღლისფეხას ცდაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი – ფიშტომაც მოინდომა მისი გამოცდა; იბრიქებოდა, ახლა მე მიყურეთ და ისწავლეთო. რამდენჯერმე ცვალა, მაგრამ ავაზამ მისი ყველა დარტყმა სხარტი ნახტომით მოიგერია!

ტფილელთა სხვა მოთამაშეებიც კარგები ჩანდნენ, მათგან კი გამოირჩეოდა კიდევ ერთი ძალიან მაღალი და ჯანიანი ჯეელი – ყველანი დოლიას ეძახდნენ. ეს დოლია, ერთი შეხედვით, თითქოს დონდლო და მოუხეშავი იყო, მაგრამ ორ-სამ კაცს სულ თამაშ-თამაშ ატყუებდა და დარტყმაც სანაქებო ჰქონდა; ვარჯიშისას მხოლოდ მან შეძლო ავაზასთვის ზუსტი და ძლიერი დარტყმით გოლის გატანა.

ადვილი მისახვედრი იყო, რატომ ჩაატარეს ამგვარი სანახაობა ტფილელებმა – მათ მწურთნელს სურდა, წინდაწინ დაეთრგუნა “ლომები” საკუთარი გუნდის უძლეველობის წარმოჩენით, ჩაეკლა “ლომებში” ყოველგვარი წინააღმდეგობის გაწევის უნარი...

ფუთსა შინა “ვეფხვების” ჩამოსვლას დიდი გამოხმაურება მოჰყვა ქალაქში. დაიღო უამრავი ნაძლევი, უმთავრესად – სტუმართა მოგებაზე გათვლილი, იმდენად ძლიერი გუნდი ჩანდა.

ბრწყინვალე თავადმა ადილარ არაჩემიამ ბილეთების საშოვნელად თვით მიაკითხა გელა მგელუკაშვილს და ლამის სული ამოხადა გაუთავებელი კითხვებით; სურდა, მცირე შესატანით დიდი მოგება ენახა – ნაძლევის დადებას აპირებდა ბრწყინვალე თავად ლომკაც ლომთითიძესთან.

– დღეს მოვიგებთ?
 – აუცილებლად! – არ დაახანა პასუხი გელამ.
 – რა ანგარიშით? არ მომატყუო, თორემ... – ხანჯლის ტარზე დაიღო მარჯვენა ბრწყინვალე თავადმა.

– 40 : 0!
 – იმე, მეხუმრები, კაცო?
 – აბა, მამაზეციერი ხომ არ ვარ, ზუსტად გამოვიცნო.
 – აბა, მე ვიცი?
 – ახლა ეგ მადარდეთ...
 – შენ რა გენადგლება და მე ნაძლევი მაქვს დასადები, რომ წავაგო?
 – მოვიგებთ-მეთქი და მეტი რა გითხრათ.
 – რომ წავაგოთ?
 – ბურთი მრგვალია, შეიძლება, ასეც მოხდეს.
 – როგორ თუ შეიძლება, მერე ჩემი ფული? – თვალებს აბრიალებდა ადილარ.
 – რა ფული?
 – ნაძლევის რომ წავაგებ?
 – რა აუცილებელია ნაძლევის დადება, ბატონო ჩემო, მიბრძანდით მაჩის სანახავად, დაბრძანდით თქვენს სკამზე და ისიამოვნეთ, მეტი რაღა გინდათ?
 – შენი სასწავლიც გაგხდი, როგორ უნდა მოვიქცე? ვალები მაქვს გასასტუმრებელი!
 – ეგეც ჩემი სადარდებელია?
 – ჩემი ხომ არის?
 – მაშინ დანაძლევედით ჩვენს წაგებაზე, მაგაზე ადვილი რა არის, და მოიგებთ!
 – აკი მოვიგებთო?
 – არ წამჭამე თავი? რა გინდა, აღარ შემეშვები? – უკვე შენობით მიმართა კითხვებით თავგაბებურებულმა გელამ და მაშინვე ენაზე იკბინა – ბრწყინვალე თავადი ხანჯლის ტარს მარჯვენით ნერვიულად ეთამაშებოდა.

– მითხარი და თავს დაგანებებ... უეჭველად მოიგებთ?
 – დიდი ბოდიში, ბატონო ჩემო, ათჯერ გითხარით, მეტი რა ვქნა...
 – რა ანგარიშით?
 – ვინ არის ეს ჩიტირეკია? დროზე მოუსვი აქედან, სანამ გამიბრტყელებიხარ! – ყოველგვარი მორიდება დაჰკარგა ბრწყინვალე თავადის მიმართ უტუ ბატონმა, რომელიც იმ საუბარს შეესწრო.

– იმე, რა ვთქვი ისეთი... მხოლოდ ის მინდოდა გამეგო...
 – მოვიდა ახლა სილაქი!
 – მივდივარ, მივდივარ!.. – ხანჯალი აღარ გახსენებია ბრწყინვალე თავადს.
 – დროზე გამასწარი აქედან!
 – იმე, რა ბრაზიანები ყოფილხართ ეს ფეხბურთელებია თუ ვიღაცა, შენი გასაჭირი სულ არ აღარდებთ...

* * *

მდგდელმა მამა პავლემ და დიაკვანმა მაჩის დაწყების წინ დალოცეს ჩვენი გუნდი, ბურთსაც წმინდა წყალი აპკურეს...

მაყურებელი ჩილიკობდნენ:

– მაგენი ცოტა ხანში თვით გაიქაჩებიან მოედანზე გასასვლელად!

– კი, კაცო, ჩემი თვალთ ვნახე: ეკლესიის უკან მოფარებულში თამაშობდნენ ჩუმად! იქ პატარა მოედანი მოუწყვიათ – ქვები გაუტანიათ და იქაურობა მოუსწორებიათ. მშვენიერი ბურთიც ჰქონდათ, ნეტავ სად იშოვეს?

– ტფილელებმა თუ ჩამოიყვანეს თავიანთი ხუცესი?

– ორივე მაღალ ღმერთს შესთხოვეს, ჩემს გუნდს გაამარჯვებინეო და რა ქნას საწყალმა მახეციერმა?

მღვდელი პაველე და დიაკვანი მათთვის საგანგებოდ მოტანილ სკამებზე დინჯად დაბრძანდნენ სხვა პატივსაცემ პიროვნებათა შორის, წვერებზე ხელი ჩამოისვეს და მოემზადნენ ღვთიური ნეტარებისთვის...

ჯერ სამხედრო გარნიზონისა და შემდეგ სახანძრო რაზმის სასულე ორკესტრებმა სახეიმო მარშები შეასრულეს, მოედანზე მოპაექრე გუნდები გამოვიდნენ, ერთმანეთსა და მაყურებლებს მიესალმნენ.

წილი ჰყარეს და მაჩი დაიწყეს.

მშვენიერი უქარო ამინდი დადგა და ბრდღვიალა მზეც თითქოს ხარობდა, რომ ამდენ ადგნებულ, სიხარულითა და კმაყოფილებით აღსავსე ფეხბურთის გულშემატკივართან ერთად ასეთი დიდებული სანახაობის მომსწრე და დამსწრე იყო!

საყვარელო, მეც რა ბიჭი ვარ – დაგაკლდები ამ მაჩს! ვზივარ ჩვენი გუნდის ჭიშკართან დადარაჯებული – ვინ იცის, რა მოხდება, იქნებ თამაშში ჩემი ჩარევაც გახდეს საჭირო!

უტუ ბატონს – და “სასიძოსაც”, ფიშტოს! – ყველაზე დიდი იმედი მეკარის, ბოცო კინკაველაძისა აქვთ და არცთუ უსაფუძვლოდ.

ერთხელ ბოცო გუნდის ვარჯიშის დროს გამოჩნდა მინდვრის კიდეზე და “ვინ არისო”, – მაშინვე იკითხა უტუ კამპბელიამ – ახალგაზრდის სიმაღლემ და ბრვე ტანმა მოხიბლა. ბიჭები კი სხვა რამის გამო მიაჩერდნენ – თავზე ესურა უზარმაზარი, ჭრელი, საჩიხიანი ქული, მხარილლივ კი გადაკიდებული ჰქონდა წითელი წიწაკებით გვირგვინივით მრგვალად მოწნული გალა, თითქოს ეშინოდა, ვინმემ არ გამომდლიტოს ხელიდან ეს სიმდიდრეო.

ორგვლივ მყოფთ ჩილიკი დაუწყეს:

– ბიჭო, ეგ წიწაკა რომ გაგითავდება, მერე რა გეშველება?

– ცოტა ჩვენც გვიწილადა, უკან ამოვისვამთ და უკეთესად ვირბენთ!

სოფლიდან ახალ ჩამოსული ბოცო უწყინარ ხუმრობაზე კეთილად იღიმებოდა, ჩანდა, ზრდილობა და თავშეკავებაც არ აკლდა.

უტუ ბატონმა შესთავაზა გუნდთან ერთად ვარჯიშში, რაზედაც ბოცო სიხარულით დათანხმდა და მაშინვე გაგარდა მოედანზე, ოღონდ ის წიწაკები მხრიდან არ ჩამოუღია და არც ქული მოუხდია; ბიჭების ენაკვიმატობას ყურადღებას არ აქცევდა.

მას მერე “ფუთელ ლომებში” თამაშობს, ნიჭთან ერთად დიდად დაუზარელი და შრომისმოყვარეა და მოკლე ხანში გუნდის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი გახდა.

ბოცო კინკაველაძეს გუნდში იცნობენ ყველაზე თავაზიან ადამიანად. ერთნი ამრეხით უყურებენ, ეჭვითაც კი – აქ რაღაც ამბავიაო, დაფარული მიზეზის გამო არის ასეთი ზრდილობიანი და მორიდებული, თავს იკატუნებსო; მეორენი – აღფრთოვანებულნი არიან და სამაგალითოდ მიანინათ.

როცა მოდის, შორიდანვე ჩანს მისი ქული, დაკოსებული ვიწრო თავზე. რატომღაც ამოჩემებული აქვს და ყოველთვის ახურავს ეს დიდი, გაბრტყელებული, ჭადრაკის დაფასავით ჭრელი, უჯრებიანი ქული, რომელსაც ამშვენებს წინ წამოწეული საჩიხი, – ისეთი ფართო, რომ ხალხი მას ჯერ “ბიჭიას მინდორს” უწოდებდა, შემდგომ კი – “ფეხბურთის მოედანს” ან “საბურთალოს”. სად იშოვა ესოდენ გამორჩეული ქული – გამოცანაა... საგანგებოდ თუ შეაკერინა. ბებურ ესუმრება, შენ ნაღდად ცირკიდან გამოგყვა ეგ ქული, კლოუნობას რატომ დაანებე თავიო. ქულს ქვევით მოჩანს მუდმივად დანაოჭებული შუბლი – ფიქრებშია, არავინ დამრჩეს გამარჯობის გარეშე და არ დამავიწყდეს მისი შინაურების თბილად მოკითხვაო; მერე – ჭროლა თვალები, გულდასმით რომ ზეერავს გარემოს, ნაცნობის დანახვა და სალაში არ დამაგვიანდესო, მერე – ჯიშინი ცხვირი, მერე – ფართო, დიდი პირი, მერე – გრძელი კისერი... “ცხენისთავა” – უშნოდ ჩამოგრძელებული, გამხდარი, ლოყებჩაგარდნილი სახე... საერთოდაც მეტად მაღალია, გამხდარი, გამწვლაკული. სანამ ფეხბურთელი გახდებოდა, ბავშვები ეხვეწებოდნენ: “ბიბია, აგვისვი ხეზე ან სახურავზე, ან გადაგვისვი მესერზეო... ან თუ ბევრი მაყურებელი იყო და ვერაფერს ხედავდნენ – მხრებზე შეგვისვიო; ყველა ხომ ვერ დაეტეოდა მის მხრებზე და დანარჩენები ეხვეწებოდნენ – გვითხარი, რა ხდება მოედანზეო, და ისიც, რაღა თქმა უნდა, არ დაიზარებდა, ყოველივე წვრილად მოეთხრო...

უბნებთან, ცარიელი ცხვირი ხარო; გვიკვირს, თავდამსხმელად არავინ გინდომა – ბურთს რომ დაარტყა, მას ვერც ერთი გოლკიპერი ვერ დაიჭერსო. ბოცოს არ სწყინს, ყველა რომ ცხვირას ეძახის, ამაყობს კიდევ საკუთარი ცხვირის ჯიშინობით – მოზრდილი ცხვირი ვაჟკაცობის

ნიშანიაო; ხშირადაც ეხუმრება, ესაუბრება, არცთუ იშვიათად რჩევასაც ეკითხება და ხუმრობით თვითვე სცემს პასუხს...

როცა ბოცო გუნდის წევრი გახდა, პირველად მწვრთნელმა უტუ კამპბელიამ უკან, მცველად დააყენა – ჭიშკართან ჩამოწოდებულ მაღალ ბურთებს კარგად მოიგერიებსო. დაცვაში თამაშისას სიმკვირცხლით არ გამოირჩეოდა, მოუხეშავი და ზანტიც კი ჩანდა, მაგრამ ვერავინ დაუბრკობოდა, – დაცვის ნამდვილი ბურჯი გახდა, – რკინის ფეხი ჰქონდა! ბებურ ატრიზაგებდა: “ისეთი თავაზიანია ჩვენი ცხვირა, სანამ მოწინააღმდეგეს სარმას დაუდებს, წინასწარ ბოდიშს უხდის: “მაპატიე, ჩემო ბატონო!” და კონტად მოცულავს; მერე მივა დაცემულთან, წამოაყენებს – თუ დაშაგებულმა წამოდგომა შეძლო! – და მოეფერება!”

ფუთის სხვა გუნდებმა ჩვენთან შეხვედრა აღარ ისურვეს, უტუ ბატონსა და გელას შეუთვალეს: “სანამ თქვენს ფეხების მჩხვავ ბოცო კინკაველაძეს არ მოაცილებთ გუნდიდან, თქვენთან აღარ ვითამაშებთ, მოსაკლავი თავი ვის აქვს!”

უტუ ბატონი იძულებული გახდა, ბოცო მეკარედ გადაეყვანა და არც უნანია – უკეთეს ვერც ინატრებდა! მით უმეტეს, რომ ჭიშკარის დარაჯად ყოფნა არავის უნდოდა, ხათრიანი ბოცო კი ადვილად დაიყოლია.

ბოცო ცხვირა თითქმის მუდმივად დუმს, აუღელვებელია, ერთი შეხედვით – დონდლო, მაგრამ, როცა ბურთს დაურტყამენ, უცებ ზამბარასავით იცის გაშლა და ჰაერში გაფრენა.

თამაშის ან წვრთნის დროს მე მარად მის ჭიშკართან ვზივარ. ბევრჯერ მომხვედრია კიდევ ძლიერად დარტყმული ბურთი და ავწკავწკავებულვარ, მაგრამ იქიდან ფეხი არ მომიცვლია. ამ დროს ბოცო მოვა ხოლმე, ნიჩაბივით ფართო ხელს აღერსიანად გადაამისვამს თავზე.

სახელგანთქმულ ქუდს თამაშის დროსაც არ იხდის, საკუთარ თავზე მეტად უფრთხილდება – ეშინია, მომპარავენო.

საყვარელო, ნამეტანი გამიტაცა ლაქლაქმა, დროა, მაჩის მსვლელობას მივუბრუნდე.

ჩვენი საქმე ჯერჯერობით ვერ მიდის ხეირიანად...

ნაბახუსევი ბებურ ბურბუშელაშვილი უთავბოლოდ დაბანცალავს... თუ ბურთს მიაწვდიან, მის ხეირიანად მიღებას ვერ ახერხებს, წაიქცევა ხოლმე, დანარჩენ დროს დასეირნობს ან ჯოროვით დგას; როცა იშვიათად თამაშში ჩაერთვება, ზოზინით ძლივს მიიწევს წინ... მაყურებლები უსტვენენ, დასცინიან, ბებურიც თითქოს ცდილობს, რაღაც გააკეთოს, მაგრამ რომ არ შეუძლია? სწორედ ის მოატყუა დოლიამ, წინ გაიჭრა და მოხდენილი, ძლიერი დარტყმით ცხვირას გოლი გაუტანა.

0 : 1!

უტუ ბატონი იძულებული გახდა, ბებურ მალევე შეეცვალა სხვა მოთამაშით.

ფიშტო მალიმალ ჩუმად გააპარებს ხოლმე მხერას იმ მხარეს, სადაც მაყურებლებში ტურფა მასტრედის სხიგმნათი სახე თეთრი ვარდივით ჰყვავის...

ჩვენები ყოველმხრივ უწყობენ ხელს ფიშტოს, ცდილობენ, გოლი გაატანინონ, მაგრამ არაფერი გამოსდის, თუმცა ძალიან ცდილობს; ორ-სამჯერ მოახერხა მეტოქის ჭიშკარის მიმართულებით სახიფათოდ დარტყმა, მაგრამ ფუთელთა მეკარეს ვერ აჯობა, ერთხელ კი მისი დარტყმული ბურთი თითქოს აუცილებლად უნდა გასულიყო, მაგრამ ჭიშკარის ზედა ბოძს მოხვდა და უკან აისხლიტა.

ამის შემდეგ ახალი წინაღობაც გაჩნდა: მოწინააღმდეგის კართან ვიდაც ჩოხა-ახალუხიანი ახმახი აყუდებულა – თვალებს ავად აბრიალებს, მარცხენა ხელით გრძელ ულვაშს იბრუნს, მარჯვენა კი ხანჯლის ტარზე უდევს და ვინც კი კარს მიუახლოვდება და დარტყმას გაბედავს, მუცლის გამოფუშვით ემუქრება:

– აბა, გაბედე, დაარტყი, თუ ბიჭი ხარ!..

ერთხელ მოედანზეც გამოვარდა... და მისი მუქარის შეუსმენელ ფიშტოს მუშტი სთხლიშა სახეში! გააგებული ფიშტო შესაჭმელად მივარდა, მაგრამ ხანჯლის პირის პრიალმა უკან დაახევინა...

ბიჭები დაფრთხნენ – ვინ მიეკარება ახლოს!

აყლაყულა ულვაშის კმაყოფილი გრეხვით კვლავ ჩვეულ ადგილს დაუბრუნდა ჭიშკართან.

“ვეფხვების” ჭიშკარში “ავაზა” დგას, მისთვის შორიდან გოლის გატანა ზღაპარია და ეს ახმახი რაღა ჯანდაბად დააყენეს ჩვენი გულის გასახეთქად?

მარად უმფოთველმა უტუ ბატონმა ამჯერად ვეღარ მოითმინა და მიმითითა – “მიდი, მაჭახელაგ!”

მეც მივვარდი იმ ხანჯლიან თავხედს და უკნიდან კარგა მოზრდილი ნაჭერი შარვლისა გამოვდღლიხე!.. ცოტა – ხორციც!

შემდეგი ჩემი ვაჟკაცობა: ფიშტოსთან მივცუნცუნდი და შევეფეფე: “ე, ბიჭო, ახლა უნდა ივაჟკაცო და გამოიჩინო თავი, თუ გინდა, მასტრედისა გული მოიგო!” და წინ გავევარდი! ფიშტო ბურთიანად უკან მომყვა! მე ყეფით ვუკაფავდი გზას, მოწინააღმდეგეთაგან წინ ვინ დამიდგებოდა! ავაზა მეკარეც რომ ვიფრინე, გოლის გატანას აღარაფერი დაუდგა წინ – ფიშტომ კონტად შეაგორა ბურთი კარში!

ამ დროს მსაჯი აჭიჭყინდა, არ უნდოდა გოლის ჩათვლა, მაგრამ როცა მასაც უკნიდან ნიფხვის ნაჭერი გამოვლდებოდა და კიდევ მეტის გაკეთებასაც დავიპირდი (ჩემი ღრენით მიხვდა!), გადაწყვეტილება შეცვალა!

1 : 1!

ფუთელთა მეკარეს ხასიათი წაუხდა თუ რა იყო, მალე გაიტანა ფიშტომ მეორე ბურთიც!

2 : 1!

ეს გოლი კი ნამდვილად მოწინააღმდეგის იმ მცველების სინდისზე იყო, რომლებიც კოხტად მოატყუა ფიშტომ და მაყურებელთა ყიჟინა და ტაშიც დაიმსახურა, მაგრამ რატომღაც აქ “გეფხეები” ეცნენ მსაჯს და გალახვა მოუნდომეს; ზოგიერთი იმასაც კი დაჰპირდა, შენს ტყავს გაფენთ ტოტზე გასახმობად, ვითარცა ძველმა კოლხებმა გაჰკიდეს ხეზე ოქროს საწმისიო...

მე იქვე ვტრიალებდი და ვეფიდი, ფიშტოს გამხნეებელი – რამე რომ იყოს, შენს გვერდით მიგულებ!

შეშინებული მსაჯი გაგარდა მოედნიდან და თამაშის განახლებაზე უარი განაცხადა: მე მოედანზე გამსვლელი არ ვარ, სანამ ეგ ძაღლი არ დატოვებს მოედანსო.

ყაყანი, მიწე-მოწევა...

რად უნდა გვექნა, გამომაბუნებულეს მინდვრიდან...

ფიშტოს მაყურებლები ამხნეებენ, უყვირიან ქების სიტყვებს; პასუხად გაღიმებული ფიშტომ მათ ესალმება ხელი აწევით, ქალებს ხელითვე ჰაეროვან კოცნას უგზავნის, განსაკუთრებით – ტურფა მასტრედის მხარეს... წელში იხრება და ხელისგულს იღებს მკერდზე...

უტუ ბატონი უყვირის:

– ფიშტო, თან საქმე! საქმეს მიხედ, გირჩევიან!

ტფილელთ იმედი, დოლია, გაგარდა ჩვენს კართან, გოლსაც გაიტანდა უჩველად, რომ ამ დროს მუგუზალამ უკანიდან ძაღლივით ატეხა ყეფა და შეაშინა!

მსაჯმა ახლა მუგუზალა გააძევა მოედნიდან...

წასვლის წინ მუგუზალა მისი მოედნიდან გამგდების კოჭს ეცა და ისე შეჰყეფა, გულგახეთქილი მსაჯი მადლა შეახტუნა!

ამ დროს გაუგებარი ამბავი მოხდა...

მსაჯი მაგარი შეშინებული იყო თუ კიდევ უფრო მაგარი დაბნეული – არ ვიცი, მაგრამ, ეტყობა, ჩვენი და მოწინააღმდეგის კარები შეეშალა! ბურბულია ჩვენს დაცვაში თამაშობდა და ისე მოხდა, რომ წინ გაიჭრა, ბურთიანად გაიარა მთელი მოედანი და “გეფხეების” საჯარიმო მოედანში მას პირდაპირ ფეხიდან ოსტატურად ააცალა მცველმა ბურთი, კარისკენ დარტყმა არ დააცალა... გაბრაზებულმა ბურბულიამ მის “დამჩაგრავს” ეს არ აპატიო და ჭიდაობის ჩვეული ილეთით პირს დასცა! მსაჯმა მაშინვე სასტვენს ჩაჰბერა და... თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა დანიშნა – ტფილელთა კარში!

ყველასთვის აშკარა იყო მსაჯის შეცდომა და “ლომები” მაინცდამაინც არ გაახარა მისმა მოულოდნელმა წყალობამ, გოლის გატანის ამ დაუმსახურებელმა შესაძლებლობამ. მაყურებლებმაც სტვენით გააყრუეს იქაურობა, არც მათ მოეწონათ მსაჯის ეს გადაწყვეტილება...

უხერხულობის განცდით შეპყრობილ “ლომთა” შორის არავინ გამოდგა პენალტის დარტყმის მსურველი.

– ისე ვდელავ, ნაღდად არ გამომივა ხეირიანი დარტყმა, ან სულაც ავაცილებ კარს! – ამბობდა ერთი.

– არა, კაცო, მე ფეხი მტკივა! – უარს იყო ეს მეორე.

– მე მცველი ვარ, თავდამსხმელმა დაარტყას! – ამბობდა მესამე...

– ფიშტო, ფიშტო ურტყამს ყოველთვის, ახლა რატომღაც გაჩუმებული? – თავის დასაძვრენად გამოსავალი იპოვა მეოთხემ.

ყველანი ფიშტოს მიაჩერდნენ.

– ჰო, კარგი, იმედს არ გაგიცრუებთ!

ფიშტომ დინჯად დადო ბურთი თერთმეტმეტრიან ნიშნულზე, რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია... გამოქანდა და... უცებ გვერდით შეტრიალდა და ბურთი არამცთუ კარის მიმართულებით, გვერდითი ხაზისკენ გასტყორცნა, აუტში გაუშვა!

მაყურებლებმა ფიშტო ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვეს.

თამაში გაგრძელდა.

მოწინააღმდეგეს რიცხოვრივი უპირატესობა ჰქონდა, თანაც მსაჯი, ეტყობა, გონს მოვიდა და კვლავ “მგლებს” უჭერდა აშკარად მხარს – მალე მათ მეორე ბურთიც გაგვიქვითეს, ანგარიში გახდა 2 : 2!

თამაშის შედეგს ცუდი პირი უჩანდა: თუ ასე გაგრძელდებოდა, რამდენიმე ბურთს კიდევ გაგვიტანდნენ...

ამ დროს რაღაც სასწაული მოხდა: ფიშტომ შორიდან კარისკენ ძლიერად დაარტყა და სახელგანთქმულ ტფილელ მეკარეს, ავაზას, რა დაემართა, ღმერთმა უწყის, მაგრამ საკმაოდ იოლი ბურთი ხელეებს შორის გაუძვრა და კარში ნელა შეგორდა...

ანგარიში გახდა 3 : 2!

წარმოუდგენელ სტვენა-ღრიალს დაემატა მოედანზე ნასროლი ვაშლები, ქუდები და წაღებიც კი!

როგორც იქნა გავაჯახირეთ დარჩენილი დრო და – მოგება!

ხალხმა სიმღერა დააგუგუნა!

ბიჭები მივარდნენ მოედანზე გამოსულ უტუ ბატონთან და მის გარშემო ცეკვა დაიწყეს – ნეტავ რა ძალა შერჩათ კიდევ!

მოედანზე გამოვარდნენ გახარებული ფუთელები და... მოთამაშეებს შემოახიეს ტანზე ზოღებიანი ხალათები!

გელა მგელუკაშვილი თავს იკლაგდა:

– რით ვიყიდო ახალი ფორმა ფეხბურთელებისთვის, მთელ ქალაქში გაქრა სალები ქსოვილი!

– მაგათ ბედმა მაგრად გაუდიმათ, რომ 10 : 0 არ მოეუგეთ! – სხვა ჰანგზე მღეროდა ბენა კვახეთელიძე ანუ ბურბაგალია. – დღეს მაჩამდე მოგვიწია გემის დატვირთვა და ისე დავიღალეთ, საბურთაოდ ძალა ნეტავ როგორ გვეყო!

“ვეფხვები” კი გალიაში დამწყვდეულებივით ბრდღვინავდნენ:

– ჩვენთან ჩამოსვლას აღარ აპირებთ? ცხვირ-პირს დაგინაყავთ!

– ხომ გავიმარჯვეთ, გაჯობეთ! – პასუხობდნენ “ლომები”.

– არასწორად წავგაგებინეთ, აქ ძაღლებთან სათამაშოდ კი არ ჩამოვსულვართ! უეჭველად გიჩივლებთ!

– კი, ბატონო, გვიჩივლეთ! ოღონდ ჩვენც გვითხარით, სად აპირებთ საჩივრის შეტანას, ვის წინაშე უნდა ვაგოთ პასუხი! მანამდე კი... ხომ არ ინებებთ ჩვენთან ერთად აღგვენიშნა ჩვენი შეხვედრის ასე იღბლიანად ჩატარება? აქ სულ ახლოს ერთი საჩვენო სამიკიტნო გველის – “მობრძანდი, გენაცვალე”, ხომ მოგწონთ მისი სახელი? კერძები კიდევ უკეთესი აქვთ და ღვინო ხომ – გადასარევი! – სთავაზობს ტფილელთ უტუ ბატონი, შემდეგ კი თავისიანებს ეუბნება: – კიდევ კარგი, ეს მაჩი ფუთში ჩატარდა, თორემ ჩივილს ვინ ჩივის, ჩხუბი არ აგვცდებოდა!

– რა უბედურებაა – ყოველი მაჩი აუცილებლად ჩხუბით უნდა დამთავრდეს! – შეწუხებულია გელა მგელუკაშვილი. – დაფხრეწილი მაისურების და ნიფხვების ზარალი კიდევ ცალკე საანგარიშოა!

– უტუ ბატონო, ფეხბურთის გარდა, კრივში და ჭიდაობაშიც ხომ არ გვევარჯიშა? – იცინის ბურბაგალია. – ჭიდაობაში მე ვავარჯიშებდი, ჩხუბში კიდევ – ბებურ ბირკა! ბებურს გაკვეთილის წინ ერთი-ორი ჭიქა ღვინო დავაღვევინოთ, უკეთ იჩხუბებს!

ფუთელ გულშემატკივართა ზეიმი დილამდე გაგრძელდა – ანთებული ჩირადღნებით მთელი ღამე დადიოდნენ ქუჩების და ომახიან სიმღერებს მღეროდნენ!

კარი XXII. მასტის საქორწილო კაბა სჭირდება – უსიკვდილოდ!

მეორე დღეს გაზეთ “ფუთურ ფართიფურთში” ვინმე ლექსო ამ მაჩისადმი მიძღვნილ წერილში წერდა: “ფუთელი ლომების” გუნდის მეთორმეტე, ყველაზე ძლიერ ფეხბურთელად უნდა ჩათვალოს მაჭახელა – ბატონ არჩილ როყვაიას ერთგული მყეფარი; მან ვერ მოითმინა მსაჯის მიერ ჩადენილი უსამართლობა და უზღო კიდევ!”

ბოცოს არ წყენია – ვისი ვიყავი; საყვარელო, მე თვითონაც გამიჭირდებოდა თქმა, ალბათ – მთელი გუნდისა!

უტუ ბატონისთვის ბებურ ისევ გაქრა, ვეღარ ამჩნევდა... მთელი გუნდის თხოვნა გახდა საჭირო, რათა ეპატიებინა ბებურისთვის თამაშის წინა დღით სადღაც დათრობა.

– შენი ბედი, რომ გუნდმა არ წააგო... – ბოლოს დაინდო უტუ ბატონმა ბებურ. – იცოდე, კიდევ ერთხელაც თუ დაგიცდა ფეხი, აღარაფერი გიშველის!

უტუს თანხმობით გელა მგელუკაშვილმა წესრიგის დასამყარებლად შემოიღო ჯარიმები წესრიგის დამრღვევთათვის: 1. ვარჯიშზე დაგვიანება – 1 ვერცხლი, 2. ვარჯიშის გაცდენა არასაპატიო მიზეზით – 3 ვერცხლი, 3. ჩხუბი და აყალმაყალი – 4 ვერცხლი, 5. ღვინო-არყის გადამეტებული ტრფიალი – 5 ვერცხლი.

გელა დადის გულისჯიბეში უბის წიგნაკით, რომელშიც იწერს ჯარიმებს...

საფეხბურთო გუნდის “ფუთელი ლომები” საქმიან თავს გელა მგელუკაშვილს, როგორც იქნა, მარად დამყავებულ სახეზე კმაყოფილი ღიმილის ყვავილი გაიფურჩქნა – მაჩიდან მოგება მხუთასი ვერცხლი შეადგინა! მაგრამ ეს ღიმილი კინაღამ ჩაუქრო აღიღარ არაჩემიას მოულოდნელმა სტუმრობამ.

– წამაგებინე, შენი... – პირდაპირ გინებაზე გადავიდა ბრწყინვალე თავადი და გელას ლოყების გასაღამაზებლადაც გაიქაჩა.

– შარზეა ეს კაცი! – დამფრთხლი გელა ფეხბურთელების ზურგს ეფარებოდა გამძვინვარებული ადილარის შემოტევისგან. – ხომ მოვიგეთ, მეტი რაღა გინდა!

– ესაა მოგება? – ანჩხლობდა ადილარ. – შენ არ მარწმუნებდი, დიდი ანგარიშით მოვიგებოთ?

უტუ ბატონი ამჯერად იქ არ აღმოჩნდა და გელას გადარჩენის პატივი მე მერგო წილად – ბრწყინვალე თავად ადილარ არაჩემიას საჯდომზე ხელაფარებულს საჩქაროდ შინ წასვლა მოუწია ეტლით... ზარალს ზარალი დაემატა!

მოგახსენებ: არ გამჭირვებია, სუსტი შარვალი ეცვა ნამდვილად, იოლად გამოვდელიზე – ალბათ მართლა გაჭირვებული იყო ადილარ არაჩემია, თუკი ხეირიანი ქსოვილისგან შარვლის შეკერვა ვერ შეძლო!

* * *

ფიშტოს კვლავ მრავალჯერ მოუწია მამუკელა პეტელეიშვილის მშვენიერი ვარდნარის სტუმრობა, ვინ იცის, რამდენი ჭიქა ცხელი ჩაი მიირთვა მშვენიერი მასტრედიასთან მრავალგზის სტუმრობისას... კამბეჩიას ავტომობილით იმდენჯერ ესტუმრა, რომ ალბათ ქალბატონ მასტრედისას ეს ავტომობილი ფიშტოსი ეგონა – მე ასე მგონია. ასე იყო თუ ისე, ბოლოს და ბოლოს, ფიშტო სანუკეარ საწადელს ეწია...

ერთხანს “ლომებს” სათამაშოდ აღარ სცხელოდათ, რადგან დი-ი-იდი, დი-ი-იდი ქორწილი გამიართა – ფიშტო და მზეთუნახავი მასტრედია გაბედნიერდნენ!

როგორც შემდგომ მშვენიერი ქალბატონი მასტრედია ტრაბახობდა – მთელი ფუთი იქ გრიპლებდა!

თუმცა, ჯობს, სულსწრაფობას ნუ გამოვიჩენ, საყვარელო, წინ ნუ გადავხტები და ქორწილამდე მომხდარ სალადობო ამბებს მივუბრუნდე.

* * *

დიდ ქორწილამდე ფიშტოს დიდი საზრუნავიც გაუჩნდა და თანაც – რამდენიმე.

ჯერ იყო და თვით ფიშტო ატყდა:

– დიდი ქორწილი მინდა!

ბიჭებმა უთხრეს:

– გაგიჟდი? მერე, დიდი ჯიბე გაქვს?

ფიშტო იძულებული გახდა, გამომტყდარიყო, რომ საკუთარ შეხედულებას კი არ ამჟღავნებდა, არამედ საცოლისა:

– მასტისაც ეგ უნდა, თვარა უარს არის, გაჯიქდა – მათხოვარი კი არ ვარო.

– კარგ პურისჭამას რა სჯობს, მაგრამ ფული?

– ფული მასტის აქვს! – პასუხობდა ფიშტო და ამბობდა: – მაგრამ ვის გაუგონია პატარძლის ხარჯზე ქორწილის გამართვა, ხომ მოვიჯაყე! ნათესავეებში სამილდემჩით თავს ველარ გამოვყოფ!

– აბა რას იზამ? – იკითხა საერთო საფიქრალ-სადარდებელი მუგუზალამ. – საკუთარი არაფერი გაბადია, საცოლეს კი ვფულს ვერ გამოართმევ...

– ან არ გინდა, გამოართვა!.. – ჩაერთო საუბარში ბაჩულია. – ველარ თხოვლობ ქალს და ეგაა! მოგვილოცავს! რისთვის ვირბინეთ ამდენი და თავი მოვიკალით? ხუთასი ვერცხლი სულ რომ ქორწილს დავახარჯოთ, მასტის გულს მაინც ვერ მოვიგებთ...

– გუნდს ფული სჭირდებოდა და იმიტომ ვისვლაფორთეთ, ყველაფერი სწორედ ამისთვის გაგაკეთეთ – მაჩიც და მასტრედიას ცოლად თხოვნაც... მასტისგან აქეთ ველოდით გუნდისთვის დახმარებას და სულ ტყუილად გვიწვავლია! წყალში გადაგვეყარა ამდენი ამაგი და დავიდარაბა! – მისთვის უჩვეულოდ წუწუნის გუნებაზეა ლოთია ულვაშაც.

– არა, ქორწილს ველარ ჩავშლი, ფული უნდა ვისესხოთ! – არ ტყდებოდა ფიშტო.

– კი, ბატონო, ვისესხოთ და, როგორც შენ ვარაუდობ, მერე მასტრედიას გამოართმევ? – ჰკითხა ბებურმა. – ბარემ ჩვენი გუნდისთვისაც თხოვე ერთი ათასი ვერცხლი,

– ეგრე იქნება, ჭეშმარიტად! – დარწმუნებით უპასუხა ფიშტომ.

– გულისხმიერი ქალბატონია და ბარემ ჩვენი გუნდისთვისაც სთხოვე ერთი ათასი ვერცხლი, – იკრიჭება ბებურ. – ხარჯი – ხარჯია!

გაჭიანურებულ დავას წვერტილი უტუ ბატონმა დაუსვა:

– შენთან დიდი ბოდიში, ჩემო ფიშტო, მაგრამ ამბობენ, ქალბატონ მასტრედიას ხუმტურები აწუხებსო და მის იმედზე ვერ ვიქნებით... ამიტომ, სხვა გზა არ გვაქვს და რაც კი ფული გვაქვს გუნდში, შენთვისაც და ჩვენთვისაც ის ვიმყოფინოთ! გელა ბატონთან თათბირის შემდგომ ასეთ გადაწყვეტილებამდე მივადით. მერე ცოტა კი გაგვიჭირდება, მაგრამ ხსნის რაღაც გზა აუცილებლად გამოჩნდება...

* * *

მაშ, გადაწყდა: რამდენადაც ფიშტო ფეხბურთელთა “ფუთელი ლომების” წევრია, გუნდი გაიღებს მისი ქორწილის ხარჯს!

ახლა სხვა გასაჭირი ამოტივტივდა – ამჯერად ფიშტომ დაიჟინა:

– მასტის საქორწინო კაბა სჭირდება, უსიკვდილოდ!

ფიშტოს მორიგ ახირებას ფეხბურთელები ჯერ სიცილით შეხვდნენ.

– შენ მაგას რას ნაღველობ, ჭირიმე, საქორწინო კაბა მასტრედისას როგორ აქ ექნება, ერთი კი არა, ორიც! – სცადა ფიშტოს გადარწმუნება ბებურ ბურბუშელაშვილმა. – იქნება მეტიც აქვს, ჰკითხე, შენ არ დაგიმადავს!

– რატომ აჩქემა, მაინცდამაინც ახალი კაბა მინდაო? – ხუმრობის ხასიათზე იყო ლოთია ციხლიძე. – იქნებ აგროვებს ახალ-ახალ საქორწინო კაბებს, რომ შემდგომ, ორმოცდაათი წლის შემდეგ, შვილიშვილებს სიამაყით აჩვენოს – ნახეთ, თქვე ბედოვლათებო, რა ცილობა ჰქონდათ ჩემი ხელის მთხოვნელებს, თქვენ კი ერთხელაც გიჭირთ გათხოვებაო!

ლოთია უღვაშა კიდევ აპირებდა გაგრძელებას, მაგრამ ფიშტოს დამჟავებულმა სახემ გააჩქრა.

– თუ ახალი კაბა სურს, მაშინ თვითონ შეაკერინოს მის გემოზე! – ამბობს ბებურ.

– ან ინათხოვროს, – დაამატა ლოთიამ, – თუ შეკერვის თავი არ აქვს!

– ნახევარი ქალაქი ნაქირავები კაბით თხოვდება, აბა! – აღსტურებს ბებურ.

– ნათხოვარი კაბით ვინ იწერს ჯვარს! – აღშფოთდა ფიშტო. – შენი ქალბატონი ასე გაბედნიერდა?

– მაგის ქალბატონი ჩითის უბრალო კაბითაც ფრად ბედნიერად გათხოვდა! – იცინის ლოთია. – ისე, სწორი ხარ, ფიშტო ბატონო: ნაქირავები ან ნათხოვარი კაბა მასტრედისას არ მოერგება, ისეა გაფაშფაშებული კარგი ცხოვრებით!

– ფიშტოს ხელში კიდევ უფრო მოკეთდება ქალბატონი მასტრედია და მერე ნახე, რაც მოხდება – საწყალ ფიშტოს გადაყლაპავს, არ გაუძნელდება! – იცინის ბებურ. – შეხედე ერთი, როგორ გასდის სინათლე ფერდებში – ამას ცოლის თავი ექნება?

– უბედურება ისაა, რომ აღარც ფეხბურთელად ივარგებს, ცოდვა იქნება მაგის მოედანზე გამოშვება! – ამატებს ლოთია.

ფიშტო კი წამოენთო, გაბრაზებულმა აღარ იცოდა, რომელს მივარდნოდა, მერე გარეთ გავარდა და კარი გამეტებით გაიჯახუნა.

როცა საღამოს ფიშტო კვლავ გამოჩნდა, ბებურმა უთხრა:

– ბიჭო, მგონია, მივაგენი შენი გაჭირვების გასაღებს, ოღონდ შენი დახმარება დამჭირდება!

– ათასი გაჭირვება მაწუხებს და რომელს მიაგენი? – ჰკითხა დაეჭვებულმა ფიშტომ. – თუ კიდევ დამიწყე ლაზღანდარობა...

– მართლა გეუბნები, რა დროს პამპულაობაა.

– მე რა უნდა ვქნა?

– ახლა წავიდეთ სამიკიტნოში, გზად ყველაფერს აგისხნი... მოსაღამოვდა უკვე და იქ იქნება კამბენია უეჭველად, მისი მეგობრებია ქინქლა და პატარა ოთარა...

* * *

– გამარჯვება, გამარჯვება, ძვირფასებო! – მიესალმა სამიკიტნოს დარბაზში შესული ბებურ კამბენიას, კუკურას, ქინქლასა და პატარა ოთარას; ფიშტომაც ხელი ჩამოართვა ოთხივეს.

– ძვირფასები თქვენ ხართ, მთელი ფუთი გიცნობთ! – გახარებული იყო ფეხბურთელების ხილვით კამბენია. – დაბრძანდით, გენაცვალებ!

– აქ რომ მოვიდოდი, ვნატრობდი, ნეტავ სამივე ერთად მენახეთ... – დაიწყო ბებურმა, – და ისე აგისდეთ ყოველივე სასიკეთოდ, როგორც ეს ჩემი ოცნება ამიცხადდა! დარწმუნებული ვარ, სხვა მხრივაც არ დავრჩებით უკმაყოფილო...

– ისევე რადაცამ ხომ არ შეგაწუხათ? ავტომობილი ხომ არ დაგჭირდა?

– ისე მოხდა, ჩვენც შეგწუხდით და ამჯერად შენი მეგობრებიც უნდა შეგაწუხოს... როგორც მოგეხსენება, ფიშტო ქალბატონ მასტრედისას ცოლად თხოულობს და დიდად ბედნიერი ვიქნებით ყველანი, თუკი დაამშვენებ საქორწინო სუფრას და შენი დიდებული ხმით დაგვატკბობ!

კამბენიას დიდად ეამა დაპატიჟება:

– ძმაო ფიშტო, შენს სუფრაზე მიგულე და რითაც კი შემიძლია, დიდი სიამოვნებით მოგემსახურები!

– დიდი მადლობელი გახლავართ, ჩემო ორდე, – ფიშტოს მაგივრადაც გადაუნადა მადლობა ბებურმა, – მაგრამ მანამდე კიდევ მეორე სათხოვარიც გვაქვს შენთან და ამ ორ შენს მეგობართან... – განაგრძობდა ბებურ და ხმადაბლა აუხსნა ის მიზეზი, რის გამოც ფიშტოსთან ერთად მოვიდა მისი და მისი მეგობრების მოსანახულებლად.

– ძნელი სათქმელია... – თქვა კამბენიამ, როცა ბებურის თხოვნა მოისმინა, ფიშტო ისევე ხმას არ იღებდა. – მოდით, ქინქლასა და პატარა ოთარას ვკითხოთ... აბა, ბიჭებო, ხომ არ დადგა

დრო, მუშაობის დონე და ხარისხი აიმაღლოთ, უფრო დიდ საქმეზე წახვიდეთ? თანაც ჩვენს მეგობარ ფიშტოს გაუწევთ ძვირფას სამსახურს!

- რა საქმეა ისეთი? - დაინტერესდა პატარა ოთარა, - და რა დაგვრჩება ჩვენ?

- საქორწინო კაბაა მოსაპარი! - უპასუხა ბებურმა.

- ვისთვის?

- ფიშტოსთვის!

- ოჰ, ფიშტო ჩვენი ძმაა, ამას წინათ როგორი გოლი გაიტანა! - წამოიძახა ქინქლამ. - კინაღამ ვიტირე!

- ერთი კი არა, სამი! - დაამატა პატარა ოთარამ. - ჩვენც მაგრად ვიმუშავეთ, ხომ იცი და ფიშტოსთვის რას არ გავაკეთებთ!

- ჰო, მეგობრებო, ფიშტო ცოლს ირთავს, მასტრედიას სახელი ხომ გაგიგონიათ? - თვალეზში შესცქეროდა ხან ერთს, ხან მეორეს ბებურ. - ჰოდა, ქალბატონი უსიკვდილოდ არ თანხმდება ახალი საქორწინო კაბის გარეშე ჯვრისწერას. არადა, საწყალ ფიშტოს სად შეუძლია, საცოლის ხუშტური დააკმაყოფილოს, თვითონ ნათხოვარი ძველმანით დადის! ერთი გამოსაგალი დარჩა: თვით მასტრედიას უნდა მოეპაროთ საქორწინო კაბა!

- ჰქონია კაბა იმ ოჯახსაშენებულს და მეტი რაღა უნდა? - გაუკვირდა პატარა ოთარას.

- ერთი კი არა, ორი აქვს - პირველად კი არ თხოვდება! უთუოდ ახალი მინდაო, ისე ჯვრისწერაზე არაა თანახმა... თუ არ გვიშველეთ, ქორწილი ჩაფლავდება... შეძლებთ?

- შევეცდებით და შევძლებთ, აბა, რა ჭირი გვეცემა, ხომ ასეა ქინქლამ? - საერთო აზრი გამოხატა პატარა ოთარამ, - მაგრამ რომ არ ვიცით, საიდან უნდა მოვიპაროთ? როგორ მივუდგეთ... ასეთ საქმეზე ჯერ არ წავსუღვართ...

- ისეთ კარგ თანაშემწეს გიშოვნით, სულ არ გაგიჭირდებათ! - დაამედა იგი ბებურმა.

- ჩვენი დამხმარე ვინ იქნება, სანდო კაცია? ან იქნებ ქალია - მოსამსახურე ვინ ჰყავს მასტრედიას? - იკითხა პატარა ოთარამ და შემდეგშიც უმთავრესად ის საუბრობდა.

- არა, ქალი რის გამკეთებელია! ფიშტო, ფიშტო დაგეხმარებათ!

- როგორ, კაცო, ჩვენზე მეტი გამოცდილება აქვს? აბა, ჩვენ რაღად ვჭირდებით?

- რას ამბობ, ქათამიც კი არასდროს მოუპარავს, მთელი მისი გმირობა ამ დარგში შემოიფარგლება მეზობლის ეზოში გულაბი მსხლის ძირს ჩამოვარდნილი რამდენიმე ცალის ჩუმად აკრეფით, ისიც - ბავშვობაში!

- აბა, ეგ უფრო ხელს შეგვიშლის, ჩვენც კი გაგიჭირდება და მაგი რიდას მაქნისი იქნება... სად არის მოსაპარი საქორწინო კაბა, რომელ ოთახში უნდა ვნახოთ? ქინქლამ სად არ შეძვრება!

- ხომ გითხარი, ორჯერ განათხოვარია და ძველი საქორწინო კაბა უნდა მოიპაროთ, ალბათ ორი მაინც ექნება. ჰოდა, ფიშტო წინდაწინ სთხოვს მასტრედიას, მაჩვენე ერთი, როგორი კაბები გქონდა, რომ იმაზე უკეთესი ახალი კაბით დაიწერო ჯვარიო... ფიშტო ნახავს, სადაც ინახავს იმ კაბებს მასტრედია და მერე ფურცელზე ზუსტად დაგიხატვთ, რომელ ოთახში და სად, რომელ სკივრში უნდა მოკებნოთ. ერთ-ერთი აარჩიეთ - რომელიც უკეთესი იქნება!

- მე რომ მკითხო, ცუდს იქ ვერ ვნახავთ! - არცთუ უსაფუძვლოდ თქვა ქინქლამ.

- რა გგენადვლება, ერთს მე წამოვიღებ, მეორეს - შენ, მერე ფიშტომ აარჩიოს, რომელიც უფრო მოეწონება!

- იმედია, ფიშტოს მოწონებულნი კაბა მასტრედიასაც მოეწონება! - გაიცინა ბებურმა.

კარი XXIII. აქა ამბავი დიდი ქორწილისა!

მასტრედიას საქორწინო კაბაზე, აქა-იქ ოდნავ გადაკეთებულზე, წინ, მკერდზე, უზარმაზარი წითელი ვარდი ჰქონდა დაბნეული. ეს საკუთარი ხელით ნატიფად მოქსოვილი ვარდი ფიშტოს დედას, ქალბატონ ეშხას, რამდენიმე წლის წინათ ჰქონდა უკვე მზად მომავალი სარძლოსთვის და რა იცოდნენ, რომ სწორედ მასტრედიას საქორწინო კაბის “შესანიღბად” გამოადგებოდა!

ჯვრის დასაწერად ეკლესიაში უნდა მივიდნენ.

- კამბეჩიას მანქანით წავიდეთ! - ამბობს უჩვეულოდ აღზნებული ფიშტო, - მთელ ფუტს გადავრევთ!

ქალბატონი მასტრედია აღფრთოვანებული დარჩა ფიშტოს წინადადებით:

- სამჯერ ვიჯექი მის მანქანაში - გადასარევი!

დანარჩენები ეტლებით გაემგზავრნენ - ფიშტოს ნათესავები, მეგობრები და, რასაკვირველია, - “ფუთელი ლომები” სრული შემადგენლობით.

საკვირველი ის იყო, რომ ქალბატონ მასტრედიას მხრიდან არავინ ჩანდა - არც დედ-მამა, არც გათხოვილი დები, სხვა ნათესავებზე რომ არაფერი ვთქვა..

- ალბათ მობეზრდათ მასტრედიას ქორწილებში სიარული! - ასე ახსნა ეს უცნაური მოვლენა ბებურმა სიცილით.

გზაში მანქანამ რამდენჯერმე გაჩერება იწება და ოჩანი ხარივით ადგილიდან არ იძვროდა.

- პატარბალივით ჭირვეულია! - იხუმრა ბებურმა, როცა ეტლები ავტოს გაუსწორდნენ.

– არც ფიშტოა ნაკლები! – ამბობს ლოთია, – ფერი ფერსა, მადლი ღმერთსა!
 – გადმობრძანდეს ბატონი სიძე და ინებოს ავტომობილის უკნიდან მიწოლა! ვარჯიში მოუხდება, ხომ იცი! – სხვა მხრივ მიუდგა საკითხს უტუ ბატონი ნახევრად ხუმრობით.
 საჩქაროდ ერთ-ერთ ეტლში გადაბრძანდნენ ქალბატონი მასტრელია და ფიშტო და ისე განაგრძეს გზა.

ცოტა ხანში ქაჯური გრუხუნითა და რუხი ბოლის ფრქვევით მათ ეტლს გადაუსწრო კამბეჩიას ავტომ და წინ გადაუდგა – გადმობრძანდით ჩვენთანო, მაგრამ მეტად საპასუხისმგებლო საქმის სასწორზე შეგდება ფიშტომ აღარ ისურვა და უარი უთხრა. გაბრაზებულმა კუკურა შოფერმა მოტორი გააქანა და სიძე-პატარძლი მყრალი კვამლით კინაღამ გაგუდა. ცხენები გრუხუნმა ისე დააფრთხო, რომ მევეტლემ ვერ შეძლო მათი დაოკება და ისე გაუტიეს, რომ ქალბატონმა მასტრელიამ კივილი მორთო და არც ფიშტოს ეღო კარგი ფერი... კიდევ კარგი, ფუთის ქუჩები მაინცდამაინც განიერი არ არის, მაგრამ ლარივით სწორია, მკვეთრო მოხვევის გაკეთება არსად მოუწიათ.

მათ მალე გაუსწორეს კვლავ გაჩერებულ კამბეჩიას ავტომობილს, რომელსაც ამოდ უკირკიტებდა კუკურა, და ისე მიგრიადდნენ ეკლესიის შესასვლელთან, რომ ბარე ნახევარი საათი მოუწიათ მოცდა, სანამ დანარჩენი ეტლები მოვიდოდნენ.

ეკლესიაში შესვლისას ბიჭები ხუმრობდნენ:

– რა ლამაზი ჯვრისწერაა! უხდება მასტრელიას ნამდვილად და იმედია, კიდევ მრავალჯერ გაგვანარებს ამ ლამაზი სანახაობით!

– განსაკუთრებით ლამაზია მისი საქორწინო კაბა, როგორ უხდება წითელი ვარდი, ყოჩად ფიშტო! გადასარევი კაბა უშოვა!

შემდეგ რა მოხდა და რას ლაპარაკობდნენ, ვერაფერს მოგახსენებთ, რადგან მე არ მომეცა საშუალება, დავსწრებოდი ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას – ეკლესიაში არ შემიშვეს! რატომ – ჩემთვის სრულიად გაუგებარია: ჩემზე ბევრად ცოდვილი ხალხი დაესწრო და მათთვის არავის უკადრებია, მოშორდი აქედან, შე პარტონძაღლო...

ეს არის პატრონისადმი უსაზღვრო ერთგულების დაფასება? სირბილით გული კინაღამ ამომივარდა – არ გინდა ნეფე-დედოფლის გადარეულ ეტლს სდიო ამხელა გზაზე?!

რა ვიცი, საყვარელო, იქნებ უკეთესიც იყო, მე რომ გარეთ დავრჩი: ჯვრისწერა გულის გამაწვრილებლად დიდხანს გაგრძელდა – მესმოდა მამა პავლეს გაბმული დუდღუნი, მერე კი გარეთაც გამოადწია რაღაც საშინელმა დამწვრის სუნმა... იძულებული გაგხდი, მოშორებით გადასულიყავი, თან იქვე, მოედნის ერთ მხარეს შეგროვილი დიდი ძაღლების საზოგადოებასაც თავი აგარიდე, რადგან ჩემი დამცველი აღარავინ დარჩა – ყველა ჩემი მეგობარი ამ დროს ეკლესიაში იყო. კი ვფიქრობდი, ხომ იცი, რომ პირიქით – მე უნდა დამეცვა ისინი, ალბათ ცუდ დღეში იყვნენ საწყლები, განსაკუთრებით – ფიშტო: მე დანამდვილებით ვიცოდი, რომ ის დიდი ხლაფორთის შემდეგ ძლივს ნაშოფნი ჯარისკაცული ჩექმებიც კი საკმაოდ უჭერდა...

* * *

მოგესხენებათ გურული მოყვრობა-ნათესაობის ამბავი – ყვავის ბუის მამიდასაც კი არასდროს ჰკარგავენ და ახლო ნათესავად თვლიან. ფიშტოს მეგრული გვარი კი აქვს, მაგრამ სინამდვილეში ნაღდი გურულია და მთელი მისი სოფელი და კიდევ თითქმის ნახევარი გურია რომ ქორწილს დაესწრო, პირადად შემიძლია დავადასტურო.

ჰო-ჰო-ჰო, ქორწილი გადაიხადეს გუგუნა კუნკულიას სამიკიტნოში “მობრძანდი, გენაცვალე!” (მასტრელიას სახელში ღვინის გამართვა ფიშტომ არაფრით ინდობა!), მაგრამ რა ქორწილი! ჩემი თუ არ გჯერათ, სხვებს ჰკითხეთ – მთელი ფუთის ძაღლები იქ იყვნენ და ისე დაძვინდნენ, არცერთს ყფის თავიც კი აღარ ჰქონდა!

ერთი იმდენ მყეფარს კიდევ ეყოფოდა, რაც იქ ძვლები და სხვა სასუსნავი დაგროვდა, – წამდაუწუმ გამოჰქონდათ ტაშტებით და გულის გასახარად ახვავებდნენ სამიკიტნოს წინ, – მაგრამ დახე გაუმაძღრობას: მავანნი იმ ძვლების მთებს სხვას არავის აკარებდნენ, თუმცა თვით გასკლომამდე ჰქონდათ მუცლები ამოყორილი! მკერდით გადაეფარნენ და ავი ეშვების ღრჭენით იგერიებდნენ სხვებს – იყო გაუთავებელი ღრენა და ერთმანეთის კბენა, სანამ ვინმე კაცთაგან ლანძღვა-გინებით გარეკავდა მყუდროების დამრღვევთ. ყველაზე დამაძლარნი ძლივს მოძრაობდნენ და ყველაზე მეტი ჯოხი სწორედ მათ ხვდებოდათ, ამითაც აძლობდნენ მათ და ამიტომ უკან აღარ ბრუნდებოდნენ, ბურთი და მოედანი ამჯერად უკვე სხვებს რჩებოდათ.

მე ვერ გარეთ ვლადობდი, მერე ამ უმსგავსოებას ვეღარ გაუშუქელი და როგორც გუნდის წევრს, თვით დარბაზში მერგო ყოფნა – იცოდნენ, გაუმაძღრობით არ გამოვირჩეოდი და არც ზრდილობის წესები მესწავლებოდა.

დარბაზში უკვე აუტანელი ხმაური იდგა და თუთუნის კვამლი თვალებს წვავდა. რით იყვნენ აქ მყოფი მთვრალნი, მუცლების ზომაზე მეტად ამომყოფრავნი და უაზროდ მოყაყანენი, გარეთ დარჩენილ ძაღლებზე უკეთესები?

ბიჭებმა მასტრედია პირს უკან გაამასხრეს – მისი საკუთარი დედ-მამა და უახლოესი ნათესავები არ ჩანან და ყოფილი ქმრების ნათესავები მაინც თუ დაჰპატიჟაო...

სტუმარი გურულები, ფიშტოს ნათესავები: დედა (მამა ცოცხალი აღარ ჰყოლია), სამი უკვე დაოჯახებული ძმა, რძლები თავისი ნათესავებით, ბიძები, მამიდები, დეიდები და მათი შვილები და სხვანი და სხვანი (მათ შორის – ფიშტოს სოფლის მოსახლეობა – სრულად!) – თითქმის ნახევარი გურია (ცნობილია, რომ, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, გურულები, თითქმის ყველანი, ერთმანეთს ნათესავებად ერგებიან – შორეულად მაინც!) – გამოწვეპილები ისხდნენ სუფრასთან.

ბებურ ბურბუშელაშვილმა ჯერ სულ ჯიხვებით სვა ღვინო, შემდეგ თითქმის ყველა ქალი გაიწვია საცეკვაოდ, მერე სულ მთლად გაიგიჟიანა თავი – ხანჯალი დაიჭირა პირში და ისე იცეკვა; ბოლოს კი ხელგაშლილმა ტრიალით წრეს დააუარა, აქოშინებული გაჩერდა, პირიდან ხანჯალი გამოიღო, მოიქნია და იატაკში ჩაარჭო, თან შლეგიანივით შეჰყვირა.

ლოთიამ დასცინა: ჭირიმე, ეგ ხანჯალი რომელი ცოლისძმისგან ინათხოვრეო... მოვარდა გულგახეთქილი გუგუნა – ნუ დამღუპავ, გაფუჭებულ იატაკს არ ვჩივი, ვინმე არ დაახიანო, დავიდარაბაში გახვევა და პოლიციასთან საქმის დაჭერა არ მინდაო.

უკვე საკმაოდ შემთვრალი ბებურ აურხაურის ატეხას აპირებდა, – ისე ლხინს გემოს ვერ ატანდა ხოლმე! – მაგრამ აქეთ-იქიდან ეცნენ, გააკავეს, ხელს ნუ გვიშლიო და ქუჩაში გაიყვანეს: დარბაზის კედლებს ომახიანი ”მრავალჟამიერი” მოეფინა!

კამბეჩიას სიმღერამ ყველა მოაჯადოვა! სუფრაზე კარგი მომღერლები სხვებიც გამოჩნდნენ, მაგრამ ყველა დაჩრდილა განსაცვიფრებელი სილამაზის ხმით ფიშტოს დედას – ეშხამ: ჩონგურზე რომ სიმღერას დაარაკრაკებდა, სუფრაზე ყოველგვარი საუბარი და დანა-ჩანგლის წკარუნი წყდებოდა! (ჩვენში დარჩეს და მხოლოდ ძაღლები განაგრძობდნენ ძვლებისთვის დავას მაგიდების ქვეშ – როგორ მოახერხეს აქ შემოდწევა?).

კამბეჩიას შოფერმა, კუკურამ, კი გააჭირა საქმე – დაიწყო და აღარ გაათავა, საოცრად ყალბად ვითომ მღეროდა:

– ღვინო მასვი, ღვინო-ო, ყურში ჩაგიღიღინო-ო.. – გაჰკიოდა წვრილი ხმით და გაჩერებას არ აპირებდა.

ერთმა თავმომწონე გურულმა, ფიშტოს ბიძამ, კაცია როყვაიამ, ვეღარ მოითმინა და უთხრა:

– ბიძიკო, მოი აქ!
“მომღერალი” მივიდა.

– ღვინო მასვი, ღვინო-ო, ყურში ჩაგიბრახინო!.. – ჩასძახა კუკურას ყურში კაცია და დაამატა: – წაი ახლა!

თამადა ვინ იქნებოდა, თუ მიხვდებით? რასაკვირველია, უტუ ბატონი! სულ ყანწით სვა სადღეგრძელოები, წვეთი არავის შეარჩინა და თავმომწონე გურულებს ყველას კინწი მოსწყვიტა! თავიც არ დაზოგა, საკუთარი ტრიუმი საკმაოდ დატვირთა და ბოლო სადღეგრძელოებს ენის ბლუკუნით ამბობდა – ასეთი უტუ ბატონი მე პირველად ვიხილე! ბოლოს, იმდენად დაჰკარგა საკუთარი თავის მართვის უნარი, რომ, კუკურას მსგავსად, სიმღერა წამოიწყო და მას ბევრად ვერც აჯობა; განსაკუთრებით ცდილობდა, ფიშტოს დედის, ეშხას, სიმღერისთვის აება მხარი და, რასაკვირველია, მხოლოდ აფუჭებდა საქმეს... მაგრამ თამადას შენიშნას ვინ მისცემდა! მით უმეტეს, კაციას უკვე კარგა ხნის წინათ ჩამოედო თავი სუფრის კიდეზე და გემრიელად ხვრინავდა...

კარი XXIV. ე-ე-ეჰ, ქორწილი “წამგებიანი” გამოდგა...

ფიშტოს ქორწინებით გუნდის საქმეების გამოსწორების მოიმედეთ კი საბოლოოდ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ: მასტრედია საარაკოდ ძუნწი გამოდგა!

უმშვენიერესმა ქალბატონმა მასტრედიამ ქორწილის ჩატარების შემდგომ, – ჯერ რომ საქორწინო კაბაც არ ჰქონდა გახდილი, – უპირველესად მოითხოვა... მის მიერ გაქირავებული ჩოხა-ახალუხის ქირის გასტუმრება! ბებურს დაექადა:

– ერთი კვირის ვადას გაძღვე, ჯობს, დროზე მომიტანო ჩემი კუთვნილი თანხა, თორემ იცოდე, ჩვენს კარგ ნაცნობობას დავივიწყებ და ცუდად წაგივა საქმე!

ბებურ ანამუსებდა: – ძვირფასო მასტი, ახლა ის ჩოხა-ახალუხი შენს საყვარელ მეუღლეს აცვია! ამ ახალი ამბის შეტყობამ უარესი შედეგი გამოიღო.

– არაფრის გაგონება არ მინდა! – ლამის კიოდა ქალბატონი მასტრედია. – იცოდე, სასამართლოში გიჩივლებ! ის არ მეყოფა, რომ მოტყუებით უნიფხვოს გავყევი ცოლად?!

– მასტრედიას გენაცვალე, რა გიშლის ხელს, გაეყარე, ჯერ ხომ არასდროს გასცილებიხარ ქმარს და ეს შენთვის პირველი შემთხვევა იქნება! ესეც უნდა გამოსცადო, ჭირიმე! და ისევე გათხოვდი, გაგიჭირდებოდა თუ რა!

ბებურ ხუმრობას არც ფიშტოსთან იშლიდა, ეუბნებოდა:

– როგორ მოგიხდა ახალი სამოსი, ჭირიმე, ნაღდ თავადს ჰგავხარ! მასტრედია ვერც მიხვდებოდა, რომ სხვა პატრონს აცვია და ბარემ სახელიც გადაირქვი: არ ჯობს, ბრწყინვალე თავად მურზაყან დიდგვარაძემ იწოდებოდე, ვიდრე ფეხშიშველა გლეხად ანუ გლახაკად აჩიკო როყვია?

– გადაშენდი იქით!

– მე კი გადავშენდები, მარა შენ რა გეშველება? მაგ ფეხების პატრონს ცოტა უკეთესად უნდა დაგერტყა პენალტი!

თვითონ ბებურს ლოთია ციხიძე ეუბნებოდა, რა თქმა უნდა ისე, რომ ფიშტოს ყურამდე არ მისულიყო:

– ბიჭო ბებურ, შენ ადრე ხომ არ მიგქონდა ხოლმე ვარდების თაიგული ტურფა მასტრედიასთან?

– არა, კაცო, რას ამბობ! – ყასიდად უკვირდა ბებურს. – გეფიცები, პირველად მაშინ გავიცანი, ჩონხა-ახალუხის სათხოვნელად როცა მივედი!

– აბა, საიდან იცოდი, რომ ვარდები უყვარს? ან ჩონხა-ახალუხის მისგან დაქირავება რატომ იფიქრე და რანაირად შესძელი?

პასუხად ბებურს მხოლოდ უღვაშებში ეღიმებოდა...

ცალკე ამბავია, რა ცოფები ჰყარა ქალბატონმა მასტრედია, როცა მის სანუკვარ სკივრში ძველი საქორწინო კაბები ვეღარ იხილა... იმის მადლობელი არ იყო, რომ ქინქლა და პატარა თათარა მხოლოდ საქორწინო კაბებით დაკმაყოფილდნენ და სხვა რამესთვის ხელი არ უხლიათ – წასადები კი ქალბატონ მასტრედიას სახლში არცთუ მცირე მოეძევებოდა!

ბარემ იმასაც მოგახსენებ, საყვარელო, რომ ერთი კაბა ხომ ფიშტოს ერგო, მეორე – თავისთან დაიტოვეს: ის მეორე საქორწინო კაბაც აღბათ რომელიმე ფეხბურთელის მომავალი ქორწილისთვის შეინახეს – ამდენი ახალგაზრდა იყო გუნდში და ჯერ მხოლოდ ბებურს ჰყავდა ცოლი და ახლა კი ფიშტოც გაბედნიერდა.

ფიშტო გაოცდა: თურმე ტურფა მასტრედიას შინ მოახლევ არ ჰყოლია! ის მუავესახიანი ქალი რომ ემსახურებოდათ ქორწინებამდე სტუმრობის დროს, იმანაც მხოლოდ ორი კვირა გაუძლო და დაეთხოვა... ქალბატონი მასტრედია ყოველ თეთრს დაჰკანკალებს, მაგრამ უყვარს კი ნე-ბიერი ცხოვრება! საწყალი ახალი ქმარი მოახლედ გაიხადა, ყველაფერს აჩიკოს აკეთებინებს – სადილსაც კი, სახლის დალაგება-დაგვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ... ოღონდ სარეცხის რეცხვაზე კი ვერაფრით დაიყოლია ფიშტო და იძულებულია, კვირაში ერთხელ მეზობლის ქალთან გაატანოს ჭუჭყიანი სარეცხი.

– ხომ ტახივით ბრძანდები, სიძე ბატონო, რამფერ გიძლებს მასტრედია? – ჰკითხა ლოთია ციხიძემ ორი კვირის შემდეგ სავარჯიშოდ მისულ ფიშტოს.

– პირიქით, ის უნდა იკითხო, მე როგორ ვუძლებ! – უპასუხა ფიშტომ.

– გაგიჭირდა? არა უშავს, მაგარი ბიჭი ხარ! დაურტყი პენალტი შენებურად!

– ვინ დაგარტყმევინებს, თორემ კი... ახლა კი მივხვდი, რატომ ვერ უძლებდნენ ქმრები! – სევდანარევი ღიმილით დაამატა ფიშტომ.

– გასცილდი, კაცო, ქალების მეტი რაა! – გაიცინა ბებურმა, თითქოს თვითონ ჰქონდა საქმე სასაცილოდ.

– ძლიერი ქალია, მომწუსხავი! – თავს იმართლებდა ფიშტო. – თითქოს უხილავი ბორკილებით დაგაბა – ვეღარ სცილდები!

– დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ეგ ჭეშმარიტება შეიცანი? – ისევ იკრიჭება ბებურ.

– უნდა ვაღიარო, ძმებო, მასტრედია გულში რამდენიმე წლის წინ ჩამივარდა, როცა პირველი ქმარი გარდაეცვალა – მაშინ ვნახე პირველად... ახალი ჩამოსული ვიყავი სოფლიდან. მაგის ლურჯი თვალები რომ დავინახე და ხავერდით ხმა გავიგონე, ჩემს გულში ვთქვი: “ასეთი ცოლის პატრონზე ბედნიერი ქვეყანაზე ვინ უნდა იყოს-მეთქი...”

– ო-ო-ო, ქვასავით მაგარი ხასიათი აქვს მასტრედიას! – ამბობს ბებურ, ძნელი სათქმელია, მოწონებით თუ გაკილვით. – თითქოს რბილია, გარეგნულად ხმას არ აუმაღლებს, მაგრამ თან გრძნობ, რომ მისგან რაღაც უხილავი ძალა მოდის, რომელიც გთრგუნავს, გიმორჩილებს... როგორც თავი კატას, ისე გეთამაშება: ვითომ შენს ნებაზე მიგიშვებს, გეაღერსება, სინამდვილეში კი დათრგუნული ხარ, მისი მონა-მორჩილი...

– შენ საიდან გაიცანი ასე კარგად? – ჩაეძია ლოთია უღვაშა.

– ერთი შეხვედრაც საკმარისია, რომ შეიგრძნო მისი შინაგანი ძალა.

– მერე, თუ ფიშტო დაბრმავებული იყო, შენ რატომღა არ გააფრთხილე, რომ მასტრედია დაუღეჭავად გადაყლაპავდა?

– ყველამ საკუთარი საქმისა თვითონ იცის! – ჩაერია საუბარში მუგუზადა.

ფიშტო რატომღაც არ ამუდგანებდა სიფიცხეს და ჩუმიად უსმენდა მეგობრების კამათს, მე მეაღერსებოდა; თუმცა თავზე ხელს ცოტა აჩქარებულად მისვამდა და გვრძნობდი, რომ მთლად დაწყნარებულიც არ იყო.

– ძმებო, ფიშტო ციხეში მოხვდა, ვუშველთ რამენაირად! – ატეხა ვითომ განგაში ბებურ ბურბუშელაშვილმა, თან დამცინავად იღრჩებოდა. – უბელო გაუხედნავ ულაცს კისერი მოუგრიხეს და უცებ უღელში შებმულ მუშა ცხენად გადაიქცა!

– შენ საკუთარ ბორკილებს მიხედ! – არცთუ უსაფუძვლოდ უპასუხა მუგუზაღამ, – დაუღლული ღორივით სხვის ბოსტანში ვეღარ დაშლივინებ და ახლა ფიშტოს ქომაგი გამოდექი! ციხე კი არა, ცხრაკლიტული არ გინდა? მშვენივრადაა და ჩვენგან დასახსნელი რა სჭირს – მიუჩორდა მდიდარი მზეთუნახავის თბილ გვერდს და არის მშვენივრად! როცა მოუნდება, ყოველთვის ახერხებს ჩვენთან ყოფნას, არაფერი დააკავენს, ფეხბურთის მაჩებს კი თვით მასტრედიაც ესწრება!.. ღაგ-ღაგ! – უცებ დაიხარა და ხელი სტაცა კანჭში ბებურს, გული გაუხეთქა.

ლოთია უღვაშამ გახეთი “ფუთური ფართიფურთი” გაშალა და ვითომ წაიკითხა:

– ბიჭებო, აქ მაჭახელას მაგარი განცხადებაა გამოქვეყნებული! მისმინეთ: “დამეკარგა პატრონი, გადარეული გურული არჩილ როყვანია ანუ ფიშტო! დამახასიათებელი ნიშნები: საშუალო სიმაღლის, გამხდარი, თმები – შავი, მარად გაჩეჩილი, ალბათ ცოლთან მუდმივი კამათის გამო; თვალები – თაფლისფერი, ცუდლუტი, მაგრამ შტერულიც; შუბლი – დაბალი, ლაპარაკი – ჩქარი, დაულაგებელი; ახასიათებს იოლი და ხშირი გაცხარება და ამ დროს უნდა მოერიდოთ, საშიშია! განსაკუთრებული ნიშნებიდან აღსანიშნავია: ვეგეტრეულა ფეხები, რომლებიც არ უშლიან ხელს საოცარი სისწრაფით გაიქცეს. სად ჯანდაბაში გამექცა ასე შორს? მპოვნელს დაგასაჩუქრებ გამოუხრავი ძვლით...”

ბებურ ხორხოცებს, თან ცდილობს, ფიცხი ფიშტოსგან მოშორებით იყოს:

– როცა უნდათ მიახვედრონ, რომ ფიშტოზე საუბრობენ, ამბობენ: აი, ის ჯველი, პატრონზე ჭკვიანი ძაღლი რომ ჰყავსო!

გაბრაზებულმა ფიშტომ ხმის ამოუღებლად კარი გაიჯახუნა და შინისკენ მოუსვა, სხვაგან სად უნდა წავიდეს? უტუ ბატონის გემზე ვირთხებთან და სირ ფრანსის დრეიკთან ნეტარებით ყოფნას ტურფა მასტრედისთან ტანჯვა-წვალება ურჩევნია!

ჩემი პირადი დაკვირვებით კი შემოძლია, დაინტერესებულ საზოგადოებას შემდეგი მოვახსენო.

ქალბატონ მასტრედისა უყვარს: ლოგინში გვიანობამდე ნებივრობა, გემრიელი სმა-ჭამა, გაუთავებელი ლაპარაკი საკუთარ “ავადმყოფობებზე”, საკუთარი სიზმრების მოყოლა და ახსნა, გულის გამაწვრილებელი წუწუნი, რომ ბედმა დაჩაგრა, ბევრად უკეთესი ქმარი ეკუთვნოდა – რამდენი ბრწყინვალე თავადი თავს იკლავდა მისი ტრფობის ალით დახრუკული! სად ჰქონდა ჭკუა – ყველას უარი სტკიცა, რეგვენმა!

– მასტი, შენ შემოგველე, დარწმუნებული ვარ, მეც რომ მომინებო და საიქიოს გამისტუმრებ, ყოველდღე ჩემს საფლავს ცრემლებს დააწვიმებ და ყვავილებით შეამკობ, ჩემი მარმარილოს ძეგლიც ალბათ უკვე შეკვეთილი გაქვს – არ ჯობს, ახლა ვიყოთ სიამტკბილობით, რაც ფული გვაქვს, ნელ-ნელა ვხარჯოთ ჩვენს გემოზე?! სიბერემდე გვეყოფა და ჩვენს შთამომავლებსაც ბლომად დარჩებათ...

– შეილი არ გამაგონო, თორემ გადავირევი, სად მაქვს ბავშვის დნავილის თავი ავადმყოფ ქალს! – შეიცხადებდა მასტრედია, ქუჩის მხარეს გამავალ საყვარელ ფანჯარას მიაშურებდა, გააღებდა და მუთაქაზე დაყრდნობილს, შეეძლო, მთელი დღე ეთვალეირებინა გამგელ-გამომგელენი.

საერთოდ, ქალბატონ მასტრედისა სანახაობები იტაცებს, არც ერთ წირვას, დღეობა-წვეულებას, კონცერტს და მისთანანს არ დააკლდება, ამ ბოლო დროს კი, და არა მხოლოდ ფიშტოს გამო, – ფეხბურთის მაჩსაც... ფიშტომ ცოლს ერთი სისუსტე შეამჩნია: განსაკუთრებით უყვარს პანაშვიდებზე სიარული! როცა ცოლი მეტისმეტად მოჰყვება კრუსუნს და გულს გაუწვრილებს, თანაც ქმარს შინიდან არ უშვებს – რატომღაც აუჩემებია: მეშინია, მოკვდებიო, – ფიშტო გამოქეჟავს თუნდაც ყურმოკვრით ნაცნობ გარდაცვლილის სახელს და ეტყვის: “ა, ქალო, მაგანი გასულა გაღმა მხარეს და მისი პანაშვიდი ყოფილა დღეს... სამწუხაროდ, შეუძლოდ ხარ და ვერ მოვახერხებთ წასვლას... მეც არ მიშვებ მარტო...” ქალბატონი მასტრედია “ჯადოსნური ჯოხის დარტყმით” უცებ გამოცოცხლდება: “ვინ მოგახსენა, რომ ცუდად ვარ? მე რომ თვითონ გასასვენებელი გავხდე, იქ მაინც უნდა წავიდე! თავს ვერ მოვიჭრი!” საჩქაროდ მეზობლის გოგოს დაიბარებს წარბების ამოსაქნელად, საგანგებოდ მოირთვება...

თუმცა შინაც მარად გამოპრანჭულია; ყოველთვის კოჭებამდე კაბა მოსავს; საერთოდაც ადრეც იყო და ასეა ამჟამადაც ფუთში მიღებული, მაგრამ ყველას უფრო მოკლე რომ ჩაეცვა, ის მაინც ჩვეულებას არ უღალატებდა. ამის მიზეზი უბრალოა: წელს ქვევით ფრიად ჩასუქებული გახლავთ და ვერც საკმაოდ სქელი ფეხები დაიკვეხნიან სინატიფით... გეფიცები, ფეხები ფიშტოზე სქელი აქვს! ოღონდ ფუმფულა, ფიშტოსავით დაკუნთული კი არა. წელზევით კი მომხიბვლელად გაფაშფაშებულია, ბარაქიანი მკერდის მომხიბვლელობის დაფარვას სულაც არ ცდილობს, პირიქით – სანახევროდ მოშიშვლებულ ორ მომხიბვლავ ამობურცულობას შორის ძვირფასი ქვის, ლალის, წითლად მბრწყინავი თვალი კიაფობს, რომელსაც წამდაუწუმ ისწორებს ხელით, ეთამაშება – სურს მოსაუბრის ყურადღება მიიპყროს, აქაო და, აქამდე როგორ ვერ შეამჩნიეთ, რა ლამაზი ძეწვეი და სამკაული მიმშვენებს კოხტა ყელსაც და ყელს ქვევით ადგილსაცო...

ფიშტო, მართალი მოგახსენო, ცოტა გულნაკლული დარჩა: ყოველდღე ხედავს ძვირფას თანამეცხედრეს დილით (უფრო სწორედ – შუადღისთვის) ლოგინიდან ახლახან ამდგარს – ფერუ-

მარილის გარეშე და უკვირს: ნუთუ ეს თმაგაჩქილი, ჩამქრალი ქალბატონი ყველასთვის ცნობილი მზეთუნახავი მასტრედიააო...

ისიც უკვირს: ჩემი წინამორბედები – ლევან ვაშაყმიანი და მურზაყან დიდგვარაძე – როგორ ახერხებდნენ სახლიდან თავის დაღწევას და გაუთავებელ დროსტარებასო...

ყველაზე ცუდი კი ის გახლავთ, რომ ქალბატონ მასტრედია მთხოვნილება აქვს, გული მოიფხანოს ჩხუბით, დაგროვილი ბოღმა ვიღაცის თავზე დაანთხოს; აყაღმაყალის შემდეგ კი ჟინ-მოკლეული, გაშლის ნაოჭს, ისეთი მხიარულია, ვერც კი იცნობ... სულ არ ანადგვებს მისი “მსხვერპლის” მდგომარეობა, რის როლსაც, რაღა თქმა უნდა, ფიშტო თამაშობს. ფიშტო უმეტესად უთმობს, ამ დროს ცოლს ხმასაც კი არ სცემს ხოლმე, სულელურ ბრალდებებს არ პასუხობს, თუმცა საერთოდ ფიცხი ხასიათი აქვს. ჭკუა ისწავლა: ერთი-ორჯერ ჩაება ქალბატონ მასტრედიასთან პაექრობაში და მიხვდა, რომ ქალს ვერაფრით აჯობებდა და შემდგომ ამჯობინა, აღარ ეპასუხა... ან, კიდევ უკეთესი – ნერვების აწვეწვისგან თავის დასაცავად, აჯობებდა, სულაც გასცლოდა, დაეთმო ცოლისთვის “ბრძოლის” ასპარეზი. საერთოდ, ძალიან მიკვირს, რატომ გაჰყვა ცოლად ქალბატონი მასტრედია ფიშტოს? რომელი თავადი ეგ იყო ან ვითომ რა დიდებული სახლ-კარი ჰქონდა გადასარეგად მოწყობილი და ზანდუკები ძვირფასეულობით გამოტყენილი? ნათხოვარმა ჩოხა-ახალუხმა თუ მოატყუა ქალბატონი, იმ ბრაგუნა ჩექმებმა მაინც როგორ ვერ მიახვედრა, რა ჩიტთანაც ჰქონდა საქმე? როგორ დათანხმდა ქალბატონ მასტრედიასთან ქალი ცოლდება ისეთ კაცს, რომელსაც ერთი წესიერი უძირკობი არ ჰქონდა? ისე კი, რა თქმა უნდა, ცხოვრებაში უფრო უცნაური და საღი აზრისთვის აუხსნელი ამბებიც ხდება. მე ქალბატონ მასტრედია მხრებიდან ვჭრი და ვკერავ ასე, თორემ ფიშტო რომ მასტიზე ბევრად უკეთესია ყოველმხრივ, ამას რა მტკიცება სჭირდება? ფიცხიც არის, ღარიბიც, მაგრამ, ხომ კარგად ვიცით: განა სიმდიდრით გაიზომება ადამიანის ფასი?

ერთი რამ კი მაინც არ მინდა, დაუუკარგო ქალბატონ მასტრედია: საოცარია, მაგრამ მე კარგად მექცევა! ალბათ მის შვილად თუ მივანჩინვარ... ან მცველად – როცა ფიშტო მეგობრებთან გაძრომას შეძლებს, – მოხერხებული ბიჭია! – მე უფრო ხშირად შინ მტოვებს, რათა მისმა მეუღლემ მითოვებულობა აგრე რიგად არ შეიგრძნოს. და მე ალბათ ქალბატონ მასტრედია მართლაც ვუქარვებ მარტობის გრძობას, რადგან ხანდახან თავზეც კი გადამისვამს ხელს. მე კი, – რასაკვირველია, მუცელზე მოფხანის შემდეგ, – ყველაფერს მიჩვენია, როცა თავზე აღერსიანად მომეფერებიან... მაგრამ აქ ერთი უხერხულობა იჩენს თავს – მე რომ მკითხო, ადამიანის ჩერჩებობის კიდევ ერთი მაგალითია ბეჭდების ტარება! რამდენიც უნდა გულსაკიდები და ძეწკეები ჩამოიკონწიალოს, საყურეები და სამაჯურები გაიკეთოს – ვინ არის დამშლევი! ოღონდ ხელზე ყველა თითს ბეჭდებით ნუ დახუნძლავს, თანაც ზოგიერთს – რამდენიმე! დიახ, ქალბატონ მასტრედია ორივე ხელის თითები აჩონჩხილი აქვს უამრავი უცნაური ბეჭდით, რომლებიც სულ არ გახლავს დიდად მოსახერხებელი ჩემს თავზე ხელის გადასასმელად – ფაფუკი თითები კი აქვს, მაგრამ რად გინდა?.

ჰო, კიდევ ერთი რამ: ქალბატონი მასტრედია საშინლად ყარს! რაღაც სუნამოს ყოველდღე იპკურებს – ტანსაცმელზეც, ყურის ძირებშიც მოისვამს, – საშინელება! რად უნდა ნეტავი, ადამიანის ბუნებრივი სუნი განა ბევრად არ ჯობს? აი, კაცებს ოფლის სუნი უდით, გინდაც ახალ დაბანილები იყვნენ – ბევრად სასიამოვნოა იმ საზიზღრობასთან შედარებით, რომელსაც ქალბატონი მასტრედია ხმარობს ვითომდა ყნოსვის დასატკობად... კიდევ ვიტყვი და ვადასტურებ: ადამიანის ბუნებრივი სუნი შეუდარებლად უკეთესია! თუნდაც იმიტომ, რომ ფიშტოს თუ უტუ ბატონის სუნებს ადვილად ვარჩევ ერთმანეთისგან და ორივე მომწონს!

როგორც მოგახსენე, ჩემდა მოულოდნელად, ფიშტომ ჭკუა გამოიჩინა და ცდილობს, ძვირფასი თანამეცხედრის ხუმტურებს ყურადღება არ მიაქციოს; უფრო ხშირად ახერხებს კიდევ ცოლის შემოტევას ხუმრობით უპასუხოს... უსიამოვნების აცილების მრავალი სხვადასხვა ხერხის გამოცდის შემდეგ (ზოგჯერ რამდენიმე ღლით გემზე უტუ ბატონთანაც კი დაბრუნებულა!), მიხვდა – ყველაზე უკეთესი გამოსავალი ეს იყო.

ფიშტო მაჭახელას არ მეძახის და ეს დიდად არ მწყინს, თუ იცით, რატომ? იმიტომ, რომ, როგორ გეწყინება, როცა მე მისთვის ვარ “ჩემი ბიჭი”? მასტრედია ხშირ-ხშირად ეუბნება:

– ვაჰ, ქალო, ნახე, რა ბიჭი გეყავს!

ცოლიც კი მიაჩვია ამგვარ მიმართვას და, მაგალითად, ფიშტოს ასე ეკითხება ხოლმე:

– აჩიკო, სად არის შენი ბიჭი?

ფიშტო ნაცნობ-მეგობრებში ხშირად ამაყობს ჩემი ნიჭითა და საქმიანობით, გაუთავებლად შეუძლია, იყბედოს ჩემს ჩვეულებებზე, ხასიათზე, განცდილ ფათერაკებზე... მაგალითად, გუნდში მისული, ასე იწყებს საუბარს:

– იცი, ჩემმა ბიჭმა გუშინ რა გააკეთა? – და მოყვება ჩემს მორიგი გამირობის ამბავს – როგორ კუდამოპუებული დავიფრინე ეზოდან საიდანღაც შემოხეტებული უზარმაზარი ნაგავი.

ისე, არც ძალიან აჭარბებს, მართალი რომ გითხრა – ჩემს ეზო-მიდამოში ერთი კი არა, ასე ძალიან რომ შემოვიდეს, ყველას თავბედს ვაწყველინებ! ჩემს საბრძანებელში ლომისაც არ მეშინია! ჰო, ჩვენი გუნდის ”ლომები”, სამწუხაროდ, არც ისე ხშირად ესტუმრებიან ფიშტოს შინ, ალბათ დიდად არ მოსწონთ, რომ ქალბატონი მასტრედია მათ ცარიელი ჩაით გაჭყიპავს... ბებურ კი

ფიშტოს ხშირ-ხშირად ეხუმრება, დღეს რამდენი ჭიქა ჩაი დაგაღვეინა შენმა საყვარელმა ცოლ-მაო...

ფიშტომ ნარჩევი კერძებისა და ღომენტის რძის წყალობით ადრე მომატებული წონა მასტრედის სამსახურში სულ ერთ თვეში დაჰკარგა და წინანდელზე უფროც კი გახდა, მიუხედავად იმისა, რომ ცოლის ხუმრებების გადამიდევ, ხშირად აცდენდა ვარჯიშებს... იძულებული გახდნენ, თხა ღომენტი გუნდიდან დაეთხოვათ და სასწრაფოდ ქალბატონ მასტრედისთვის მიეგვარათ, უფრო სწორედ – ფიშტოსთვის, რათა ეს გამორჩეული ფეხბურთელი მაჩის დროს მოედანზე სისუსტისგან არ წაქცეულიყო – მის სწრაფ სირბილზე ხომ უკვე აღარც ოცნებობდნენ!

ერთხელ ქალბატონი ღომენტი, მისი ცეტი ხასიათის წყალობით, დიდ შარში გაეხვია. რა ეგულებოდა მეორე სართულზე, ძნელი სათქმელია, მაგრამ რატომღაც აბაკუნდა იქ, შევიდა ზალაში... ჩლიქების პაკაპუკით გაიარ-გამოიარა და დიდი, სარკიანი კარადის წინ გაჩერდა – მისი ორეული დაინახა და გაშტერდა. რატომღაც თვალში არ მოუვიდა, დააღირა თავი, გაქანდა და გამეტებით ურქინა...

ღარტყმისგან კარადა გადმოქანდა, გადმოემხო თხას, ნაფოტებად ქცეულ კარში და მასტრედის კაბებში აიბურდა-დაიბურდა ჩვენი ღომენტი, თავგზა აებნა...

ხმაურმა მოსამსახურე ქალის ყურადღება მიიპყრო და, როცა ოთახში შემოვიდა, ღომენტი გიჟივით დათარეშობდა ხან აქეთ, ხან იქით და ცდილობდა, რქებზე წამოცმული და თავზე გადმოფარებული ნაფლეთებად ქცეული მასტრედის კაბები როგორმე მოეცილებინა და თვალეში გამოეხედა...

უსაზღვრო იყო ქალბატონ მასტრედისა წუხილი, ფიშტო კინაღამ შეჭამა – შენი ბრალია ჩემი გაუბედურება და, როგორც ჩამოათესლე ეგ ეშმაკის მოციქული, ისე მოაშორე აქაურობას, თორემ ვიკივლებო...

კვილამდე ბევრი არაფერი დაუკლია ქალბატონ მასტრედისა, მაგრამ, ცოლ-ქმრის ცხარე, ხანგრძლივი დავის შემდეგ, გადაურჩა ღომენტი არამცთუ დაკვლას, არამედ სახლიდან გაძევებასაც კი. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ, გარდა ფიშტოს ჯანმრთელობის გამოკეთებისა, მოკლე ხანში ღომენტი, შესაძლოა, სხვა მხრივაც გამოდგომოდა ოჯახს – მასტრედია მოულოდნელად დაღრსულდა!

ნაყოფის მოცილება უნდოდა, მაგრამ ხელი არავინ მოჰკიდა ამ საქმეს – მასტრედია გვიან შეამჩნია მის თავს მოვლენილი ბედნიერება, რომელსაც იგი დიდ უბედურებად თვლიდა; საწყალ ფიშტოს სული ამოხადა საყვედურებით:

– რა შხამი გქონია, აქამდე არაფრით ვფეხმძიმდებოდი!.. მართლა ფიშტო ყოფილხარ, შე უბედურო!

– უბედური რათა ვარ, ისეთი მუცელი გაქვს, აგერ ნახე, თუ ტყუპი არ გვეყოლოს! – ცოლის ჯიჯღინს არაფრად აგდებდა ფიშტო; როგორც მოგახსენე, ნელ-ნელა შეიგნო, რომ ჯობდა, ყველაფერი ხუმრობაში ჩაეტარებინა.

– გადაირიე? – თვალებს კარკლავდა მასტრედია.

– აბა რა გეგონა, რაც ჩემმა წინამორბედებმა ვერ შეძლეს, მე უნდა ავანაზღაურო! – იცინოდა ფიშტო.

– გადაშენდი იქით! – ფიშტოს საყვარელი გამოთქმას ხმარობდა მასტრედია.

– გადავშენდე კი არა, ახლა უნდა ავშენდე და დავმშვენდე, გაემრავლდე, მასტის ვენაცვალე; აგერ ღომენტიც მოვიყვანე, ოჯახის ახალი წევრი, ქათმები მოვაშენე, შენ გენაცვლოს ჩემი თავი, მაჭახელა ხომ თავიდანვე ჩვენთანაა! ნახე, რა ჭკვიანია ჩემი ბიჭი, როგორ დარაჯობს ჩვენს ქათმებს, მეზობელთა ქათმებს არ გააჭაჭანებს ჩვენს ეზოში!

მართლაც, ბიჭებმა მე ქორწილიდანვე ფიშტოს გამატანეს:

– ეყოფა, საწყალს, რაც ჩვენთან იშიშვილა, აწი მაინც ამოვესება ვერდები! გარდა ამისა, შენც გულარხეინად იქნები: ქალბატონი მასტრედია ქმრების გადაშენების ოსტატი ჩანს და თუ შენც რაიმე ხიფათი შეგექმნა, მაჭახელა გვერდზე გეყოლება და დაგიცავს!

ამ ხუმრობით გამოთქმულ აზრს, ჩემდა გასაკვირველად, ჩემი ძველი მეგობარი უტუ ბატონიც დაეთანხმა. მეც რაღა უნდა მექნა, ახალ საცხოვრისში გადავედი – ჩემთვის არც პატრონის ცვლა იყო უცხო ხილი და არც – საცხოვრებელი ადგილისა, გული კი მაინც დამწყდა... მიჩვეული ვიყავი გემზე ცხოვრებისას ზღვის მარად ჩურჩულს და მით უმეტეს – უტუ ბატონის ხშირ მასლაათსა და აღერსიანად ხელის გადასმას თავზე, ყურების ნაზად მოქაჩვას – აი, შე ჩემსავით ბენრეკო, არ დაგეძინოს, სულ ყურებდაცქვეტილი იყავიო... ნუთუ ჩემს ცხოვრებაში კიდევ ერთხელ უნდა შეიცვალოს ყველაფერი?

უტუ კამპბელიას ცხოვრებაშიც მოხვდა ერთი მოულოდნელი ცვლილება – ცოლი ითხოვა!

ღიახ, ზღვის ბებერი ღომი ყველასთვის და ჩემთვისაც მოულოდნელად (მე მეგონა, ამქვეყნად არაფერი გამომეპარებოდა!) უცებ არ დაქორწინდა? როგორც მერე გავიგე, საზღვარგარეთაც თურმე იმიტომ წავიდა მეზღვაურად, რომ საყვარელი ქალიშვილი გაუთხოვდა... ეს იყო ოცდაათი წლის წინათ. ახლა კი ის ქალი, უკვე კარგა ხნის დაქვრივებული, ისევ ნახა უტუმ – ეს ფიშტოს დედა, ეშხა იყო! მის სამ ვაჟს უკვე საკუთარი ოჯახებიც ჰქონიათ, მეოთხე – ფიშტო, ხომ ახლანან გაბედნიერდა და ეშხა მარტოკინა დარჩა... დიდხანს ეხვეწა თურმე უტუ ბატონი, გამოემევი

ცოლადო, მაგრამ ქალი უარობდა – რაღა დროს ჩემი გათხოვებაა, უკვე შვიდი შვილიშვილი მყავსო, შვილები და ნათესავეები რას იტყვიან, ხომ არ გადასულა ჭკუიდან ამ სიბერეშიო... მაგრამ სწორედ შვილებმა გადააწყვეტინეს ხელმეორედ გათხოვება.

ბებურ გააკვირვებულ იყო უტუ ბატონის არჩევანით, ჩვეული მოურიდებლობით უთხრა:

– თუ ცოლის თხოვნას აპირებდი, რაღა შენი ხნის ქალი აარჩიე? ცოცხლით ახალგაზრდას ითხოვდი, რა ძალა გეღდა?

– შენ ამ ძალას ვერ გაიგებ! – უპასუხა უტუ ბატონმა.

გვიან მიგხვდი, რატომ მიიყვანა უტუ ბატონმა ფიშტო ჩვენს გემზე საცხოვრებლად! და რატომ გამაყოლა ფიშტოს მასტრედის სასახლეში!

უტუ ბატონმა ტყუილად არ უთხრა ფიშტოს:

– ქვეყანამ იცის: მასტრედია მაგარი ქალია – ყოველმხრივ! ფიშტო კი ხარ, ფიშტოს გენაცვალე, მაგრამ, რომ არ დაგზაგროს, მაჭახელას მაინც გაგატან! თანაც თქვენი დაშორება ცოლდა იქნება: ფიშტო და მაჭახელა – ძალიან უხდებით ერთმანეთს! მარტო თქვენი სახელები რად ღირს!

აღბათ იმიტომაც უფრო შემეღია უტუ ბატონი, რომ უკვე მარტო აღარ იყო – მასთან იყვნენ ცოლი და ზღვა, აგრეთვე – სირ ფრანსის დრეიკიც, თუ ისიც ღირსია ანგარიშში ჩათვლისა.

კარი XXV. აქა ამბავი ფუთელ ფეხბურთის მოყვარულთა უსაზღვრო აღშფოთების შესახებ

ქალაქ ფუთის ახალმა თავმა გოჭამ ანუ გოჩა კაკუჩიამ მოკლე ხანში გაუცრუა იმედი ფეხბურთის თავყვანისმცემლებს – ფეხბურთის მოედნების თავზე ცა შავი ღრუბლებით მთლიანად დაიფარა... ბოდიში, ცოტა ზედმეტი მომივიდა – მრუმე ღრუბლებზე მართალი მოგახსენე, საყვარელო, მაგრამ სადღა იყო ფუთში საფეხბურთო მოედნები! თავიდან ქალაქის ახალმა მოურავმა რამდენიმე ადგილას გამგეობის ხარჯით მართლაც დაანგრევინა ძველთაძველი სახლები და ყავლგასული ფორფიცრებითა და თუნუქის ძველი ფურცლებით შეკოწიწებული ხუხულები, მაგრამ მალე იმ ადგილებში ფეხბურთის მოედნების მაგივრად დიდი სახლების მშენებლობა დაიწყო!

ის კი არა, ქალაქში ბიჭიას მინდორზე არსებულ ერთადერთ საფეხბურთო მოედანზეც აიკრძალა თამაში, ამის საბაბად კი გამოიყენეს ფუთის გამგეობაში წარდგენილი ბიჭია ჭიჭყინავას საჩივარი. ყოფილმა ფირალმა უჩივლა ფეხბურთელებს, რომ ისინი იქ ვარჯიშობდნენ ნებადაურთველად, ახლომახლო მოსახლეებს ადრე დილიდან გვიან საღამომდე აწუხებდნენ ხმაურითა და ყვირილით, გატყორცნილი ბურთით ეხოებში ხეებზე აღარ შერჩა ხილი, თანაც საბაბაზოდ ძროხებს ვეღარ ვუშვებთ მინდორზეო...

ქალაქის მოურავის დავალებით პოლიციის უფროსმა ბიჭიას მინდორზე წესრიგის დასამყარებლად გამოგზავნა პოლიციელთა რაზმი ბოქაულის მეთაურობით, მაგრამ... როცა წესრიგის დამცველები იქ მივიდნენ, დაუწყეს ყურება მოთამაშე ფეხბურთელებს რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედების აღმოსაჩენად და იმდენად გაიტაცა ისინი ამ ცეცხლოვანმა სანახაობამ, რომ... ცოტა ხანში თვითონაც მოისურვეს შეჯიბრში მონაწილეობის მიღება! ჩაერთვნენ კიდევ თამაშში და მისი დამთავრების შემდეგ ერთად იბანავეს ზღვაში და ერთად მოილხინეს კიდევ გუგუნა კუნკულიას სამიკიტნოში “მობრძანდი, გენაცვალე!”

შემდგომ ბიჭიას მინდორი მიეყიდა გვარიან ფასად კერძო პირებს, იქაც გაჩაღდა სახლების მშენებლობა და შეუძლებელი გახდა ვარჯიშიც და შეხვედრებიც ფეხბურთელთა გუნდებს შორის... ცხადია, აღარც სხვა ქალაქის გუნდები ჩამოდიოდნენ ფუთში საფეხბურთო მანის ჩასატარებლად...

და დაცინვად აღიქმებოდა, რომ მოურავმა გოჩა კაკუჩიამ, როგორც იქნა, დაამტკიცა ქალაქის გამგეობაში წარდგენილი “ფუთის საყოველთაო საფეხბურთო კავშირის წესდება”! ამ წესდებაში მოურავისა და პოლიციის უფროსის მოთხოვნით კავშირის დამაარსებლებს წინდაწინ შეატანინეს მრავალი შესწორება, მათგან უმთავრესი იყო: “1. “ფუთის საყოველთაო საფეხბურთო კავშირის” წევრი არ შეიძლება იყოს მოსწავლე (სკოლის, გიმნაზიის, სასწავლებლის და ა. შ.), რიგითი და დაბალი წოდების მქონე სამხედრო მოსამსახურე; 2. “ფუთის საყოველთაო საფეხბურთო კავშირის” ყოველი სხდომის ჩატარების დროს, ადგილისა და განსახილველი საკითხების შესახებ წინასწარ უნდა ეცნობოს პოლიციას და მისგან მიღებულ იქნას თანხმობა; 3. მოსალოდნელი აყალმაყალისა და ჩხუბის აღსაკვეთად “ფუთის საყოველთაო საფეხბურთო კავშირის” ყოველ სხდომას აუცილებლად ესწრება პოლიციის ერთი ან რამდენიმე თანამშრომელი”.

ცხადი გახდა, რომ ქალაქის ახალ მოურავს ფეხბურთი ფეხებზე ეკიდა, მეტიც – ფლიდურად, მოტყუებით ფიქრობდა ფუთში ფეხბურთის ჩაკვლას!

რა თქმა უნდა, ფეხბურთის მოყვარულთა აღშფოთება უსაზღვრო იყო!

განსაკუთრებით გაწიწმატდა გუგუნა კუნკულია, რადგან მის სამიკიტნოს “მობრძანდი, გენაცვალე!” მუშტარი საგრძნობლად მოაკლდა. მან ქალაქის ახალი თავის ფოტოპორტრეტი ჩამოიღო სამიკიტნოს დიდი დარბაზის კედლიდან, გაიტანა გარეთ და საზეიმოდ დაწვა სამიკიტნოს წინ.

ამითაც არ დაკმაყოფილდა და ფირფიცრის მოზრდილ ნაჭერზე საკუთარი ხელით მისთვის დამახასიათებელი ოსტატობით დახატა: ხელმარცხნივ – ღორის დინგიანი თავი, ხელმარჯვნივ – ხვიშტილაკი, მათ ქვევით კი წითელი საღებავით წააწერა: “გოჭა კაკუნიას ფეხი არ ვნახო შე მოდგმული აქ!!!” და ხელფენების ეს დიდებული ნაწარმოები დიდის ამბით ჩამოჰკიდა სამიკიტნოს კარზე. მე რომ მკითხო, ღრუტუნას თავი ისეთი საზარელი სანახავი გამოუვიდა გუგუნას, რომ ჩვეულებრივი მუშტრებიც საკმაოდ დაფრთხებოდნენ და კარგად დაფიქრდებოდნენ, შესულიყვნენ სამიკიტნოში თუ არა.

მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ფეხბურთის მანს არასდროს დასწრებია, რაჟდენა დალაქმა მის მუშტართა საყოველთაო უკმაყოფილება ასე გამოხატა: სადალაქოს შესასვლელთან გამოაკრა განცხადება: “გოჭასა და მის დამქაშებს არ ვემსახურები!!!”, თუმცა ქალაქის მოურავი მანამდე აქ გასალამაზებლად არასდროს მოსულა და ისიც საკითხავია, იცოდა კი საერთოდ ამ სადალაქოს არსებობა?

ფუთის ვაჟთა გიმნაზიის მოწაფეებმა პანტუშა დუშაძისა და ფათუშას ხელმძღვანელობით რამდენიმე დიდი ტრანსპარანტი გააკეთეს: “ფეხბურთის მოედანი გვინდა!”, “გოჭა – მატყუარა ღორი!”, “გიმნაზიაში არ წავალთ, სანამ დანაპირებს არ შეასრულებთ!”, სახეზე აიფარეს ღორის ნიღბები და მიადგნენ ქალაქის გამგეობის შენობას. გიმნაზისტების ყვირილზე და აურზაურზე – მათ მრავალი ფუთელიც შეუერთდა – ფანჯარაში გამოიხედა თვით ქალაქის მოურავმა, ბატონმა გოჩა კაკუნიამ; რასაკვირველია, ეს ამბავი არ ეპიტანავა, განსაკუთრებით – ამდენი ლოყაწითელი “გოჭუნის” დანახვა, კიდევ ერთი ჯანყის ნიშნად მიიჩნია და ცხელ გულზე უნდოდა, პოლიციის უფროსისთვის ებრძანებინა, სულ კომბლებით გაერეკათ ეს წყვეული ამრევეები, მაგრამ მერე გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მოსწავლეთა მამიკოები ქალაქ ფუთის შეძლებული და გავლენიანი პირები იყვნენ და საკუთარი ვნებების მოთოკვა არჩია.

გიმნაზისტები ბევრნი იყვნენ. წავიდა ის დრო, როცა გიმნაზიაში ფეხბურთი იდევნებოდა, ახლა აქ პანტუშა დუშაძის მეცადინეობით სამი ასაკობრივი ჯგუფისთვის თითოეულისთვის რამდენიმე გუნდი იყო ჩამოყალიბებული და ამჯერად ერთიანს და ორიანს მაშინ უწერდნენ გიმნაზისტებს, თუკი მათი გუნდი წააგებდა!

ქალთა გიმნაზიაშიც კი არსებობდა ფეხბურთელთა გუნდი! გოგონებმა გაფიცვა მოაწყვეს მოთხოვნით: “მანამდე არ დავბრუნდებით კლასებში, სანამ არ მოგვცემენ ფეხბურთის თამაშის უფლებას!” და მიადწიეს კიდევ მიზანს!

მეხანძრეებმაც შექმნეს საკუთარი გუნდი და – საოცარია! – პოლიციელებმაც!

და როდესაც ფუთის მთავარ მოედანზე საყოველთაო უკმაყოფილების ნიშნად შეკრებილი მოქალაქეების წაქეზებით გიმნაზისტების ორმა გუნდმა პირდაპირ გამგეობის წინ დაიწყეს ფეხბურთის თამაში – გოჩა-გოჭასა და გამგეობის წევრების თვალთა დასატკობად! – წესრიგის დასამყარებლად გამოძახებულმა პოლიციის რაზმმა ვეღარაფერი იღონა, გარდა იმისა, რომ ორი გუნდის თამაშისთვის ეცქირა... მოურავს მოახსენეს, რომ მეტისმეტად ბევრი ხალხი შეიკრიბა და საბრძოლველად შემართულთა დაშლა მათ ძალ-ღონეს აღემატებოდა! მოურავს კი ურჩიეს, მისი საკუთარი უსაფრთხოებისთვის მანის დამთავრებამდე შენობიდან არ გამოსულიყო – გაბრაზებული ფუთელები კიდევ რას მოიმოქმედებდნენ, არავინ იცოდა!

ქალაქის თავი გოჩა კაკუნია მოქალაქეთა საყვედურებს გახეთის “ფუთური ფართიფურთი” მეშვეობით ასე პასუხობდა: “ქალაქის გამგეობის ყოველდღიური ზრუნვისა და დაუღალავი ძალისხმევის შედეგად, ფუთი სწრაფად იზრდება და ვითარდება, ამიტომ თავისუფალი მიწები უპირველესად ახალი მშენებლობებისთვის უნდა გამოვიყენოთ! უკმაყოფილებისთვის კი საბაბი არ არსებობს, რადგან ქალაქის გამგეობას გადაწყვეტილი აქვს, ქალაქს აუშენოს დიდი, კეთილმოწყობილი სტადიონი, მსგავსი ევროპის საუკეთესო სპორტული ნაგებობებისა და მათზე უკეთესიც – ტრიბუნებით, ყველა საჭირო სათავსით, სავარჯიშო მოედნებით და სხვა. ამისთვის უპირველესად საგანგებოდ მივლინებულ იქნება წამყვან საფეხბურთო ქვეყნებში გამგეობის წარმომადგენლები საკითხის შესასწავლად და, სავარაუდოდ, რომელიმე სახელგანთქმული ხუროთმოძღვრის მოსაწვევად, რომელიც ადგილზე გაეცნობა არსებულ მდგომარეობას და ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით დაგვიპროექტებს ფუთის მომავალ მშენებებს!”

თვე თვეს მისდევდა, გამგეობის წევრები და ქალაქის თავიც დაუღალავად მოგზაურობდნენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში და ზამთარ-ზაფხულ მშენებრივად ერთობოდნენ საქვეყნოდ ცნობილ კურორტებზე, თვით გოჭა კიდევ უფრო ჩაპუტკუნებული და ლოყებდაჟღავნა ბრუნდებოდა ფუთს, დანაპირების შესასრულებლად კი, როგორც ჩანდა, თავს დიდად არავინ იწუნებდა...

საქმეს იმანაც არ უშველა, რომ, როგორც მოგახსენე, გოჩა კაკუნიას ფოტოპორტრეტი სამიკიტნოში “მობრძანდი, გენაცვალე!” მუშტართა მოთხოვნით ჩამოხსნა კედლიდან გუგუნა კუნკუნლიამ; მართალი მოგახსენო, თხოვნის გარეშეც მოაცილებდა იქაურობას იმ სურათს მიკიტანი, რადგან შუშა ჩამსხვრეულ იქნა ნასროლი დანა-ჩანგლითა თუ თეფშებით, ხოლო ქალაქის მოურავის გამოსახულება გალამაზებული იქნა ფეხბურთის თაყვანისმცემელთა მიერ, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ პორტრეტში პომიდორების დამიზნებით ტყორცნით.

ჩამოღებული ადგილზე მალევე დაკიდებულ იქნა ახალი ფოტოპორტრეტი – შავ კაბაში გამოწყობილი მგლოვია რე ქალბატონი მასტრედია ზის ბრწყინვალე თავადის ლევან ვაშაყმიანის

საფლავთან... (მიიკიტნის თხოვნის პასუხად ფიშტომ შინ ცოლის სხვა ფოტოსურათი ვერ ნახა და ჩუმად ეს წამოიღო გასადიდებლად – დროებით ამით უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ, თუმცა მშვენიერი ქალბატონის, მასტრედის, მწუხარე სახე მეტად მიმზიდველი გახლდათ და ქალაქში გამეფებულ განწყობილებასაც ფრიად შეესაბამებოდა).

ღიახ, ფუთში ყველა ასე თუ ისე სათამაშოდ ვარგისი ადგილი გოჩა კაკუჩიას მცდელობით მოისპო და არსებული რამდენიმე საფეხბურთო გუნდი იძულებული გახდა, ვარჯიშები ერთი ციციქნა უდაბურ, მტვრით სავსე ადგილებში ჩაეტარებინა; ზოგჯერ ახერხებდნენ სადღე ადგილას ვარჯიშსა და თამაშსაც, მაგრამ ასეთი შესაძლებლობა იშვიათად გამოჩნდებოდა ხოლმე. შემდგომ გოჩამ პოლიციის უფროსს გამოაცემინა განკარგულება ნებადაურთველ ადგილებში ფეხბურთელთა ვარჯიშისა და თამაშის აკრძალვის შესახებ! დამრღვევებს საკმაოდ დიდი ჯარმის გადახდა ეკისრებოდათ...

გოჩა კაკუჩია კმაყოფილი იცინოდა:
– დიდ-დიდი გემები შემოდის ნავსადგურში, დიდი, დიდი გემბანები აქვთ და ნებას გრთავთ, გადმოტვირთვის შემდეგ ფეხბურთი იქ ითამაშოთ!

და ამ დროს ფეხბურთელებს მშველელად გამოუჩნდათ... სამხედრო გარნიზონის სარდალი, მაიორი ბუხუტი ფრუხტია! მან საგარჯიშოდ და სათამაშოდ ფეხბურთელებს დაუთმო სამხედრო პლაცაი – რასაკვირველია, მხოლოდ იმ დროს, როცა იქ ჯარისკაცები სამწყობრო მეცადინეობას არ ატარებდნენ. ღმერთია მოწმე: ამისთვის მაიორისთვის ერთი ბოთლი ღვინოც კი არ გაუგზავნიათ, თუმცა შემდგომ სამიკიტნოში “მობრძანდი, გენაცვალე!” ბევრჯერ ერთად გაუტყენიათ პური მასთან ერთად უტუ ბატონს, გელა მგელუკაშვილსა და კამბეჩიას. არ გააკვირდეთ ერთი – მათ მაგიდასთან ხშირად ნახავდით მამა პავლესა და დიაკვნსაც – მათი მოწვევით “ლომები” აგრეთვე ვარჯიშობდნენ საყდრის უკან საგანგებოდ მოწყობილ მცირე მოედანზე, ოღონდ იმ პირობით, რომ შიგადაშიგ ეკლესიის მსახურებსაც ჰქონოდათ შესაძლებლობა თამაშში ჩართვისა...

საფეხბურთო მაჩის მოსაწყობად კი გუნდი სხვა ქალაქში უნდა გამგზავრებულიყო – ამას საკმაო ფული სჭირდებოდა...

* * *

საყვარელო, როგორც ადრე მოგახსენე, ჯიბიგირები ქინქლა და პატარა ოთარა, საფეხბურთო გუნდის “ფუთელი ლომები” გულშემატკივრები (რაც ერთხელ საქმიითაც დაამტკიცეს – ძვირფასი წვლილი შეიტანეს ფიშტოს გაბედნიერებაში), ბაზარში, ცირკში, თეატრში თუ სხვა ხალხმრავალ ადგილებში ჩვეული საქმიანობის შემდგომ საღამოობით ჩვეულებრივ სამიკიტნოს “მობრძანდი, გენაცვალე!” სტუმრობდნენ.

ერთხელ სწორედ ამ დროს მივიდნენ მათ მაგიდასთან ბებურ ბურბუშელაშვილი და ფეხბურთელთა გუნდის საქმიანი თავი გელა მგელიკაშვილი; ბებურმა მისალმების შემდგომ პირდაპირ იკითხა:

- თქვენ ხომ ხართ ჩვენი გუნდის თაყვანისმცემლები?
 - ვართ და მეტი არა? – წამოიძახა ქინქლამ, – “ლომები” ნამეტნავად გვიყვარს!
 - თქვენი – ბოდიში, ჩვენი! – გუნდის მონაწილეობით ჩატარებულ მაჩების დროს ვმუშაობთ ყველაზე ბარაქიანად! – დაამატა პატარა ოთარამ. – დაბრძანდით, გენაცვალე! ჩვენი ძვირფასი ფიშტო ბატონი ხომ გვყავს კარგად მის საოცნებო მასტრედისთან ერთად?
 - ფიშტოს რა უჭირს, არის გვარიანად, – ახლა გელა ჩაერთო საუბარში, – მაგრამ გუნდს კი დაუდგა დიდი გასაჭირი: ხომ იცით, აქ სათამაშოდ ადგილი აღარ დაგვრჩა და სხვაგან დავწანწალებთ... ახლა ფეხბურთელებს ბათომში წასასვლელი ფული არ გვაქვს, არადა, ფრიად მნიშვნელოვანი შეხვედრა უნდა ჩავატაროთ, იქნებ ცოტა ფული ვიშოვოთ... ხელშეკრულებაც დავდეთ უკვე, მაგრამ ბე – ათასი ვერცხლი – ვერაფრით მოვაქწმეთ... ბურბუშელამ ცირკშიც იჭიდავა, ფიშტოს ცოლიც საჩქაროდ შეერთეთ – მასტრედია, – მაგრამ საშველი მაინც არ დაგვადგა... უარესი დაგვემართა: მასტრედამ ფიშტოს მთელი ფული წაართვა – საკუთარიც და ჩვენიც! ქალმა აჯობა, აბა?! აღარ ვიცით, რა ვიღონოთ...
 - ეგ არი, ფიშტოს არაფერი უჭირსო? – წამოიძახა პატარა ოთარამ. – რაც საფეხბურთო შეხვედრები აღარ ტარდება ფუთში, ჩვენც ორმაგად დავზარაღდით: ყველაზე სარფიანი სამუშაო ადგილი მოგვაკლდა და, რაც მთავარია, ჩვენს საყვარელ სანახაობას ვეღარ გუყურებთ!
- ქინქლა ფეხზე წამოხტა:
- თქვენ აქ იჭუჭუკეთ, მე ცოტა ხნით გავივლი-გამოვივლი ბაზარში...
- ერთ საათში ქინქლა დაბრუნდა, ჯიბეები გამოტყენილი ჰქონდა ფულით.
- კარგად გიმუშავია! – შეაქო პატარა ოთარამ.
 - რა ვიცი, მე მგონი, კიდევ მომიწევს წასვლა და შენც უნდა დამეხმარო – ბაზარში მოსიარულებებს სულ წვრილი ფული აქვთ, შრომად არ ღირს... სულ სხვაა თეატრში რომ წახვალ სამუშაოდ ან დოლის გამართვისას: იქ რჩეული საზოგადოება იკრიბება – საათები და ძვირფასი სამკაულები აღარ ახსოვთ ხოლმე სასიყვარულო სცენის ან გახურებული ფინიშის დროს... ჩვენთვის ყველაზე დაძაბული მუშაობის წუთებია.

დათვალეს: ქაღალდი ბევრი იყო, თანხა კი – რა მოგახსენოთ...
 – დიდი ვერაფერი შეიღია! ერთ დღეს კი გვეყოფა ბიჭებს სადილ-ვახშმად, თანაც გუგუნა შეღავათს გაგვიწვეს, მაგრამ შემდეგ რაღა ვქნათ? – თქვა გელამ.
 – წავალთ, ორივე ცოტას კიდევ წავიმუშავებთ! – წამოდგა ამჯერად პატარა ოთარა.
 – ახლა ბაზარში ვეღარ გავალთ, ხალხი დადარაჯებულია და, ხელი რომ გავანძროთ, მაშინვე გაგვსკვანჩავენ! – გადაათქმევინა უფრო თადარიგაინმა ქინქლამ.
 – აბა, რა ვქნათ?
 – აგერ ჩვენს საყვარელ კამბეჩიას ვხედავ! – წამოიძახა განარებულმა გელამ. – მგონია, გვეშველა!
 – ოქრო კაცია კამბეჩია! – დაუდასტურეს ქინქლამ და პატარა ოთარამ.
 სამწუხაროდ, ორდღე ორდღემამიშვილი ამჯერად “მობრძანდი, გენაცვალე!”-ში შეხვედრილ გელამ მგელუკაშვილს ანუ ფეხბურთელთა გუნდს ვერაფრით დაეხმარებოდა:
 – ბიჭებო, თქვენ გენაცვალეთ კამბეჩია, რაღა ვქნა, არ ვიცი – კარგა ხანია, მამაჩემმა ბერამ ფინანსურ “მეჩერზე” გამრიყა! ლამის არის, ჩემი ავტომობილი იაფად გაყვიდო!

კარი XXVI. აქა დაუჯერებელი ამბავი ბურძგალიას პაექრობებისა;
 ჯერ – გუნდში, მერე – ცირკში!

ძველი სადარდებელი და საზრუნავი – ფული ისევ არ აქვთ...
 სად იშოვნონ?
 ლოთია ციხიძე-ულვაშამ თქვა:
 – ძმაკაცი მყავს – ბურძგალია! სინამდვილეში ბენა კვანთელიძე გახლავთ მისი სახელი და გვარი, მაგრამ ყველა ბურძგალიათ იცნობს. ჩვენს სოფელში მისი ნამდვილი სახელით რომ დაუწყოთ ძებნა, ვერავინ მიგასწავლით. მაგარი ლელობურთელია, სოფელში ვერავინ ჯობნიდა! ახლა ფუტს ჩამოვიდა, პორტშია, მტვირთავად მუშაობს. ხარის ჯანი აქვს, გავიდეს ცირკში საჭიდაოდ, მოიგოს ფულადი ჯილდო... მოვიყვანო?
 – მერე, ჭიდაობა იცის? – დაინტერესა უტუ ბატონი.
 – არა, მაგრამ ცოტა თუ წაივარჯიშა, მაგის მომრევი ძნელად გამოჩნდება, – აქებდა და აღიღებდა მეგობარს ლოთია ულვაშა. – სოფელში მაგარი სახელი ჰქონდა გავარდნილი, გადაბრუნებულ სიტყვას ვინ გაუბედავდა, თუმცა თვითონ საოცრად კეთილი, გულჩვილი ბიჭია... სულ უკან დასდევდა ბიჭბუჭობა, ეხვეწებოდნენ: ბურძგალია, აბა, ამ ქვას თუ ასწევო... ან: ბურძგალია, ამ ხეს თუ მოთხრიო...
 – მობრძანდეს, შეგხედავთ მაინც – ვილაც ვეშაპი ყოფილა ეგ შენი ბურძგალია, – დათანხმდა უტუ კამპბელია.
 როცა ლოთიამ მოიყვანა მეგობარი, სწორედ მაშინ ატარებდა უტუ ბატონი შეჯიბრება-გარჯიშს – “პიბილაობას”: წყვილ-წყვილად გაყოფილი ბიჭები, ცალ ფეხზე მდგომნი, ერთმანეთს მხრებით ეჯახებოდნენ და ცდილობდნენ წონასწორობიდან გამოყვანას. მოგებული მეორე წყვილში მოგებულს ხედავოდა და ამგვარად ბოლოს დარჩა ორი წაუგებელი “მამლაყინწა” – ბებურ და ფიშტო! ეს გასაკვირველი იყო, რამდენადაც მათზე ღონივრები ბევრნი იყვნენ, მაგრამ ალბათ მალი წარმატება განპირობებული იყო ბებურის შეუპოვრობით და ფიშტოსი კი სიმარჯვით...
 და აჰა, ორი ყველაზე ძლიერი უნდა შეერკინოს ერთმანეთს!
 ფიშტო მედგარად მიეჭრა ბებურს და იმარჯვა კიდევ – მოწინააღმდეგე აიძულა, მეორე ფეხი მიწაზე დაედგა. ბებურ უკმაყოფილოდ აყვირდა, თავიდან დაეიწყეთო, რაზეც ფიშტომ, ყველას გასაკვირველად, მაშინვე თანხმობა განაცხადა:
 – თუ გინდა, მეათეჯერაც დავეტაკოთ ერთმანეთს და ათჯერვე დაგამარცხებ!
 გაფიცებული ბებურ ჯიქურ მიეჭრა ფიშტოს, მაგრამ ფიშტო მკვირცხლად გაეცალა და ამჯერად გაქანებულმა ბებურმა თავი ვეღარ შეიკავა, წაიქცა და მიწაზე გაკოტრიალდა...
 ბებურ ფიცხლად წამოხტა და ამჯერად ჩხუბის წამოწყებასაც კი აპირებდა, მაგრამ ამჯერად უტუ ბატონი ჩაერია:
 – გეყოფათ, დამთავრდა ვარჯიში! ახლა სტუმარს მივხედოთ, თქვენი ცქერით გვარიანად იმხიარულა!
 მხოლოდ ახლა მიაქციეს ყურადღება ახალმოსულს და გაუკვირდათ: ბურძგალია თუ რამით იყო გამორჩეული, მხოლოდ თმით – მის თავზე ეს ჯაგარა თმა ყალყზე იყო დამდგარი გაუხედნავი ცხენივით და საგარცხლის დამორჩილებას არაფრით აპირებდა. სხვა მხრივ ჩვეულებრივი ყმაწვილი ჩანდა: სიმაღლე – საშუალო, აღნაგობა – ჩვეულებრივი; ვერც იფიქრებდი, თუ ბურძგალია დიდად ღონიერი და მოქნილი იქნებოდა.
 უტუ ბატონმა გულაცრუება ვერ დამალა, ახედ-დახედა ბენას და ლოთიას ხმამაღლა უთხრა:
 – აგია შენი ნაქები ბურძგალია?
 ბურძგალიამ ხასიათი მაშინვე გამოამჟღავნა – შეეტყო წყენა, უტუ ბატონს ჯიქურ შეხედა თვალებში:

– ბიძია, მომიყვანე ვინც გაგიხარდება და ხელის გადაწვევაში შემეჯობროს!

– აბა, ბიჭებო, ვის უნდა ჯილდო? – ხუმრობით იყვირა უტუ ბატონმა. – ვინც ჩვენს სტუმარს აჯობებს, ათ ვერცხლს ვჩუქნი!

ატყდა ბიძგილობა, ერთმანეთს არ აცლიდნენ მაგიდასთან დაჯდომას. გელა მგელუკაშვილმა მაშინვე იოლად ფულის შოვნის მსურველთა სიის შედგენა დაიწყო:

– კარგი, რადგან ასეთი მოწადინებული ხარო, თითოეულმა ხუთ-ხუთი ვერცხლი დადოს, თუ დამარცხდება, ბურბგალიას მოგებად დარჩება!

მსურველი მაინც ბევრი იყო და კენჭისყრას აპირებდნენ, რომ ბურბგალიამ თითი ფიშტოსკენ გაიშვირა:

– ეს დამეჭიდოს!

– ჰე-ჰე-ჰე, მუქთი ფული ერთ წუთში! – მაშინვე მხიარულად დაიჭყანა ფიშტო, მაგიდისკენ წავიდა და წაიღიღინა: – “შენც გურული, მეც გურული, ორივე ვართ მოდღურული...”

ბურბგალია მშვიდად უცდიდა მეტოქეს. ფიშტო მის პირისპირ დაჯდა და დადო იდაყვი მაგიდაზე, გაღიმებულია, მოუთმენლად შეჰყვირა:

– აბა, ჰე..

მეტოქენი ერთმანეთს შეებნენ თუ არა, დამსწრეთ თვალის დახამხამებაც ვერ მოასწრეს, – ბრახ! – გაადინა ფიშტოს მუშტმა ბრაგვანი მაგიდაზე.

– არა, არ იყო სწორი! – ფეხზე წამოხტა და ატიყინდა მოულოდნელი წარუმატებლობით გაგიჟებული ფიშტო, – მე ჯერ მზად არ ვიყავი!

– კარგი, ბატონო, დაბრძანდი! – დინჯად მიუგო ბურბგალიამ.

ისევ ჩასჭიდეს ხელისგულები ერთმანეთს და ბურბგალიამ ფიშტოს ჰკითხა:

– მზად ხარ?

როცა დასტური მიიღო, წამში – ბრახ! – ფიშტოს მკლავი მაგიდაზე იყო დასველებული. ფიშტო გამტკნარებული სახით უაზროდ მისჩერებოდა ბურბგალიას, ვერაფრით დაეჯერებინა, რომ ასე იოლად დათმო ასპარეზობა... არ სურდა შეგუებოდა მარცხს, წამოიყვირა:

– მე ცაცია ვარ! მარცხენათი დამეჭიდე!

– კარგი, ბატონო...

– ე-ე-ე, ეგრე არ ივარგებს, ისევ ხუთ ვერცხლს ჩამოდი! – ღიმილით უთხრა ფიშტოს გელა მგელუკაშვილმა.

ფიშტომ მოინდომა, ბიძგით გადაეწია ბურბგალიას მარცხენა, მაგრამ ვერ შეძლო: ბურბგალიამ ხელი გააჩერა, თითქოს არც კი ცდილობდა მოწინააღმდეგის დაჯახნას, მაგრამ არც უთმობდა; ფიშტო იჭაჭებოდა, იჭაჭებოდა... მერე ბურბგალიამ ოდნავ გაიღიმა და უცებ გადაუწია ხელი...

– კიდევ ხომ არ ვცადოთ? – ჰკითხა ფიშტოს.

გაწბილებული ფიშტო ზღაზღუნით წამოდგა, სახე აუკალმახდა წითელი ფორაჯებით, არაფერი უთქვამს...

– რა მაგარი ყოფილხარ, განსაკუთრებით – ცაციათი! – ფიშტოს მხარზე მოუთათუნა ხელი ბებურმა, – მარცხენა ფეხითაც ხომ არ გესინჯა?

– დეიდუპე იქით! – შეუბღვირა ფიშტომ.

ფიშტოს კიდევ ხუთი ვერცხლი უტუ ბატონმა მაგიდაზე დაუდო გამარჯვებულს.

შემდეგი! – მხიარულად დაიყვირა ბებურმა.

ახლა ძვალმსხვილი მგლისმუხლა, მამამზე ბუღათურია, დაჯდა მაგიდასთან ბურბგალიას პირისპირ, ხელები ჟინიანად მოიფშვნიტა...

– მე ფიშტო არ გეგონოთ! – ჩაიციხა და ჯიქურ პირველმა დადო იდაყვი მაგიდაზე. – ახლა განახვებო, როგორ უნდა ხელის გადაწვევა!

ბურბგალიამ მამამზეს ხელი ნელ-ნელა, დაგემოვნებით გადაუწია.

მამამზე გაოგნებული იყო, თითქოს არ სჯეროდა საკუთარი დამარცხების და კარგა ხანს არ ამდგარა, რათა სხვისთვის დაეთმო ადგილი.

– შემდეგი! – ამჯერად გამხიარულებულმა ფიშტომ დაიძახა. – ბებურ, ხუთი ვერცხლის მოგება არ გინდა?

ბურბგალიამ გარშემო შემოჯარულ ბიჭების სახეებს მზერა მიმოატარა.

მსურველი აღარავინ ჩანდა.

– ჰაი, თქვე ღობემპვრალეობ! – იძახდა უკმაყოფილო უტუ ბატონი. – “ლომები” ტყუილად გქვიათ!

ოდნავი ჭოჭმანის შემდგომ, ყველასთვის გასაკვირველად, ცხვირა, ბოჩია კინკაველაძე, დაჯდა ბურბგალიასთან საპაექროდ; მამამზეს და, რა თქმა უნდა, ბურბგალიასაც, სიმადლითაც დიდად სჭარბობდა და ბევრად ბეჭგანიერიც ჩანდა.

შეეჭიდნენ ერთმანეთს და ბურბგალიამ ამჯერადაც გაუჭირვებლად გადაუწია ხელი მეტოქეს.

– აწი, გინდაც წააგოს, ბლომად ვერცხლი მაინც დარჩება! – რატომღაც ბურბგალიაზე მტრად იყო გახარებული ფიშტო, გარეგნულად მაინც.

ცხადი იყო, რომ ხუთი ვერცხლის წაგების მსურველი აღარავინ გამოჩნდებოდა, მაგრამ მოულოდნელად უტუ ბატონმა გამოიღო თავი:

– კარგი, ახლა მე მაჯობე, თუ ხარ ვაჟკაცი! – სიცილით უთხრა ბურბაგალიას. – მოიგებ თუ წააგებ, ათ ვერცხლს მაინც გრეპნი!

უტუ ბატონი მაგიდას მიუჯდა და მარჯვენებით ჩააფრინდნენ ერთმანეთს – უტუს მსხვილი, დაკუნთული და ბეხას შედარებით მაჯაწვრილი ხელები...

მსაჯის, გელა მგელუკაშვილის ნიშანზე მეტოქენი დაიბაგრნენ და ერთხანს ვერცერთი სჯობნიდა, ჯერ თითქოს ერთი სძლეოდა, მერე – მეორე, ბოლოს კი ბეხამ ნელ-ნელა გადაუწია ხელი უტუ ბატონს...

– არის ოცდახუთი ვერცხლი, შემდეგი! – დაიძახა საბილოდ გუნებაგამოკეთებულმა ფუშტომ.

ჭარხალივით სახეაწითლებული უტუ წამოდგა და ბურბაგალიას მხარზე ხელი მოუთათუნა:

– მოგაკაგე თითი, მართლა მაგარი ყოფილხარ... ჩემი მომრევი გემზე არავინ იყო, რას ვიფიქრებდი, თუ შენისთანა ღლაპი მაჯობებდა, ყოჩაღ!

გელა მგელუკაშვილი დაჯდა მის გვერდით და უტუ ბატონმა ხუმრობით ჰკითხა:

– თუ გინდა, შეეჯიბრო, ჯერ ხუთი ვერცხლი დადე!

– არა, უტუ ბატონო, ჩვენი გასაჭირი უნდა გაეუზიარო ბეხა ბატონს.. – და ბურბაგალიას მიმართა: – ძალიან გვიჭირს, გუნდი დაშლას უნდა გადავარჩინოთ, შენ ხარ ჩვენი ბოლო იმედი... ცირკში ჭიდაობაზე რას იტყვი?

ბურბაგალიამ პირდაპირი პასუხი არ გასცა:

– მე მგონია, ჯობს, საუბარი სხვაგან გავაგრძელოთ... ყველას ვპატივებ სამიკიტნოში “მობრძანდი, გენაცვალე!”

გზად ლოთიამ ბურბაგალიას გადაურჩულა:

– უტუ ბატონი შეიცოდლე, ხომ? არ გინდოდა, უცებ გეჯობნა!

პასუხად ბურბაგალიამ მხოლოდ ოდნავ გაიღიმა.

* * *

სამიკიტნოს კუთხეში ორი მაგიდა შეაწყვილეს და პატივისცემის ნიშნად მათ პირადად მიკიტანი გუგუნა კუნკულია ემსახურებოდა, თუმცა იცოდა – ფეხბურთელები ღვინოს ცოტას ან სულ არ დალევენ და მოგებას ნაკლებ ნახავდა.

უტუ ბატონმა ღვინო მაინც მოატანინა, ჭიქა შეავსო და მის გვერდით მჯდომი ბურბაგალია ადღეგრძელა, შეაქო მისი საოცარი ძალ-ღონე, სულ გამარჯვებით სიარული უსურვა ცხოვრებისეულ გზაზე.

– აბა, ბიჭებო, ნება გექლევათ, თითო ჭიქა დალიოთ! – სადღეგრძელოს ბოლოში მიმართა ფეხბურთელებს უტუ ბატონმა. – ჩვენს ახალშეძენილ მეგობარს ვუსურვოთ წარმატება ცირკში გამართულ ჭიდაობაში; დარწმუნებული ვარ, ეს ჭიდაობა შედგება და ჩვენი ვაჟკაცი ბეხა დიდად გვასახელებს და გვასიამოვნებს!

ბურბაგალია ცირკში ჭიდაობაზე იოლად დაიყოლიეს:

– ჩემი თავი გენაცვალათ, ბიჭებო, მხოლოდ ჩემი ძმაკაცის ხათრით კი არა, ფეხბურთი მიყვარს გიჟივით და სულ ვოცნებობ, ნეტა თქვენთან მათამაშა!

– გადი საჭიდაოდ და დარწმუნებული იყავი – ჩვენ გუნდში ხარ!.. – დაამედა უტუ ბატონმა. – მარდი სირბილი თუ არ გეხერხება, დაცვაში დაგაყენებ...

– ჭიდაობა არ გცოდნია, მაგრამ გინდაც წაავო – მაგაზე ნუ იდარდებ, რაღაცას კიდევ მოვიფიქრებთ... – გელა მგელუკაშვილი მთლად არ იყო დარწმუნებული ბურბაგალიას წარმატებაში.

უტუ ბატონი და გელა შეუთანხმდნენ ბურბაგალიას, რომ მიიყვანდნენ მას სავარჯიშოდ წარსულში სახელგანთქმულ ფუთელ მოჭიდავესთან პაპური პაპასკირაძესთან, რომელსაც თურმე ადრე ვინ არ დაუმარცხებია – ჩვენშიცა და უცხოეთშიც, ამერიკაშიც კი ყოფილა მიწვეული და ყველას ბდღვირი აღინა!

ამ დროს დარბაზში შემოვიდნენ კამბერია, მისი შოფერი კუკურა და განუყრელი წყვილი – ქინქლა და პატარა ოთარა.

– ოჰ, რა სასწაულს მოვესწარი, ჩემი საყვარელი ხალხი ვიხილე აქ! – წამოიძახა კამბერია, ხელები ფართოდ გაშალა და დიდებული ბანით წაუმიღერა: – მრავალაღაჯა-ამიე-ე-ერ!..

რასაკვირველია, ყველა შემოსული მაშინვე ფეხბურთელთა სუფრასთან მიიწვიეს.

– სასწაული აგერ ზის, ჩემს გვერდით, ჩემო კამბერია, – უპასუხა უტუ ბატონმა. – სწორედ მასთან შეხვედრა გავაგრძელოთ აქ... გაიცანით – ძუძუკურია! მაღლე ცირკში იჭიდაგებს!

როცა კამბერია მოისმინა ძუძუკურიასთან შეჭიდების ამბავი, არ დაიჯერა და თვითონაც მოისურვა, გამოეცადა ძუძუკურიას მაჯის სიძლიერე.

– წინდაწინ ათი ვერცხლი უნდა დადო, ძამია, – უთხრა კამბერიას ლოთია ულვაშამ.

– რატომ? – გაუკვირდა კამბეჩიას. – დღეს ავადლიტე მამაჩემს სახარჯო ფული და რაში უნდა გადავყარო?

– შეჯიბრს მეტი გემო ექნება და იმიტომ, – უპასუხა ლოთია ულვაშამ. – თანაც ჩვენი ბურძგალია ღარიბი ბიჭია, ამის გამო ცოლის თხოვა ვერ მოუხერხებია და ფული ნაღდად არ აწყენს; შენ კი ვაჭრის შვილი ხარ, ავტოთი დაბრძანდები!

– რადგან ასეა, თუ მომიგო, ოც ვერცხლს გავიღებ, თანაც სიმღერასაც შემოვძახებ გამარჯვებულის პატივსაცემად! – კამბეჩიას ყურადღებით დააკვირდა ბურძგალიას და ირონიულად გაიღიმა: – მაგრამ... მე მგონი, მხოლოდ სიმღერა დამეხარჯება! ახლა მეც მექნება პირობა: ჯერ კუკურას შეეჯიბროს!

– კეთილი, ბატონო, ოღონდ შენი მეგობარი ორი ხელით დამეჭიდოს! – თავის მხრივ თქვა ბურძგალიამ.

ხუმრობაშერეული კამათი ასეთი შეთანხმებით დასრულდა: კუკურა ბურძგალიას ჯერ ცალი ხელით შეეხებოდა, ხოლო შემდეგ, ბურძგალიას გამარჯვების შემთხვევაში, კუკურა უკვე ორი ხელით შეეჯიბრებოდა.

ამ ჟრიაშულით დაინტერესებული გუგუნა კუნკულიაც მივიდა მაგიდასთან; ლოთია ულვაშამ მას შესთავაზა ნაძღვევი: ბურძგალიას წარმატებაზე თითონ ოც ვერცხლს დებდა მიკიტნის ხუთი ვერცხლის წინააღმდეგ, მაგრამ გუგუნამ სიფრთხილე გამოიჩინა და უარი უთხრა.

კუკურა ფრიად ძლიერი მაჯის პატრონი აღმოჩნდა: შეჯიბრი გაჯანჯლდა და მხოლოდ დიდი ძალისხმევით, როგორც იქნა, ბურძგალიამ ხელი გადაუწია.

– მე გაგიმარჯვებდი, მაგრამ ცაცია ვარ და აბა, თუ ვაუკაცია, თავიდან შემეჯიბროს, ოღონდ მარცხენა ხელით! – თქვა ნაწყენმა კუკურამ.

– არც მაგაზე დაგწყვეტ გულს, მხოლოდ ერთი პირობით: შენ ორი ხელით დამეჭიდე! – მაშინვე უპასუხა ბურძგალიამ. – აჰა, აგერ ამ მოგებულ ოც ვერცხლს კიდევ ოცს ვუმატებ, შენ კი მხოლოდ ათი ვერცხლი დადე!

– გაგიჟდი? – მივარდა ლოთია ბურძგალიას. – თუ წააგე, ეს სუფრაც შენი გასასტუმრებელია და რას შერგები?

ამ დროს ლოთიასთან მივიდა მიკიტანი და უთხრა:

– თუ არა ხარ წინააღმდეგი, ახლა მე ოც ვერცხლს ვღებ შენი ათის წინააღმდეგ!

ამჯერად ლოთიამ უთხრა უარი:

– არა, ბიბია, სულელი კი არ ვარ, ერთ ვერცხლსაც არ გავიმეტებ!

სამაგიეროდ, გუგუნას თვით ბურძგალიამ დაუდო ნაძღვევი:

– აგი ათი ვერცხლი – თქვენი ოცის წინააღმდეგ!

ყველა გაფაციცებული ელოდა შერკინების დასაწყისს, სადაც ბურძგალიას მარცხენა ხელს ორივე ხელით უნდა შესჭიდებოდა კუკურა.

ამჯერად მართლა გაუჭირდა ბურძგალიას...

თავიდანვე კუკურამ მძაფრი იერიში მიიტანა, უნდოდა, უცებ დაეჯანჯნა მეტოქე, მაგრამ ბურძგალიამ გაუძლო პირველ შეტევას; შემდეგ შერკინების დაძაბულობა არ კლებულობდა და რამდენიმე წუთს ორივე თავგამოდებით იბრძოდა; ბოლოს და ბოლოს, ბურძგალიამ უკანასკნელი ძალები მოიკრიბა და ნელ-ნელა გადაუწია ხელები კუკურას.

კამბეჩიამ აღარ ისურვა ბურძგალიასთან შებმა, საკუთარი შოფრის დამარცხება იკმარა, ბურძგალიაც კმაყოფილი იყო – სადღა ჰქონდა კიდევ არაქათი.

და კამბეჩიას დიდებული ბანით გაივსო სამიკიტნოს დარბაზი, სამი-ოთხი ფეხბურთელიც აჰყვა...

ბურძგალია მხოლოდ მარჯვენა ხელს ხმარობდა ჭამისას; კარგა ხნის შემდეგ გამოუტყდა ლოთია ულვაშას, რომ მეორე დღესაც ძლივს შლიდა მარცხენა ხელს...

– აბა, ბიჭებო, გვეყო მოლხენა, საქმეს მივხედოთ! – წამოდგა უტუ ბატონი. – დავემშვიდობოთ აქ დამრჩომებს და მადლი მოვასხენოთ გუგუნა კუნკულიას დიდებული სუფრისთვის!

გუგუნა კუნკულიამ გადაჭრით თქვა უარი ფეხბურთელებისგან ფულის აღებაზე: თქვენი მიდგას სული, მაგრად ითამაშეთ, ბიჭებო, და როცა კი მოგესურვებათ, ჩემი სამიკიტნოს კარი თქვენთვის ყოველთვის ღიააო.

გელა მგელუკა შვილმა გვერდზე გაიყვანა და ჩურჩული გაუბა: როგორ მოგეწონა ბურძგალია, ხომ მაგარი ბიჭიაო; ჩვენს გუნდს ფული სჭირდება უსიკვდილოდ და გვინდა, ბურძგალიამ იჭიდაოს ცირკშიო; ბურძგალიას წარმატებაში და პრიზის მოგებაში დარწმუნებული ვართ, მაგრამ ამისთვის, წესების თანახმად, წინასწარ ბეს სახით ხუთასი ვერცხლის შეტანაა საჭიროო; ვინმე ღვთისნიერი რომ გამოჩნდებოდეს, ეს ხუთასი ვერცხლი გვასესხოს, ჩვენს ბედს ძალდი არ დაჰყვოსო...

იმდენი ელაპარაკა, რომ მიკიტანი გაცუნცულდა და ფული გამოუტანა, ხელწერილის გამორთმევაც არ დავიწყებია.

ბურძგალიას კი გუგუნამ უთხრა:

– ხშირ-ხშირად შემოიარე, ბიბიკო, აქ მხოლოდ ფეხბურთელები კი არა, მთელი ფუთი დიდის, მათ შორის – პორტის მუშებიც... ჯანიანი ბიჭები! შეეჯიბრე ხოლმე, რა გენადგლება, ღარი-

ბი ბიჭი ჩანხარ და ზედმეტი ფული არ გაწყენს... არც მე დავრჩები წაგებული – მუშტარი მეტი მეყოლება!

კარი XXVII. აქა ცირკში მომხდარი დიდად სახალისო ამბები

მთელ ქალაქში უზარმაზარი აფიშებია გაკრული: “დღეს ცირკში ჭიდაობა იმართება!!! მსოფლიო ჩემპიონატი ფრანგულ ჭიდაობაში!!!”

ცირკი მხოლოდ ადამიანებს კი არ გიყვართ (განსაკუთრებით – ბავშვებს!), ჩვენ, ძაღლებსაც! მხიარულება მაშინ უნდა ნახო, როცა გაწვრთნილი ძაღლუკები (ბედნიერები!) – უმეტესად პუდელები – მაღაყებს გადადიან, რგოლებში ხტებიან, პატარა ეტლებს მიაგორებენ, რომლებშიც... კატუნები სხედან!

მეც მიხარია: ცირკის გაწვრთნილ ძაღლუკებთან მივალ, გავეცნობი, გავერთობი – ჩემი ჯიშ-ჯილაგია და თანაც გამიგონია, ძალიან ჭკვიანი, განათლებული საზოგადოება არისო, ისეთ საოცარ ნახტომებს აკეთებენ რგოლებში გასაძრომად, ისე კოხტად ჰყეფენ და ხმას აყოლებენ საყვირსო, რომ დამსწრე ორფეხთა საზოგადოება ტაშისცემით ხელისგულებს გადაიტყავებსო!

* * *

ჭიდაობის დაწყებამდე გაწვრთნილ ძაღლებთან მივირბინე გასაცნობად კულისებს მიღმა, – ჰოი, რა საშინელი მყრალი სუნი იდგა და ცხოველთა გნიასისგან საგიჟეთში მეგონა თავი, – მაგრამ ვაგლახ... არ მიმიღეს! ცხვირაწვეულთ, ამპარტაგნულად შემაქციეს ზურგი – ეს ვინ ვიგინდარა გლესუჭა მობრძანებულა, მეტი საქმე არ გვაქვს ქუჩიდან მოთრეულს თავი გაუყადროთო...

გული დამეთუთქა, მაგრამ რაღას ვიზამდი – გამოვბუნძულდი, კუდამოძუებული, თან მიკვირდა – ისეთი რა განსაკუთრებული ღვითით რჩეული საზოგადოება გახლავს, რომ უბრალო, პატიოსან ძაღლს ზედაც არ შემხედეს, ორიოდ ტკბილი სიტყვა დაიშურეს?

პარად-აღეს შემდეგ, როცა ყველა, მხარიდლივ მიკერდზე გადაჭიმულ ფართო წითელ ბაფთაზე მედლებით დახუნძლული, მოჭიდავე წარუდგინეს მაყურებლებს, არბიტრი ძლიერ ფერადოვნად ახასიათებდა ყოველ მათგანს, როგორი, რამდენი და სად მოიპოვა გამარჯვებები და რისთვის მიიღო ჯილდო.

უცებ ქანდარიდან ხმამაღლა გაისმა: “ვიწვევ ნებისმიერს!”

დამსწრე საზოგადოების ყურადღება მაშინვე მიიპყრო დამახებელმა.

მაღალი, მხარბეჭიანი კაცი აუჩქარებლად წამოვიდა კიბეზე ქვევით, თან დინჯად აბოლებს ძვირფას სიგარას; უკან ორი ვიდაც მოსდევს, ეტყობა, მისი დამქაშები არიან; მოაქვთ ორი უზარმაზარი ჩემოდანი, რომლებიც აჭრელებულია სასტუმროების დასაწებებელი ბარათებით, მათზე კი რომელი ქალაქის დასახელებას არ ნახავთ: “პარიზი”, “ლონდონი”, “ვენა”, “რომი”, “ვარშავა”, “ბერლინი”...

უცნობმა გადააღაჯა ბარიერზე, გავიდა ასპარეზზე.

მაყურებლები აღფრთოვანებით შეეგებნენ ფერადოვან ხალიჩაზე მის გამოჩენას, ცირკის სადგომი დუღს.

უცნობი – მოსული ტანის ნიღბოსანია. ერთ-ერთი თანმხლები მოწიწებით ხდის პაღტოს; ტანთ აცვია ფრაკი, უკეთია ჰალსტუხი-პეპელა; თავზე ახურავს მაღალი, მბრწყინავი ცილინდრი; ნიღაბი მჭიდროდ ეკვრის მის სახეს. გაიხადა ტყავის ძვირფასი თეთრი ხელთათმანები და ხელი გაუწოდა მსაჯს. მსაჯმაც მარჯვენა შეაგება, მაგრამ მოულოდნელად ნიღბოსანი მას წელში შეუვარდა, იოლად აიტაცა მაღლა, რამდენჯერმე დაატრიალა ჰაერში, შემდეგ კი ფრთხილად დასვა ხალიჩაზე.

მსაჯმა მოჩვენებითი გაკვირვებით გაშალა ხელები, შეათამაშა ვითომ “დამტვრეული” ბეჭები და წამოიძახა:

– აი, ნაღდი დათვი! როგორ დამბუნა, ცოცხალი როგორ გადავრჩი!

არა, მსაჯები არ არიან სუსტნი, წინათ თვით ასპარეზობდნენ საჭიდაო ხალიჩაზე!

მაყურებლებში გამოჩნდნენ ყოვლისმცოდნენი; ერთნი ყვირიან, რომ იცნობენ ნიღბოსანს, იგი არის ცნობილი მოჭიდავე გეორგ გეკენშმიდტი, მეორენი სხვა, არანაკლებ სახელგანთქმულ სახელებს ასახელებენ...

ჩამწკრივებული მოჭიდავენი ერთმანეთს დაბნეულნი ეწურჩულებიან, იჩენავენ მხრებს და შლიან ხელებს: “ნეტავ ვინ არის საიდუმლო მოჭიდავე?”

ცნობისმოყვარეობამ ცირკში მომუშავეებიც კი აიტაცა – ვინ იმალება ნიღბის ქვეშ? – სარბიელზე გამოვარდნენ და ნიღბოსანთან მიახლოვებას ცდილობდნენ; განსაკუთრებით ერთი მასხარა ჯიქურ მიიწვედა მისკენ, ის კი ყველას იოლად სჯაბნიდა: ვისაც კი ხელი ჩაავლო მკლავში, მოიქნია და ხალიჩაზე გადააკოტრიალა.

ცირკში წარმოუდგენელი ღრიალცელი იდგა – ყვირილის, წამოძახილებისა და ფეხების ბაკუნისგან ფანრებიც კი ირწვოდნენ!

ბოლოს, მსაჯმა მადლა ასწია ხელი, მღუღარე ქვაბი წყნარდება.

– თქვენი პირობები? – ეკითხება მსაჯი ნიღბოსანს.

– პირველი სამი მოწიდავეს მე ამოვარჩიე და ყველას დავამარცხე – პრიზი 500 ვერცხლი მოიგე; თუ რომელიმე ცამაქცია – მე გადავიხადო მაგი თანხა! – ღინჯად მარცვლავს ნიღბოსანი. მსაჯი შეფიქრებდა, იქეპავდა კეფას, შემდეგ კარგა ხანს ეთათბირებოდა ცირკის დირექტორს – საგანგებოდ დაუძახეს!

მსაჯმა ნიღბოსანს საკუთარი პირობა შესთავაზა:

– ორი მოჭიდავე – თქვენი არჩევით, თქვენს მესამე მეტოქეს – მე დაენიშნავ!

ნიღბოსანი თანახმა გახლდათ, დაზუსტდა შეჯიბრების პირობები და ორივე მხარემ დათქმული თანხა საჯაროდ გადასცა ცირკის დირექტორს. ხმამაღლა გამოცხადდა, რომ შეჯიბრი გაიმართებოდა მომავალ შაბათს, საღამოს 6 საათზე.

ერთ-ერთმა თანმხლებმა უცნობ ნიღბოსანს პალტო აუჩქარებლად ჩააცვა, ისიც ოთხივე მხარეს თავის მოწიწებით დაკვირვებით ყველას დაემშვიდობა და მადლა აწეული მარჯვენა ხელის ქნევით ღინჯად წავიდა გასასვლელისკენ.

ამ დროს მასხარა ხუმრობით დაეჯაჯგურა ნიღბოსანს, სარმა გამოჰკრა და ნახერხში გადააგორა – ხალხის ყიჟინამ ლამის დააქცია დარბაზი!..

იმ დღეს ჭიდაობამ უღიმღამოდ ჩაიარა, ყველანი მოელოდნენ მომავალ შაბათს დანიშნულ ჭიდაობას.

მე დრო ვიხელთე და ცირკის გაწვრთნილ ძაღლუკებისკენ გავეწიე კულისებში, მაგრამ რაც მე იქ გადამხდა! მიჭირს მოყოლა... ლომებიც კი საშინლად აქოთებულ გალიებში სხედან და საწყლად იყურებიან, სხვა უამრავ ნადირ-ფრინველზე რაღა უნდა ვთქვა და ძაღლუკებიც არ არიან უკეთეს დღეში! თან ერთ გალიაში არიან ყველანი, საწყალობლად წკაპწკაპებენ, აქეთ-იქით დარბიან... მათი საცოდაობის შემხედვარეს გული დამეწვა... მინდოდა, ერთი-ორი გამამხნევებელი სიტყვა მეთქვა მათთვის, მაგრამ დახე ამპარტავნობას – არ მიმიღეს, ცხვირაწეულნი დამხვდნენ! არ იკადრეს ჩემთან ურთიერთობა, ზედაც არავინ შემხედა! ცხადად მაგრძნობინეს – ჩვენ მაღალი ხელფანების მსახურნი ვართ, შენ კი ვინა გდიხარო!

წამოვედი ფეხების თრევიტ, მოჟამულ გუნებაზე ვიყავი... თან მებრალებოდა ისინი – საწყლუბი, არ გრძნობდნენ, რა სასაცილონი იყვნენ! მერე ვიფიქრე: “იქნებ სწორედ ასეთთა ხვედრია ცირკში მუშაობა, მათ ხომ სწორედ მაყურებელთა გამხიარულება უნდა შესძლონ?”.

* * *

ფუთი საყოველთაო მღელვარებამ შეიპყრო.

ქალაქი აჭრელდა მყვირალა აფიშებით, ადგილობრივმა გაზეთმა მეორე დღესვე გამოაქვეყნა დიდი წერილი, რომელიც მიძღვნილი იყო ფუთის მღოვრე ცხოვრებაში შემოჭრილი დიდი მოფლენისადმი: “მომავალ შაბათ საღამოს ცირკში ფრიალ მიმზიდველი სანახაობა გაიმართება, არ გამოგრჩეთ საოცარი შერკინება უცნაურ ნიღბოსანსა და სამ რჩეულ, საქვეყნოდ სახელგანთქმულ ფალაგანს შორის!”

სალაროსთან უგრძესი რიგი გაიჭიმა – გასამეცეპული ფასის მიუხედავად, მალე ბილეთს მხოლოდ ქორვაჭრისგან თუ შეიძენდი.

* * *

შაბათ საღამოს ცირკი ისე გაიჭვდა, ნემსი არ ჩავარდებოდა.

ნიღბოსანმა ჯერ ორი მოჭიდავე ათიოდე წუთში გააკრა ბეჭებით ხალიჩაზე, შემდეგ მესამეც – მსაჯის მიერ ამორჩეული – წააქცია, ოდონდ მას ცოტა მეტ ხანს ეჭიდავა.

ცირკი უკმაყოფილო მაყურებლების სტვენამ გააყრუა.

– მატყუარები!.. დაგვიბრუნეთ ჩვენი ფული!..

მსაჯმა ხელი მბრძანებლურად ასწია, დარბაზის დაშოშმინებას ცდილობდა:

– ხვალ, კვირას, ძღვევამოსილი ნიღბოსანი ისევ იჭიდავებს – სხვა მოჭიდავეებთან!

ნიღბოსანი მედიდურად მიმოდიოდა, ხელები მკერდზე ჰქონდა გადაჯვარედინებული.

– დამსწრეთაგან ხომ არავის სურს გამარჯვებულს შეეჯიბროს? – ყასიდად იყვირა მსაჯმა და მხერა აზიმზიმებულ რიგებზე მიმოატარა.

– მე მსურს! – მოისმა უცებ სულ ზედა რიგიდან ვიღაცის ომახიანი ხმა.

დამსწრეთა აღშფოთებული ღრიალიცელი მხიარულმა ყიჟინამ შეცვალა, მოლოდინით აღსავსე მაყურებელმა ტაში დასცხო.

ყველას მხერა ერთი წერტილისკენ იყო მიმართული – იქ ფეხბურთელთა გუნდის სრული შემადგენლობის შუაში ხელაწეული ბურძგალია იდგა.

მე ვერ ვითმენდი, ხან მწკმუტუნებდი, ხან ყფასაც გამოფურედი. ჩემი კუდის ქნევა ალბათ კარგ მარაოდ მოველინა აღგზნებული ფეხბურთელების გახურებულ სახეებს.

გაკვირვებულ მსაჯი დაბნეულად ხან ბურძგალიას შეხედავდა, ხან – ნიღბოსანს; ბოლოს, ნიღბოსანმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

ამასობაში ბურძგალია კისრისტეხით დაეშვა ქვევით, გზად კინაღამ ხუთჯერ გადაკოტრილდა, – ფეხებში მე ვებლანდებოდი და მხიარული ყეფით ქვევით მივაცილებდი, – გავარდა ასპარეზზე და მსაჯთან მიიჭრა.

– ვინ ხარ, სად მოძვრები? – მსაჯმა შეათვალიერა ბურძგალია და უხეშად გაუმეორა: – სად მოძვრები? წესები გაგეგება?! საჭიდაოდ ყველა კი არ დაიშვება!

მიკვირს, მსაჯმა რატომ არ ასწია ფეხი და არ მონიშნა საჭიდაო ასპარეზი – უცხომ, ბურძგალიამ, ცხვირი არ შემოყოსო.

– წესები შენზე უკეთ მომეხსენება! – შეეპასუხა ბურძგალია.

– მასხრად გვიგდებ ვიდაცა ხარ... – გაბრაზებული იყო მსაჯი. – მოცილდი აქედან! – და ბურძგალიას ხელი ჰკრა.

– დაუშვით, დაუშვით! – ღრიალებდნენ მაყურებლები.

– ნუ ერები, ეს საშენო საქმე არაა! – ისევ შარზე იყო მსაჯი.

– შენ ეგ ნუ გადარდებს, 500 ვერცხლს ხომ ვდებ!

– მერე, ჭიდაობის ხერხები იცი?

– ხერხების მეტი რა მინახავს, დიდი საიდუმლო არაფერია! რაც საჭიროა, შესწავლილი და შეთვისებულიც მაქვს! – დასტურად ბურძგალიამ უცებ მსაჯს მხარში ხელი ჩააგდო, ფეხი გამოჰკრა და გადააკოტრილა.

ხალხი ახარხარდა, გაისმა სტვენა და მოწონების შეძახილები.

მსაჯი წამოხტა, ტანსაცმლის ფერთხვით დრო გაჰყავდა, უნდოდა, მოქმედების გეგმა მოეფიქრებინა, მაგრამ, ეტყობა, გადაგორებისას ყველა ფიქრი გზაში გაეფანტა და ვერაფერს მიაგნო.

– თქვენი პირობები? – უკვე თქვენობით მიმართა მსაჯმა ბურძგალიას, თან კიდევ უფრო გალოცვებული აკვირდებოდა – ნეტა ვინ არის ეს თავხედო.

– ჩვენი პირობა ასეთია: – ხმამაღლა, სხვათათვის გასაგონადაც უპასუხა ბურძგალიამ, – თითოეული მხარე ვდებთ ხუთას-ხუთას ვერცხლს, რომელიც მთლიანად მოგებულს გადაეცემა!

– მე მოვეთათბირები დაინტერესებულ პირებს! – გამოაცხადა მსაჯმა.

ღირეპტორი, მსაჯი და ნიღბოსანი განზე მიდგნენ, ერთმანეთში ჩურჩული გააბეს.

– თანახმა ვართ, ოღონდ ეს შერკინება უნდა შედგეს მომავალ შაბათს, მანამდე კი ხვალ, კვირას, გაიმართება უკვე გამოცხადებული შეჯიბრი ნიღბიანი უცნობისა სამ ახალ მეტოქესთან! ყველას გეპატიუებით, გთხოვთ, მობრძანდეთ!

– არა, ახლავე! – იყვირა ბურძგალიამ. – პირობას ნუ გადადიხართ!

ბურძგალიას რომ კული ჰქონოდა, დაბაგრავდა და ჯოხივით გაამაგრებდა – საბრძოლოდ აღზნებული, თვალებიდან სულ ნაპერწკლებს ჰყრიდა.

ციურკში ისეთი ღრიანცეკვი ატყდა, მეორედ მოსვლა ეგონებოდა კაცს.

– ახ-ლა-ვე, ახ-ლა-ვე!.. – გაჰყვიროდნენ მაყურებლები და თან რიტმულად ტაშსაც აყოლებდნენ. აქა-იქ სკამებსაც აუტეხეს ჭრიჭინი, ეტყობოდა, თუ მათ მოთხოვნას არ დააკმაყოფილებდნენ, შეიძლებოდა, მათი მტვრევაც დაეწყოთ და არც ღირეპტორსა და მსაჯს დაადგებოდათ კარგი დღე.

მე მრგვალი სარბიელის ბარიერის გასწვრივ დავბრუნდი და ყეფით საერთო აღტყინებას ვეხმიანებოდი.

შეფიქრიანებული ღირეპტორი, მსაჯი და ნიღბოსანი ისევ შეიკრიბნენ სათათბიროდ.

ბჭობა კარგა ხანს გაგრძელდა, მე სირბილითა და ყეფით ლამის დავიღალე. ბოლოს, მსაჯი გამოეყო დანარჩენებს და გამარჯვებულის იერით საზეიმოდ გამოაცხადა:

– თანახმა ვართ, ახლავე გაიმართოს ჭიდაობა, თუკი თითოეული მხარე ათას-ათას ვერცხლს ჩამოვა!

ახლა ბურძგალია შეფიქრიანდა.

მსაჯი დამცინავ ღიმილად დადნა:

– რას ბრძანებთ ჩვენს წინადადებაზე, პატივცემულო?

ბურძგალიას უნდოდა, ერთი გემრიელად შეეკურთხებინა და გემრიელი ალიყურიც ეჭმია დამცინავისთვის, მაგრამ მხოლოდ კბილები გაახრჭიალა, ხელი ჩაიქნია და ასპარეზიდან გასასვლელად დაიძრა.

მე მსაჯს სამჯერ შეუყეფე, მინდოდა, შარვალშიც გწვდომოდი, მაგრამ...

– მამაძაღლებო!.. თავხედებო!.. არაკაცებო!.. გაიძვერებო!.. – ხალხის აღშფოთებულმა შეძახილებმა და მადლა ამართულმა მუშტებმა ბურძგალია ისევ შეაბრუნა მსაჯისკენ:

– კარგი, მომავალ შაბათს ვიჭიდავებ და ვაი თქვენი ბრალი! – გადააბიჯა ბარიერს და ფეხბურთელებისკენ გაემართა.

მე ახლა ღირეპტორსა და ნიღბოსანს შეუყეფე და ბურძგალიას დავედევნე.

მაგრამ მან მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა მოასწრო – წინ გადაეღობა ძვირფასად ჩაცმული, თავმოტვლებილი, ღიპიანი კაცი:

– მოიცადე, ნუ ჩქარობ, ყმაწვილო!

– რა გნებავთ? – გაბრაზდა ბურძგალია, მერე სახეში შეხედა და გონს მოეგო: – ოჰ, დიდი ბოდიში, ბატონო პაპუნი, ნამეტანი უსინდისო ხალხს გადავეყარე!

– ნუ ცხარობ, გენაცვალე... აჰა, ხუთას ვერცხლს მე გაძლევ და თუ მოუგებ, დანარჩენი პატივისცემა ჩემზე იყოს! – ჯიბეში ჩაუკუჭა ფული პაპუნი პაპასკირაძემ.

გაოგნებულ ბურძგალიას ხმა ჩაუვარდა, აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, პაპუნი პაპასკირაძემ კი თითქმის ძალით შეატრიალა და ასპარეზისკენ უჯიკავა:

– აჩვენე მაგ ნაბიჭვარს, რა ხალხიც ცხოვრობს ფუთში!

მე აგხტი და პაპუნი მადლიერების ნიშნად ხელი გაგულოკე; მან თავზე გადამისვა ხელი. ლოყასა და მოტვლეპილ თავსაც გაგულოკავდი, მაგრამ ძალიან მაღალი იყო – ბურძგალიასა და ნიღბოსანზე მაღალიც კი!

* * *

ეს შაბათიც დადგა!

ცირკის დირექტორი კმაყოფილი იფშენებდა ხელებს – გაორმაგებული ფასის მიუხედავად, ცირკის დარბაზი მაყურებლებით ისე გაიჭედა, სუნთქვაც კი ჭირდა.

ჯერ რამდენიმე სხვა წყვილმა იჭიდავა. ახლოვდებოდა ნიღბიანისა და ბურძგალიას ჭიდაობის დრო, უფრო და უფრო მატულობდა ხმაური და დაძაბულობა მაყურებლებში.

და აჰა, ასპარეზზე ფიცხლად გამოვარდა საჭიდაო ტრიკოში გამოწყობილი ბურძგალია, ყველამ ტაში დასცხო და გაღიმებულმა ბურძგალიამ რამდენჯერმე ცეკვა-ცეკვით დაუარა წრეს.

ნიღბოსანი თავს იფასებდა, აგვიანებდა საჭიდაოდ გამოსვლას.

როცა ხალხის სტვენა-ღრიალმა ლამის ცირკს სახურავი ახადა, გადაიწია ფარდა და გამოჩნდა ნიღბოსანი; დაკუნთული მკერდის წინ წამოგდებით და მისალმების ნიშნად მაღლა ამართული მარჯვენის ქნევით, მედიდურად გაემართა ასპარეზისკენ. იქ უკვე ელოდნენ მსაჯი და მარცხენა ხელით დონჯ-შემოყრილი ბურძგალია.

მსაჯი მოსული ტანისა იყო და მასთან შედარებით ნიღბოსანი ბევრად ჯანიანი ჩანდა, ხოლო ბურძგალია... ბურძგალია თითქმის არც ჩანდა! იფიქრებდი, ბურძგალიაა მსაჯიო, თორემ თუ ნიღბოსანთან გაბედავდა შეჭიდებას, ვერაფრით წარმოიდგენდი!

მსაჯმა ჩასტვინა. ბურძგალია ელვასავით წინ გავარდა, შეუვარდა ფეხებში ნიღბოსანს და ბიძგით ისე სწრაფად გააგორა ხალიჩაზე, თვალის დახამხამება ვერ მოვასწართ.

სტვენა-ღრიალმა იქაურობა გააყრუა.

ყველაზე უფრო მსაჯი იჭაჭებოდა – სტვენდა და სტვენდა. მერე ბურძგალიასთან მივიდა და მკაცრად გააფრთხილა – სოფლის საჭიდაოზე ხომ არ გგონია თავი, ფრანგულ ჭიდაობაში მოწინააღმდეგის ფეხში ხელის ჩაფლება, საკუთარი ფეხის ხმარება კვანტისთვის, შუაკაურისთვის თუ სხვა ილეთებისთვის დაუშვებელია... თუ კიდევ გაბედავ ამგვარი ხერხის გამოყენებას, დისკვალიფიცირებულ იქნები და წაგებას ჩაგითვლიო...

მეტოქენი შეიბნენ. ნიღბოსანი, ეტყობა, გაბრაზებული იყო, რომ ასე უცებ, სასაცილოდ წამოაგორეს ხალიჩაზე – მართალია, წესების დარღვევით, მაგრამ მინც... გავეშებული ეცა ბურძგალიას, გრძელი მკლავები მარწუხებივით შემოაჭდო და მაღლა ატაცებას აპირებდა, მაგრამ ბურძგალიამ იმარჯვა, კალმახივით დაუსხლტა და გაშორდა.

ნიღბოსანი კიდევ მეტი გააფრთხილებით დაიძრა წინ, ბურძგალიამ კი არ მოუცადა მეტოქეს და გვერდზე გაეცალა – გაქანებული ნიღბოსანი ხალიჩიდან გადავიდა და კინაღამ წაიქცა.

ცირკში სიცილმა იფეთქა, ტაშიც დაუკრეს – ნიღბოსანს დასცინოდნენ, თუ ბურძგალიას მოხერხებულობით იყვნენ აღტაცებულნი, ძნელი სათქმელია.

ასე გრძელდებოდა კარგა ხანს – ნიღბოსანი დასდევდა ბურძგალიას და ვერაფრით ახერხებდა, რომ მკლავებში მკვიდრად მოექცია და თავისი უზომო ძალ-ღონით ხალიჩაზე გემრიელად დაებერტყებინა. ამ კატათავგობანას თამაშმა გვარიანად გაამხიარულა მაყურებლები, არ წყდებოდა სიცილი – ეს ჭიდაობა კი არა, ნაღდი საცირკო წარმოდგენააო...

ბოლოს, როგორც იქნა, ნიღბოსანი საწადელს ეწია – ბურძგალიას წელში შეუვარდა, ჩაბღუჯა და ის იყო, გამარჯვება უნდა ეხეიმა, რომ საოცრება მოხდა – ბურძგალიამ რაღაცნაირად იმარჯვა, ზორბა მეტოქე ჰაერში აიტაცა და... ერთ წამში ნიღბოსანმა ბეჭებით ხალიჩაზე ზღართანი მოადინა!

მსაჯმა ბურძგალიას მარჯვენა მაღლა აღმართა. ყურებჩამოყრილი ნიღბოსანი იქვე უნდილად იღა.

ხალხი ყვიროდა: “ნიღაბი ჩამოხსენი, რაღად უნდა!”, მაგრამ ბურძგალიამ არ იკადრა ამის გაკეთება...

რასაკვირველია, ბურძგალიას ჯილდო საზეიმოდ გადასცეს, ხოლო გახარებულმა პაპუნი პაპასკირაძემ მაშინვე თითიდან წაიძრო ძვირფასი ბეჭედი და აჩუქა.

ნიღბოსანმა შემდეგი შაბათისთვის გამოიწვია ბურძგალია საჭიდაოდ – რევანშის ასაღებად...

* * *

ბურძგალიას გაუფარდა სახელი ბეჭდაუდებელი ფალავნისა, უპირველესი კაცია ფუთში! ყველა ცდილობს მასთან დამეგობრებას, ყველა პატივს სცემს, ექაჩებიან საქეიფოდ: ზოგი – შინ და ზოგიც – სამიკიტნოში...

რამდენიმე დღეში გუგუნას სამიკიტნოს დიდ დარბაზში გამოფენილ ფოტოპორტრეტებს ბურძგალიასა და პაპუჩი პაპასკირაძის სურათებიც დაემატა! განსაკუთრებით კარგი იყო სახელგანთქმული მოჭიდავის ძველი ფოტო: ახალგაზრდა, ქორიანი, საჭიდაოდ გამოწყობილი პაპუჩის უსაშველოდ დაბერილი კუნთები საგანგებოდ მოხრილ მკლავებსა და დაჭიმულ ტანზე, თვით კი – თავაწეული, ამაყი მზერით სადღაც უსაშველოდ მადლა აზიდულ მწვერვალებს გაჰყურებს!

ბურძგალიასაც შეეძლო საგანგებოდ გადაეღო მსგავსი ფოტო, მაგრამ სადღაც ეცალა – მოუხდა გადაბმულ მიპატივებათაგან დროებით თავის არიდებაც, რადგან თვით გამართა დიდი ღვინო: ქალიშვილი, რომელსაც უიმედოდ ეტრფოდა, ახლა სინარულით გაჰყვა ცოლად – იმავე კვირაში საჩქაროდ ჯვარი დაიწერეს! ეს ამბავი ადვილად მოხერხდა, რამდენადაც საქორწინო კაბა იოლად იშოვნეს და აბა, თუ მიხვდებით, ბურძგალიას რჩეულს რომელი საქორწინო კაბა ეცვა? სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ქალბატონმა მასტრედამ არ იკადრა საზოგადოებრივ ასპარეზზე თავისაზე ბევრად დაბალ საფეხურზე მდგომი წყვილი გაებედნიერებინა მათ ქორწილში დასწრებით (თუმცა მისი ფოტოპორტრეტი პაპუჩისა და ბურძგალიას პორტრეტების გვერდით ეკიდა!), თორემ თვალნათლივ დარწმუნდებოდა, რომ ბურძგალიას რჩეულს ის საქორწინო კაბა ეცვა, რომელიც თვით მას ამშვენებდა სამიოდე წლის წინათ ბრწყინვალე თავად მურზაყან დიდგვარაძესთან შეუღლებისას... სწორედ ის მეორე საქორწინო კაბა, მოპარული ქინქლასა და პატარა თთარას მიერ ქალბატონ მასტრედის სახლიდან! (პირველი კაბა კი, როგორც ახსოვს ჩემს მკითხველს, ქალბატონ მასტრედისა ეცვა ფიშტოსთან მისი ჯვრისწერის დროს).

უტუ ბატონი განცვიფრებული იყო: ეს ბურძგალია რა მარჯვე ვიდაცა ყოფილა, მხოლოდ დიდი ღონე კი არა, დიდი ეშმაკობაც ჰქონიაო.

მაგრამ სულ მალე ბურძგალიამ კიდევ უფრო გააკვირვა უტუ ბატონი: დადგა შემდეგი შაბათიც და ბურძგალიამ... ნიღბოსანთან განმეორებით ჭიდაობაზე უარი განაცხადა!

– შენ, ბიძია, – შეუთვალა მეტოქეს, – დღეს ფუთში ჭიდაობ, ხვალ ქე წახვალ სხვაგან, მე კი აქ უნდა დავრჩე და თუ დაემარცხდი, ჩემს ქალაქში სახელშერცხვინილი როგორღა ვიცხოვრებ? ამიტომ ახალ შეხვედრაზე ნურც იოცნებებ!

ბურძგალიამ მოკიდა ხელი მეუღლეს და სასწრაფოდ თავის მშობლიურ სოფელში წავიდა – რძალი იქაურებს ხომ უნდა გაეცნო.

იმედგაცრუებული, გაბრაზებული მაყურებლები ცირკში შეიჭრნენ და კინაღამ იქაურობა დაანგრის, მხოლოდ პოლიციის სასწრაფო გამოძახებამ უშველა ცირკის მესვეურთ...

ბურძგალია მხოლოდ ერთი თვის შემდეგ დაბრუნდა ფუთს, როცა ნიღბოსანი მოჭიდავე უკვე კარგა ხნის გამგზავრებული იყო სხვაგან.

რამდენიმე ხნის შემდეგ ფუთში ჩამოვიდა სხვა სახელგანთქმული მოჭიდავე და ბურძგალიას თავყანისმცემლებმა ლამის თავი წააჭამეს თხოვნით – გამოიწვიე საჭიდაოდ და შენი სახელი კიდევ უფრო შემოსე დიდებითო.

– გაგიჟდით? – გაუმხილა საიდუმლო მეგობრებს ბურძგალიამ, – უცნობ ნიღბოსანთან მოლაპარაკებული ვიყავი, რომ პირველ შეხვედრაში დავამარცხებდი, შემდეგ მეორე შერკინებისას ის მომიგებდა, ასევე მესამედაც, როცა გადამწყვეტი ჭიდაობა გაიმართებოდა... სამაგიეროდ, ხალხი მოაწყდებოდა მეორე და მესამე შეხვედრებს: “ჩვენი ბურძგალია იჭიდავებს!”, “ნახე, ჩვენი ბურძგალია რას უზამს იმ ტილიანს, – 140 კილოს ტყუილად იწონის, ნეხვით სავსე ტომარაა!” და ცირკის მეპატრონე და მოჭიდავეებიც დიდად მოგებულნი დავრჩებოდით...

– მაშ ნიღბოსანმა ის შეხვედრა ძალად დათმო? – ჩაეძია ბებურ.

– აბა არა?! ცირკის მოჭიდავეებს ეხუმრებ? ცალი ხელით მომიგებდა – სულ თამაშ-თამაშ! პირველად რომ დამავლო ხელი, ვიფიქრე, მაყურებლებში ბურთივით მისვრის-მეთქი!

.....– ახლაც იგივე გაიმეორე! – შესთავაზა ფიშტომ.

– არა, ცირკის მეპატრონე მე მენდობა? დასაკლავად დამდევს! ერთი თვე სოფელში ვიმალე-ბოდი ფირალივით...

– რა გინდა, ძამა, მშვენიერი თაფლობის თვე გამოგივიდა! – გაეხუმრა ბებურ.

ბურძგალია შეეკედლა ფეხბურთელებს: მათთან მყოფს ვინ გაუბედავდა დაჩაგვრას! უფრო დაცვაში ათამაშებდნენ და არც უნანიათ – ვისაც კი ფეხი მოუქნია, ჰაერში გააფრინა!

კარი XXVIII. აქა ჯერ ბათომის მატარებელში, ხოლო შემდეგ – ქალაქში მომხდარი სამწუხარო, თან თავშესაქცევი ამბები

“ფუთელი ლომები” მიდიან სათამაშოდ სხვა ქალაქში – ბათომში! იქ საფეხბურთო გუნდთან “კახაბრელი ბულები” მაგარი შეხვედრა მოელოთ და მოგების დიდი იმედიც აქვთ!

ფუთის რკინიგზის სადგურში მატარებელი კარგა ხანს დგას, წასვლას არ ჩქარობს...

ბიჭები ხუმრობის ხასიათზე დადგნენ:

– რა დაემართა ჩვენს საყვარელ ორთქლმაგალს, კუჭი ხომ არ აქვდა? – დიდად შეწუხებულა ფიშტო.

– არა, შია, თივა არ დაუყარეს! – არ ეთანხმება ლოთია უღვაშა.

– ჩვენ რა გვეშველება, თორემ ჩვენზე მაძლარი კი იქნება და ინელებს! – ამბობს ცხვირა.

– ხომ არ მივაწვეთ? – მზადყოფნას გამოთქვამს ბურბაღია.

– მათრახი უნდა, მაგრამ მემანქანეს შინ დარჩენია! – იცინის ლოთია.

– მემანქანეს ხომ არ დაეძინა? – ისევ კითხულობს ფიშტო.

– მემანქანეს არ სცალია, გაქცეული ცოლის მოსაძებნად დარბის! – დარწმუნებით აცხადებს ბებურ კონკილა.

– ალბათ გაზეთს კითხულობს და დაავიწყდა, რომ წასასვლელი ვართ! – ამბობს მუგუზადა.

– არა, სიდედრს უცდის, სანამ ფერუმარილს წაისვამს – უიმისოდ წასვლას ვერ ბედავს! – ამბობს ფიშტო.

– მასტრედის ნათესავი იქნება უეჭველად! – იცინის ბებურ. – ჰა, რას იტყვი, ფიშტო?

– მასე რომ იყოს, უბილეთოდ წაგიყვანდით ყველას – ორთქლავლის ტენდერზე დაგსვამდით! – პასუხობს ფიშტო.

– ჩავიდოდი ბათომში მჭვარტლისგან ზანგებივით გაშავებულები და ხალხს დავაფრთხობდით – ეს ვინ ეშმაკები გამოგვეცხადნენო! – ამატებს მუგუზადა.

– ეგ უკეთესი იქნებოდა, ხომ იცი! – ხუმრობს ლოთია. – გავიდოდი მინდორზე როგორც აფრიკელების გუნდი, ხალხი მოასკდებოდა მოედანს ჩვენი თამაშის სანახავად! ისე, მუგუზადას-ნაირი ორი-სამი რომ გვყავდეს გუნდში, არ გვაწყენდა, ხომ იცი! ყველგან გავაგიჟებდით ხალხს!

– “შენც გურული, მეც გურული, ორივე ვართ მოდღურული...” – იწყებს სასიამოვნო ხმით ფიშტო და აგრძელებს: – ყველამ ერთად ვიმდეროთ! ახლებურად: “შენც გურული, მეც გურული, სუყველა ვართ მოდღურული!”

ფეხბურთელთაგან ნახევარს ბილეთი არ აქვს, ქესატად არიან და არ იციან, როგორ დაუპვრნენ კონტროლერების მახვილ მხერას; ვაგონში შემოსულ ყველა ახალშემოსულს შიშითა და მოლოდინით შეაცქერდებიან... თან მეც რომ წამომიყვანეს – გინდაც ყველას ბილეთი ჰქონოდა, ჯარიმას ვერ გადაურჩებოდნენ! ამიტომ დავცუნცულადი აქეთ-იქით, ვითომ უპატრონო ვიყავი.

ჩამოიარეს კონტროლერებმა. ორნი იყვნენ, ამიტომ ცოტა ძნელი კი იყო, მაგრამ ბიჭებმა მაინც მოახერხეს მათთვის თავგზის აბნევა – ერთმანეთს მოხერხებულად აწვდიდნენ ბილეთებს. მართალია, ატყდა ჩხუბი და დავიდარაბა, მაგრამ კონტროლერებს მაინც დაგუშვერით – ბილეთებზე ადგილები არ იყო აღნიშნული და მგზავრებიც თავისუფლად გადაადგილდებოდნენ...

სამწუხაროდ, ბებურ გამოიჭირეს, დაჯარიმებას უპირებდნენ, მაგრამ ფული რომ არ ჰქონდა? უტუ ბატონმა გელას უთხრა, გადაგვეხადა ეს ჯარიმა, მაგრამ რატომღაც კონტროლერები ისე იყვნენ აღრენილები მათი გაპამულებით, რომ უარი თქვეს სხვისგან ჯარიმის გადახდაზე, ბებურ წაიყვანეს და ჩაკეტეს კონდუქტორის კუპეში...

თურმე უარესი წინ გველოდა...

სანამ ვბჭობდით, როგორ გაგვენთავისუფლებინა ტყვეობიდან ბებურ, ვაგონში შემოვიდნენ სამნი; ამაყად, ამპარტავნულად, აუნქარებლად დაიარეს ვაგონი, ყველას გულდასმით აკვირდებოდნენ – ბიჭებს ფერფური წაუვიდათ, კიდევ ხომ არ გვისინჯავენ ბილეთებსო...

თხემით ტერფამდე ყველაფერი შავი აცვიათ – ბოხხეობით დაწყებული და გაკრიალებული ჩექმებით დამთავრებული. თვალები აქეთ მომწუსხავი, გამჭოლი, განსაკუთრებით – ერთს, შედარებით დაბალს; უფრო ხნიერიც ჩანს დანარჩენებზე – იქნება დაახლოებით 40 წლის; სუფთად პირგაპარსულია, ლოყებზე თითო ღრმა ნაოჭი ჩაუყვება და საერთოდ, მტკიცე ხასიათის მამაკაცის იერი აქვს. ორ მის ახალგაზრდა, ბრგე მხლებელს, თვალების ცეცებით რომ მიჰყვებიან უკან, რაღა დახასიათება სჭირდებათ – “ბელადის” აჩრდილები არიან და მეტი არაფერი, რაიმე ღირსშესანიშნავი მათ გარეგნობაში არ ჩანს, მხოლოდ წვერი კი მოუშვია ორივეს საკოხტოდ.

შევხედე თუ არა. მაშინვე ვიფიქრე, ესენი წმინდა წყლის ხალხი არ უნდა იყოს-მეთქი...

ერთხელ კიდევ რომ ჩაიარეს ვაგონი, ერთ-ერთ “კუპეში” შესასვლელთან გაჩერდნენ, სადაც რამდენიმე ჩვენი ბიჭი იჯდა, დაბალმა ბოხხი მოიხადა (მელოტი აღმოჩნდა!) და ხრინწიანი მბრძანებლური ხმით მიმართა უღვაშას, ლოთია ციხიძეს:

– ძალიან თუ არ შეგაწუხებ, პაწა გეიწიე, ძამა! – და ბიჭებს მიუჯდა.

მისი მხლებლები იქვე აიტუნენ – მეტი დასაჯდომი ადგილი აღარ იყო.

მელოტს ერთი შეგუდრინე, მინდოდა, გამეფრთხილებინა ბიჭები – ესენი ერთი შეხედვისთანავე არ მომეწონენ-მეთქი, მაგრამ ფიშტომ დამამშვიდა, თავზე ხელი გადამისვა, გამარჯა და სკამ-ლოგინის ქვეშ შემადგინა: მეტი ხმა აღარ ამოიღო, თორემ დაგვაჯარიმებენ და შენც შეიძლება, მატარებლიდან გარეთ გისროლონო.

მელოტი ენაწყლიანი აღმოჩნდა, ბიჭებს შეჰყვა ლაპარაკში და მოკლე ხანში ბანქოს ქაღალდი ამოიღო ჯიბიდან:

– მოდით, გავერთოთ, ბიძებო!

ერთხანს სიამოვნებით ატყაპუნებენ ქაღალდს შუაში ჩადგმულ ჩემოდანზე, შემდეგ მელოტმა შესთავაზა ბიჭებს:

– პაწა-პაწა ხომ არ გვეთამაშა გასართობად ხურდა ფულზე? ინტერესის გულობიზა!

არც ამაზე თქვეს უარი ბიჭებმა, თუმცა ჯობიერების მოჩხრეკა კი დასჭირდათ. ნელ-ნელა ახარტში შევიდნენ და ბიჭები ამ მელოტმა ერთიანად გაფტკვნა.

ბიჭებმა ამოიხვნეშეს – ისედაც ბევრი არაფერი ებადათ და ახლა სულ მთლად ხელცარიელნი დარჩნენ!

– ახლა მე მადროვეთ, ბანქოს თამაშში ჭიპი მაქვს მოჭრილი! – გაიქანა ბურბაგალია და მელოტს მიმართა: – მეგობარო, თანახმა ხარ, ტანსაცმელზე ვითამაშოთ?

– ფული აღარ გაქვთ? – უკმაყოფილო იყო მცირე ნადავლით მელოტი. – კეთილი, შენ იწყებ გახლას? მირჩევნია, ის მეორე დამიჯდეს – უკეთესი “ფინჯაკი” აცვია!

– ჯერ ადრეა იმაზე ლაპარაკი, ვინ ვის გახდის! – დიდ გულზე იყო ბურბაგალია. – იქნება სულ გაგხადო, რაც კი გაცვია; შენი “ფინჯაკი” მომწონს ძალიან, ხომ იცი, და სხვას არავის დაგანებებ!

უცნაურები არიან ადამიანები, რას არ მოიფიქრებენ... ძაღლებში რომ შემოვიდეს მოდაში ამგვარი თამაში, – გახდაზე, – ჩვენ რაღა უნდა ვქნათ? ბეწვის გაპარსვას ჩამოვიდეთ?

სკამის ქვეშ ღრმად შემძვრალი ვხედავდი მხოლოდ მოთამაშეთა ფეხებს, უფრო სწორედ – მათ შარვლებს, წაღებს და ჩექმებს. ცალ მხარეს ნელ-ნელა ჯერ ერთმა გაიძრო შარვალი, შემდეგ – მეორემ, მესამემ... მეორე ფეხსაცმელებიც ზედ მიჰყვა და გამოჩნდა ფეხბურთელთა შიშველი, ბალნიანი ფეხები – ერთის, მეორის, მესამის...

... როცა ბოლოს დარჩა მხოლოდ ერთი წყვილი ჩექმა და გაისმა მელოტის კმაყოფილი სიცილი, სასწრაფოდ გამოვძვერი, უტუ კამაბელიასთან მივცუნცულდი და ყვფით გული შევუწუხე – აღარ დაგეძებდი, თუნდაც მართლაც გადაგვედე კონტროლერებს მატარებლიდან; უტუ მიხვდა, იმ კუპეში ძალიან მნიშვნელოვანი ამბები ხდებოდა, მოვიდა და რას ხედავს: თითქმის მთელი გუნდი გახდილია; პერანგის ამხანაგის ამარა სხედან და აღარ იციან, რა უნდა ჰქნან...

მწურთნელი გაბრაზდა, ეს რა სისულელე გიქნიათო:

– მსოფლიოს რამდენ ნავსადგურში მითამაშია და ჩემი გუნდი არასდროს ყოფილა ასეთ საცოდავ დღეში... ბათუმის პლაჟზე ხომ არ გგონიათ თავი? თქვე ღლაპებო, ამ კაცს რომ ერთიანად გააფტკვნევიანეთ თავი, დროზე რატომ არ დამიძახეთ? უყურეთ ახლა, თქვე უდღეურებო, როგორ უნდა ნამდვილი თამაში! კარგად დააკვირდით და ისწავლეთ, ისწავლეთ! ეს არის მთავარი, დოკლაპიებო! მოგებული ფულით იქნებ ბებურ გამოვისყიდოთ კონტროლერების კლანჭებიდან!

მწურთნელმა ჯერ საკუთარი საფულე დააცარიელა, შემდეგ გელა მგელუკაშვილს გამოართვა და მომავალი თამაშის წინ დასადები ფსონიც წააგო, შემდეგ – მისი განუყრელი ძვირფასი ჩიბუხი, შემდეგ – ძალიან სწრაფად – ტანსაცმელიც...

...ქალაქში გუნდს დახვდა ვინმე თუ არა, ამაზე ვერაფერს მოგახსენებთ, რადგან მატარებლის გაჩერებისთანავე მთელი გუნდი სრული შემადგენლობით და მწურთნელის თავკაცობით ჩუმად გაიპარა ვაგონიდან, პერონის მოპირდაპირე მხრიდან...

და პირველი, ვისაც ვხედავთ – კბილებდაკრეჭილი და გუნდის ამგვარ მდგომარეობაში ხილვით ერთგვარად გაკვირებული ბებურია! თურმე მატარებლის გაჩერებას არ დაუცადა და ფანჯრიდან გადმოძრომით თავს უშველა!

– ბიჭებო, აქედან პირდაპირ სათამაშოდ მივდივართ?

ყველა ჩვენი კლუბის საფეხბურთო ფორმაში იყო გამოწყობილი და – იმას მაინც ვერ ჩექმებისა თუ წაღების მაგივრად საფეხბურთო ფეხსაცმელი ეცვათ ფეხზე; უტუ ბატონიც არ იყო გამონაკლისი; ის კი ვერ დაგადგინე, ვისი ბუცები ეცვა?

ერთადერთი ბებურ ილიმებოდა კმაყოფილი და დაცინვით გვაქებდა – მხოლოდ ის გადაურჩა მელოტის კლანჭებს.

ფეხბურთელების ამგვარად შემოსილების გასვლა ქალაქში მათ სასაცილო იერს აძლევდათ...

და, უხერხულობის დასაფარავად, ვითომ ვარჯიშს ატარებენო, ძუნძულით გარბოდნენ ქუჩაში, თან ერთმანეთს ბურთს აწოდებდნენ... მწურთნელიც დროდადრო სათანადო მითითებებს აძლევდა, ასე რომ, წვრთნა ფრიად ნაყოფიერად მიმდინარეობდა და სხვა წვრთნებისგან იმითაც განსხვავდებოდა (გარდა ადგილისა), რომ მწურთნელს განუყრელი ჩიბუხი არ ჰქონდა გარჩილი პირში!

მთელი ქალაქის ბიჭბუჭობა აგვედევნა და დიდებიც კი გაოცებით შესცქეროდნენ ახალგაზრდებს და ორ შედარებით ხნიერსაც, ნიფხვის ამარა რომ მირბოდნენ ქუჩაში, თან ბურთს ათამაშებდნენ, უკან კი ძაღლი მისდევდათ მხიარული ყვფით – ნეტავ ცირკი ჩამოვიდა ქალაქში, თუ ამდენი კაცი ერთად გადასცდა ჭკუას, ნეტავ რა მიზეზითო...

ბიჭები ამ გაჭირვების დროსაც კი არ იშლიდნენ ხუმრობას.

– იმ მამაძაღლ მელოტს რად უნდა ამდენი ჩოხა-ახალუხი, ერთი არ ეყოფოდა? – ამბობს ლოთია უღვაშა. – ან ამდენ სხვადასხვა ზომის ჩექმებს რას უზამს?

– მაღაზიას გახსნის! – უხსნის ფიშტო.

– ჩვენ რა გვეშველება, ფიშტო, თორემ შენ რა გიჭირს, მასტის ჩოხა-ახალუხები კიდევ აქვს შემონახული! – იცინის ბებურ.

– ნიფხვის ამარა სულ კუნტრუშ-კუნტრუშით მოუწევს ფუთს დაბრუნება, – ამბობს ლოთია უღვამა. – კარგი ვარჯიშიც გამოუვა!

გავედით ზღვის ნაპირას, აქ მაინც ავცდებით ცნობისმოყვარე თვალებს...

ვიბანავეთ, ვიცურავეთ, მგლებივით მოგვეშვიდა – როგორღა გინდა, ბიჭებმა საათნახეგარი ირბინონ მოედანზე? თამაშზე უარის თქმას მაინც არ აპირებდნენ, უსათუოდ კი უნდა მოიგონ – წაგების შემთხვევაში ნასესხებ ფულსაც უნდა გამოემშვიდობონ... თუმცა – ეს ფული რომ აღარ აქვთ, კიდევ სადღა ისესხონ უცხო ქალაქში?

ნაწვიმარია, თხელი ნისლი დაბორილობს მთელ ქალაქში და ჩვენს არცთუ მხიარულ განწყობას კიდევ უფრო ამძაფრებს. ოდნავ გვახალისებს სწორ, დარეცხილ, სუფთა ქუჩებში ჩამწკრივებული ორ-სამსართულიანი ქათქათა თეთრი სახლები, მწვანედ დახავსებული ქვის ღობეები, პალმები, დაფინსა და თეთრი თუ ვარდისფერი ყვავილებით დამშვენებული ოლეანდრის ბუჩქები, აყვავებული კამელიები და უზარმაზარი მაგნოლიები, ხასხასა მწვანე ევკალიპტები, იაპონური აკაცია, ქაფურის, კანფეტის და სხვა უცხო ჯიშის ხეები, მათზე და სახლთა აივნების ბოძებზე აბობლებული სურო, აგრეთვე – ცისვაზის ანუ გლიცინიის ლიანები, დამშვენებულნი იასამინისფერი ყვავილების ზღვით...

სასუზმე-ყავახანების გვერდით გავლისას ისეთი სუნი გვეცემა ნესტოებში, ლამის წავიქცეთ...

დათქმულ დროს მივედით თუ მივხანხალდით სათამაშო ადგილას მტკიცე გადაწყვეტილებით – ან მოგება, ან სიკვდილი! თუ მოვიგებთ, კარგად გამოვძლებით, ბიჭები შეძლებენ ტანსაცმლის ყიდვასაც, გზის ფულიც დარჩებათ ალბათ... მაგრამ თამაშის დაწყებამდე ფული რომ უნდა შეიტანონ?! საბედნიეროდ, მასპინძლებს ამ პირობის შესრულება თავიდანვე არ გაახსენდათ, მწვრთნელს, უტუ კამპბელიას კი ფერფური მისდიოდა – ან ახლა შემახსენებენ, ფული დადეთო, ან ახლაო... ალბათ სტუმრები რომ ფეხშიშველები გამოცხადდნენ, იმდენად გააოცათ, დათქმული ბეს მოთხოვნა დაავიწყდათ...

ბოლოს გაირკვა, რომ მავანს უკვე შეუტანია ეს თანხა – ვიღაც უცნობს! ალბათ იმდენად გატაცებულია ფეხბურთით, რომ თამაშის ჩაშლა არ ისურვას; იქნებ საკმაოდ ფსონიც დადო ფუთელთა მოგებაზე...

და ის უცნობი არც შემცდარა!

გაჰკრეს თუ არა ბურთს, “ლომები” მაშინვე შეტევაზე გადავიდნენ...

და ფუთელებმა მასპინძელთა გუნდს სულ ბდღვირი ადინეს: მოიგეს მაჩი – 0 : 4! არადა, მასპინძლების გუნდი “კახაბრელი ბულები” საკმაოდ ძლიერი იყო და არავინ ელოდა მათი ასეთი ანგარიშით განადგურებას.

შეხვედრა შედგა სადღაც გადაკარგულ გარეუბანში, ნახევრად ჭანჭყობ მინდორზე, სულ რომ ფეხი უცურდებოდათ ფეხბურთელებს და წამდაწუმ გადაკოტრილდებოდნენ. თამაშის დაწყებიდან ცოტა ხანში ყველანი ისეთი ამოგანგლულები იყვნენ ლაფში, რომ ფორმა ერთნაირი ფერისა ჰქონდა ორივე გუნდის მოთამაშეებს – ტალახისფერი... ერთმანეთს ვეღარ სცნობდნენ და მხოლოდ იმით ხვდებოდნენ, ვინ თავისიანი იყო და ვინ – მოწინააღმდეგე, თუ საით მიჰქონდა ბურთი...

მსაჯი არ აპირებდა მაჩის დამთავრებას, თუმცა სათამაშო დრო კარგა ხნის წინ გასრულდა, რის იმედი ჰქონდა ნეტავ, ოთხი ბურთის გაქვითვის?

გაბრაზებული ფიშტო ჯერ მსაჯთან მივარდნას აპირებდა, მაგრამ ბედად ამ დროს ბურთი მიუგორდა და ისე გლიჯა თავისი სახელგანთქმული ცაცია ფეხი, რომ ბურთი გასკდა!..

მასპინძლებმა მაშინვე მოაცუნცულეს მეორე ბურთი და თამაში განახლდა, მაგრამ მცირე ხნით – როგორც კი “ლომებმა” ბურთი მიიღეს, მაშინვე ფიშტოს გადააწოდეს, მანაც არ დაახანა და ჩვეული დარტყმით ეს ბურთიც წინას გზას გაუყენა... იგივე ბედი ეწია მესამე ბურთსაც!

როგორც ჩანს, მეტი ბურთი აღარ ჰქონდათ და მსაჯი იძულებული გახდა, თამაში დამთავრებულიად გამოეცხადებინა...

– ამათ გუნდს სახელად “კახაბრელი ბაყაყები” უფრო მოუხდებოდა! – ხუმრობდა კმაყოფილი ბებურ, რომელმაც ორი ბურთის შეგდება შეძლო და, როგორც იქნა, უტუ ბატონისგან ქებაც დაიმსახურა.

უტუ ბატონმა ფიშტოც არ დაივიწყა:

– რა მაგარი ხარ, ფიშტო ბატონო! ორი ბურთი შეაგდე და სამი გახეთქე!

– ეტყობა, სამივე ბურთი მამია მეჯღანის შეკერილი იყო! – გაიცინა ფიშტომ.

მაგრამ მაღე უტუ ბატონს და სხვა ფუთელებსაც მთლად წაუხდათ გუნება-განწყობილება – თამაშის შემდეგ მასპინძლები შარზე იყვნენ და მეგობრული წვეულების გამართვაზე რომ აღარაფერი ვთქვამთ, მაჩის მოგების ფულსაც არ იძლეოდნენ:

– ხვალ თავიდან ვითამაშოთ, ახალ ბურთს მოვიტანთ!

– თქვენს გუნდში ერთი ინგლისელი თამაშობდა და ორი გოლიც კი გაიტანა!

– რაღაც მოჩვენებები ხომ არ დაგეწყით, შარზე ხართ? რომელი ინგლისელია ბებურ, თუ არ გჯერათ, გასინჯეთ: მეგრულად წყალივით ლაპარაკობს! – გაგიჟებას იყო გელა მგელუკაშვილი.

– ერთი ბურთი არასწორად შეაგდეთ, დამცველი ხელის კერით ჩამოიცილეთ!

– დანარჩენი სამი გოლი მაინც ჩაგვითვალეთ! – ამუნათებდა “კახაბრელებს” უტუ ბატონი.

კარგა ხნის კამათის შემდეგ, თითქოს “კახაბრელები” დავარწმუნეთ ჩვენს სიმართლეში, მაგრამ მასპინძელთაგან ერთი გამოდგა უტეხი, თანაც გადამწყვეტი სიტყვა თურმე მას ეკუთვნოდა, – გუნდის საქმიეების გამგებელი, ვინმე ბაჭუა ბაჭაჭყინაძე, – არაფრით თანხმდებოდა მოგებულთათვის დათქმული ფულის გადახდას – როგორც გავიგეთ, საკუთარი გუნდის მოგების დიდი იმედი ჰქონდა, დიდი ფსონიც დადო და წააგო!

დანარჩენი მასპინძლები ამუნათებდნენ:

– ალაბიბალი გადირიე, აქუშტვა მინდომე? – მთლად გაგიჟდი, სტუმრებისთვის მოგებულის წართმევა გინდაო? სირცხვილია პირის გატეხვა, გადაგუხადოთო, მაგრამ – ამოლო...

ბოლოს, შესთავაზეს ბაჭუას:

– დღეს მივცეთ ფული, ჭოვ, ღირსეულად გაიმარჯვეს და მერე, მოკლე ხანში, ისევ ვეთამაშოთ!

– არა! სახლ-კარი გინდათ, გამაყიდვინოთ?..

კიდევ კარგი, ფიცხი ფიშტო დროზე მოაცილეს დავის ადგილს, თორემ უფრო დიდ უსიამოვნებასაც არ აცდებოდნენ...

* * *

ზეცა შავი ღრუბლებით დაიფარა, ჭექა-ქუხილსა და წვიმის ღვართქაფის შხუილში, დაძმარულნი მივჩანხალბდით კოჭლობა-კოჭლობით იმ გარეუბნიდან, ბიჭებს ყველას ფეხები სტკიოდა – ასეთ უბედურ ტალახში ვინ გიჟი თამაშობს ფეხბურთს? შინ მიმავალ გაწბილებულ მაყურებელთ ვერიდებოდით – გინებისა და მწარედ გადაფურთხების ბარაქიანი მოსავალი იყო...

პირში ჩალაგამოვლებულმა, მშიერ-მწყურვალმა, ჩაუცმელმა “ლომებმა” ჯერ ზღვაში ჩამოიბანეს ტალახი და ოფლი, შემდგომ გაჭირვებით მივადწიეთ სადგურამდე – იქნებ როგორმე ჩავიდნენ მშობლიურ ქალაქში, დეპეშის ფულიც კი არ აქვთ! იქნებ ვაგონის სახურავზე აძრომა და ისე მგზავრობა მოუწიოთ!

და ამ დროს, არცთუ სასიამოვნო ფიქრებში გართულებს, ვიდაც ახალგაზრდამ მიაკითხა და უთხრა:

– ბატონებო, თქვენთვის სასტუმროში ნომრები უკვე დაჯავშნულია და იქ გელიან!

ფეხბურთელები, გაკვირვებულები, გამოვიდნენ სადგურის შენობიდან...

ხუთი ფაეტონი გამწყვირებულა ქუჩაში და მათ ელით...

უცებ წვიმამ გადაიღო, საღამოს ცაზე ჩამავალი მზე წითლად ბრდღვიალებს, ვარდ-ბაღნარი ნაზ სურნელს აფრქვევს პირდაბანილ ქალაქში...

სასტუმროს საბანკეტო დარბაზში ზღაპრული სუფრაა გაშლილი და თამადის ადგილზე მათ ელის... ჩვენი ძველი ნაცნობი – ბანქოს თამაშის ვირტუოზი, შაოსანი მელოტი! სხვათა შორის, ისიც და მისი ამხანაგებიც ამჯერად ფუთელთა საფეხბურთო ფორმაში არიან გამოწყობილნი!

– ბოდიში, ბატონებო, ჩემგან ეგ პატარა ხუმრობა იყო! – წამოდგა, ღიმილით შემოეგება ფეხბურთელებს და ყველას სათითაოდ ჩამოართვა ხელი: – კოტეტი კოტიტიძე... კოტეტი... კოტეტი... შემოგუსხდეთ ამ ღარიბულ სუფრას, ოღონდ ერთი პირობით – ყველანი ფეხბურთელის ფორმაში გამოწყობილები ვიქნებით! დავანახოთ ბათომელებს: მხოლოდ ფეხბურთის თამაშში კი არ ვართ მაგრები, ლაზათიანი ღხინიც ვიცით ფუთელებმა!

თურმე ეს კოტეტი კოტიტიძე და მისი თანმხლები ავანაგანნი ფუთელები ყოფილან და ისე აღფრთოვანებულან თანაქალაქელთა ოსტატური თამაშით, რომ მათთან საღხინო სუფრაზე ყოფნა მოსურვებიათ...

კოტეტი, გარკვეულ წრეებში ფრიად სახელგანთქმული ბანქოს თამაშის დიდოსტატი, მეტსახელად – კოტიტა, და მისი ამფსონები მატარებლებში და ბაზრობებში დადიან დოყლაპიებზე სანადიროდ, ამჯერად კი მათ ფეხბურთის ოსტატებიც დააფასეს – დიდებული სუფრა, დიდებული მოღხენა და დიდებული გადაბმული “მრავალჯამიერი” დილამდე...

– სხვა რამისთვისაც მინდა, ბოდიში მოგიხადოთ, ბატონებო! – თქვა კოტეტიმ. – ჩემი საქმიანობის გამო ხშირად ვმოგზაურობ და ამიტომ, სამწუხაროდ, ხშირად ვერ ვესწრები თქვენი გუნდის შეხვედრებს... ამიტომ მატარებელშიც ვერ გიცანით... ბათომში თქვენმა თამაშმა კი დიდად მასიამოვნა და შევეცდები, თქვენც ისიამოვნოთ ამ სუფრაზე.

პირველად მოხდა, რომ უტუ ბატონი არ გაჯავრდა: “რა უბედურებაა, ყოველი მანის შემდეგ გაშლილი სუფრა!” და სადღეგრძელოებსაც დიდი სიამოვნებით უერთდებოდა!

ღხინის დასასრულს კი კოტეტიმ უტუ ბატონს გაუმხილა:

– ძამა, ფეხბურთის გიჟი ვარ! ახლა ჩემი ფეხბურთელობა რაღა დროსია, მარა თვრამეტი წლის ტყუპი ბიჭები მყავს, ჩემსავით ფეხბურთზე გადარეულები და იქნებ მიიღო შენს გუნდში ჩემი ლომები, ჰა?

ჩვენი დიდებული თხრობა რომ გადაბმულ-გაჭიანურებული არ გამოგვივიდეს, აქ ღავსვით წერტილი.

კარი XXIX. აქა ამბავი ფუთელი პოეტის ლექსო (ჯამბაკურ) ჯამილოკიაშილისა

აჰა, როგორც იქნა, აქამდე მრავალგზის ნახსენებ ლექსოს შესახებ შემიძლია, ორიოდ სიტყვა მოგახსენო, საყვარელო.

არცერთი ჩვენი მაჩი არ ჩატარებულა გაზეთ “ფუთური ფართიფურთი” ფურცლებზე ასახვის გარეშე!

მატარებელსა და ბათომში ჩვენს თავს განდენილი ფათერაკიანი ამბებიც იქნა გამოჭენებული ფუთის საქალაქო გაზეთში. ისე წვრილად იყო მოთხრობილი ყველაფერი, რომ ძალიან გაგვიკვირდა, ნეტავ ვინ იყო ის უჩინმაჩინი, რომელმაც ყოველივე თვალნათლივ ნახა, ერთი წვრილმანიც კი არ გამოუტოვებია და ცოტა ზედმეტად გაუმუქებია კიდევცო...

გაზეთში ჩვენი გამომჭენებელი წერილს “კომბალას” სახელს აწერდა.

მოგეხსენება, ქვეყნად არაფერი იმალება და ამ ფსევდონიმს ამოფარებული პიროვნების დადგენა არ გასჭირვებია გელა მგელუკაშილის – საკმარისი იყო, დადაშ ჩანჩალია დაეპატიუნა გუგუნა კუნკულიას დუქანში “მობრძანდი, გენაცვალე!”. იგი ფუთში საკმაოდ ცნობილი პიროვნება აღმოჩნდა, კერძოდ იმითაც, რომ მისი ყბების გამძლეობა ხშირად გამხდარა ბევრი ფუთელის მუშტისთვის საგარჯიშო.

ამჟამად იგი თურმე პოეტობს და ჟურნალისტობს ადგილობრივ გაზეთში. ადრე სახელად ჯამბაკურ ერქვა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ლექსის თხზვის მაცდური ჭია შეუჩნდა და მის სულს სულ ღრღინს და ძილშიც არ ასვენებს, ახალი სახელი დაირქვა – ლექსო; საშინლად სწყინს, თუ ვინმე ძველი სახელით მოიხსენიებს და ცხარედ შეეპაექრება, მე ჯამბაკურ კი არა, ლექსო მქვიაო. საკუთარ პოეტურ ნაღვაწს ხომ, რა თქმა უნდა, ლექსოს აწერს, – გვარის გარეშე, – გამორჩეული პოეტი ვარ და გვარი რა საჭიროა, ფუთში ისედაც ყველა მიცნობსო.

ადრე:

ერთხანს მეწისქვილე იყო და რამდენჯერმე გალახეს – რატომ ცუდად ფქვაგო;

მერე ქალაქს დასახლდა, ფოტოგრაფობდა და ამჯერადაც რამდენჯერმე სცემეს – რატომ არ ვგავართ სურათში, ჩვენ ბევრად ლამაზები ვართო;

მერე მოყვარულთა დრამატულ წრეში მოღვაწეობდა და ყველას გულს ურევდა უნიჭო თამაშით; ერთმა მაყურებელმა ვერ მოითმინა და სცენაზე აუვარდა, ყბაში გაულაწუნა: მეორედ აქ არ დაგინახო, მხოლოდ სცენაზე კი არა, დარბაზშიც, თორემ ცოცხალი ვერ გადამირჩებიო...

ახლა:

პოეტობს; ურბანიზმი და მისი პოეტიზაცია – მისი საყვარელი ასპარეზია პეგასზე ამხედრებული ლექსოს ჭენებისას. ჯერ უმღეროდა ველოსიპედს, შემდეგ – ავტომობილის შემოსვლას ფუთში, მუნჯი სინემატოგრაფის ხიბლს, გრამოფონის ძლევაგამოსილ შემოჭრას, აეროპლანით გაფრენას – ადამიანის მიერ საჰაერო სტიქიონის ძლევაგამოსილ დაპყრობას!

სხვა თემებსაც უხდიდა ხარკს – სპირიტიზმს, ლელობურთს, ცხენოსნობას – დოღს, მარულას, ისინდს...

ამ ბოლო დროს ლექსო გაიტაცა სატრფიალო პოემების წერამ, რატომ და რისთვის – უცნობი გახლავთ მისთვისაც: შეყვარებული არასდროს ყოფილა და ცოლს კი ამ ერთი წლის წინ გაეყარა – თავი დიდ პოეტად მიაჩნია და ყველაფერი უნდა მოცილოდეს თავიდან, რაც კი მაღალი ხელოვნების თავდაუზოგავ მსახურებას ხელს ოდნავად მაინც ხელს შეუშლის!.. გაუნათლებელი ქალი, რომელიც ოდნავად არ აფასებდა მის ნიჭს, რა პოეტის შესაფერისი იყო, რაც მთავარია – ცოლი ჯიუტად უწოდებდა ჯამბაკურს!

შესაძლოა, მიზეზი ყველაფრისა – სატრფიალო პოემების წერისა და ცოლთან გაყრისა – სხვაც იყო: სრულყოფილი სილამაზისა და უნაკლო თვისებების მატარებელ წარმოსახვით სატრფოს ეგლებოდა თავს...

ერთხელ მეტისმეტად შეტოვა სიყვარულის მორევში – გამოაცხო მოზრდილი, საოცარი მგზნებარებით დამუხტული და გრძნობის სიმხურვალით გაჯერებული დიდი პოემა სათაურით “კეკელო”!

იმავე დღეს, როცა პოემა გამოქვეყნდა ფუთის გაზეთში, ხუთმა მოქალაქემ გამოთქვა თუ გამომჟღავნა დაუოკებელი სურვილი – მოეხინჯა საკუთარი მუშტების სიმტკიცე პოეტის ფაფუკი ლოყების მიდამოში თუ ყბებში.

ოთხი ფუთელი მოქალაქის ცოლს ნამდვილად ერქვა სახელად კეკე თუ კეკელო და მათი ქმრების საქციელი მეტ-ნაკლებად გასაგებია (თუშცა, როცა ამდენი კეკეს თუ კეკელოს კაიქალო-

ბაში ერთდროულად შეაქვთ ეჭვი, მეტად საეჭვოა, რომ პოემის ავტორი დავადასაშაულოთ ცილისწამებაში, ხომ მეთანხმებით?), ხოლო მეხუთე ფუთელი რაღამ გაანაწყენა, მის ცოლს ხომ ციცინო ერქვა? აჰა, ვხვდები, ჩვენი პოეტის გატყვევის ერთგვარი საბაბი მაინც ჰქონია – ამ ფუთელის ქალიშვილს ჰქვია თურმე კეკელო!

უფრო მეტი უცნაურობის მოწმეც გავხდით: ფუთის პოლიციის უფროსმა მამუკელა პეტელეიშვილმა ჩვენი პოეტი ხომ საკადრისად დაასაჩუქრა ლანძვარებით გაჯერებული ნარჩვეი სიძლიერის მუქართა და რკინის ნალით მოჭედილი ჩექმით წიხლის რტყმევით, ესეც არ აკმარა და დამატებით დილეგშიც დაამწყვდია:

– მანამ არ გამოვიშვებ, სანამ არ დაწერ შენს დამპაღ გაზეთში, რომ შენს მყრალ პოემაში ჩემს ცოლს გუგულის არ გულისხმობ!

– ღრმად პატივცემულო ბატონო ჩემო, – ლამის ატირდა პოეტი. – რაღაც სახელი ხომ უნდა დამერქმია...

– მერე, რაღა კეკელო დაარქვი?!

– კეკელო და გუგულის ხომ სულ სხვადასხვა სახელებია, ბატონო ჩემო...

– დიახ, შე მამაძაღლო და თაღლითო, შენი მოსატყუებელი კბილი, რა ხანია, გამოვიცვალე: შენ დაწერე “კეკელო” და იგულისხმე “გუგულის”!

– ათასი და ათი ათასი ბრწყინვალე ბოდიში მომირთმევია ლამაზი ლანგრით, ღრმად პატივცემულო ბრწყინვალე ბატონო ჩემო, რატომ ფიქრობთ, რომ თქვენს სათნო ცოლს ვგულისხმობდი? სად ჩანს თქვენი ეჭვის სამართლიანობა?

– აჰა, ხომ გამოვიტყირე! ორივე სახელში ტყუილად კი არ არის ექვს-ექვსი ასო, თანაც ორივეში სამ-სამი ხმოვანი და სამ-სამი თანხმოვანია! სად გაექცევი ამ უტყუარ საბუთს?!

– კეთილი, ნამდვილად და სავსებით პატივცემულო ბატონო უფროსო ჩემო, ყაბულსა ვარ, რკინის საბუთია, თუმცა ოქრომდე ბევრი უკლია... ჩემი ხელოვნების ჭეშმარიტი სიღრმეების უბადლო მჭვრეტელო და სათნო ზრახვების ჩამწვდომო კეთილისმყოფელო ძმაგ და მეგობარო, თქვენის უზენაესი ნებითა და მოწყალე ნებართვით, პოემაში “კეკელოს” სახელს შეგცვლი, მით უმეტეს, რომ სხვა თქვენსავით პატივცემული, ბოდიში – დიდად პატივცემული, უადრესად პატივსაცემი და ჭეშმარიტად ღირსეული მოქალაქენიც უეჭველად და სრული საბუთიანობით უკმაყოფილონი არიან ხსენებული პოემის სახელით... თქვენ რა სახელს ისურვებდით?

– ჯანდაბას შენი თავი, ეს საფიქრალიც მე უნდა ამკიდო, სხვა საქმე გამომელია? ქალაქში ჯანყია ამ სულელური ახალი თამაშის გამო, შენ კი გინდა, ახალი თავსატეხი გამიჩინო, თავხედო! ჰო, არ დამავიწყდეს, ის ფეხბურთელი, მუგუზაა, ჩემი ხალხის მიერ დაზუსტებული ცნობით, თურმე სინამდვილეში არჯევან ჯანყია ყოფილა და უნდა დავიჭირო უეჭველად – მეტად საეჭვო გვარი აქვს! ისე, მე რომ მკითხო, არც მისი მეტსახელია უფრო სანდო, ემანდ ჯანყის დაწყების ნაპერწკალი მისგან ხომ არ მოდის?

ახლა კი ლექსოს შემოქმედებაში, – ჩვენი მღვდლვარე დროის თანმდეგ და ფეხის ამყოლ სულის ამაფორიანებელ დუღილში, – ფეხბურთმა თითქმის სულ განდევნა სხვა ყველაფერი და ყოველივე – ლექსო დღეში რამდენიმე ლექსს მაინც უძღვნის საყვარელ თამაშს!

გავგახსენდა: ბატონი ლექსო ხომ მზეჭაბუკის ცრუ სახელით, უკვე რა ხანია, გუნდს ყველგან ჩრდილივით დანდევდა, აქაოდა მხურვალე გულშემატკივარი ვარო... “ფუთელი ლომების” მიერ ჩატარებულ სულ პირველ მანსაც იგი გამოეხმაურა დიდ წერილით, რომელსაც სათაურად ჰქონდა: “ფუთფუთებს ფუთი – ფეხბურთი, ფეხბურთი!”. დიდი პოეტი ბათომშიც გვახლდა და გულს გვიწყალებდა საკუთარი გენიოსური ლექსების ხმამაღალი კითხვით...

როცა ლექსო, იგივე ჯამბაკურ ჯამილოკიაშვილი ისევე გამოჩნდა, მისთვის კაციშვილს გადაბრუნებული სიტყვა არ უკადრებია. უტუ ბატონს ამგვარად გაეცნო:

– მე ის ვარ, ვინც თქვენი გუნდის თამაში ერთიც არ გამომიტოვებია და მერე “ფუთურ ფართიფურთში” მათ შესახებ წერილებს ვაქვეყნებ! ვაპირებ ჩვენი საყვარელი გუნდის “ფუთელი ლომები” ჰიმნიც შევქმნა!

უტუ ბატონმა მამაშვილურად დაარია:

– ეტყობა, პირველად ჩვენზე მოსინჯე ძალები, ფეხბურთის შესახებ წერა ადვილი საქმე გგონია. ნუ გეწყინება და გეტყვი: სხვა ამბების შესახებ რომ აწრიპინო კალმი, ბევრად უკეთესო იქნება!

ზოგიერთმა ფეხბურთელმა მოინდომა, სხვათა მრავალთა მსგავსად, მოესინჯა, რა ხმას გამოსცემდა მის ფაფუკ ლოყებზე გემრიელი სილის ჭმევა, მაგრამ უტუმ არ ჰქნა: მაგ კაცმა ავად თუ კარგად საჩვენო საქმე გააკეთა, ჩვენი სახელი ერთხელ კიდევ გამოაბრწყინაო; მართალია, ცოტა ვერ მოზომა ალაგ-ალაგ, მაგრამ ეგ უნდა ვაპატიოთ, ცუდი განზრახვით არ მოსვლიაო; თქვენც ხომ ხშირ-ხშირად ვერ მოზომათო ხოლმე ბურთზე დარტყმას და ბურთს კარს აცილებთო...

ლექსომ, იგივე – ჯამბაკურ ჯამილოკიაშვილმა, ფეხბურთელობაც მოინდომა, მაგრამ ვერ მიართვეს – ასეთი ფათერაკიანი და უიღბლო კაცი არ გამოგადგებაო. დიდხანს ეღიჭინა უტუ ბატონს:

– ჩამრიცხეთ თქვენს გუნდში, გამსინჯეთ, იქნებ დიდ ფეხბურთელს ჰკრავთ ხელს! მე ხომ ფეხბურთით ვსუნთქავ, ეს მაინც გაითვალისწინეთ! შეხედეთ, პატივცემულო, ჩვენი გამოჩენილი ფეხბურთელის აჩივო რთვადიას ფეხს მთელი პოემა ვუძღვენი “ფიშტოს რკინის ცაცია”!

ბოლოს, ლექსომ უტუ ბატონი დაიყოლია და პირველსავე შეხვედრაში ლამაზი გოლიც გაიტანა... საკუთარ კარში!

კარი XXX. აქა სწორუპოვარი ფუთელი ქურდის ბაცაცინოს ამბავი

ბათომში ჩვენი გუნდის ბრწყინვალე მოგებას მოკლე ხანში ერთი ფრიად უცნაური ამბავი დაერთო.

ერთხელ ქალაქში წანწალისას ყური მოგვკარი: სახელგანთქმულ ქურდ ბაცაცინოს სთხოვენ, კარგა მოზრდილ თანხად, ჩვენი გუნდის გეგმები მოიპაროსო – შემადგენლობა, წვრთნის მეთოდოლოგია, ფეხბურთელთა ინდივიდუალური მაჩვენებლები და სხვა.

სანამ მოგიტხრობთ, როგორ გაართვა თავი ამ დავალებას საქვეყნოდ ცნობილმა ქურდმა ბაცაცინომ, მანამდე მის პიროვნებას გაგაცნობთ, აგრეთვე – მის ერთ-ერთ გამირობაზეც მოკლედ მოგახსენებთ.

სახელგანთქმულ ქურდბაცაცინოს უსაშველოდ გრძელი, გრძელთაგრძელი თითები აქვს, ფრიად მოსახერხებელი მისი ფრიად პატივსაცემი პროფესიული მოღვაწეობისთვის. მისი ცხვირი ბარე სამ კაცს ეყოფა და ნაწილი კიდევ დარჩება. ლამაზი ცოლი ჰყავს, რომელმაც აჩუქა 12 შვილი – სულ ბიჭები, ისინიც მალეები იზრდებიან და გრძელ თითებიანებიც; ასე რომ, ბაცაცინოს სადარდებელი არაფერი აქვს – შესაბამისი ანუ საკადრისი ცვლა ეზრდება.

სახელგანთქმულმა ქურდმა ბაცაცინომ დიდების მწვერვალს მიაღწია, მაგრამ ერთი ოცნება მაინც აქვს – პატიოსანი კაცის სახელი მოიხვეჭოს! და ფუთელი პოეტის ლექსოს, იგივე ჯამბაკურ ჯამილოკიაშვილის მიერ მასზე გამოთქმული სხარტულა: “რომ აგცინცლაგს ბაცაცინო, მხოლოდ უნდა გაიცინო!”, სხვა სხარტულათი შეიცვალოს!

როგორც ჩვეულებრივ წერენ ხოლმე, ერთ მშვენიერ დღეს მასთან მივიდა ვიღაც უცხოელი; ჩვეულებრივი ჩონა-ახალუხი ეცვა, მაგრამ ბაცაცინომ გამოთქმით კი სულ იოლად შეატყო, აქაური არ იყო. ამ კაცმა უთხრა:

– თქვენი სწორუპოვარი ოსტატობის შესახებ ბევრი მსმენია და ამიტომ სწორედ თქვენ მოგმართავთ. სპეციალური მისიით უნდა გაემგზავროთ შორეულ ქვეყანაში და ერთხელ კიდევ დაამტკიცოთ თქვენი უმაღლესი პროფესიული რეპუტაცია. ანაზღაურება ჩვეულებრივზე ბევრად მაღალი იქნება; ამის დასტურად ახლავე გადმოგცემთ ბეს – ინებეთ!

– სიამოვნებით ვიკისრებ დავალების შესრულებას და არა მხოლოდ ფულის გულისთვის, თუკი ის ჩემს პროფესიულ მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებს, – უპასუხა სახელგანთქმულმა ქურდმა ბაცაცინომ და პატარა ქისა ჩამოართვა, რომელშიც, როგორც შემდგომ გაამოიკვია, საკმაოდ დიდი თანხა იდო..

– ამ მხრივ, მე მგონი, კმაყოფილი დარჩებით: დავალება ფრიად დელიკატურიც არის და, ამასთანავე, დიდად რთულიც – ბროლის ქოში უნდა მოიპაროთ ინდოეთის ერთ-ერთი მაჰარაჯის სასახლიდან!

– ოჰ, რას ბრძანებთ, იმ მაღალ ხელოვნებას, რომელიც ესოდენ რთული დავალების შესასრულებლად არის საჭირო, სიტყვა “მოპარვა” ნამდვილად არ უხდება – მე მას შეეცვლილი სხვა სიტყვით – “მოპოვება”!

დიახ, სახელგანთქმული ქურდი ბაცაცინო დათანხმდა – გაიტაცა შორეული საოცნებო ქვეყანის მონახულების შესაძლებლობამ და საკუთარი ნიჭ-უნარის გამოვლენის კიდევ ერთმა გამოცდამ; მოუთმენლობით შეპყრობილს, დიდხანს აღარ დაუყოვნებია და მეორე დღესვე გაემგზავრა ინდოეთში.

სახელგანთქმული ქურდი ბაცაცინო ამასთანავე ფრიად დახელოვნებული ფსიქოლოგიც გახლავთ. იმის მაგივრად, რომ ინკოგნიტოდ დარჩენილიყო მისი მოგზაურობა, იზრუნა, რათა მსოფლიო პრესას ფართოდ მოჰფენოდა ინდოეთში მისი ჩასვლის მიზანი. ამიტომ, როგორც კი სახელგანთქმულმა ქურდმა ბაცაცინომ ფეხი დადგა საოცნებო ინდოეთის მიწაზე, მყის მოექცა პოლიციის მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ; ყოველ მის ნაბიჯს დღითა და, განსაკუთრებით, ღამით, უამრავი საგანგებოდ მიჩენილი დაგეშილი მეთვალყურე უთვალთვალებდა.

სახელგანთქმულ ქურდ ბაცაცინოს უჩინარად აედევნა ლექსო, იგივე ჯამბაკურ, ჯამილოკიაშვილიც – როგორ გგონიათ, გაზეთის “ფუთური ფართიფურთი” უსაზღვროდ ცნობისმოყვარე კორესპონდენტი არ დაინტერესდებოდა იმით, თუ როგორ მოახერხებდა სახელგანთქმული ქურდი ბაცაცინო ამ ფრიად საძნელე დავალების შესრულებას? თანაც საშუალება მიეცემოდა ზღაპრული ინდოეთის მონახულებისა, ასევე, მოგზაურობის შთაბეჭდილებების საფუძველზე დაწერდა ახალ, ეგზოტიკურ პოემას, რომელსაც მაშინვე სათაურიც შეურჩია: “საით გამაფრენს ფიქრის ფრთები...”.

პირველესად სახელგანთქმულმა ქურდმა ბაცაცინომ თეატრში წაბრძანება მოისურვა. სანამ სახელგანთქმულ ქურდ ბაცაცინოსკენ იყო მიპყრობილი მთელი ყურადღება, მისი ადგილობრივი კოლეგები დროს უქმად არ ჰკარგავდნენ, მუყაითად ირჯებოდნენ და დიდი წარმატებითაც.

რასაკვირველია ლექსო, იგივე ჯამბაკურ, ჯამილოკიაშიველი ცარიელ თვალეზად იყო ქცეული; სამწუხაროდ, სახელგანთქმულ ქურდ ბაცაცინოს ვერაფერი შეამჩნია, რომ დავალების შესასრულებლად მცირედად მაინც ირჯებოდა და შესანიშნავი თეატრალური წარმოდგენის ხილვასაც მოცდა.

მეორე დღეს სახელგანთქმული ქურდი ბაცაცინო სხვა ქალაქს გაემგზავრა და დაესწრო დიდ საზეიმო საფენბურთო შეხვედრას, მიძღვნილს ადგილობრივი მაჰარაჯას ტახტზე ასვლის ოცდამეხუთე წლისთავისადმი. სანამ წესრიგის დამცველნი სახელგანთქმულ ქურდ ბაცაცინოს მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდნენ, ადგილობრივი ქურდები ფრიად ხელმარჯვედ საქმიანობდნენ... ხოლო მის კუდად ქცეული გაზეთის “ფუთური ფართიფურთი” საგანგებო და სრულუფლებიანი კორესპონდენტი თვალნათლივ დარწმუნდა, რომ ამჯერადაც მისი თვალთვალის სამიზნე – სახელგანთქმული ქურდი ბაცაცინო – მხოლოდ ზეიმის ხილვით, გატანილი ბურთების დროს ტაშისცემითა და მაჩის შემდეგ გემრიელი სადილის მირთმევით შემოიფარგლა.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, სახელგანთქმულმა ქურდმა ბაცაცინომ ფრიად ისიამოვნა მრავალი ლამაზი ქალაქის მონახულებით, კარგადაც გაერთო და ისიც ახალისებდა, რომ მუდმივად განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იმყოფებოდა. ლექსო, იგივე ჯამბაკურ, ჯამილოკიაშიველი სამაოდ ეძებდა მის მხრივ ბროლის ქოშის მოპოვებისთვის სულ მცირედ ძალისხმევასაც კი.

დადგა სახელგანთქმულ ქურდ ბაცაცინოს ინდოეთიდან სამშობლოს გამოგზავრების დროც და მისმა განწყობებმა თანამგზავრებმა, პოლიციის მსტოვრებმა, შვებით ამოისუნთქეს – სახელგანთქმულ ქურდ ბაცაცინოს ბროლის ქოშის მოსაპარავად თითიც არ გაუნძრევია! მაჰარაჯას სასახლეს საერთოდ ახლოსაც არ გაჰკარებია!

სახელგანთქმული ქურდი ბაცაცინო ბომბეის ნავსადგურში უზარმაზარ სამგზავრო გემზე “დიდებული დედოფალი ვიქტორია” აბრძანდა და საუკეთესო კაიუტაში დიდის მოწიწებით მოათავსეს. რამდენიმე მოზრდილ ჩემოდანში მოგზაურობისას ცოლისა და 12 შვილისთვის, ასევე მეგობრებისთვის ნაყიდი საჩუქრები იღო.

ფრიად დამწუხრებული გახლდათ გაზეთის “ფუთური ფართიფურთი” საგანგებო და სრულუფლებიანი კორესპონდენტი ლექსო, იგივე ჯამბაკურ, ჯამილოკიაშიველი – მისი მისია სამარცხვინოდ ჩაფლავდა!

ცხადია, ისიც იმავე გემზე აბრძანდა და ფრიად გაკვირვებული იყო, სახელგანთქმულ ქურდ ბაცაცინოს რომ გემბანზე ფრიად კმაყოფილი სახით უდარდელად მოსეირნეს ხედავდა.

გავიდა მშვიდობიანი ცურვის რამდენიმე დღე, გაზეთის “ფუთური ფართიფურთი” საგანგებო და სრულუფლებიანი კორესპონდენტი ისევ სრული დაბნეულობის ქსელში ფართხალებდა და გამოცანის ახსნას ამაოდ ლამობდა. ბოლოს, სახელგანთქმულ ქურდ ბაცაცინოსთან გამოლაპარაკება გაბედა:

– ბოდიში, ბატონო ჩემო, მე გახლავართ ლექსო ჯამილოკიაშიველი, გაზეთის “ფუთური ფართიფურთი” საგანგებო და სრულუფლებიანი კორესპონდენტი ინდოეთში, ინდოეთის ოკეანეში, აგრეთვე – არაბეთისა და სუეცის ყურეებში, მეწამულ, ხმელთაშუა, ეგეოსის, მარმარილოს და შავ ზღვებში, ასევე დარდანელისა და ბოსფორის სრუტეებში... ჩვენს მშობლიურ ქალაქ ფუთს დიდად განმაურებული სხარტულა: “რომ აცინცლავს ბაცაცინო, მხოლოდ უნდა გაიცინო!” ჩემი შეთხზულია, ბატონო ჩემო, და ამიტომ ჩემს თავს უფლება მივეცი, თქვენთვის მომემართა...

– დიდად სასიამოვნოა მშობლიურ ენაზე საუბრის გაგონება, თანაც ცნობილი პოეტის იავარდ-იასამნის მტყორცნელ ბაგეთაგან, – უპასუხა სახელგანთქმულმა ქურდმა ბაცაცინომ, – რით შემძლია, გემსახუროთ?

– ბატონო ჩემო, არ დაგიმალავთ – სულ თან დაგყვებოდით, თქვენი ერთი ნაბიჯი არ გამომპრვია აგერ უკვე ორი კვირაა და თვალნათლივ დავრწმუნდი: თქვენი ფრიად ძნელი დავალების შესრულებისთვის თითიც არ გაგიტოვებიათ... ახლა შინ მიემგზავრებით და ისეთი უმფოთველი და კმაყოფილი იერი გაქვთ, თითქოს გამარჯვებული ბრუნდებოდეთ!

– ასეც გახლავთ!

– რას ბრძანებთ, ეს შეუძლებელია! ასეთი რამ მხოლოდ ზღაპრებში ხდება!

– წამობრძანდით და თვით დარწმუნდით!

სახელგანთქმულმა ქურდმა ბაცაცინომ უსაზღვროდ დაბნეული და დაეჭვებული ლექსო, იგივე ჯამბაკურ, ჯამილოკიაშიველი, გაზეთის “ფუთური ფართიფურთი” საგანგებო და სრულუფლებიანი კორესპონდენტი ინდოეთში და მრავალ სხვადასხვა ზღვებსა თუ ყურეებში, წაიყვანა საკუთარ კაიუტაში და საკუთარი ხელით გამოიღო კედლის კარადიდან ერთი მომცრო, უბრალო ჩემოდანი... მოკრძალებული პიროვნება გახლდათ სახელგანთქმული ქურდი ბაცაცინო და მსახური არ ჰყავდა და გინდაც ჰყოლოდა, როგორ ფიქრობთ, ანდობდა ვინმეს, იმ ჩემოდანს გაჰკარებოდა?

და ჩემოდნის გახსნისთანვე ლექსოს განცვიფრებულ თვალებში აირეკლა მაჰარაჯის საღაროს მშვენების – ბროლის ქოშის – ბრწყინვალება!

– დაუჯერებელია! – წამოიძახა ლექსომ. – თქვენ ჯადოქარი ხომ არ ბრძანდებით, ბატონო ჩემო?

სახელგანთქმულმა ქურდმა ბაცაცინომ გაიცინა:

– ჯადოქრები მხოლოდ ზღაპრებში გახლავან! ბომბეის ნავსადგურში საჩუქრად მომართვეს კოლეგებმა – ჩემი მოგზაურობის დროს კარგად იმუშავეს და დიდად კმაყოფილნიც დარჩნენ მონაგართ; შემომთავაზეს: ოქროს ქოშისაც მოგართმევთ, ისეთი მაღლიერი ვართ თქვენიო, მაგრამ მე უარი ვუთხარი!

სახელგანთქმულ ქურდ ბაცაცინოს ნებართვით, ყოველივე ზემოთქმული ლექსო, იგივე ჯამბაკურ, ჯამილოკია შვილმა გაზეთში “ფუთური ფართიფურთი” მოთავსებულ დიდ წერილში დაწვრილებით ჩამოკენჭა.

სახელგანთქმულ ქურდ ბაცაცინოს მრავალ სხვა გმირობას აქ აღარ მოვეყვები: მე რა მიზანიც მქონდა, მივალწვი კიდევ – სახელგანთქმულ ქურდ ბაცაცინოსა და მისი სწორუპოვარი ხელოვნების შესახებ ერთგვარი წარმოდგენა ხომ შეგიქმენი, მკითხველო; და არ გაგიკვირდება, როცა მოგახსენებ, რომ ჩვენი გუნდის მწვრთნელის, უტუ კამპბელის, ჩანაწერების მოპოვება (დამეთანხმებით: სიტყვა “მოპარვა” ჩვენი დიდი ოსტატის, სახელგანთქმულ ქურდ ბაცაცინოს, შემოქმედებას არ მოუხდება!) არ გასჭირვებია – სახელგანთქმულ ქურდ ბაცაცინოსთვის ეს დავალება ერთგვარი თამაში და გართობა იყო – მომავალი სერიოზული საქმისთვის სპორტული მოთელვის მსგავსი: როგორც ბაყბაყდვისთვის კაკლის თითებით გატეხვა..

მაგრამ ჩვენი მოწინააღმდეგეების სიხარული ნაადრევი გამოდგა, დახარჯული თანხაც – წყალში ჩაყრილი: მწვრთნელის სქელი რვეულის მხოლოდ პირველ ფურცელზე ეწერა რაღაც უცხო ენაზე და ისიც არ იცოდნენ, რომელზე. კარგა ხანს მოუნდნენ, სანამ გაარკვედნენ, რომ ჩანაწერი ინგლისურად იყო გაკეთებული, სახელდობრ კი შემდეგი: “მე, უტუ კამპბელია, მივესალმები სახელგანთქმულ ქურდ ბაცაცინოს! წარმატებასა და კეთილდღეობას ვუსურვებ თქვენს დიდ ოჯახს და ყოველთვის მემახსოვრება, რომ თქვენ ბრძანდებით დიდი ხელოვანი და არა რიგითი მაწანწალა!”

კარი XXXI. აქა ამბავი სახელმოსხვეჭილი მარჩიელის რაჯა ალი ნასრულა ხანის მონახულებისა

კარგა ხნის ბჭობისა და რჩევის შემდეგ გადაწყვიტეს: მივიდნენ ერთ-ერთ მარჩიელთან – იქნებ მან მაინც გვიშველოს, გაჭირვებიდან თავის დახსნის გზა მიგვასწავლოსო.

ამ მარჩიელს, რაჯა ალი ნასრულა ხანს, სახელი შორს აქვს განთქმული – მასთან შორეული ადგილებიდანაც ბევრი ადამიანი მოდის თურმე – აფხაზეთიდან, სვანეთიდან, გურია-აჭარაიდან, იმერეთიდან და ქართლ-კახეთიდანაც; ათასგვარ სასწაულს მიაწერენ, უჩვეულო რამ უნარი გააჩნია თურმე: სხვათა აზრების ამოცნობა შეუძლია, თვალახვეული კითხულობს გაზეთს, ჰაერში აგდებულ ქუდს მერე საითაც ისურვებს, იქით გააფრენს... იგებს მავანის წარსულს, აწმყოსა და მომავალსაც! ჯადოს უკეთებს და სხვის გაკეთებულ ჯადოს ხსნის, არჩენს შაკიკს, ბუასილს, შარდის შეუკავებლობას, ენაბლუობას და მრავალ სხვა ავადობასაც...

იყვნენ ურწმუნონიც, ჯადოქრად არ თვლიდნენ. კერძოდ, “ტყუილად ნუ გაირჯებით, ეგ სასწაულმოქმედი კი არა, დიდი მამაძაღლია! არ წახვიდეთ, ბნელი პიროვნებისგან ხეირს ნურაფერს ელით!”...

სადღაც პალიასტომის ტბის ნაპირას, ლაქაშებში აშენებულ, განმარტოებულად მდგარ ქოხში მიაკვლიეს.

ხის დიდი ოდა-სახლი და სარებით შემორაგული მოზრდილი ეზოც ორად იყო გაყოფილი. სახლის ერთ-ერთ ოთახში რაჯა ალი ნასრულა ხანის ცოლ-შვილი არასდროს შედიოდა, იქ იღებდა სამარჩიელოდ მისულთ და სულით ავადმყოფებსაც; ეზოში ახლაც დახვდათ მესერზე ჯაჭვით დაბმული რამდენიმე კაცი და ქალი.

რატომღაც ხანში შესულ ქალს ელოდნენ, მარჩიელი კი საკმაოდ ახალგაზრდა კაცი გამოდგა – კუპრივით შავი თმა-წვერი ჰქონდა, მუქი თვალები; მაღალი, ახოვანი მამაკაცი იყო, სულ შავები ეცვა. ეტყობა შავი მისი საყვარელი ფერი იყო: ეზოში დაბმული ბომბორა ძაღლიც შავი ჰყავდა, მამალიცა და ქათმებიც, ცხენებიც, ასევე – ხარებიც...

შავკედლებიან ოთახში მაგიდაზე შავი სუფრა იყო გადაფარებული, ალბათ ღვინოსაც მხოლოდ შავს სვამდა, რა ფერისას ჭამდა, ეგ კი ვერაფრით მომიფიქრებია... მაგიდაზე იდო თავისქალა, ის რატომღაც არ იყო შავი, ვერაფერს მოგახსენებ.

მარჯვენა მხარზე ეჯდა უზარმაზარი, ფაფუკებწვეიანი კატა, რა თქმა უნდა, შავი, რომელსაც კუდი თავზე მაღლა ჰქონდა აპრეხილი; მწვანე, ბრიალა თვალებით უყურებდა შემოსულთ; მერე განსაკუთრებით მე გამომარჩია და მზეერას აღარ მაცილებდა.

მარჩიელმა შავ შანდალში სანთელი აანთო და ფანჯარაზე შავი ფარდა ჩამოაფარა. შემდგომ თავისქალას ზედა ნაწილი მოხადა, შიგ მეთრე ანთებული სანთელი ჩაღება... ორმა თვალის ფოსომ გამოანათა და გუგუნას მიერ დახატული საზარელი ფირნიში გამახსენა...

მარჩიელმა მაგიდაზე შავი ყუთი დადო, სახურავი ახადა და შავი აბრეშუმის ქსოვილი ამოიღო. ამ დროს ყუთიდან ხარების რეკვა გაისმა და ოთახს მოეფინა რაღაც უცნაური მძაფრი სურნელი. ყველანი გაშტერებულნი უყურებდნენ მარჩიელს. მან ქსოვილი ჰაერში ააფრიალა.

ყრუ დაკაკუნება გაისმა – ერთხელ, მეორედ, მესამედ...

– მობრძანდი! – მიიწვია ის დამკაკუნებელი მარჩიელმა.

პასუხად კვლავ სამჯერ დააკაკუნეს, ამჯერად – ცოტა ახლოს.

– თქვენი თხოვნა შეწყნარებულია და ყოველივე გაცხადდება; პასუხი იმ შემთხვევაში გამზადდება, თუკი ყუთში ოც ვერცხლს ჩაუშვებთ... – წმინდა მეგრულით წარმოთქვა სასწაულმოქმედმა და მარჯვენა ხელით უცნაური მოძრაობები გააკეთა, თითქოს რაღაც უხილავ სურათს ხატავსო.

მარჩიელმა მოსულთ ყოყმანი შეატყო; საწყლები, ჯიბეებს კი იქექავდნენ, მაგრამ იქ რა უნდა ეპოვათ? აქ მოსასვლელად ფული ძლივს მოაქუჩეს... რამდენიმე შემორჩენილი ვერცხლიდა ჩაუშვეს ყუთში, რომელსაც ალბათ ყულაბის სახელი უფრო ეკადრებოდა..

– შეგიძლიათ სხვა რამ შემოსწიროთ ყუთის სულს, – ამჯერად წმინდა ქართულით თქვა მარჩიელმა, რომ ყველა სტუმარს გაეგო. – ის მოწყალეა და მიიღებს ოქროს სამკაულსაც, ძეწკვსაც, უკიდურეს შემთხვევაში – ბეჭედს...

უკვე უკან გამობრუნებასაც აპირებდნენ, რომ ფიშტომ ფიცხლად წაიძრო თითიდან საქორწინო ოქროს ბეჭედი...

მარჩიელმა ყუთიდან შავყდიანი წიგნი ამოიღო, გადაშალა – მისი გვერდები შავი იყო, ასოები კი თეთრი – და ბუტბუტი დაიწყო:

– მე ვხედავ, როგორ ამოდის თქვენი მტრის თავიდან აზრები!.. ვხედავ გამჭვირვალე სურათებს!.. ისინი ირხევიან, ლივლივებენ, ათასგვარად თამაშობენ... გამონდა რაღაც მანათობელი ბურთი, იგი მოგორავს და თანდათან დიდდება და კაშკაშდება... იგი იმედის მომცემია და მხოლოდ კარგს გპირდებათ...

– ბატონო რაჯა ალი თუ ალი რაჯა, – წამოიძახა ამ დროს ფიშტომ, – ბურთის ფრენაზე თუ შეგიძლიათ იმოქმედოთ? აი, მაგალითად, მოწინააღმდეგის კარისკენ დარტყმული ბურთი მიზანს სცდება, შეგიძლიათ მისი ფრენის მიმართულება შეცვალოთ და კარისკენ მიმართოთ? ან ჩვენი კარისკენ ზუსტად დარტყმული ბურთის მიმართულება გაამრუდოთ?

მარჩიელი შავ წიგნს ჩასცქეროდა და ბუტბუტს განაგრძობდა.

– ცოლის გამოცვლა თუ შეგიძლიათ? – ამჯერად ბებურმა მიმართა, – ან, უკიდურეს შემთხვევაში, მისი ხასიათის გამოსწორება?

– ჰო, ხასიათის შეცვლა არ იქნებოდა ურიგო, მე და ჩემმა დმერთმა! – მხარი აუბა ფიშტომ.

– მოიცათ, ბიჭებო, რა დროს ლაზღანდარობაა! – ცოტა არ იყოს, გაღიზიანებულმა წამოიძახა უტუ კამპბელიამ და შემდეგ მარჩიელს მიუბრუნდა: – ბატონო ჩემო, ჩვენ სხვა ბურთი და მასთან დაკავშირებული სხვა რამ გვანტერესებს – რა გზას დავადგეთ, რომ ცოტაოდენი ცხოვრების სასხარი მოვიპოვოთ პატიოსანი გზით და ჩვენი საქმიანობა გავაგრძელოთ?

მარჩიელმა ვითომ ვერ გაიგო მწურთნელის ნათქვამი და განაგრძობდა თავისთვის რაღაცის ბუტბუტს.

– ამ ჭრელ ძაღლს აქ რა უნდა? – ბოხი და ავის მომასწავებელი ხმით იკითხა უცებ მარჩიელმა. – ყველაფერი დაითარსა და ერთ კვირას სასიკეთოს ვერას მოვიმოქმედებ, სანამ აქაურობა არ განიწმინდება! უზარმაზარ ხარაღს ვეწვი!

ველარ მოვითმინე, კატას რამდენჯერმე შევყეფე, ავბტი კიდევ, მაგრამ ვერ შეეწვდი. კატამ ისკუპა და, თავგზააბნეულმა, სანთლიანი შანდალი წააქცია; შავ გადასაფარებელს და წიგნს მშინვე ცეცხლი მოედო...

კარისკენ მოვკურცხლევ; გელა მგელუკაშვილმა კარი გამოაღო და შურდულივით გავვარდა გარეთ.

იქვე კართან დაგვუნტდი და მოლოდინით ადვიჭურვე.

ოთახიდან უტუ ბატონის ბუხუნი და ჩხუბის არეული ხმები აღწევდა.

მაღე ოთახიდან ყველანი გამოლაგდნენ წყევლითა და ფურთხებით...

– არ უნდა აჰყვე ცრურწმენას, – უკმაყოფილოდ ბურტყუნებდა უტუ ბატონი. – კაცი დავბერდი, მთელი მსოფლიოც მომივლია და ჭკუა მაინც როგორ ვერ ვისწავლე?! ტყუილად გამოვიარეთ ამხელა გზა, თან – ისედაც რა გექნოდა და ისიც მივაფშვინტეთ ვითაც თაღლითსა და ყალბაბანდს... ახია ჩვენზე!

– აბა, აბა! – კვერი დაუკრა ცხვირჩამოშვებულმა ფიშტომ, თითზე ჩვეულ ადგილას ტყუილად ეძებდა ბეჭედს.

– შენ, ძამია, ტვინს რომ გვიბურღავდი, ეგ ალია თუ ბალია დიდი მამაძაღლიაო, რატომ წამოხვედი და ოქროს ბეჭედიც აჩუქე? – ნიშნის მოგებით გაიცინა ფიშტოს მისამართით ბებურმა.

– მასტრედის რა ნამუსით დაენახეები თუ განქორწინებას აპირებ უკვე? – დაამატა ლოთია უღვაშამ.

– მოიცათ, მოიცათ... – გააჩერა ისინი უცებ ფიშტომ, – რაღაც სუნი თუ იგრძენით, ეგ რომ ვითომ ჯადოქრობდა, იმ დროს? აბოლებდა და თან რაღაცას პუტუნებდა...

– ჩვენი გამოთავყვანება უნდოდა! – თქვა უტუმ. – მაგგვარი შემლოცველები ბევრი შემხვედრია – ინდოეთშიც, ეგვიპტეშიც და სხვაგანაც...
 – მაგარი სიმყრალე იყო, კინაღამ წამაქცია! – თქვა გელა მგელუკაშილიმა.
 – ჰოდა, ეგ სუნი მეცნობა, ხომ იცი... – განაგრძო ფიშტომ.
 – მეც! – წამოიძახა ბებურმა. – რაღაც უცხო ფისის სუნი იყო, ჩემს დღეში იმნაირი არ შემხვედრია!

– ჩვენ რომ ხაროში გვაგდებდნენ თვალახვეულებს, მაშინ იყო ეგ სუნი! – აღვზნებული იყო ფიშტომ. – ეგ მამაძაღლი მარჩიელი ერია იმათში! მაგის ტანსაცმელი გაჟღერებოდა იმ სუნით და ის ორმოც აქ უნდა იყოს, მის სამოსახლოში!

– მე მგონია, ბოსელში უნდა ვეძებოთ: ხაროში სულ პროხების ფშვინვა და ცოხნის ხმა გვესმოდა! – მაშინვე ბოსლისკენ გაემართა ბებურ.

სხვებიც სწრაფად გაეშურნენ დიდი, შემორაგული ეზოს შორეულ კუთხეში მდგარი მოზრდილი ფიცრული ბოსლისკენ.

გაადგეს კარი; ბოსელი ცარიელი დაგვხვდა, ეტყობა, პროხები საბაღახოდ იყვნენ გადენილნი. ნახევრად სიბნელეში ყველანი დაიფანტნენ და მიწაზე ფეხს აბაკუნებდნენ ან ჯოხის ბოლოს ურტყამდნენ. დიდხანს ძებნა არ დაგვჭირვებია: “აქაა!” – დაიძახა ფიშტომ. თივის თხელი ფენა გადააცადეს და ფიცრებით შეკრული მრგვალი თავსახური ახადეს ხაროს..

და ამოვარდნილი საშინელი სიმყრალის გამო, მაშინვე გარეთ გამოვარდნენ!

ბატონმა რაჯა ალი ნასრულა ხანმა თუ ვინ იყო იგი სინამდვილეში, გამძვინვარებული ფეხბურთელების შემხედვარემ, მაშინვე აღიარა:

– ფუთის პოლიციის უფროსის ხალხი იყვნენ, შემობრალეთ, ჩემი ბრალი ცოტაა!

შეაბმევიანეს ცხენის საზიდარი, ყველანი ჩავსხედით შიგ – რაჯა ალის ჩათვლით – და რინ-რინინით გამოვწიეთ ფუთისკენ...

გზაში დიდხანს დაჰკითხავდნენ მარჩიელს თუ ასტროლოგს, რომელმაც რატომღაც ვერ განსჯერიტა თავისი არცთუ სანაქებო მომავალი, ანუ, რომ მოუწევდა საზიდარში მრავალი ქიმუნჯის დაგემოვნება და კიდევ მეტი კითხვის მოსმენაც, რაზედაც, სამწუხაროდ, ვერაფერს პასუხობდა.

– რანაირი მარჩიელი შენ ხარ, ყველაფერზე იძახი: “არ ვიცი” და “არ ვიცი”!.. – ყველაზე მეტად გაბრაზებული გახლდათ რაჯა ალის პასუხით ბებურ ბურბუშელაშილი; უმეტესად ის ეკითხებოდა ყველაზე მეტად და არ იშურებდა ქიმუნჯებსაც. – ნუ კრუსუნებ, თორემ უარესს დაგმართავ; შენი წყალობით ჯოჯოხეთში ვიყავი მთელი კვირა და ხმა არ ამომიღია!

ცხადი გახდა, რომ “ტყვემ” მართლაც ბევრი არაფერი იცოდა, მთავარი კი მაინც გაირკვა – მთავარი დამნაშავე ქალაქ ფუთის პოლიციის უფროსი, მაიორი მამუკელა პეტელეიშვილი ყოფილა!

კარგა ხნის ბჭობის შემდგომ, უტუმ გადაწყვიტა, ყოვლისშემძლე მამუკელასთან ბრძოლის ერთადერთი გზა ლექსოს დახმარებით თუ გამოინახებოდა...

* * *

როგორ მოახერხა ლექსომ – საოცარია, მაგრამ გაზეთში “ფუთური ფართიფურთი” დაიბეჭდა მისი დიდი წერილი – “მყრალი საქმე”, რომელშიც დაწვრილებით იყო მოთხრობილი ქალაქ ფუთის პოლიციის უფროსის, მაიორ მამუკელა პეტელეიშვილის მიერ დაგეგმილი და შემდგომ განხორციელებული თავხედური მოტაცება ორი პოლიტიკური პარტიის თავმჯდომარეებისა, შემდგომ მათი გადაძალავე ცნობილი მარჩიელისა და შემლოცველის რაჯა ალი ნასრულა ხანის ბოსელში ამოთხრილ ღრმა ხაროში...

ატყდა ერთი ამბავი – ფუთში ახალ აჯანყებას ბევრი აღარაფერი უკლია!

“ფეხბურთის მოყვარულთა პარტიის” თავმჯდომარემ და ამჟამად ქალაქ ფუთის ახალმა თავმა გონა კაკუჩიამ სასწრაფოდ განაცხადა, რომ მას არავითარი კავშირი არ ჰქონდა მამუკელა პეტელეიშვილთან; ეს უკანასკნელი მაშინვე იქნება განთავისუფლებული დაკავებული თანამდებობიდან და მის მიმართ აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე, თუკი დადგინდება ქალაქის პოლიციის უფროსის ბრალეულობა, ამისთვის კი ჯერ საკრებულომ უნდა შექმნას კომისია, რომელიც დაწვრილებით გამოიკვლევს პარტიების თავმჯდომარეების გატაცებასთან დაკავშირებული დანაშაულის ყველა გარემოებას და გააკეთებს შესაბამის დასკვნებს.

კომისია არ შექმნილა და არც საქმე გამოუძიებიათ, რადგან მაიორი მამუკელა პეტელეიშვილი უცებ გაქრა მის ოჯახიანად – როგორც ამბობდნენ, სხვა ქალაქში გადაიყვანეს სამუშაოდ.

როგორც ვხვდები, გონა კაკუჩიამ შევებით კი ამოისუნთქა – თუ მამუკელას გაასამართლებდნენ, შესაძლოა, ისეთი რამეც აღვარებინა, გოჭა იძულებული გახდებოდა, ქალაქის თავის სავარძელს გამოემშვიდობებოდა, მაგრამ ამოისუნთქა მხოლოდ დროებით: არა მგონია, გული მთლად საგულეს ჰქონოდა... რაჯა ალი ნასრულა ხანმაც ბევრი რამ იცოდა...

მამუკელა პეტელეიშვილის გაქცევით დიდად გაიხარა მამია მეჯღანემ – დუღუნანასთან დაბრუნებას შესძლებს!

გეონებ, ფუთელთაგან მხოლოდ ბებურ დარჩა გულნაკლული პოლიციის უფროსის გაუჩინარებით:

– ეჰ, ვინდა უპატრონებს მის ძვირფასად მოვლილ ვარდნარ-ყვავილნარს!

კარი XXXII. აქა სასიხარულო უსტარი მაჭახელას – უცხოეთიდან!

მიხარია! კარგა ხნის ლოდინის შემდეგ, როგორც იქნა, მივიღე ნანატრი ბარათი – პრადიდან! ერთ ჩემს ძველ ნაცნობს, რომელიც პრადაში მიდიოდა (პატრონი ვაჭარი ჰყავს და იქ საქმეზე მიდიოდა კარგა ხნით, ამიტომ ძაღლიც თან წაიყვანა), დავაბარე: თუ ჩემი ძმა და მეგობარი ხარ, მოძებნე რომელიმე იქაური ჩემი მოგვარე, ესე იგი – ჩემსავით უჯიშო, მაწანწალა ძაღლი, სასურველია – მამრობითი სქესისა (თუ რატომ – ამას შემდგომ მიხვდებით!) და სთხოვე: მომწეროს იქაური საფეხბურთო ამბების შესახებ. გამიგონია, რომ იქ ფეხბურთი ჩვენზე ადრე შევიდა... მიკვირს კი – მათ ზღვა არ აქვთ და ინგლისელმა მეზღვაურებმა როგორ შეადწიეს? თუმცა, მდინარე კი უნდა გადიოდეს – ვლტავა, უნდა ვნახო ენციკლოპედიაში, სანაოსნო თუ არის?..

ჰოდა, ჩემდა დიდად გასაკვირად და სასიხარულოდ, მომივიდა უსტარი პრადიდან, რომელსაც ახლა გაგაცნობთ. წერილში ეწერა:

“ჩემო უნახავად საყვარელო და სანახავად სანატრელო,
თუმცაღა ჯერჯერობით უცნობო ძმაო მაჭახელა!

მე მქვია ბებორი (ბოლიში, ხომ სწორად დაწვერე შენი სახელი?).

დიდად გამახარა შენგან იმის გაგება, რომ თურმე თქვენთანაც დიდად პოპულარული გამხდარა შედარებით ახალი თამაში – ფეხბურთი! ჩვენთან მას დიდი გატაცებით მისდევენ დიდებიც და პატარებიც, ქალაქშიცა და სოფელშიც, უბრალო მუშები თუ გლეხები და მსახიობები, მწერლები და მინისტრის მოადგილეებიც კი!

შენ განსაკუთრებით გაინტერესებს, როგორ თამაშობენ ჩვენი საფეხბურთო გუნდები.

აქ უამრავი ფეხბურთელთა გუნდია, მაგრამ განსაკუთრებით სახელგანთქმულია ორი – “სპარტა” და “სლავია”, მუდმივი მეტოქენი!

სანამ ფეხბურთზე საუბარს გავაგრძელებდე, უპირველესად უნდა მოგახსენო, რომ ჩემი პატრონი, ბატონი იაროსლავ ჰაშევი, დიდად მოყვარული გახლავთ ძაღლებისა და საკუთარი დაწესებულება კი დააარსა – “კინოლოგიური ინსტიტუტი”! ეს ინსტიტუტი საგაზეთო განცხადებებში დახასიათებულია, როგორც დაწესებულება, სადაც ხდება “ძაღლთა გამრავლება, ყიდვა-გაყიდვა და გაცვლა კინოლოგიურ საფუძველზე”. იარდას აქვს სხვა დამსახურებაც ჩვენს წინაშე: მან ძაღლების თემას მიუძღვნა რამდენიმე მხიარული მოთხრობა, ადრე ეწეოდა კინოლოგიური ცოდნის პოპულარიზაციას მის მიერ რედაქტირებულ ჟურნალში “ცხოველთა სამყარო”. სამწუხაროა, რომ ძაღლებს არ გვაქვს მინიჭებული საარჩევნო ხმის უფლება – დარწმუნებული ვარ, რომ ამ ხმის არსებობის შემთხვევაში პან იაროსლავ ჰაშევის მიერ შექმნილი კანონიერების ფარგლებში ზომიერი პროგრესის პარტია უეჭველად გაიმარჯვებდა არჩევნებში და მის ლიდერს აირჩევდნენ ავსტრიის პარლამენტში!

ასევე, მოხარული ვარ გაცნობო, რომ პანი იაროსლავ ჰაშევი დიდი თაყვანისმცემელია ფეხბურთისა, კერძოდ კი – “სლავიას” მხურვალე გულშემატკივარია და ხშირადაც დადის სტადიონზე მისი საყვარელი გუნდის პაექრობისას. მაგრამ, სამწუხაროდ, ძაღლებს იქ არ უშვებენ და მაშინ მტოვებს “კინოლოგიური ინსტიტუტის” ძაღლთა მომვლელის ვლადისლავ ჩიჟეკის სამეურვეოდ. არ ჰრის ჩემი მოთქმავაება-წაკავკავი, კუდის ქიციანი და მიწაზე ხოხვით იარდას ფეხებთან მიჩოჩება – არასდროს წამიყვანს, მხოლოდ თავზე გადამისვამს ხელს და ალერსიანად მეტყვის: “ბოლიში, ჩემო საყვარელო, პოლიციასთან ისედაც თითქმის ყოველდღე არცთუ სასიამოვნო ურთიერთობა მიწევს და რომ წაგიყვანო, მეშინია: მე კი დაჯარიმებით გადავრჩები, მაგრამ შენ, შესაძლოა, დაგატყუალონ და ქალაქგარეთ გაგიყვანონ და გაგატყაონ კიდევ!” თქვენთან თუ უშვებენ სტადიონზე დასასწრებად ძაღლებს? მიკვირს, ხომ იცი: თუკი გაზეთის რედაქციაში შეიძლება ჩემი წაყვანა, რა გახდა ეს ფეხბურთის მაჩი! სხვათა შორის გეტყვი: თურმე იმ რედაქციაში რამდენჯერმე გყუილად მიიყვანეს ჩემი პატრონი, უჭიანურებდნენ ჰონორარის მიცემას, ახლა კი, როცა ჩემთან ერთად მივიდა, ჩემი დაღებული პირისა და მასში აელვარებული ეშვების ბრწყინვის შემხედვარე, ულაპარაკოდ მაშინვე გადაუხადეს ფული!

ერთხელ მაინც მოვახერხე ჩუმიად გაპარვა და დავესწარი კიდევ ფეხბურთის მაჩს – ხომ უნდა მენახა, რისთვის გიჟდება ეს ხალხი! თავგადაკლული გულშემატკივრები წინასწარ საგულდაგულოდ ემზადებიან სტადიონზე წასასვლელად: შეიარაღდებიან ბინოკლით, ფოტოაპარატით, საყვარელი გუნდის დროშით, საჭრიალათი, ბუკით, სასტვენით (ყვირილით და ღრიალით რომ ხმა ჩაეხლიჩებათ, შემდგომ ხმაურ-ჭყვიტინით გუნდის გასამხნეველად), სურსათ-სანოვავით (საშინელი მადა ეხსნებათ თამაშის მსვლელობის დროს, თითქოს ფეხბურთელები კი არა, საათნახევარში თვითონ იკლებენ წონაში 3-4 კილოგრამს) და პლზენის ლუდიანი 5-ნ ბოთლით (საშინელი წყურვილი ახრჩობთ, განსაკუთრებით, თუ საყვარელი გუნდი აგებს, და ჩახლეჩილ ხმასაც ხომ უნდა ჩაწმენდა)... ჰო, ყველაზე მთავარი უნდა ვახ-

სენო: ბილეთი, ორი ძველი გაზეთი (ერთი – სკამზე დასაფენად და მეორე – ქუდის გასაკეთებლად, თუ მზიანი ამინდი იქნა), ერთი ახალი გაზეთი – შესვენების დროს წასაკითხად (რომელიც, რაღა თქმა უნდა, წაუკითხავი რჩება – შემობლებთან საფეხბურთო კამათის დროს ვის გაახსენდება!), გულშემატკივრის ცხელი გული (რომელიც დიდი სიხარულის მოლოდინით დილიდანვე აჩქარებულად ცემს)... ყველაზე საოცარი კი ის არის, რომ ჩვეულებრივ ცხოვრებაში, ყოველდღიურად ყველაზე ფლეგმატური, დაბლური, უდიდამო ადამიანები, სტადიონზე მისულები, საოცარ ფერისცვალებას განიცდიან და გარდაიქმნებიან ადგმნებულ, თავშეუკავებელ პიროვნებებად – ღრიალებენ, ბობოქრობენ, მსაჯებს უცნაურ, დამამცირებელ და შეურაცხყოფელ სახელებს უწოდებენ, საკუთარი გუნდის მოთამაშეებს ხან რჩევებს გასძახიან, ხან ტაშით აჯილდოვებენ, ხან გინებით უმასპინძლებიან...

როგორც მე ვხვდები, ჩემი ახლანდელი პატრონიც სხვებსავე საზოგადოებრივი ცხოველია და ადამიანების ხროვას სიამოვნებს ერთად ყოფნა სტადიონზე და ერთად გულშემატკივრობა – ამ დროს ისინი გრძნობენ სიძლიერეს, სიამაყეს, სიამოვნება უთკვეცლებათ და ამრების ურთიერთგაცვლაში იფხანენ ფულს და ილაღებენ სულს... მეორე მხრივ, თუ შენი გუნდი აგებს, მწუხარება და იმედგაცრუება უფრო ადვილი გადასატანია, როცა შენთან ერთად ამას განიცდის რამდენიმე ათასი ადამიანი.

ბოლოს ყველაფერი კეთილად დასრულდა და ამდენი გახარებული ადამიანი ერთად ჩემს ცხოვრებაში პირველად ვიხილე! თვალები ისე უბრწყინავდათ, თითქოს ყოველმა მათგანმა შემწვარი ინდაურის ბარკალი იპოვა!

მართალი გითხრა, ბევრი რამ გამიკვირდა, დიდადაც ვისიამოვნე!

თქვენთან როგორღა გარდება მაჩები?

ჩემი ოცნებაა: შეხვდნენ ერთმანეთს ჩვენ-ჩვენი გუნდები! ხომ კარგი იქნება? იქნებ იქ ჩაგვიყვანონ ჩვენმა პატრონებმა და ერთმანეთს შევხვდეთ.. სად? მე მგონია, ყველაზე შესაფერისი ადგილი იქნება ლონდონში, “ვემბლსი” სახელგანთქმულ სტადიონზე – გავიხაროთ ერთმანეთის ნახვით და თან ვანახვოთ თავდაჯერებულ ინგლისელებს, როგორ უნდა ნამდვილი ფეხბურთის თამაში!

მოკლე ხანში ჩვენი ერთმანეთის ნახვისა და პირადი გაცნობის ნაგვრით გემშვიდობები! გისურვებ ყველა ოცნების ასრულებას, კაჟივით ჯანმრთელობასა და ბედნიერებას!

შენი ახალი მეგობარი ზებორი”.

რასაკვირველია, მაჭახელამ არ დაიზარა და საპასუხო წერილში დაწვრილებით აღწერა შეხვედრას ბათომის გარეუბანში – ფრიად და ფრიად შთამბეჭდავად!

კარი XXXIII. აქა დედამიწის ზურგზე უმშვენიერეს ქალაქ აიაში მომხდარი ამბები

გამიგონია, ერთ მწერლს უთქვამს:

– ერთი ოცნება მაქვს: ერთი-ორი თვე – ან, შესაძლოა, მეტიც – ვიცხოვრო ქალაქ აიაში... ისე, ყოველგვარი მიზნის გარეშე, თავისუფლად, უგეგმოდ – “უსაჭოდ და უიალქნოდ”, საითაც ცხოვრების დინება წამიღებს!.. გავიარ-გამოვიარო მის ქუჩებში, გავესაუბრო იქაურებს ქუჩაში, ბაზარში, მაღაზიაში, ბაღში თუ სხვაგან – მე შენ გეტყვი, სიტყვა-პასუხს დაგამადლიან თუ არ უვარგათ!

მეორე მწერალს, რომელსაც მთელი მსოფლიო ჰქონდა მოვლილი, – წყნარი ოკეანის კუნძულებიც კი, – ჰკითხეს: “ბატონო ვახტანგ, მსოფლიოს რომელ კუთხეში არ ყოფილხართ, ბევრი ქალაქი გაქვთ ნახული, უამრავი უღამაზესი ქალაქი და თქვენ კი რომელი მოგეწონათ ყველაზე მეტად, რომელი მიგაჩნიათ ყველაზე ლამაზად?” მწერალმა მაშინვე, დაუფიქრებლად უპასუხა: “ჩემი მშობლიური აია! მაგაზე მშვენიერი ქალაქი ჩემთვის მსოფლიოში არ არსებობს! რა კონტა სახლებია, რა მშვენიერი პატარა ეზოები, აბიბინებული მწვანე მოლით, გარდნარ-ყვავილნარით...”

მე კი დავამატებ: აია საყოველთაოდან ცნობილი თავისი სანაქებო სტუმართმოყვარეობითა და სწორუპოვარი პურ-ღვინითაც – საიდანღა არ მოდიან აქ გემრიელად მოსალხენად და სამხიარულოდ!

სწორედ ამ წარმტაც ქალაქში ელოდათ მორიგი მაჩი ერთ-ერთ ადგილობრივ, ყველაზე ძლიერ გუნდთან... და სრულიად მოულოდნელად აქვე შევხვდი ჩემს საყვარელ ბოჩიასაც!

როცა აიაში გასამგზავრებლად რკინიგზის სადგურში მივედი, ვაგონში ვეღარ შევედი – იმდენი ფუთელი იყო მოწადინებული ამ მაჩზე დასწრებით, რომ თვით ფეხბურთელებისთვის მატარებელში ადგილი აღარ იყო! იძულებული იყვნენ, სასწრაფოდ ახალი ვაგონები დაემატებინათ – ორი!

შეხვედრის წინა საღამოს ფეხბურთელები შეიკრიბნენ აიას გარეუბანში, სახელგანთქმულ დუქანში “დალიე – გაამოს!” – ადგილობრივმა ცნობილმა პიროვნებამ, დათუნიმ, მიიპატიჟა ისინი: “ბევრჯერ მინახავს თქვენი თამაში და პატივი მინდა გცეთ, ისე ვარ მოხიბლული თქვენი ლამაზი თამაშით და შეყვარებული თქვენზეო”. სინამდვილეში, როგორც მერე შევიტყვეთ, ადგილობრივი გუნდის “აიელი ჯიქები” მესვეურებმა დაავალეს: ისე მაგრად დაათვრე და გაატიალე ფუთელი ფეხბურთელები, რომ ხვალ ჩვენს გუნდთან თამაშის დროს საკუთარი და ჩვენი კარები

აერიოთო. მოზრდილი ფსონები დადეს საკუთარი გუნდის მოგებაზე და იმედი ჰქონდათ, ლხინის დანახარჯს ათმაგად აინაზღაურებდნენ.

ბიჭები ლხინზე უარს როგორ იტყობდნენ, მაგრამ გადამეტებულ ღვინის სმაზე უკაცრავად არიან... დათუნის გეგმას ჩაშლა ემუქრება, რა უნდა იღონოს, როგორ დაიყოლიოს სადღეგრძელოების ბოლომდე დაღვევაზე?

საჩქაროდ გააქცუნა ხელის ბიჭი და მიიპატიჟა ბოჩია, ცნობილი მომღერალი.

ბოჩიაც განარებულა კარგ ბიჭებთან შეხვედრით, მშვენიერ გუნებაზეა, მისი ხმაც საამოდ უღერს და აღმაფრენით საკუთარ თავსაც გადააჭარბა!

ასე ამბობენ ყველანი.

ძაღლებს კი, ადრეც მომიხსენებია, ადამიანთა სიმღერა დიდად არ გვეპიტნავენა, მე სხვა მხრივ ვიყავი ბედნიერი – ბოჩიას მრავალი წლის შემდეგ ისევ შევხვდი და უზომოა ჩემი სიხარული!

ბოჩიამაც მიცნო:

– ცუგრია, ცუგრია! – დამიძახა და მაშინვე მასთან გაგნდი, ავსტი და, ლოყაზე მინდოდა კოცნა, მაგრამ მღელვარებისგან ავაცილე და ცხვირის წვერი ავულოკე... სამაგიეროდ, ბოჩიამ მომხვია ხელები და გულში ჩამიკრა!

მე ბოჩიას აღარ ვშორდები, იქვე ვარ მის ფეხებთან დაყუნცული, თუმცა, მართალი მოგახსენო, ეს ხალხური მუსიკა – საზიზღრობაა! კატების კნავილს მაგონებს... აი, ჩვენს ყეფას კი რა შეედრება! რა მრავალფეროვანი გრძობები შეიძლება ამოიკითხო ჩვენს წკმუტუნში, წკაპწკაპში, ყეფაში, ღვგაპში, ღრენაში და ღმუღშიც კი!

– ჩვენ ასეთი ბოჩია სხვა დროს არასდროს მოგვისმენია! – ამბობენ ამ დუქნის მუღმივი სტუმრები.

მეც სხვა რა ღონე მაქვს, დანარჩენებს უნდა დავეთანხმო და ჩუმი ვიყო, მით უმეტეს – ძვლებს ჩემთვის არ იშურებენ და ხანდახან – ხორცის გემრიელ ნაჭერსაც..

ფანჯრები ღიაა და შეიკრება უამრავი მსმენელი ახლომანლო სახლებიდან.

ყველანი უსმენენ ბოჩიას, რომელიც, ერთ სიმღერას ჩაათავებს თუ არა, მაშინვე მეორეს იწყებს.

ბიჭები გემრიელად იღხენენ, დათუნიც დიდად კმაყოფილია სუფრის ღაზათითაც და ბოჩიას სიმღერითაც, მაგრამ არ ავიწყდება თავისი განზრახვა, რომ ჩვენი ფეხბურთელები მაგრად დაათროს. ბოჩიას დროდადრო აჩერებს:

– ბიჭო, ბოჩია, ცოტა შეისვენე, ერთი-ორი სადღეგრძელო გვაცალე, ჭირიმე, ჩვენი ძვირფასი სტუმრები უდღეგრძელებელი არ დაგვრჩენ!

ბებურ ბიჭებს აქეზებდა:

– მაღიანად შეექცით, თვარა თუ წავაგეთ, ეს ჩვენი უკანასკნელი სადილი იქნება!

ლოთიამ ნახევრად ხუმრობით უპასუხა:

– მასპინძლები ისეთი თვალებით გვიყურებენ, რომ თუ მოვიგეთ, ეს სადილი ჩვენთვის მართლაც უკანასკნელი შეიძლება გახდეს! მიკვირს, ის ტყის კაცი ტუხო რომ არ დაგვინიშნეს თამადა!

წინა დღით ადგილობრივი გაზეთი “აიას განთიადი” მთლიანად მომავალ მაჩს ეძღვნებოდა და მისი ფურცლებიდან წინასწარმეწვევლებდნენ: “ისე გავპუტავთ ამ “ლომებს”, რომ მეორედ კაი ათ წელიწადს ვეღარ გაბედავენ აქ ჩამოსვლას! დავსვამთ საწყლებს ტივზე და, გამოსავათებულთ და ნირწამხდართ, ჩვენი დიდებული ფაზისი სულ ნანაობით ჩაიყვანს ფუთში?”

ერთ-ერთი შესვენების დროს ძუძუგურამ ბოჩიას უთხრა:

– ბოჩია, ბედნიერი კაცი ხარ, ღმერთს ასეთი ხმა მოუცია შენთვის, მუღმივად გაპტიუებენ თავადები, ვაჭრები და სხვა ფულიანი ხალხი მათი სუფრის დასამშვენებლად, ცხოვრობ უღარდელად, მთელი შენი ცხოვრება ერთი გადაბმული ლხინია!

ბოჩიას ეწყინა და უპასუხა:

– ჩემი ცხოვრებით კი ვარ კმაყოფილი ასე თუ ისე, რადგან საყვარელ საქმეს ვემსახურები, გულით მიყვარს ქართული სიმღერები; უამრავი ვიცი და კიდევ მეტი მინდა, ვიცოდე. ზოგჯერ რომ გავიგებ, აქა და აქ კარგი მომღერალიაო, ბევრი სიმღერა იცისო, მივდივარ მასთან სტუმრად. რამდენჯერმე ვიყავი კახეთში, ასევე – ქართლში, გურიაში, სამეგრელოში, ხოლო იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმში ხომ თითქმის ყველა სოფელი დამივლია, სვანეთშიც ვიყავი... და მაინც ვერ ვისვენებ, რადგან ვიცი, კიდევ ბევრი სიმღერა არის ჩემთვის უცნობი. იმიტომ კი არ ვმღერი, რომ ფულს მაძლევენ – მსიამოვნებს და იმიტომ... ეს ავადმყოფობასავით მაქვს – ვერ ვისვენებ, ერთი დღე რომ არ ვიმღერო, ალბათ ავად გავხდები... მაგრამ სანამ დღევანდელ დღემდე მოვადწვევდი, რომ იცოდე, რა ძნელი გზა მაქვს გავლილი: ბავშვობა, სიყრმე, ახალგაზრდობა... დუხჭირი, ეკალ-ნართით მოფენილი გზა... ახლაც ზოგჯერ უმადურ ხალხს უნდა ემსახურო – გამოერევა ვინმე რეგენი, მთვრალი ათასგვარ შარს მოგდებს, შეურაცხყოფს... არადა, ამგვარი ყვეფი სიფათების ყურება თითქმის ყოველდღე, მსახურად ყოფნა, ყოველგვარი ახირებული სურვილების შესრულება – ადვილი გვინია? ამას წინათ ერთი ამიხირდა, გინდა თუ არა, უნდა იცეკვო. რა

უნდა მექნა? აი თქვენა გაქვთ იოლი ცხოვრება, ხან ერთობით, ბურთს წაითამაშებთ, მერე იქეფებთ; ახლა სხვაგან გადახვალთ, იქაც გაერთობით...

ამჯერად ფეხბურთელს ეწვინა:

– შენ სულ არ გცოდნია ჩვენი ამბავი, ერთი ბურთის ან ტანსაცმლის შექმნა რა წვალებად დაგვიჯდა, ახლა ფენსაცმელს არ იკითხავ? საგარჯიშო მოედნის გამოძებნა? ქანცის გამომცდელი ყოველდღიური ვარჯიში? რეჟიმის დაცვა? გაუთავებელი მტკივნეული დარტყმები, ფეხის ღრძობა, ზოგჯერ – ლაგიწის ან თავის თუ სხვათა გატყევა? არცთუ იშვიათად – შიმშილიც? სტვენა და შეურაცხყოფელი წამოძახილები? რამდენჯერ გადახვას გადაუვრჩით: წაგების დროს – ვაი-თაყვანისმცემლებისგან და მოგებისას ხომ არცთუ იშვიათად გაპარვა გვიწევს გამძვინვარებული მოწინააღმდეგებისგან – როგორ გაბედეთ ჩვენი სათაყვანებელი გუნდის დამარცხება და დამცირებაო...

– შენ, ბურძგალია, ყველაფერს მიჩვეული ხარ! – უთხრა ბურძგალიას მის გვერდით მჯდომმა ბებურ ბურბუშელაშვილმა.

– მაინც რას? – გაუკვირდა ბებურის საუბარში უხეშად ჩარევა ბურძგალიას.

– რას და... – უაზროდ მიაშტერდა ბებურ, მაგარი მთვრალი იყო უკვე. – საქმე გაქვს გამოლეული...

ბურძგალიამ წაუყრუა. ბებურ ლაპარაკის იმტახე იყო, იქნებ ჩხუბიც მონატრებოდა და მიზეზს ეძებდა – რატომღაც ბურძგალია ამოიჩემა და მიზეზით თუ უმიზეზოდ კენწლავდა, მოსვენებას არ აძლევდა. ბურძგალია არაფერს პასუხობდა და ეს კიდევ უფრო აფიცებდა ბებურს.

– ბიჭო, შეეშვი სმას, თორემ ამჯერად უტუ არ გაპატიებს! – უთხრა ბებურს ფიშტომ. – წაიხლა და გაისეირნე სუფთა ჰაერზე ან დაწეი და დაიძინე.

– ვინ გკითხავს შენ... შენს ბოზ ცოლს მოუარე... – ბებურ წამოდგა და ჭიქით ღვინო შეასხა მაგიდის მოპირდაპირე მხარეს მჯდომ ფიშტოს.

ბურძგალია წამოდგა, ბებურს მკლავში ხელი ჩაავლო და წიწილასავით გაიტაცა ღია კარისკენ. ბებურ უძალიანდებოდა, ერთი-ორჯერ მუშტიც უთავაზა ფერდში ბურძგალიას. მაშინ ბურძგალიამ ორივე ხელით მადლა აიტაცა და ისე დაახეთწა ბებურ ძირს, რომ არავის ეგონა, თუ ცოცხალი გადარჩებოდა...

ბებურ ფორთხვით მიიწვევდა კარისკენ, უკვე გარეთ გასვლისას ფიშტო წამოეწია და გამო-სამშვიდობებელი ჭიტლაყი ჰკრა... მერე, მაგიდასთან დაბრუნებულმა, ბურძგალიას უთხრა:

– ტყუილად ამბობ უარს ცირკში ჭიდაობაზე!

* * *

მეორე დღით კი უტუ ბატონსა და ბებურს შორის უსიამოვნო საუბარი გაიმართა.

– შევცდი, ძალიან შევცდი! – დანანებით ამბობდა უტუ ბატონი. – კარგა ხნის წინ უნდა წასულიყავი გუნდიდან... როგორც ვატყობ, შენი გამოსწორება შეუძლებელია, მეტს მგლის თავზე სახარების კითხვას აღარ ვაპირებ – დავემშვიდობოთ ერთმანეთს, ბებურ!

– მეც მომბეზრდა ყველასგან ჭკუის სწავლება! – პასუხობდა ბებურ. – ვარჯიშები არ გააცდინო, ღვინო არ დალიო... ახლა ქალებზე ლაპარაკიც ამიკრძაღეთ! იცოდეთ, გუშინდელ გაპანდურებას არ გაპატიებთ! სხვა გუნდებიც არის, ჩემისთანა ფეხბურთელს თავს შემოეველებიან – ყოველ თამაშში ორი ბურთი მაინც გამქონდა!

– შენისთანასგან ათი გატანილი გოლიც არ გვინდა! – კიდევ უფრო გაბრაზდა უტუ ბატონი.

– რას გადმოგიგდია ენა, დროზე მოუსვი ბაყაყური! – შეუბღვირა ფიშტომ ბებურს.

– თუ ძალიან გინდა, გუშინდელს ახლა დაგიმატებ! – შესთავაზა ბებურს ბურძგალიამ.

– ხომ ხელავ, საშენო ადგილი აქ აღარაა! ბევრჯერ გადამიჩიო გალახვას, ახლა ვნანობ – მოგიხდებოდა! – დაამატა ფიშტომ.

– მე ჩემს ადგილს ყოველთვის მოვძებნი, სანანებლად თქვენ არ გაგინდეთ საქმე! – დაქაღნებით დაემშვიდობა გუნდს ბებურ.

* * *

აიელთა საფეხბურთო გუნდთან “აიელი ჯიქები” “ფუთელი ლომების” შეხვედრა უცნაური გამოდგა.

ჯერ იყო და დღით სასტუმროში მოვიდა თოფ-იარაღში ჩამჯდარი ვინმე ტუხო (ამ სახელით გაგვეცნო) – დათვივით დიდი და გაბანჯგველული, შარავხის ყაჩაღს ჰგავდა – და ავიხმით, სისინით დაექაღნა “ლომებს”:

– არ გაბედოთ დღეს მოგება, თორემ ცოცხლები ვერ გაასწრებთ აქედან!

მაჩის დაწყებამდე კი ცოტა ხნით ადრე უტუ კამპელიას აცნობეს, რომ ტფილისიდან მოწვეული მსაჯი... უეცრად გაქრა! მიზეზი გაურკვეველი დარჩა: ხან ამბობდნენ, ცუდად გახდა უეცრად, ხან – იმდენად საჩქარო და გადაუდებელი საქმე გამოუჩნდა, რომ მოულოდნელად გაემგზავრა მწვანეყვავილადად.

მასპინძლებმა სხვა მსაჯის მოწვევა შესთავაზეს, თანაც ფიცილით ცოლ-შვილი კინაღამ დაიწვევიტეს – მასეთი გამოცდილი, სამართლიანი და ყოველმხრივ სანაქებო პიროვნება სანთლით საძებარიაო.

მოიყვანეს ეს ახალი მსაჯი და შეეხედვე თუ არა, გულმა რეჩხი მიყო – ისე ყალბად ილიმე ბოდა ეს ცუდლუტთვალეობა კაცი და არც სუნი მომეწონა მისი მაინცდამაინც...

ალბათ არც ზღვის ბებერ მგელზე უტუ კამპბელიაზე მოახდინა უკეთესი შთაბეჭდილება ამ დაბალმა, დაგვაჯულმა კაცმა, მაგრამ სხვა რა გზა იყო, მაჩის ჩაშლა არ შეიძლებოდა და ძალაუნებურად დათანხმდა ვინმე კვაჭული კვაჭანტირაშვილის მომსახურებაზე მაჩის მსაჯად.

მეორე, ფრიად უსიამოვნო მოულოდნელობა ის გახლდათ, რომ, როცა მსაჯმა გუნდები თამაშის დაწყების წინ მოედნის შუაში იხმო, ფუთელებმა “ჯიქთა” შემადგენლობაში... ნიშნის მოგებით მლიმარი ბებურ იხილეს!

მე მაშინვე იქ გაეჩნდი, ბებურს შევეყვე და არც ნიფხვით დაფარულ რბილ ადგილში კბილების ჩასობას დავამადლიდი, მაგრამ უტუ ბატონმა დამიყვირა, დაანებე თავიო და მეც გავეცალე.

უტუ ბატონმა და გელა მგელუკაშვილმა ფრიად ცხარედ უკამყოფილება გამოხატეს, ბებურ ბურბუშელაშვილი ჩვენი გუნდის მოთამაშეაო, პასუხად კი “აიელი ჯიქების” გუნდის მამასახლისმა მოარბენინა და მათ აჩვენა ბებურის მიერ საკუთარი ხელით დაწერილი და სათანადო წესით დამოწმებული ხელშეკრულება, რომლითაც იგი კისრულყოფდა აიელთა გუნდში თამაშს მომდევნო სამი წლის განმავლობაში! განსაზღვრული ანაზღაურების ფასად!.. “ფუთელი ლომების” წევრებს არაგის ჰქონდა დადებული საკუთარ გუნდთან ამგვარი ხელშეკრულება და ამაზე არც არასდროს უფიქრია – გუნდი ერთი ოჯახი იყო! ყველაზე უფრო კი ფუთელი იმან გააოგნა, რომ ბებურს ხელშეკრულება “აიელ ჯიქებთან” ერთი კვირის წინათ მოუწერია! მაშ, ბებურს აღრევე ჰქონდა გულში ჩადებული “ლომთა” მიტოვება და ამის შესახებ არაგის არაფერი უთხრა? ეს დალატი იყო!

უტუ ბატონის მიერ შეგულიანებულმა ბიჭებმა თავიდანვე კარგად ააწყვეს თამაში: ჯერ ლოთია ციხიძემ გაიტანა ბურთი, მერე კი სულ ერთ წუთში ფიშტომ მეორე გოლიც შეაგდო. “ჯიქები” აჭიკყინდნენ, არასწორად შეაგდო, მათ მსაჯიც დაეთანხმა და ალაღმართლად გატანილი გოლი არ ჩაგვითვალა. ბიჭები კბილებს აკრატუნებდნენ სიბრაზით, მაგრამ თამაში მაინც განაგრძეს.

მერე თამაში აირია...

ჩვენები ლომებივით იბრძოდნენ, არც უხეშობას ერიდებოდნენ – ყოფილ ლელობურთელებს ძალ-ღონე აკლდათ თუ რა! “ჯიქებიც” მართლა ჯიქებივით არ ზოგავდნენ თავს, მაგრამ ბურთის შეგდებას ჩვენს კარში ვერაფრით ახერხებდნენ. ერთი-ორჯერ ბურთისთვის ბრძოლაში ბურტკალიამ ბებურ ისე დაჩაგრა, რომ შემდგომ ბებურ ცდილობდა მისგან შორს ყოფილიყო, თუმცა ბურტკალია არ ეშვებოდა, ყველგან ლანდივით არ სცილდებოდა და ფეხის განძრევის საშუალებას არ აძლევდა. ცხვირა არ ცდილობდა კარისკენ დარტყმული ბურთის დაჭერას: მაღალ ბურთებს მუშტით იგერიებდა, დაბლებს კი – ფეხით.

პირველი ნახევრის დასასრულს ცხვირას გვერდით მსაჯი აეტუზა და როცა “ჯიქებმა” საჯარიმო მოედანში ბურთი ჩამოაწოდეს, ჩვენი მეკარისთვის ხელის შეშლას შეეცადა, მაგრამ ბეგრად მაღალ ცხვირას რას დააკლებდა! ცხვირამ გემრიელად გადათელა კვაჭული და ბურთი მაინც მოიგერია მუშტით. ბალახზე გაგორებული კვაჭული კვაჭანტირაშვილი წამოდგა და დაზინებული მხარის ზეღით მივარდა ჩვენს მეკარეს – რაღაცას ედავებოდა, ეტყობა, აპირებდა, თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა დაენიშნა “ლომების” კარში; მაგრამ გაბრაზებულმა ცხვირამ მისი მისამართით კბილებში გამოსცრა: “მომწყვდი თავიდან, თვარა ფეხებს მოგამტვრევ!” და, ეტყობა, გადააფიქრებინა – შემკრთალმა მსაჯმა სწრაფად მოკურცხლა მოედნის შუაგულისკენ...

შესვენების დროს უტუ ბატონმა დამოძღვრა “ლომები”:

– ბიჭებო, ჩვენს ლამაზ ფეხბურთს – ბურთის მოხდენილ ტარებას, ზუსტ გადაცემებს, ფინტების ოსტატობას მოწინააღმდეგემ დაუპირისპირა ძალა და მონდომება. ცდილობენ, მარტივად გადაწვევიტონ საქმე – კარისკენ გაჭრით და მძლავრი დარტყმით გაგვიტანონ გოლი. მსაჯიც ყოველნაირად მათ უჭერს მხარს... ამიტომ ჩვენ სხვაგვარად უნდა დავიწყოთ თამაში: ძალას ძალა უნდა დავუპირისპიროთ, ლამაზ კომბინაციებს ამ შემთხვევაში წარმატების მოტანა არ შეუძლია – ჩვენი ყველაზე ძლიერი ფეხბურთელები საკაცით გასატანი გახდებიან და ვინდა ითამაშებს? განახვოთ მათ, რომ ჩვენ სხვაგვარადაც შეგვიძლია თამაში, ამის ძალა შეგვწევს!

გელას რჩევით ბიჭებმა ფეხებზე დამატებით გაიკეთეს ხის მცირე ფარები – თორემ ფეხის მოტეხვა არ ასცდებოდათ! ცხვირა კი მოედანზე ისეთი ალჭურვილი გამოვიდა, თითქოს ჯავშანში იყო ჩამჯდარი და დროულადაც – “ჯიქები” დაუფარავად “ნადირობდნენ” ჩვენს მეკარეზე; იქნებ დასახიჩრებასაც კი ვერ ასცდენოდა, მაგრამ უტუ ბატონის მითითებით ბურტკალია მუდმივად “მორიგეობდა” ცხვირას ახლოს და იცავდა მას მეტისმეტად უხეში შემოტევიების დროს.

მეორე ტაიმში “ჯიქები” მთელი გუნდით ხანგრძლივად “დასახლდნენ” მოედნის ჩვენს ნახევარზე, ყველა “ლომი” თავდაუზოგავად იგერიებდა მოწინააღმდეგის იერიშებს... ბებურ ძალიან ცდილობდა, თავი გამოეჩინა, რამდენჯერმე სახიფად აპირებდა ჩვენს კარში დარტყმას, მაგრამ ყოველი ცდა ბურტკალიამ ჩაუშალა; ერთხელ კი ისე გამოჰკრა კოჭებში ფეხი, რომ ბებურმა

კოჭლობა დაიწყო და “ჯიქთა” მწვრთნელი იძულებული იყო, იგი სხვა მოთამაშით შეეცვალა. ამ შემთხვევის გამო მსაჯმა ბურძგალია მოედინიდან გააგდო. “ჯიქები” რიცხობრივი უპირატესობის გამოყენებას ცდილობდნენ და მწვავედ გვიტყვდნენ და გვიტყვდნენ...

და ერთხელაც წინ დარჩენილ ჩვენს ერთადერთ ფეხბურთელს, ფიშტოს, რომელიც ერთთავად დადარაჯებული იყო, კონტად მიუგორდა ცხვირასგან მოგერიებული ბურთი; აღარ დაუყოვნებია, სწრაფად წაიღო, წაიღო ბურთი და შორიდან არცთუ ძლიერად დაარტყა მოწინააღმდეგის კარისკენ; მათი მეკარე იმდენად შორს იყო წინ გამოსული, რომ დროულად უკან დაბრუნება და კარში ჩადგომა ვერ მოასწრო და მის თავზე გადაფრენილი ბურთი კარში შეგორდა...

0 : 2!

ორთაბრძოლა ძველი სიმწვავეთ გაგრძელდა. “ჯიქები” თავს იკლავდნენ ჩვენს კარში ბურთის გასატანად, “ლომები” ძირითადად თავს იცავდნენ ახალი მარჯვე შემთხვევის მოლოდინში. ერთი-ორჯერ ფიშტო “ჯიქების” კარისკენ გაიჭრა, მაგრამ მას უკვე ორი-სამი კაცი დარაჯობდა და ისე უხეშად აჩერებდნენ, რომ ლელობურთი მონაგონი იყო – დაჯახებით, ხელის კვრით, ჭიდაობის ნაირ-ნაირი ილეთებით და ზოგჯერ მუშტის გამასპინძლებითაც თუ ვერ შეაჩერებდნენ და მაინც გაუსხლტებოდა, არც სარმას ვერიდებოდნენ...

მოწინააღმდეგე გუნდის ფეხბურთელებთან აყალმაყალი და მსაჯთან დაგა თამაშის დროს ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ ამჯერად ორივე გუნდის ფეხბურთელები მეტად ცხარობდნენ; უკმაყოფილონი იყვნენ მსაჯისა და ადანაშაულებდნენ წესების არცოდნაში, მოწინააღმდეგის მხარდაჭერაში, აჯილდოვებდნენ “ლამაზი” მეტსახელებითაც!

კვაჭულიმ ამის გამო ლოთია ციხოძე გააგდო კიდეც მოედინიდან...

– ეი, ლეიბანო! – დასცინეს ზოლებიან მაისურში გამოწყობილ ლოთიას მაყურებლებმა, – ძილი ხომ არ მოგენატრა? წადი, დაისვენე!

“ლომები” ცხრანი დარჩნენ, მაგრამ “ჯიქებს მედგრად უმკლავდებოდნენ.

თამაშის დამთავრებამდე დრო ცოტა იყო დარჩენილი, როცა მსაჯმა “ჯიქებს” არასწორად გატანილი გოლი ჩაუთვალა: მათი ორი ყველაზე ზორბა მოთამაშე ეცა მეკარე ცხვირას (რომელსაც თვითონ მსაჯი ახლოს აღარ ეკარებოდა!) და გააკავეს, მესამემ კი ამით ისარგებლა და ბურთი საკმაოდ შორიდან ჩვენს კარში გაგზავნა...

“ლომები” მივარდნენ მსაჯს, რას შერები, კაცო, წესების დამრღვევთ რატომ არ სჯიო, ამის პასუხად კი კვაჭულიმ განსაკუთრებით ხმამაღლა მყვირალი ფიშტო (კინაღამ მსაჯი შემოელახა კიდეც!) მოედინიდან გააძევა!

კვაჭულიმ ბურთი მოედნის შუაში დადო – 1 : 2...

ანგარიში მაინც ჩვენს სასარგებლოდ იყო, თამაშისთვის განკუთვნილი დრო კი თითქმის ამოიწურა, ამიტომ ბიჭებმა თამაში განაგრძეს – ისინი მოედანზე უკვე მხოლოდ რვაწი დარჩნენ. “ჯიქთათვის” საჭირო იყო მეორე გოლის გატანა, მსაჯსაც გულით უნდოდა, მათ სასარგებლოდ დაენიშნა თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა, მაგრამ ისინი “ლომთა” საჯარიმო მოედანში რომ ვერაფრით შევიდნენ? უტუ ბატონის მითითებით ფუთელთა ერთი ნაწილი ცდილობდა, რაც შეიძლებოდა დიდხანს ერთმანეთისთვის გადაეწოდებინათ ბურთი და მისი აქეთ-იქით გორებით აპამულაგებდა “ჯიქებს”...

როგორც იქნა, როგორც იქნა, მსაჯმა თამაშის დამთავრების ნიშნად ჩასტვინა! გახარებული “ლომები” ერთმანეთს გადაეხვივნენ!

და ამ დროს “ჯიქების” მწვრთნელმა მოედანზე შემოუშვა უხარმაზარი, დევივით ბიჭი – სწორედ ის ტუხო, დილით რომ გვესტუმრა სასტუმროში, მაგრამ რაღა დროს! მსაჯს მაჩი ბეგრად აღრეც უნდა დაემთავრებინა, მაგრამ სულ აჯანჯლებდა...

ეს აყლაყულა ტუხო გაიქცა, “ლომების” საჯარიმო მოედანზე გაიშოტა და მორთო ყვირილი – ვითომ წააქციეს...

რა თქმა უნდა, მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია.

რა ხანია, გახარებულმა ბიჭებმა ერთმანეთს მიულოცეს გამარჯვება, მერე გაიხადეს სათამაშო ფორმა, დაიბანეს კიდეც და ჩვეულებრივი ტანსაცმელიც ჩაიცვეს, როცა მოულოდნელად გასახდელში შემოვიდა ადგილობრივი პოლიციის უფროსი მსაჯის თანხლებით და ცხვირას უბრძანა:

– ყმაწვილო, შენ ხარ ხომ მეკარე? ახლავე ისევ ჩაიცივი ფორმა!.. ჩქარა!

ყველას გაუკვირდა; უტუმ პოლიციის უფროსს ჰკითხა:

– რა დააშავა ისეთი ბოჩია კინკაველაძემ? რატომ აცმევთ ძალით ფორმას?

ამ დროს საუბარში მსაჯი, კვაჭული კვაჭანტირაშვილი, ჩაერია:

– იმიტომ, ბატონო, რომ, მართალია, მაჩისთვის განკუთვნილი დრო ამოიწურა, მაგრამ თამაშის წესების თანახმად, “აივლ ჯიქებს” უფლება აქვთ პენალტი დაარტყან და გამოიყენებენ ამ უფლებას კიდეც!..

– სადაური წესია ეს? – აყვირდა ჩვეულებრივ თავშეკავებული უტუ ბატონი. – იმ ფეხბურთელს კაციშვილი არ გაჰკარებია და თამაშისთვის განკუთვნილი დროც უკვე ამოწურული იყო!

გაიმათა მიწვევ-მოწვევა, ატყდა ყვირილი, გაისმა მუქარაც...

გააფთრებული ფიშტო კვაჭულის ცემას ლამობდა; ბიჭებმა გააკავეს, თორემ პოლიციაში წაყვანა არ ასცდებოდა...

ცხვირა ძალით გაიყვანეს მოედანზე და კარში დააყენეს, კარს უკან პოლიციელები დადგნენ...

თერთმეტმეტრიან საჯარიმოს დარტყმა მიანდეს ტუხოს, რომელიც უბღვერდა და თვალებს უბრიალებდა ცხვირას, უნდოდა, წინდაწინ “გაეფუჭებინა”: “არ გაბეღო ჩემი დარტყმული ბურთის მოგერიება, თორემ...”

ბუღა ფეხბურთელი გამოქანდა, ბურთს გამეტებით დაარტყა და... კარს ააცილა!

ბურთი ერთ-ერთ პოლიციელს მოხვდა მუცელში, რომელიც კართან ცხვირას დარაჯობდა, არ გაიქცევს. პოლიციელი წელში მოიკაკა და მიწაზე გაგორდა, ტუხო კი ჩაჯდა და კოჭზე ხელს ისვამდა – ვითომ ფეხი იტკინა.

ფუთელი ფეხბურთელები გამეტებით უკრავდნენ ტაშს ტუხოს, სტგენითაც გაუმასპინძლდნენ – მაგარი ხარო.

ამ დროს კი მსაჯი ჯერ გამალებით შლიდა ხელებს, მერე კი თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმის ნიშნულისკენ მიუთითა – დარტყმა უნდა განმეორდესო.

გაოგნებულ ფუთელთ ენა ჩაუვარდათ, “ჯიქთა” გულშემატკივრებმა კი პირიქით – ყურთასმენის წამლები ყიჟინა დასცხეს.

გაბრაზებულმა კვაჭული კვაჭანტირაშიღილმა ბურთი ისევ მოატანინა, დადო თერთმეტმეტრიანის ნიშნულზე და ახლა... თვით აპირებდა ჩვენს კარში დარტყმას! გამოქანდა კიდევ, მაგრამ... ამ დროს უტუ ბატონის ნებართვას არ დაფუცადე, ვეცი კვაჭულის უკანიდან და ჩემს კბილებს, ნიფხვის ნაჭერის გარდა, ცოტა ხორციც მოვაყოლე...

ბევრად ადრეც უნდა მექნა ეს, მიკვირს, რამდენ ხანს მეყო მოთმინება.

გამოვარდა მოედანზე უტუ კამპბელია, ახლა ის მივარდა მსაჯს და გაშტერებულ კვაჭული კვაჭანტირაშიღილს ერთი ისეთი ხეთქა მუშტი ყბაში, მიწაზე გადაკოტრიალებას ვინ ჩივის, რამდენიმე კბილიც გადმოაგდებინა საკმაოდ დათელილ ბალახზე.

მოედანზე გამოცვივდნენ “ჯიქთა” გულშემატკივრები, მივარდნენ ზღვის ბებერ მგელს საცემად, ჩხუბში ჩაერთნენ ფუთელი ფეხბურთელებიც... ჰოი, რა ორომტრიალი ატყდა!

რასაკვირველია, მეც არ დამიკლია მონდომება და ბარე ათამდე ჩვენი დაჩაგვრის მოწადინეს, განსაკუთრებით თავგამოდებულ მოძალადეს, გამოვგლიჯე ბარძაყსა თუ საჯდომზე შარვლის ნაჭერი – სადაც და როგორც მოვახერხე!..

ცუდად წაგვივიდოდა საქმე, მაგრამ მოხდა ჩვენთვის მოულოდნელი რამ: მოედანს მოევიდნა თვით აიას ქალაქის მოურავი კოკილა კოკიაძე! პოლიციის უფროსს ყვირილით უბრძანა, ახლავე შეწყვიტე ეს უმსგავსობაო; შემდგომ უტუ კამპბელიას პირადად ჩამოართვა ხელი და ბოლიში მოუხადა, თავისიანებს კი უთხრა:

– რას ვერჩით ჩვენს სტუმრებს? ისინი ვაჟაკურად თამაშობდნენ, “ჯიქებზე” ბევრად უკეთესად და სამართლიანია მათი გამარჯვება!

ასე და ამრიგად, დათუნის ხრიკმა არ გაჭრა, თუმცა მოწინააღმდეგისთვის გატანილი ბურთების რაოდენობა ალბათ მაინც შეამცირა.

ფუთელი ფეხბურთელები ფრიად გახარებულნი იყვნენ წარმატებით, განსაკუთრებით – ფიშტო; გაბადრული, ხმამაღლა ტრაბახობდა:

– ხომ მოვუკუპრეთ პირი! ჰა, ხომ მაგარია ჩემი ბიჭი? აბა, რა ეგონათ, აპატიებდა იმ ვივინდარა, ყალთაბანდ მსაჯს ჩემს მოედნიდან გაგდებას?

მე ფეხბურთელთა გარშემო დავგობოდი და გახარებული ვყეფდი და ვყეფდი!

კარი XXXIV. აქა ბედნიერი დასასრული

რადგანაც ცოტა ფული გამოგვიჩნდა, თან აიაში ვიყავით, აქ კი საიდან აღარ ჩამოდიან მოსალხენად და, როგორ ფიქრობ, საყვარელო, მოგების აღსანიშნავი სუფრა იმავე საღამოს არ გაიშლებოდა?

დუქანში “დალიე – გაამოს!” დიდებული სუფრის თამაძობა ფუთელებმა სთხოვეს აიას ქალაქის მოურავს კოკილა კოკიაძეს, რომელმაც საუცხოოდ გაართვა თავი დაკისრებულ საპატიო მოვალეობას!..

ო-ჰო-ჰო, როგორ ვიმხიარულეთ!

კამბენია ხომ სულ თან დაგვეყვება და ამ დუქანში წინა ლხინის დროს ხმა არ ამოუდია, ახლა კი ბევრი იმღერა, თანაც არ დაიზარა და მოიყვანა მეორე მომღერალი ბოჩიაც მის მეგობრებთან ერთად – მთელი გუნდი!..

თუ ლხინია – ლხინი იყოს!

დიდად დაამშვენა ჩვენი სუფრა სახელგანთქმულმა მომღერალმა ბოჩიამ!

ბოჩიამ და კამბენიამ ერთადაც იმღერეს! იმღერეს გადასარეგად! (ასეთი იყო საყოველთაო შეხედულება, თორემ, კარგად მოგეხსენება, აღამიანთა სიმღერა მე დიდად არ მენატრება გულზე).

ბოჩიას სიმღერით მოხიბლულმა კამბეჩიამ იგი მაღლა აიტაცა და ლხინის დამაგვირგვინებელი ბოლო სიმღერა ასე, ზევით ხელში აყვანილი ამღერა!

როცა ხალხი ტაშისცემით დაიღალა და კამბეჩიამ ბოჩია ძირს დასვა, ფეხზე წამოდგა უტუ ბატონი:

– მეგობრებო, მინდა, ერთი რამ შემოგთავაზოთ და, დარწმუნებული ვარ, დამეთანხმებით... ჩვენს ფეხბურთელებს, მოგეხსენებათ, რა დამღლელი და ზოგჯერ მომაბეზრებელი ვარჯიშები უწევთ და მათთვის აუცილებელია დასვენებაც და გართობაც! ამიტომ ვთხოვთ ჩვენს საყვარელ მომღერალს ბოჩიას ხანდახან გვესტუმროს, სული დაგვიტკბოს ქართული ხალხური სიმღერებით, რომლის უბადლო შემსრულებელიც ის გახლავს! ყველანი მოხიბლულნი ვართ მისი ხმის სილამაზითა და შესრულების ოსტატობით! მეორე ჩვენს საყვარელ კაცთან კამბეჩიასთან ერთადაც იმღერებს და უკეთესს რას მოისმენს კაცის ყური! ჩამობრძანდით და მხოლოდ ჩვენ კი არა, მთელი ფუთი ხელის გულზე გატარებთ, ბატონო ბოჩია!

ვინ იქნებოდა წინააღმდეგი? რაც მთავარია, ბოჩია სიამოვნებით დაგვთანხმდა არა მხოლოდ დროდარდო სწევოდა ფუთს, არამედ იქ გადმოსულიყო საცხოვრებლად! თურმე ბავშვობიდანვე ოცნებობდა, ზღვის პირას ჰქონოდა სახლი, ყოველდღე გაესეირნა სანაპიროზე, ეცქირა ჰორიზონტისთვის, ცაში ღრუბლების მოგზაურობისთვის და ყური დაეგდო ზღვის მძლავრი სუნთქვის მარადი მუსიკისთვის!

მე კი ყველაზე ბედნიერი ვარ: არჩევანის წინაშე აღარ დავმდგარვარ – ფიშტოსთან დავრჩე თუ ბოჩიასთან?

საყვარელო, ყველანი ერთად ვართ – ერთ გუნდად!..

2006 წლის 20 სექტემბერი –
2007 წლის 20 მარტი,
თბილისი.